ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

345
გამოცემის ოცდამეცხრე წელი

4

აპრილი
1986
თბილისი
სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს მწერალთა X ყრილობის შესახვედრად

3. ფიქრები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე

პოეზია და პროზა

7. გორნაა ჯაბავლიანი — ლექსები
10. რევაზ მიქველაძე — ნოველები
43. ვაჟა ჩორგანული — სურო გაცრეცილ კედელზე. პოემა
52. ჯაბალ ჩახავა — ლექსები
54. ბიბეა აბზელავა — ლექსები
55. აკაკი ასათიანი — მოთხრობები
64. კოტა არაბული — ქვრივების ელეგია. ლექსი
70. ლევან სანიკიძე — გიორგი ათონელი. რომანი. გაგრძელება
109. ბიძინა მინდაძე — შუმერადმდელი ისტორია. ლექსი
111. ნოდარ ზაქრაძე — ლექსები
113. ლაშა ნადარეიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

116. ნიკიფორეს ვრეტოკასი — ლექსები. ბერძნულიდან თარგმნა იზა ორჯონიკიძემ

კუბლიცისტიკა

120. გივი ალხაზიშვილი — მდინარეს არსად ეჩქარება

წერილები

124. მანანა ჩიტიშვილი — „ო, საქართველოვ, ფიგნო, ჩუმად გადასაშლელო“
130. გრანი ქავთარია — დიდი ორატორის სიტყვები ქართულად
134. კახაბერ ლორია — „რომ მარტო არ ხარ...“
139. დავით ჯანელიძე — ლაზების გელადი და რუსეთის დიკლომატია
145. შოთა ვადაბაკორია — ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის ისტორიიდან
149. სერგი ჯორგენაძე — სტუდენტი ეხმარება პროფესორს

რეცენზია

152. მამია კოპახიძე — ფიგნი „ნიგალის“ შესახებ

ხელოვნება

154. ნათელა არველაძე — ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალი

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო გელეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუჯლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიმანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაძე

ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე

ქართული კულტურა და ქართული კრიტიკული აზროვნება — ერთმანეთისგან განუყოფელი ეს ორი ფენომენი — კარგა ხანია ჩვენი ფიქრის მეცხენეულ საგანს წარმოადგენს.

გადასაჭრელი პრობლემებიც საკმაოდ დაგროვდა.

რამდენად შეესატყვისება ქართული კრიტიკული აზროვნება ეროვნული კულტურის ბუნებასა და ხასიათს?

რამდენად ცხოველმოფფელად მონაწილეობს კრიტიკული აზროვნება კულტურულ პროცესში, რამდენად გონივრულად მართავს სულიერი ცხოვრების საქმე, რამდენად აკქტიურებს შემოქმედებით ძალებს, რამდენად ზუსტად განსაზღვრავს ქართული კულტურის მიმართულებას, რამდენად სწორად ფფსებს მონაპოვარს?..

ამჟერად ქართული მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკული აზროვნების სატკივარით შემოვისაზღვრებით.

1972 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ". დადგენილება პასუხობდა საკავშირო მასშტაბით შექმნილ მდგომარეობას. ცხადია, ქართული მწერლობისათვის არავითარ ნუგეშს არ შეიცავდა ის გარემოება, რომ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა სხვა მოკავშირე რესუბლიკებშიც დაბალ დონეზე იდგა. უფრო დამაფიქრებელი გახლდათ ის ფაქტი, რომ კრიტიკული აზროვნება ვერ ასრულებდა სასტიო როლს, ვერ ერთგულებდა ლიტერატურის წმინდათაწმინდა კანონებს.

გაჩნდა „მრგვალი მაგიდები", „კითხვა-პასუხები", „ინტერვიუები", ცალკეული გამოსვლები... ეს გახლდათ გამოხმაურებანი პარტიისა და მთავრობის დადგენილებაზე.

ერთი სიტყვით, გამოსვლები ბევრს გვპირდებოდა.

გამოხდა ხანი და 1982 წელს ზემოთ დასახელებული მნიშვნელოვანი დადგენილების ათი წლისთავზე შემუშავდა და მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება, რომელმაც კვლავ შეგვახსენა და მოითხოვა კრიტიკოსებისაგან საკუთარი მოვალეობის შესრულება.

1986 წლის 24 ივნვარს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან აღინიშნა, რომ ლიტერატურულმა და მხატვრულმა კრიტიკამ უნდა დაძლიოს გაუბედაობა, ზერელობა, აშკარა უპრინციპობა. კრიტიკას შეუძლია იყოს მხატვრულ შემოქმედებაზე პოზიტიური ზემოქმედების მძლავრი საშუალება. მას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ავტორებს საზოგადოების სულიერი განვითარების რთული პროცესების გარკვევაში.

აღინიშნა, რომ ზოგჯერ კრიტიკოსები ჯროვანი თანამიმდევრულობით ვერ იცავენ სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელ პრინციპებს, რომ კრიტიკის გაფრკვევული პოზიციის გამო მომრავლდა უიდეო, მსოფლმხედველურად და ესთეტიკურად უფფრული ნაწარმოებები.

სწორად იქნა შენიშნული აგრეთვე ის გარემოებაც, რომ კრიტიკა ძალიან ხშირად ანგარიშს უწევს ავტორის საზოგადოებრივ მდგომარეობას, დაკარგული აქვს ზომიერების და ტაქტის გრძნობა, და ამასთან ახასიათებს ტენდენციურობა შეფასებაში, არც თუ იშვიათად იყენებენ მას ანგარიშების გასწორების მიზნით.

რა ირკვევა? ირკვევა, რომ ქართულ კრიტიკულ აზროვნებას, ისევ ახასიათებს „გაუბედაობა", „ზერელობა", „უპრინციპობა", „ტენდენციურობა", „უტაქტობა", „ანგარიშსწორება"...

ალბათ, ამ უშეღავათო, პრინციპულმა შეფასებამ მაინც უნდა დაგვანახოს, რაოდენ მომზიფებულია დღეისათვის ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ავ-კარგის გარკვევის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის ძნელას, როდესაც საზოგადოებრივი აზრის გამომპატეჯელად იქცევა. ამიტომ მისი სისწორე და სიცოცხლისუნარიანობა საზოგადოებრივ აზრზე უნდა შემოწმდეს. ჩვენში კი უმეტესად პირიქით ხდება: შეიმჩნევა გამეფებული მეცადინეობა საზოგადოებას თავს მოახვიოს პირადი სიმპატია-ანტიპატია, რომელიც საეჭვო მიზნებით არის ნასაზრდოები. ამ ტენდენციამ ცოტა დრო და ადგილი დატოვა ნაღდი ლიტერატურული პოზიციების გამოსაკეთებად. შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ საკმაოდ ბენდოვანი წარმოდგენები გვქონია კრიტიკული აზროვნების ნამდვილ არსზე.

დაიწერა მნიშვნელოვანი პრობლემისადმი მიძღვნილი წერილები! როგორია მათდამი ჩვენი დამოკიდებულება? გამოვხატავთ კი მხარდაჭერას აქტიურად ან უარვყოფთ ასევე აქტიურად? გაიარჩა წლების მანძილზე შექმნილი კრიტიკული ლიტერატურის ღირსე, ხარისხი, მნიშვნელობა? როგორ გაირჩეოდა, როდესაც ნაბიჯ-ნაბიჯ არ მიგდეგდით საყურადღებო წერილების შეფასებას და არც გვიცდია გამოგვეკვეთა ჩვენი პოზიცია თითოეული მათგანის მიმართ.

და აი, სრულიად ღოგიკურად, ამდენად სრულიად სამართლიანად დაიმსახურა მკაცრი საყვედური ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ დიდ ფორუმზე. უნდა ვაღიაროთ, რომ, კრიტიკოსებმა არ იბრძოლეს კრიტიკული აზროვნების პრესტიჟის აღსადგენად, ავიცა და კარგის გამოსარჩევად, ღირებული ფარნე ასაზიდად და სახელის გამტეხი თვისებების ასალაგმავად.

გამდიდს ყოველთვიური მხატვრული ჟურნალები, ორთვიური ალმანახები, ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი, ერთდროული კრებულები — ეეცნობიე ახალ ნაწარმოებებს მათ ფურცლებზე...

წლის განმავლობაში რესპუბლიკის სხვადასხვა გამომცემლობების მიერ დასტამბული პოეტური, პროზაული, დრამატიგიული, კრიტიკული ნაწარმოებების რიცხვი დიდია, მათი ძირითადი ნაწილი პირველი გამოცემაა.

ჟურნალები, ლიტერატურული გაზეთი, ალმანახები, ერთდროული კრებულები, წიგნები ქმნიან ჩვენი ეროვნული მწერლობის სისხლსავსე ცხოვრებას. ყველფერ ამას უნდა გაწვდეს კრიტიკის თვალი. არ არის ამოცანა მარტივი, ერთწახნაგოვანი!

თუ კრიტიკა არ შეიარაღდა უტყუარი კრიტერიუმებით, იგი მარად უძლური აღმოჩნდება ლიტერატურული მოვლენების წინაშე. თითქოს ანანურ ჭეშმარიტებებზე გვიხდება საუბარი, მაგრამ რაოდენ ძნელად მოსამარჯვეველი შეიქნა ის ანანური ჭეშმარიტებანი!

პირუთვნელობა, ობიექტურობა, სიზუსტე და ზომიერების გრძნობა, აი, რა ნიშნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თვისებანი გამოარჩევს დღევანდელ ქართულ დრამატურგიას, რამდენად ფართოთა დრამატურგიის [illegible] ერი დამეშვებული საკითხთა წრე, რამდენად ხელშესახებია სოციალური პრობლემა(ტიკა, რა ანათესავებთ და განასხვავებს დრამატურგებს ერთმანეთისაგან? რამდენად მყარია ქართული პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის შემხებელ წერტილები? რამდენად სერიოზულია ახალგაზრდა დრამატურგების განაცხადი, რა სიახლე მოაქვთ მათ?

ამ არასრულად ჩამოთვლილი ზოგადი ტენდენციების იქით საკლვევი ცალკეული მწერლების შემოქმედება, თავისთავადობისა და ორიგინალობის დამადასტურებელი ნიშნები, სხვათაგან განმასხვავებელი სტილი და მსოფლმხედველობა.

ერთი უმთავრესი პრობლემათაგანია ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების დროული ანალიზი, დანახვა, შეცნობა, მკითხველის დაკვალიანება. არეული საზომების მიზეზით აღრეული ღირებული და უღირებული ნაწარმოებები, ეროვნული მწერლობის ენერგია კი მხოლოდ მნიშვნელოვანის ზუსტად მონიშვნის და დროულად აღიარების შემდეგ ვლინდება შეუფერხებლად.

ახალგაზრდა მწერალთა წიგნების ხარისხის შეუმცდარი განსაზღვრა ვერ იქცა ქართული ლიტერატურული კრიტიკის ყოველდღიურ პრაქტიკად, ასევე ყოველი ახალი წიგნის ობიექტური რეცენზიროსის კულტურა დღემდე ვერ დავამკვიდრეთ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ პრობლემებზე დაკვირვება, მათი ურთიერთშეჯერება, მათ ორგანულ კავშირზე მუდმივი მეთვალყურეობა. ცხოვრებისეული პრობლემებისაგან მოწყვეტა უსაგნობისაკენ ეზიდება მწერლობას.

ლიტერატურული კრიტიკის სასტიკი ეალი იბრძოლოს ქართული მწერლობის ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის.

უდარაჯოს მაუნე გაგლეწებს, რისი სიმპტომებიც ასე მოძლიერდება ხოლმე პერიოდულად...

მხოლოდ ამ გზით შეიძლება კრიტიკამ აკონტროლოს და მართოს კიდეც ლიტერატურული პროცესის დინამიკა. ამ გზით თუ მიაგწევს იგი ადგილს, საიდანაც შეუმცდარად აღიქმება დიდი ლიტერატურული თვალსაწიერი, მისი სიღრმისეული ბიძგები და ზედაპირზე ავარდნილი ყოველი ახალი ტალღის ფორმა და შინაარსი.

აქამდეც იყენენ და დღესაც მოღვაწეობენ კრიტიკოსები, ვისთვისაც სიმპართლისადმი სამსახური ყველაფერზე მაღლა დგას, უპრინციპობა და გაუბედაობა რომ არ სჩვეოდათ და ცდილობენ, როცა ეს აუცილებელია, დაუფარავად გამოსატყვა პირუთვნელი, უანგარო, ობიექტური აზრი. და ღირებული, რაც ამგვარი კრიტიკოსების ხელიდან გამოსული, იმ პუბლიკურ დამოკიდებულების წყალობით, რაზეც ეჭვმეტყველ ვილაპარაკე, ათქვეფილია ანგარებიან, ბიეტურ, მაამებლურ, უპრინციპო წერილების ზღვაში. ათქვეფილია და გაიგივებულია! ამდენად დაუნახავია და დაუფასებელია. ღირებულის დაუნახაობის გამო კი საერთო სურათი გაღარიბებულია და საბოლოო შეფასებაც ამიტომ არის ლოგიკური.

თითქოს რამდენადმე თავშეკავებული გახდა კრიტიკა, მაგრამ ჩვენი გულუხვობა და ენაწყლიანობა მაინც თვალშესაცემია. ძალიან ზშირად აუხსნელია, რა იწვევს ჩვენს აღფრთოვანებას, რიდისაც ნაწარმოება, რამაც აღტაცება მოგვგვარა, სულაც არ გაბლავთ ხელოვნების განსაკუთრებული მოვლენა. ასევე არცთუ იშვიათად ჩვენ მიერ აღქმარნილ მიჩნეული რომანი თუ მოთხრობა, ლექსი თუ პოემა უცხოური ლიტერატურის კარგი ასლია და სხვა არაფერი. ესწრაფვის რა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის უკეთეს მონაპოვართა ათვისებას, ქართული მწერლობის მაძიებელი ბუნება ბევრ რაიმეს გაითავისებს და ამ გზით იმდიდრებს თავს. ეს გარდაუვალი მოვლენაა, მაგრამ ამავ დროს უადრესად ფაქიზ საკმეც გახლავთ. საკმრისია ზედმეტი გატაცება და ყოველივე ფუჭდება. როდესაც „კრიტიკა გვეუდს უკლის უდიდეობის, მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური უფერულობის ხელოსნობის გამოვლინებებს" მაშინ ბევრი რამ ზიანდება ეროვნული მწერლობის ქსოვილში. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ვეზიარებით არა მსოფლიო კლასიკის უმდიდრეს გამოცდილებას, არამედ საეჭვო ღირებულების. მატარებელ, მოჩვენებითი ორიგინალურობისა და ასევე მოჩვენებით სიახლეებით აღბეჭდილ ნაწარმოებებს. ფავტიურად თანდათან ვშორდებით ეროვნული მწერლობის ტრადიციებს, ვწყდებით ჩვენს უმთავრეს საგანს და შემდგომ დიდი დრო იკარგება უნაყოფოდ, სანამ ყმაწვილურ ცდაზებებს დავძლევდეთ და კვლავ მაცოცხლეთ ფესვებს დავუბრუნდებოდეთ.

მწერლობაცა და მკითხველიც კრიტიკისაგან სამართლიანობის გრძნობის დამკვიდრებას ითხოვს. სამართლიანობისაკენ კი ერთადერთი გზა მიდის — სიმართლის გზა. მკითხველისათვის იგი სინათლეა, რომელიც ლიტერატურის რთულ სამყაროს უნათებს.

ობიექტურობა და პირუთვნელობა სამართლიანი კრიტიკისათვის არის დამახასიათებელი, მხოლოდ მათი წყალობით თუ იქცევა კრიტიკა ჭეშმარიტ ლიტერატურად. როგორც უიდეო, ზხატვრულად უსუსური ნაწარმოები ვერ იქცევა ვერასოდეს მაღალი დონის ლიტერატურად, ასევე „უპოზიციო, უპრინციპო, მაამებლური, გაუბედავი, ზერელე, ტენდენციური, უტაქტო, ანგარებისგამსწორებელი"

ნაშრომებიც ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტ ლიტერატურად, მით უმეტეს მაღალი დონის ლიტერატურად. ამის დავიწყება არასაზღვი არ შეიძლება. საკმარისია დაკვირდე ამ თვალსაზრისით წერილებისა და ნაშრომების უმეტეს ნაწილს, რომ თვალნათლივ დაინახო, როგორ დაშორებია თავის ფორმასა და შინაარსს კრიტიკა. წერ ანგარიშით, ტენდენციურად, იმ მიზნით, რომ აამო ავტორს, ან მოთხარო ფესვიანად ოპონენტი? შენ უკვე აღარ ემორჩილები ჭეშმარიტი კრიტიკის კანონებს. და რაღაც სხვა, შინაარსობრივად დამახინჯებული გრჩება ხელთ.

მწერლობაც და მკითხველიც კი კრიტიკულ ლიტერატურას ელოდება.

კრიტიკას არ აქვს უფლება ზიზღს სთესავდეს მწერლის გულში — ზიზღს კრიტიკოსადმი და საერთოდ კრიტიკისადმი, ზიზღს მწერალთა შორის, უნდობლობას კრიტიკული აზროვნების მიმართ.

გამომდინარე აქედან:

ქართული ლიტერატურის უპირველეს ამოცანად გვესახება კრიტიკული აზროვნების მეთოდები, ფორმებისა და ხერხების გადასინჯვა. იგი ურთულეს პრობლემად აქცია ჩვენმა გულგრილობამ ყოველივე იმისადმი, რაც კრიტიკის სფეროში ხდებოდა და ხდება.

ქართული კრიტიკული აზროვნების მეთოდები, ფორმები და ხერხები საგანგაშოდ არის დაზიანებული. ვერ გადასწონა ჭეშმარიტი კრიტიკოსების ნაშრომებმა ფსევდოკრიტიკული წერილების ჩვეულებრივი წონა, პირიქით, უარყოფითმა თვისებებმა დაძლია ღირებული.

გაზეთები და ჟურნალები ფაქტიურად დაიპყრო დამახინჯებულმა ფორმებმა. ისინი კრიტიკული აზროვნების ნორმად აღიქმება ბევრის მიერ: შევეჩვიეთ უკვე, გამორიტებულ ტონს და ამუჩად ამგდები ირონიის კასკადს ნამდვილი კრიტიკული სიმძაფრე ეუწოდეთ, ასეთი წერილების მომრავლება კრიტიკული აზრის გამოცოცხლებადაც კი მივიჩნიეთ. პირდაპირ კორიანტელი დავაყენეთ სალანდაკი სიტყვებისა. არ დავიწიდეთ არც საკუთარი ნერვები, არც მწერლის თავმოყვარეობა, არც საკუთარ პრესტიჟს გავუწიეთ ანგარიში, არც მკითხველის სამართლიანად აღშფოთებას. აი, შედეგიც: მაღალი ლიტერატურული პოზიციებიდან თქმული სიმართლე, ზოგჯერ რომ გამოუხატავთ ქართველ კრიტიკოსებს, ეერავის დაუჯერებია, მკითხველს ისიც შენიღბულ ჩასფრებად მოსჩვენებია და უნდობლობით შეუხედავს. და რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არ საყრდენის მოშლას; საყრდენმოშლილი კრიტიკული აზროვნება აბა რა მაწანებით გაასწორებს უკუღმა დატრიალებულ საკუნს.

ალბათ, კანონგარეშე უნდა გამოცხადდეს ის თვისებები, რამაც დაარღვია ქართული კრიტიკული აზროვნების ჩარჩონიელობა. ამასთან, ის ენერგია კრიტიკოსებისა, რომელიც ანგარიშ-სწორების ენებთადღლეულ ან მაამებლურ ფარისელობას ეწირება, ლიტერატურის სამსახურში უნდა ჩადგეს. ამის მიღწევაა ჩვენი ვალი.

საქმე მარტო კრიტიკული აზროვნების დამახინჯებას რომ ეხებოდეს, წუხილისათვის შედარებით ნაკლები მიზეზი გვექნებოდა. მაგრამ ხომ კარგად ვიცით ყველმ, კრიტიკულ აზროვნებას შეუძლია და ეკალება კიდეც შექმნას ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ნორმალური ატმოსფერო, მთელი ძალით აამძრავოს შემოქმედებითი პოტენციალ, გააღვიძოს მისწრაფებანი, სურვილები და სრული თვითგაღების წყურვილი. არც თუ იშვიათად პირიქით ხდება: კრიტიკა უმეტესწილად ამფერეულ შემოქმედებით ატმოსფეროს, აჩლუნგებს ეროვნულ შემოქმედებით პოტენციას, აშშობს მისწრაფებას, აშრობს სრული თვითგაღების წყურვილს, ვეიკრგაგს ხალისს.

თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის ინტენსიური მოძრაობა ყველა ერისგან მოითხოვს მაქსიმალურ სიფხიზლეს, რათა თავისი განუმეორებელი მეობა არამარტო აიყვანოს ახალ სიმაღლეზე, არამედ აგრეთვე რაღაც ულამაზესი შესძინოს იმ მეობით კაცობრიობას.

ქართული ლიტერატურა დასაბამიდანვე დიდ სიმაღლეებს არის შეჭიდებული. დიდ სიმაღლეებს ეშვიდნა ახლაც. დღეს კი არ არსებობს ცივილიზებული ერი, რომლის ლიტერატურული დონის განსაზღვრაში კრიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს. მეოცე საუკუნის ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ შექმნა ნაშრომები, რომლებიც ზოგჯერ მაინც უსწორებენ მხარს ქართულ პოეზიისა და პროზას. და თუ ყოველთვის ვერ უსწორებენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უნიჭიერესი ქართველი კრიტიკოსებიც დიდი სულიერი ენერგია საქმეს და კუთვნილ ალაპიტს არის აცდენილნი!

უზარმაზარი საქმეა ქართული მწერლობის შინაარსისა და ფორმის, ასევე, მსოფლმხედველობრივი მიმართულების განსაზღვრა, რათა თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ არც ტრადიციებთან გაწყვეტოს კავშირი, არც მსოფლიო ლიტერატურის ძიებებსა და სიახლეებს მოარიდოს გულისყური, თანაც ინარჩუნებდეს სასურველ თავისთავადობას! ამ მიზნის აღსრულების გზაზე ვინ, თუ არა კრიტიკულმა აზროვნებამ უნდა დაამყაროს სწორი თანაფარდობა საგნებს შორის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორენა ჯაჭვლიანი

შენსკენ მეწევა ნაცნობი ძალა,
რომელიც მიყვარს, მტანჯავს და მალე
არ შემეძლება შენგან დამალვა,
როგორ დამალავ ცეცხლსა და ქარებს,

როგორ შეუკრავ გაზაფხულს
სუნთქვას,
ან ხეზე კვირტებს, მიწაში ყვავილს...

ცოტაა დღემდე რაც შენით უთქვამთ,
რასაც იტყვიან, ცოტაა მაინც.

მიყვარხარ! თითქოს სამყარო ფეთქავს,
მზის სიმხურვალით მევსება მკერდი.
თითქოს სიცოცხლე იწყება შენთან
და მარადიულ სიცოცხლეს ერთვის.

ჩვენ ისე მშვიდად, მშვიდად
ვბერდებით,
როგორც გუმბათთან მსხდარი
მტრედები...
მივდივართ ისე დაიმედებით,
დედამიწაც კი შიშით ჩერდება.

მერე ტკივილით ისერავს სხეულს,
რომ დაგვიბრუნოს, მიწით
დაგვფაროს...
და ერთი მცირე, ცივი საფლავით
ჩაიკეტება მთელი სამყარო.

იქ გაგიხსენებ...

აქ მეტისმეტად დიდხანს გელოდე,
თან ოცნებებში გზარდე ამაყი.
აღარ მიყვარხარ!.. ოღონდ მჯეროდეს,
როცა საფლავზე მიწას დამაყრი:

დღე დაღამდება შენთვის ნაკლული,
წვიმაც წამოვა, მხრებს დაგისველებს...
მე კი სამარის კედელს აკრული
იქ შეგიყვარებ, იქ გაგიხსენებ...

თებერვალიც მოვა

მოვა, თებერვალი მოვა,
თეთრ ქარებსაც მოიყოლებს...
სულში მონატრების გლოვად —
მოვა, თებერვალიც მოვა.

გავძლებ. ხელებს ცრემლით ვითბობ,
მტკივა გახსენება შენი...
სიზმრად დაგინახე თითქოს,
თითქოს სიცოცხლესაც შველი.

დედას

სადღაც სამარეა, ეღლოცავ.
ქრება სიხარული დღეთა.
როგორ გაგიხსენო, როცა
ყოფნაც აღარ მახსოვს შენთან.

მარად სიყვარულის გლოვად —
მოვა, თებერვალიც მოვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღლილი ქალი შემოდის ჩემთან,
ლორდის ასული. და ახლაც ვხედავ
ოქროს ვარაყით, მის მაღალ შუბლზე,
ამოტვიფრული ფიქრი და სევდა.

ხელჯოხს მაწოდებს და ხელთათმანებს
აღელვებული წაიძრობს ფრთხილად.
ხმა ებზარება და უკანკალებს,
ხმა ებზარება... რაღაც ადვილად

მიწვდის სიტყვების მძიმე თაიგულს...
მე კი გიბრუნებთ, როგორც სულს
ქარის.

ამ სიტყვებს მიღმა, უნდა გაიგოთ
რა უსასრულოდ მაღლდება ქალი,

როცა სურვილით გვტოვებს და
თვალებს
უკანასკნელად შეავლებს ქალაქს,
და როგორც ლორდის ასული, ბრძანებს
მის სისუსტეშიც ვიპოვოთ ძალა..

...დაღლილი ქალი შემოდის ჩემთან,
ლორდის ასული. და ახლაც ვხედავ
ოქროს ვარაყით, მის მაღალ შუბლზე
ამოტვიფრულა ფიქრი და სევდა.

შენც წამიხვალ და...

მალე წამიხველ, ჯვარი გეწეროს,
აღარასოდეს არ მოგინატრებ...
ქარს ელოდება ალვის კენწერო,
დედამიწა კი მთვარის სინათლეს.

ისევ მარტო ვარ, როგორც საკანი
დახურულია კარიც, კედლებიც.

მთელი ღამეა მთვარე კამკამებს,
მთელი ღამეა... გვიან თენდება.

ნეტავ სად არის თეთრი გვირილა,
შორ მინდვრებიდან გადმოხვეწილი...
აღარც შენ გესმის სულის კვნილი,
შენც წამიხვალ და... ჯვარი გეწეროს.

●

რა უცნაურად დაიწყო დილა!
თითქოს და თოვლიც
უცნაურად დაეშვა ციდან,
ქუჩაში ხალხიც
უცნაურად გამოეფინა,
და ყოველ მათგანს,

ღიმილიან ლამაზ სახეებს —
მე უსასრულოდ ბედნიერი
ვეგებებოდი...
რა უცნაურად დაიწყო დილა:
შენი სახელი დაიძახა ქუჩაში ბიჭმა...

უკანასკნელი დილა

ჯერ შენ არ იცი, რომ მოვა დილა,
ერთხელ უჩვენოდ რომ გათენდება.
ჯერ ისევ შენში იმედებს სძინავთ,
და არც არავის უთქვამს შენდობა.

მაგრამ ის ერთი, ჰოი, უფალო,
ჩვენი მომავლის გულქვა ბატონი,
მოვა ჩიტივით თავისუფალი,
თვალს დაგვიხუჭავს და მიგვატოვებს.

ზონასწორობა

ჩემს სინაზეებს
მე ვიხსენებ შემდეგ,
როცა მიდიხარ...
შენთან კი,

მოზიდული მშვილდივით
მანძილს ვზომავ,
და არ გეხები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის როგორ იყო?

სანთებელას რომ გიკიდებდი,
და ხელები მიცახცახებდა,
და მიქრებოდა
ანთებული ცეცხლი ხელებში...
ნუ ჩქარობო —
ისე მითხარი,
თითქოს ხედავდი
მომაკვდავი სულის ღაფვას,
და სინათლის გადარჩენას ეშურებოდი...

აქამდე ხომ ისე ვიცხოვრე...

აქამდე, იცი, ისე ვიცხოვრე,
თითქოს არსად, არასოდეს
არვინ მყოლია.
დღეს საკუთარი ცრემლი გახდა
სარკე, რომელშიც დავინახე
წელში მოხრილი მოხუცი კაცი,
უკანასკნელად დავიწყებისკენ
მიმაცილებდა...
რად გამახსენდა
მის თეთრ წვერზე ჩამოღვრილი
ცრემლის ეკლები?
მე ხომ აქამდე ისე ვიცხოვრე,
თითქოს არსად,
არასოდეს,
არვინ მყოლია?!

როგორც ვარსკვლავები...

ფერად კენჭებს დავეკითხე,
ზღვის ქაფში ამოვლებულებს:
— თქვენ აქ საიდან მოსულხართ-მეთქი.
მათ რა მომიგეს, არავინ იცის...
მე კი, როცა ვეკითხებოდი,
პასუხიც იქვე მყავდა გატრუნული:
— იმის ნაფეხურებს ამოვყევით,
იმისი ფიქრებიდან დავცვივდით,
როგორც ვარსკვლავები ცის უბეში.

ის თითქოს შენ არც შეგეხებოდა...

როგორც ქარი შემოდგომის ფოთოლს,
სიყვარული ვეღარ შემომაგდებს
შენს ოთხაში,
სადაც არასდროს' ვყოფილვარ,
და სადაც მშვიდად იძინებ ახლა,
ვალმოხდილი,
საკუთარ თავთან გამართლებული...,
და რომ სული ცეცხლივით მხურვალეა,
და მის ალზე
ფრთებს თუ ვიწვავდი
და ვბრმავდებოდი,
ის თითქოს შენ არც შეგეხებოდა.

●

ისე იწერები, ლექსო,
თითქოს ტკივილს მიმატებდნენ;
ხელის გულზე დანა ლესო,
დანით-ცის ნაპრალებს ხევდე...
ისე იწერები, ლექსო,
ცრემლების და სევდის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

კაკტუსი

თავის ძნელ ცხოვრებაზე დაფიქრებული, არც თუ მოწინავე მელიორატორი, ქაჯანა აფაქიძე ივნისის ერთ ქარიან საღამოს ვასილ კიკვიძის ქუჩით შინ ბრუნდებოდა.

ქაჯანა გეგუთიდან თერთმეტ ნომერ ავტობუსს მოჰყვებოდა, მინისტარის ქარხანასთან ჩამოვიდოდა, არხს გვერდს აუქცევდა, სანდრო ჟორჟოლიანის სახელობის კინოთეატრთან მარცხნივ ჩამოუხვევდა და კიკვიძის ქუჩაზე გავიდოდა.

ქალაქის განაპირას, კიკვიძის მესამე ჩიხში, ქაჯანა რკინის ბოძებზე შემდგარ, ხის სამთათახიან ოდაში ცხოვრობდა.

სამუშაოდ სოფლად ასე შორს ეგზოტიკისა და იდილიის ხათრით კი არ დადიოდა, უბრალოდ, უკეთესი სამსახური ქალაქ ბაგრატისეულში ვერ იშოვა. მელიორატორის რთული ხელობა, მოგეხსენებათ, სოფლად უფრო ფასობს.

წვრილშვილიან ქაჯანას შინ ლოგიკად ჩავარდნილი სიდედრი ჰყავდა. რაც დრო გადიოდა, ავადმყოფობისაგან თავგბეზრებული მოხუცი უფროდაუფრო ძნელი მოსავლელი ხდებოდა. ყველა სიკეთესთან ერთად ეჭვიანობაც დასჩემდა. ეჩვენებოდა, რომ სიძეს სძულდა. იქნებ დროზე გაასწოროს ინგარიში წუთისოფელთანო, წამალს არადანიშნულებისამებრ აძლევდა და ღვთის სამსჯავროს შიში რომ არ ჰქონოდა, სიამოვნებით ჩაუგდებდა ჩაიში ლურსმანს.

სინამდვილეში კი საქმე პირიქით გახლდათ. თუ რამე არ უნდოდა ქაჯანას, სწორედ სიდედრის სიკვდილი, სხვა მიზეზთა შორის ამ მიზეზის გამოც, რომ ხელმოკლედ ცხოვრობდა და დაკრძალვის ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვებოდა ოჯახის ისედაც ძლივს მფეთქავ ბიუჯეტს. აფაქიძეს არც იმის იმედი ჰქონდა, რომ დასაფლავების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებდა და, ბუნებრივია, ქაჯანა მკურნალობას არ აკლებდა, რომ ნეკრესის ქარებისგან სახსრებდაჭმული სიდედრი, როგორმე, ფეხზე წამოეყენებინა, მაგრამ ამაოდ.

მიაბიჯებდა მელიორატორი ქაჯანა აფაქიძე დაღლილი კაცის მძიმე ნაბიჯებით. ბეჭებზე გახუნებული, ცისფერი კვართი და ცალჯიბიანი, ბუსუსებიანი ლურჯი შალის შარვალი ემოსა. ფეხთ ადგილმრეწველობის გამოშვებული ადიდასსმიმსგავსებული („ადიდასის“ ფირმის ემბლემა დროთა ვითარებას წაეშალა) შავ-მწვანე ბოტასები ეცვა. ეს ბოტასები, სხვათაშორის, ფირმულისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა; ეგ იყო, ტყავ-პირი ჩაკმის მესამე დღესვე სათასმოსთან გარდიგარდმო სკდებოდა და ლანჩა საგულდაგულო მცდელობითაც კი არ იღუნებოდა. წელში წახრილ ქაჯანას ორივე ხელი

შარვლის ჯიბეში ეწყო და ფეხებს ისე მიისროდა წინ, თითქოს უდროოდ აფართხუნებებულ ფეხსაცმელს იხდისო.

არც უსტვენდა და არც ღიღინებდა.

თაფლისფერ თვალებზე წარბ-ქუთუთო საიმედოდ ჩამოეფარებინა და ორიოდე ნაბიჯის სიგრძესაც მხოლოდ იმიტომ ინათებდა, რომ ქვისთვის ფეხი არ წამოეკრა. ისე დაღლილიყო, ნაცნობთათვის მისალმების თავიც არ ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, საყულიაში გაზხდილ და ბაგრატისეულში ჩასიძებულ ქაჯანას ამ ქალაქში ნაცნობებიც ცოტა ჰყავდა.

ზაფხულის დროით ცხრას აღარაფერი აკლდა. სწორედ ის დრო იყო, როცა სიცხისგან ჩამკვდარ ქუჩას ნელ-ნელა უბრუნდება სიცოცხლე, გასათხოვარი გოგონები დიდი ხვეწნით რომ გამოტყუებენ მშობლებს „დაქალთან შეგლის“ ორიოდე საათს და პაემანზე გარბიან, როცა საყვარლიანი მამაკაცები პირს იპარსავენ და სახოგადოებრივი ღონისძიების მომიზეზებით თავიანთ საეკჯო საქმეზე მიეშურებიან.

პირწმინდად გადალოკილ ცაზე ღრუბლის ფთილაც კი არსად ჩანდა. გეგონებოდათ, ამ უსაშველოდ ღრმა, ბაცლურჯ ცარგვალზე საავდრო ღრუბელი აღარასოდეს გადაივლისო.

ნარინჯისფერი მზის მეწამული ტანი ისე ჩქარა ეფარებოდა ხვამლის მთას, როგორც მეყვსეულად ამობრიალებული ხოხობი ჩაიკარგება ხოლმე, ჯაგნარში.

წვებოდა მზე და დასავლით ცეცხლწენთებულ ცას სამი მხრიდან ეპარებოდა ჩრდილისფერი, უშველებელი ფრთები ღამისა.

უეცრად ქაჯანას კისრის სიახლოვეს მარჯვენა ბეჭზე რაღაც დაეცა. პირველი, რაც სახელდახელოდ მოისაზრა, განზე გახტა და ტროტუარზე წაკოტრიალდა, მხარზე რაღაც ბლანტი მასა და სისველე იგრძნო. ხელი მოისვა და ოდნავ დამშვიდდა, სისხლი კი არა, სველი, შავი მიწა იყო. წამოუდგომლად გადმობრუნდა და იმ ადგილს დაეჰერდა, სადაც წეღან იდგა. ქვაფენილზე ეწოთა ციდა კაკტუსი და დამსხვრეული ქოთანი ეგდო. შავ მიწაში მიმოფანტული ქოთნის ნამსხვრევები, ტროტუარამდე უწევდა მელიორატორმა ბეჭის ტკივილი ახლა უფრო მწვავედ იგრძნო. საფარიდან გამოვიდა, გაფითრებულმა მაღლა აიხედა და აივნებს გასძახა.

— დაგეძეკა ოჯახი! არ მომკლა კაცი?!

სახლი ხუთსართულიანი გახლდათ. რკინის აივნებზე არავინ ჩანდა და ქაჯანას, რასაკვირველია, არავინ გაეპასუხა.

როგორც ახალგაზრდა გამომძიებლები იტყვიან ხოლმე, შემთხვევის ადგილზე ხალხი შეიყარა. „თავში ხომ არ დაგეცათ, ბატონოვო“, მესამედ ეკითხებოდა მაღალი, ტილოსკიტელიანი, კაფანდარა, სათვალიანი მოხუცი და როცა ქაჯანამ ტალახი კისრიდან ჩამოიცალა და დაინტერესებულ კაცს პასუხი აღირსა, ბერიკაცმა მშვიდად ამოისუნთქა: — მთავარი იყო თავში არ დაგცემოდათ.

— კაცს ქუჩაში მშვიდად ვერ გაგიგლია, საქმეა ეს? — რისხვაგარეული სისაწყლით თქვა დაზარალებულმა, შავად გადაღებილი, სველი კვართი ჩაიწია და მოქალაქეებს ჩაბეჟილ-ჩაწითლებული მხარი უჩვენა.

— ძალიან ბტკივათ? — შავნაწნავებიან, ტანსრული ქალს დაშვებულ ხელებში სანოვაგით გაძეძგილი ჩანთები ეჭირა. ჩანთები ძირს დასადებად არ ემეტებოდა, არა და მართლა აინტერესებდა სტკიოდა თუ არა ქაჯანას მხარი.

— ადამიანია ახლა აის? გეკითხები მე შენ, ადამიანია? — თვალებზე ხელი მიიჩრდილა და მაღლა აიხედა ულვაშებდაგრეხილმა, თეთრჩექმება კაცმა, — კაცი კინდიმ მოკლა და ყურსაც არ აპარტყუნებს. ჩამოვალ, ბოდიშს მაინც მოვიხდი. ბოდიშის მოხდას რა უდგას წინ.

ჩოჩქოლზე მესამე სართულის აივანზე იაპონურხალათიანი, თავგადაპარსული კაცი გადმოდგა და რა მოხდაო, იკითხა.

პასუხს არ დაელოდა, დამსხვრეულ ქოთანს ჰკიდა თუ არა თვალი, მოაჯირს ორივე ხელით დაეყრდნო და მაღლა აიხედა.

— შენ გეუბნები! — ულვაშებდაგრეხილმა ასძახა, — ვინ გადმოაგდო, ვერ უნდა გავიგოთ?

მესამე სართულის ბინადარმა ხელები გაასვასავა და კვლავ ზევით აიხედა.

— მილიციას უნდა გამოვუძახოთ, — დაასკვნა თეთრჩექმოსანმა.

— რად უნდა ამას მილიცია, — ჩანთოსანი დიაცი წასვლას არ აპირებდა, — ადით კაცებმა და ახსიეთ ყურები, ხომ ხედავთ, ხვადაგია ვიღაცაა.

—შენ გგონია, ასე ადვილად გატყდება? რაკი დამალვა იკისრა, ატკაზსაც მშვენივრად დავვირტყამს. აქეთ მოგდებს შარს, სახლში შემომივარდნენო. მაგნაირების ამბავი მე მკითხე, — ილიაში გაზეთებამოჩრილი, ხელჯოხიანი კაცი ტანჯორივით წადმა-უკუღმა ტრიალებდა.

სად იყო სად არა, მილიციელიც გამოჩნდა. ზემდეგი ციკოლია გახლავთო, უბნის ინსპეტორიო, წარუდგა ხალხს ოცდაათიოდე წლის ტანთხელი, ფორმიანი კაცი. ქაჯანას თავსგადმხდარი ამბავი მოკლედ აამბობინა, ქოთნის ნამსხვრევები და კაკტუსი გაზეთში შეახვია, მოქალაქეებს გადახედა, ორი მოწმე დაგვეჭირდება, დანარჩენებს გთხოვთ დაიშალოთო, გამოაცხადა და ტაავის საქაღალდე გაშალა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ქაჯანა და ზემდეგი ციკოლია ორი მოწმის თანხლებით დამნაშავის მოსაძებნად კიბეს აუყვნენ. დიდი დადგენა არ სჭირდებოდა იმ ფაქტს, რომ ქოთანი კიბის მარცხენა მხარეს განლაგებული აივნებიდან იყო ჩამოვარდნილი.

სანამ დამნაშავისმაძიებელნი პირველ სართულზე ამაოდ რეკავდნენ ზარს, ზემოდან იაპონურხალათიანი, თავგადაპარსული, წამახულნიკაპიანი კაცი ჩამოვიდა, ციკოლია გაიხმო და რაღაც უჩურჩულა. ზემდეგმა ყურადღებით მოუსმინა, თავი დაუქნია და სანამ „ფხიზელი“ მოქალაქე კიბეზე ხელოვანის ფართხუნით გაუჩინარდებოდა, მობრუნდა. სმენაზე დამდგარი მიუახლოვდა, კარებს გამოარიდა და იდუმალი ჩურჩულით აუწყა:

— მეოთხე სართულიდანაა გადმოგდებული.

ორმაგ მოწმემ — ულვაშებდაგრეხილმა, ჩაფსკვნილმა, კავალერისტის მიმოხვრის პატრონმა კაცმა და კაფანდარა, ხელჯოხიანმა მოხუცმა წელში გამართვითა და მხნე გამოხედვით აგრძნობინეს ზემდეგს, რომ მზად იყვნენ მეოთხე სართულზე კი არა, ცხრა მთას იქით წამოსულიყვნენ, ოღონდ სამართალს პური ეჭამა.

მუყაოს ფანერისგან შეკეთილი, თეთრად შეღებილ კარს ფანქრით ეწერა „ბაკურაძე“. აშკარად ჩანდა, რომ ბაკურაძე იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც კარი არ გამოუცვლია, ან უფრო საყოფაცხოვრებო ტერმინი რომ ვიხმაროთ, ბინა არ გაურემონტებია.

კარი დაბალმა, გალეულმა, თვალებადდაცხვირადქცეულმა კაცმა გააღო და მილიციელი რომ დაინახა, სახეზე სასოწარკვეთა გამოეხატა. უკანდახეულმა ფოსტლი ფოსტლს გამოდო და კინაღამ წაიქცა.

— მობრძანდით, — წვრილი, დამფრთხალი ხმით თქვა მან.

ციკოლიამ, რატომღაც, ჯერ ქაჯანა გაატარა და მერე ფეიფონ მიჰყვა. მოწმეებმა ერთდროულად გადმოდგეს ნაბიჯი და ვიწრო კარებში კინაღამ გაიჭედნენ.

სასტუმრო ოთახში ლამის ყველაფერი თავდაყირა იდგა. სკამები ერთმანეთზე ეწყო. სგაულდაგულოდ დახვეული იაფფასიანი ფარდაგი ფანჯრის რაფაზე იდო. აივნის კარიდან მარცხნივ, ქვემაგებაყრილი ორი რკინის საწოლი იდგა. ტაბურეტზე მოდიდან ამ ოცდაათიოდე წლის წინათ გამოსული პატარაეკრანიანი „რეკორდის“ სისტემის

ტელევიზორი იდო. ტელევიზორთან ტაშტში ჩამბალი ტომრის ნაგლეჯი და კედელსმიყუდებული იატაკის საწმენდი ჯოხი მოჩანდა.

იჯდა დამნაშავე სტუმრების თვალწინ ფეხებმორყეულ მაგიდასთან, ბოლომდე შეკრული, ოდესღაც ცისფერი, ფლანელის კვართის ღილებს ხელით აწვალებდა და მსჯავრს ელოდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მან კარგად უწყოდა თავისი დანაშაულიც და ისიც, რისთვისაც იყვნენ მოსული ეს პატიოსანი ადამიანები.

ზემდგომა გაზეთი დიდის ამბით გაუშალა წინ და ქოთნის ნამსხვრევებზე ანიშნა.

— ეს თქვენია?

— კი ბატონო, — მასპინძელმა ღილებს უშვა ხელი და მუხლებზე დაიწყო.

— რატომ გადმოაგდეთ? — ციკოლიას გამჭოლი მზერა და მტკიცე, გაუბზარავი ხმა ჰქონდა.

— გადმომივარდა, წყალს ვუსხამდი და გადმომივარდა, ეგ უპატრონო, კაკტუსიან ქოთანს ვინ სულელი გადმოაგდებდა, — ისე დამაჯერებლად და გულწრფელად თქვა ბრალდებულმა, რომ მოწმეებმა თავები ჩაჰქნიდრეს, ხოლო ქაჯანამ ინანა, რომ აქ შემოვიდა.

— აჩვენე ერთი ამას ბეჭი! — მელიორატორს მიუბრუნდა ზემდგომი.

ქაჯანამ კვართის ზედა სამი ღილი შეიხსნა და შეწითლებულ-შესივებული ბეჭი გამოაჩინა.

— ჩემი სიკვდილი, — დაიწრიპინა კაკტუსის პატრონმა.

— დაინახე კაცს რომ დაეცა? — ულაზაშებდაგრეხილი მოწმის შეკითხვა ორგანოს მუშაკს ნაადრევად მოეჩვენა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— კი, დავინახე.

— მერე, რატომ არ ჩამოხვედი?

— კარი გავაღე და მოვრბოდი, მარა ხალხი რომ დავინახე, შემრცხვა.

— შეგრცხვა? ვისი შეგრცხვა, კაცო? — ქაჯანამ თავი ვერ შეიკავა.

— მეზობლების. ყველაფერი ამაზე რავა ჭირსო, სიცილს დამაყრიდნენ.

— შენი სირცხვილის გულისთვის კაცს კლავდი, ამხანაგო? — კაფანდარა მოწმის ხმა იყო.

— რა მოკლავდა, ბატონო?

— რა მოკლავდა და ქოთანი.

— ერცახე ქოთანია, ბატონო. სული ძლივს უკიდია, ვერ ხედავთ რა თხელია? — ნამსხვრევებს მიათითა დამნაშავემ.

— სხვას რომ მოხვდა იმიტომაა მჩატე და თხელი, თვარა აბა შენ დაგცემოდა, რანაირად იჭიკჭიკებდი, — ულვაშდაგრეხილი მოწმე მრისხანებას ვერ მალავდა.

— მოკლედ, ორნაირი დამნაშავე ხარ: ჯერ ერთი, ქოთანი რომ გადმოაგდე და მეორე — შენგან დაზარალებული მოქალაქე ბედის ანაბარა რომ მიატოვე. აღარ უნდა ამას ლაპარაკი — თქვა ზემდგომა.

— დამნაშავე ვარ, ბატონო, გეუბნებით, არ ვარ დამნაშავე-თქვა? — ქაჯანას თვალს არ აცილებდა უზომოდ შეწუხებული მასპინძელი.

ციკოლიამ ტყავის საქაღალდე გაშალა, აქტის დაბეჭდილი ბლანკები ამოიღო, ორ ხასლე შავ ქაღალდში მოაქცია და ფანქრით წერას შეუდგა.

აქტს ჯერ თარიღი და ნომერი დაუსვა, მერე, წერის დროს, მორიგეობით ეკითხებოდა დამნაშავეს და დაზარალებულს სახელს, მისამართს და თანამდებობას.

ქოთნის გადმომგდები — დროებით უმუშევარი ბადრი ბაკურაძე ამომიჩნდა.

ზემდგომა ხმამაღალი წაიკითხა აქტი, ოთხივეს ხელი მოაწერინა, მერე თვითონ, ორ ადგილას მოაწერა ხელი, ხვალ, თორმეტ საათზე მილიციის ქვეგანყოფილებაში ოცდამეცხრე ოთახში გამოცხადდებითო, ბაკურაძეს დაუბარა და ამჯერად, რატომღაც, პირველი თვითონ გავიდა დროებით უმუშევარი მასპინძლის ფარფალალა კარებში.

საკონსერვო ქარხნის კლუბთან შე-

ჩერდნენ. ზემდეგმა მოწმეების მისამართები ჩაიწერა, მაღლობა გადაუხადა და დაემშვიდობა, ხოლო ქაჯანა აფაქიძე სამედიცინო ექსპერტს მიჰგვარა, სხეულის მსუბუქი დაზიანების ცნობა აიღებინა და ის ცნობაც, აქტთან ერთად, ჩანთაში ჩაიდო.

ქაჯანას შინ არც გაუმხელია ეს ამბავი. მართალია, ბეჭი სტკიოდა, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ ვერ მოეთმინა. მეუღლე ტყუილად ინერვიულებდა და შველით ხომ მაინც ვერას უშველიდა.

მეორე დღეს, „ვრემიას“ დაწყებას აღარაფერი აკლდა, ძაღლმა ჭიშკართან ყეფა რომ ასტეხა.

— მიხვედეთ, შეჭამა ძაღლმა ვიღაცა, არავინ ხართ მაქეთ, დაწყდით სუყველ? — მისი მდგომარეობის ადამიანისთვის სრულიად შეუფერებელი, მჭექარე ხმით დაიძახა სიდედრმა, მაგრამ ქაჯანას მისი ხმა არ გაუგონია, იგი ჭიშკრისკენ მიდიოდა და თან ძაღლს ამშვიდებდა.

ელექტრონის წრეში, ბოძთან ხელებდაშვებული ბაღრი ბაკურაძე იდგა. ქაჯანას იგი კიდევ უფრო დაპატარავებული მოეჩვენა. მასპინძელი რომ დაინახა, ერთი ნაბიჯი გადმოდგა და ისე მიადგა ფეხი, როგორც მოწაფეებმა იციან ხოლმე საპარადო მზადებისას.

— შემობრძანდით, არ იკბინება, — ჭიშკარი გამოაღო მასპინძელმა და ღრენაზე გადასულ ქოფაკს შეუტია — გადაშენდი იქით!

— თუ შეიძლება დააბით, ბატონო. მე ვიცი ჩემი იღბალი. ქვეყანაზე კაცაშეჭილს რომ არ ერჩოდეს ძაღლი, მე მიკბენს მაინცდამაინც, — სტუმარს ანგინიანი კაცის ჩაკვნესილ-ჩახრინწული ხმა ჰქონდა.

ქაჯანამ ძაღლი დაიბა და ბაკურაძე შინ შეიპატიჟა.

— შინ არ შეგაწუხებთ, ბატონო, აგერ მივჯდეთ ცოტახანს, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, თუ შეიძლება, — სთხოვა მოსულმა და შიშით გაიხედა დაბმული ძაღლისკენ, რომელიც ახლა უფრო მეტად გაავებულიყო, რადგანაც მის დაბმაში მთავარ დამნაშავედ, სრულიად სამართლიანად, სტუმარს თვლიდა.

საგვიანო ტყემლის ძირში, ძელსკამზე, ჩამოსხდნენ.

სტუმარი მუხლებზე ხელებს ისვამდა და საუბრის დაწყებას აგვიანებდა.

— მხარი როგორ გაქვთ? — როგორც იქნა იკითხა შავცისასტერებულმა ბაკურაძემ.

— მტკივა ცოტა. დაბეჟილია. მოტეხილი არ არისო, ექიმმა.

— ფეხები რატომ არ მომტყდა, მაინცდამაინც იმ დროს რომ გავედი აივანზე. კაკტუსის მოვლა მაკლდა სწორედ. კაკტუსი ვნახე დამწეარი.

— რა შენი ბრალია, ძალით ხომ არ გინდოდა.

— თავში რომ დაგცემოდა, ბატონო? თავის გატეხისთვის რა მნიშვნელობა აქვს; ძალით გადმოაგდე თუ გადმოგიყარდა. სად წავსულიყავი მაშინ, მეტი რომ მოგსვლოდა?

— ყურადღებით უნდა იყო, მარცხი ერთწამსაა. ის ზემდეგი რომ არ მოსულიყო, მე არც ამოვიდოდი მაღლა. რა მეწყინა უფრო მეტად, ხომ იცი?

— ვიცი, ბატონო.

— ქართველ კაცს, მე ვთქვი, ისე რამ გაუყინა სისხლი-მეთქი. ამხელა ქოთანი ვისერში მდრუზა და ზის არხეინად, ამბავი-ხაბარი მაინც იკითხოს, ეგება ვკვდები ადამიანისშვილითქვა.

— ისე არხეინად დაჯდა შენი დამაწყეავარი, მე რომ არხეინად ვიჯექი. არხეინად კი არა, კბილს კბილზე ვაკაწკაწებდი. თითები დავიჭამე. ორჯერ ჩამოვედი კიბეზე, მაგრამ გარეთ გამოსვლა ვერ გავბედე. ფეხზე მდგარი რომ დაგინახე, გადავრჩენილავრ მეთქი და პირველად მაშინ გადავყლაპე ჰაერი თავისუფლად.

— იყავი დღეს მილიციაში?

— კი. თორმეტზე მივედი, როგორც დამიბარა. არ იყო კაბინეტში. მაგენ-

საც წაღმა-უკუღმა დაარბენინებენ, რა ქნან, ამხელა ქალაქია. ასე, საათნახევარში მოვიდა. არ ჩანს, სხვათაშორის, გლახა ბიჭი. მეო, სულ არ მინდა თქვენი დასჯაო, მარა როგორც კანონი მოითხოვს, ისე უნდა მოვიქცეო. მე რომც შემეძლოს, ახლა, შენთვის თავის განებება, აფეძიე არ მოისვენებსო. მიჩივლებს და სამხრეებს დამატოვებინებსო.

— ვუჩივლებ აპა, მეტი არა მაქვს საქმე. ხომ გითხარი, დამაძალეს, თვარა არც მაშინ მინდოდა ამოსვლა. რაღაი ცოცხალი გადავრჩი, მე ვთქვი, აღარ დავეძებ არაფერსთქვა.

— რავა გეკადრება, ბატონო. დამნაშავე ვარ და პასუხი უნდა ვაგო. ასე თუ ყარა ხალხმა აივნიდან ქოთნები, წინ წავალთ ნამეტანი. ბოდიშის მოხდა ადვილია. ბოდიში არ შეელის ამ საქმეს. საბოდიშო პირი რომ არ მქონდა, იმიტომ არ ჩამოვედი. მე ანერვიულებული ვიყო და ხელი მიკანკალებდეს, თქვენ რა შუაში ხართ. ჩემზე უარეს დღეში ჩააგდე, ღმერთო, ვინც მე ამ დღეში ჩამაყენა, ვიწყევლები დედაკაცივით.

— რავა, რა იყო? — ქაჯანა წინ გადმოიხარა და საქმრესმიწყობილი ხელის თითები ერთმანეთში გაუყარა.

— ვერ ვარ კარგად, ბატონო. უძილობა მჭირს და ხელი მიკანკალებს. ღამეში ორი „ტაზეპამი“ არ მყოფნის. ხანდახან იმნაირ შავ ფიქრებში გადავვარდები, რომ ერთი ბეწო მიკლია, გავაღო კარი და ვისკუპო მეოთხე სართულიდან. უწინ, კაცმა თავი მოიცლაო, რომ გავიგონებდი, მიზეზის გაგებაც არ მსურდა. რამ უნდა მიგიყვანოს კაცი ამ ნაბიჯამდეთქვა. ახლა სხვანაირად ვფიქრობ. არის თურმე ცხოვრებაში წუთები, როცა ერთადერთი გამოსავალი თვითმკვლელობაა. თავს არავის არ ვაცოდებ, ბატონო. მე რაც მჭირს, ალბათ, ჩემი ბრალია, მაგრამ რომ ჩავუკვირდები, არც მთლად ჩემი ბრალი ჩანს. მე, ჩემის მხრივ, ცდა და გარჯა არ დამიკლია, მარა ვერ ვგაუძღვ ცხოვრება. ხომ არის ხანდახან, გამოვა, არ აეწყობა. გინდა ბეწოით მიაწევინ და გინდა რქებით. დედ-მამა არ მახსოვს. საწყალი ერთად წასულან ამ ქვეყნიდან. მამაჩემი მონტიორი ყოფილა და თავის სახლში, სამზადში დენი რომ გაყავდა, დაურტყამს და ჩაუხვევია, დედაჩემს უფიქრია მეექვსეულებიო და შიშველი ხელით სცემია მავთულს. ერთად გაუსვენებიათ ორივე. სამი წლისა დავრჩი ობლად. ჩემმა აპეკუნმა — დეიდის ქმარმა, თხუთმეტ წლამდე შემინახა, მერე სახლი გამიყიდა, შენს გაზრდაში ამდენი დამეხარჯოო, მიანგარიშა, ნახევარზე მეტი თვითონ ჩაიჯიბა და იმ ერთოთახიან ბინაში, სადაც თქვენ ბრძანდებოდით, თავვი რომ კუდს ვერ მოიქნევს, ჩამტოვა. დავამთავრე ავტოტექნიკუმი დაუსწრებლად. თან ფაიფურის ქარხანაში მეყალიბედ ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი. რადიოს ფაბრიკაში გამანაწილეს დანადგარების ტექნიკურ ზედამხედველად. ათი წელი იქ მოვთავავე. ხელფასზე ვიჯექი რასაკვირველია. უშნო თავმოყვარე რომ იქნება კაცი; საამქროს გამგემ (იმ დღეს გლახა გუნებაზე იყო) შე ბოთეეო, დამიძახა, რაღაც არ მოეწონა, ერთი დაზგა არ მუშაობდა, ჩემით ვახლაფორთებდი, ჩამოსაწერი დაზგა იყო. უნდა მომეთმინა, რასაკვირველია, მარა ნერვებმა მიმტყუნა და რადიო ვესროლე თავში, პატარა ექვსმანეთიანი რადიო რომაა. მეორე დღესვე მომხსნეს სამსახურიდან. წამოვედი და დავიწყე ახალი სამუშაოს ძებნა. მოხსნილო, ხომ იცი, ყველგან სხვანაირად უყურებენ. ბოლოს შევეცოდე ღვინიან-მადლიან კაცს—გამტარების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს და ლაბორანტად დამწინა. ექვსი წელი იქ ვიმუშავე და ახლაც იქ ვიქნებოდი. არ ვიყავი სამსახურის უკმაყოფილო. ლაბორანტობა წყნარი საქმეა. ახლაც იქ ვიქნებოდი მეთქი, მაგრამ შტატე-

ბის შემცირებაში მომაყოლეს, ახლა აგერ მეორე თვეა. სამი ლაბორანტი შეგვამცირეს, გვპირდებიან რაღაცას მარა რიდის იქნება. სანამ რამეს გამოგიძებნიდნენ, ჭამა გვინდა თუ არა, არავის აწუხებს. არ მესმის, რანაირად შეიძლება, დილით, სამსახურში მოსსულ ადამიანს — შეგამცირეთო, გამოუცხადო. რა ქნას, სად წავიდეს, არ უნდა უთხრა? უდანაშაულოდ კაცის ქუჩაში გაშვება შეიძლება? არ ვიყავი ცუდი ლაბორანტი, ორჯერ მადლობაც მქონდა მიღებული, მარა დირექტორსაც ვერ ვამტყუნებ. შეამცირე ლაბორანტებიო, უთხრეს და რა ექნა იმასაც.

უფრო და უგერგილო დამბადა გამჩენმა და სამსახურის საქმე ხომ ასე წავიდა, ოჯახიც ვერ ავაწყე. გოგო მიყვარდა სკოლიდან და ცხვირწინ გამითხოვდა. ნათქვამი გვქონდა პირობა ერთმანეთისთვის, სახლშიც დავდიოდი, მისმა მშობლებმაც იცოდნენ. მე ტექნიკუმის მესამე კურსზე ვიყავი, თვითონ ლითოფონის ქარხანაში მუშაობდა. გათხოვდა უცებ. რას გაუგებ ქალს, რა ბზიკმა უკბინა, რა ვიცი. რაკი ასე დავმარცხდი სიყვარულში, სიმართლე გითხრა, დაოჯახებას არ ვაპირებდი. ოთხ წელიწადში ჩემს ყოფილ შეყვარებულს ქმარი მოუკვდა, ავარიაში მოყვა საცოდავი. ერთი წელი იგლოვა და მერე ქე გამომყვა ცოლად. ბავშვი არც ჩემს ხელში შეძენია. შარშან ლითოფონს თავი დაანება და ქვეტირის გზაზე ღამის სკოლაში ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. თურმე გაყიდული ვყავარ თხასავით. სანამ მე ეჭვს ყურს მივუგდებდი და მითქმა-მოთქმას დავიჯერებდი, ადგა ეს ჩემი ცოლი, გეიქცა სახლიდან და ღამის სკოლის ქიმიის მასწავლებელს გაყვა... ცოლ-შვილი დაატოვებია იმ კაცს. ქალია ახლა მაგი? სამი კვირის ამბავია ეს ამბავი. ჯერ განქორწინებაც არ გაგვიკეთებია.

დავრჩი, ასე ქაჯანა ბატონო, უცოლოდ და უსამსახუროდ. უსაშველო და არავის რომ არ დამართნია ერთ ... ...

ეცათ, რომ დღეს გადაუდებელი ოჯახური საქმის გამო სამსახურის გაცდენა უწევდა.

ზემდეგი ციკოლია ადგილზე აღმოჩნდა. აფაქიძემ დიდი ბოდიშის მოხდითა და დამორცხვებით აუხსნა, რომ ბადრი ბაკურაძეს აღარ უჩივის ის სახელმწიფოს წარმომადგენელს სთხოვს, გააუქმოს გუშინ შედგენილი აქტი. ციკოლიამ ულეაში ქვედა ტუჩში მოიკბიტა და ერთხანს იწოწანდა კბილებით შავი, მეჩხერი ულვაშის ბოლოს. მერე დაზარალებულს ახედა და უსაყვედურა:

— გუშინდელი ბავშვი არ ჩანხარ, ამხანაგო აფაქიძე და მეტი არ იცი მოწმეების და მილიციის თანამშრომლის ხელმოწერილი აქტის დახევა რომ არ შეიძლება? სხვათაშორის, მე ვიცოდი დღეს რომ შენ მოხვიდოდი და ამას მეტყოდი. რა უბედურება გვჭირს, გამაგებინეთ. მარტო ბაგრატისეულში ხართ ასე გულჩვილი ხალხი? მეორე წელია თქვენთან ვმუშაობ და საქმის ბოლომდე მიყვანას დიდი ვაინაჩრობით ვახერხებ. ყველა ერთმანეთის ნაცნობი და მოკეთეა, შეიძლება ასე? თუ იმ დღეს, იმ წუთას დაიჭერ კაცს, თვარა მეორე დღეს მთელი ქვეყანა დაგესევა და პირველ რიგში დაზარალებული წაგიჭერს ყელში ხელს. შენ იოლი გგონია ეს, ყველაფერი? შენ, კი, ბატონო, აპატე ბაკურაძეს ქოთნის თავში დარტყმა, მარა, შენ გგონია სხვებმა, გამვლელებმა აპატეს? შენ გგონია, ის ორი დარბაისელი მოწმე არ იკითხავს, რა უყავით ქოთნის გადმომგდებსო? შეიძლება ხუთი თვის მერე სამმართველოში. შევიდეს ანონიმური წერილი: „ამა და ამ დღეს“, რა ქუჩა იყო?

— კიკვიძის.

— ამა და ამ დღეს, კიკვიძის ქუჩაზე, ესა და ეს ფაქტი მოხდა და ზემდეგმა ციკოლიამ ხელი დაიფარაო. ხელის დაფარვას ჩვენთან, ხომ იცი, უმეტეს შემთხვევაში, ქრთამის აღებენ ხსნიან.

— კი, მაგრამ კაკუტსი ხომ მე დამეცა? სხვას არავის. მე არ ვჩივი. დაგიწერთ ახსნა-განმარტებას, — შეწუხდა ქაჯანა.

— ვერ გაიგე? შენ დაგეცა, მარა შენს გარდა იქ ოცზე მეტი მოქალაქე მოგროვდა, რომელიც აღშფოთებული გაჰყვიროდა: — ხომ შეიძლებოდა, მე დამცემოდაო. გესმის ახლა? მე არაფერი შემიძლია. დაწერე ა, ბატონო — ქალალდი და კალმისტარი გაუწოდა, — ვაჩვენებ უფროსებს და, როგორც იტყვიან, ისე იქნება.

ქაჯანამ დაწერა: — ქოთნის მსუბუქი ნატეხი დამეცა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც არც მიგვრძნია. თავს მშვენივრად ვგრძნობ და ბადრი ბაკურაძეს არ ვუჩივი. გთხოვთ გუშინწინ შედგენილი აქტი გაუქმითო.

ზემდეგმა კარგა ხანს ატარა კაბინეტებში ბაკურაძის საქმე, ბოლოს, საღამოისპირს შემოირბინა და ჩათვლემილ ქაჯანას ახარა:

— ხუთ თუმან ჯარიმას გადაიხდის ხვალ შენი ბაკურაძე და თავისუფალი იქნება. ესეც დიდი პატივისცემაა, რომ იცოდე. მეტი არაფერი მოუხერხდა.

— სადა აქვს ხუთი თუმანი იმ საწყალს, — ჩაილაპარაკა აფაქიძემ და წამოდგა.

— იშოვის, ნუ გეშინია... მთლად ისე ამოწყვეტილი რავა იქნება, ხუთი თუმანი ვერ იშოვოს, — ზემდეგსაც სინანულგარეული, პატრუქდაწეული ხმა ჰქონდა.

●

კარი რომ არავინ გაუღო, მეზობელს დაუკაკუნა.

რკინიგზელის ფორმიან, ჭაღარა კაცს ქალალდი სთხოვა.

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაღარა შეტრიალდა, ქაღალდი გამოუტანა: სახლში იქნება ბადრი, გარეთ იშვიათად დადის. შეიძლება აბაზანაშია და ვერ გაგონეთო, უთხრა და კიბე ჩაირბინა.

შეიძლება მართლა ასე იყო, მაგრამ ქაჯანას მეტჯერ არ დაუკაკუნებია.

კიბის მოაჯირს ჩამოეყრდნო და დაწერა:

„ბადრი, ციკოლიას ბევრი ვეხვეწე, მაგრამ მთლად პატიება არ შეიძლებაო. მე მგონი, მართლა არ შეიძლება. ხვალ დილით მიხვალ მილიციაში. ჯარიმის ქვითარს გამოგიწერენ. ამ ხუთ თუმანს გადაიხდი და თავისუფალი ხარ. ეს საქმე ამით დავამთავროთ. საერთოდ, ბევრნუ გაიტეხ. ჩემთან ხშირად გამოიარე, ვილაპარაკოთ. ქაჯანა აფაქიძე“.

წერილში ხუთი ათმანეთიანი შეხვია და კარის ირიბეში ქვემოდან შეაცურა.

ორიოდე წუთის შემდეგ კიკვიძის ქუჩას მსუბუქი ნაბიჯით, წელში გამართული მოუყვებოდა მელიორატორი ქაჯანა აფაქიძე.

ივნისის ქარიანი საღამო იყო. ქარი ბაგრატისეულში, სულ ცოტა, ერთკვირიანი მაინც იკის.

დაუოკებელი

აგვისტოს ცხელი, მაგრამ სამაგიეროდ მშვიდი საღამოა.

მოგეხსენებათ, ამ დროს ძირითადად ქალაქში აბითურიენტებთან დაკავშირებული ადამიანები და ის ჯიუტი მამაკაცები სჭარბობენ, რომელთაც ცოლშვილი კარგა ხანია აგარაკებზე გახიზნეს, თვით კი ბინის არმიტოვების საბაბით დასვენება სეტემბრისთვის გადადვეს. მართალია, ისინი ხვატით გათანეული, ოჯახისათვის შეწირული კაცის სევდიან წერილებს იწერებიან, მაგრამ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არც ისე გულუბრყვილონი გახლავან, როგორც ზოგიერთ დარწმუნებულ დიასახლისს ჰგონია. დასმენასავით გამომდის, მაგრამ ჭეშმარიტების როგორ ვუღალატო. ამ დროს შესაბამისად ქალაქში რჩებიან ისინიც, ვის გმირობასაც ოდესმე მაინც სათანადოდ დაიფასებს მემატიანე — ცოლშვილიან მამაკაცებზე ნახევრადსიმედოდ შეყვარებული ქალები. ისინი ზაფხულის ცხელ თვეებში შეთანხმებულებივით უარს ამბობენ არალეგალურ საქმიანობაზე და ლეგალურ ცხოვრებაზე გადმოდიან. სწორედ ისინი დაიბიჯებენ ახლა თქვენს მიერ საგანგებოდ მოპრიალებულ პარკეტებზე, ძვირფასო ცოლებო, ურცხვად აღებენ მაცივრებს და, ღმერთო შეგცოდე, (ასეთი შემთხვევებიც არის) თქვენეულ, გაფუმფულებულ საწოლებშიც დილამდე ნებიერობენ.

ოჯახის ბოლომდე ერთგულ არაერთ მამაკაცს რომ არ ვიცნობდე, მეც კარგა ხანია ვირწმუნებდი ეკზისტენციონალისტების მიერ დაფინებულ იმ ყბადაღებულ აზრს, რომ ცივილიზებული ადამიანის ცხოვრება ორი ნაწილისაგან — ოფიციალური და გასაიდუმლოებული მხარისაგან შედგება. რომ ადამიანური ინსტინქტების უმეტესობას ვერა დააკლო რა მის მიერვე შემოღებულმა ეთიკურმა კანონებმა, რომ აკრძალული ხილის გემო ადამის ნაშიერს ჩვენს დღეებამდე მოჰყვა და ვინ იცის, იქნებ ამ ორსახეობისდაფარულის და ცხადის თანაარსებობა ადამიანთა ცხოვრებას ინტერესს ჰმატებს.

ვინც თავისი ერთსახოვანი და თანმიმდევრული ცხოვრების წესით მაიძულებენ მედგრად შევებრძოლო ბურჟუაზიული ფილოსოფიის ამ ნაბოძვარს, ახლა, აგერ, დავითაშვილის მეორე ჩიხში, ერთ მორყეულ სამეზობლო

ძელსკამზე სხედან და გულიანად საუბრობენ.

ჯერჯერობით სამნი არიან; ბუღალტერი გრიშა ასათიანი, მეთუნეუმე გიგლა ჩირაძე-მელიქიანი და ტყიბელის მოქალაქე, ამბიციურიენტის მამა, გაურკვეველი პროფესიის კასიანე ლუკავა. კასიანემ კარგა ხანია აუწყა მეზობლებს მისი გოგონას ჩაჭრის სამწუხარო ფაქტი და, უნდა აღინიშნოს, თანაგრძნობის მხურვალე სიტყვებიც უხვად მიიღო. ლუკავა ხვალ აპირებს გამგზავრებას. გოგონა აგრეთვე ჩაჭრილ მეზობლის ყმაწვილთან ერთად ვაკის პარკში — კინოში გაუშვა (იქნებ, დაჩაგრულმა ბავშვებმა ცოტა გული გადააყოლონო), თვით კი ახლადშეძენილ მეგობრებთან საუბარი არრია.

რა მიმართულების იყო სამი თავისუფალი მოქალაქის უეშმაკო მსჯელობა, ჩემი ალღოიანი მკითხველი გიგლა ჩირაძე-მელიქიანის ამ ალაღ, გულიდან წამოსულ შეკითხვასაც შეატყობს:

— მიკვირს და გამკვირვებია. ორი ერთნაირი ჭკუის ადამიანი ხომ არ არსებობს. ყველას თავისი ვიფოფები ჰყამს. ისეთი, რატომ სხვა რამეებში ეგრე არ არის?

— სხვა რამეებში რას ჰგულისხმობ? — ჰკითხა გრიშამ.

—გინდა საქონელი ავიღოთ, გინდამც მფრინველები. გინდამც სხვა რამე. იქ ხომ არ არიან ჯიბგირები, ხულიგნები, აფერისტები. არ გიკვირთ ლოთიანად? — კასიანეს შეხედა გიგლამ, მაგრამ კასიანეს თავისი დარდი უდაგავს გულ-მუცელს და, არიან თუ არა ცხოველებში ხულიგნები, ნაკლებად აინტერესებს. დიალოგის კოცონი რომ არ ჩაქვრეს, ზრდილობის გულისთვის, რასაკვირველია, თავს უქნევს შეკითხვის დამსმელს,

—შენ ეგრე გეგონოს. ჩვენი თვალიდან ასე ჩანს, თორემ, არ დაიჯერო, ცხოველ-ფრინველთა სამყარო ჩვენზე უფრო მოწესრიგებული ერთიულებისგან შედგებოდეს. იქაც არიან თავისებური ზარმაცნი და ფარისევლებიც, ხულიგნები და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯიბიდან გავარდნილიც. ერთ ამბავს გიამბობთ და თქვენვე დარწმუნდებით.

გიგლამ და კასიანემ ერთდროულად დაიწყვეს მუხლებზე ხელები და სმენად იქცნენ. გრიშამ სიგარეტი თავი მოუსრისა, ამოწეული თამბაქო ამოაკლო და ერთხელ კიდევ გაისვა თითებზე სიგარეტი, მოუკიდა, გააბოლა და ფეხებთან ჯირკს ჩამოადო. ასე იცის; სანამ სიგარეტი ბოლომდე დაიწვებოდეს, ერთ ნაფაზს კიდევ დაარტყამს. შეიძლება მეტი აღარც დაარტყას; გაიჩნია როგორ გაიტაცებს ამბავი, რომლის მოყოლასაც აპირებს. საერთოდ სამ ათიულ წელზე მეტია, მეზობლები ამ ძელსკამთან იკრიბებიან (კასიანე, როგორც მოგახსენეთ, ახალია) და ყოველდღე, თითქმის, ერთიდაიგივე მეორდება; ჯერ ცოტას წაისაუბრებენ მერე კი გრიშა ასათიანი ჰყვება, ხოლო სხვები უსმენენ. თქვენსაცაა ხომ ასეა, ძვირფასო მკითხველო, სამეზობლო ჯგუფში, ძირითადად ერთია მთხრობელი. თუ მეორე მთხრობელიც გაჩნდა, ჯგუფი იყოფა და ეზო-ყურეში ახალი ძელსკამი ჩნდება. ყოველსმცოდნე და ლამაზად მოლაპარაკე მთხრობელებს ერთმანეთი ძალიან უყვართ მეთქი რომ გიმტკიცოთ, მართალი არ ვიქნები.

— რომელი წელი იყო ხორცი და პური რომ ცოტა შემოგვაკლდა? — დაიწყო გრიშამ.

— სამოცდაორი — წააშველა გიგლამ.

— სამოცდაორი, სწორი ხარ. ეს ამბავი კი სამოცდაოთხში მოხდა. მაშინ ჭრა-კერვაში ვმუშაობდი; მთავარ ბუღალტრად. ვახტანგი ხომ იცით, ჩემი ძმაკაცი — საბაძე, ცირკის სასტუმროს ადმინისტრატორია ახლაც. ჰოდა, ვახტანგმა ამტეხა; კათაყვავკავში თურმე გოუ-ქათმეული ნახეკარ ფასად იყიდება, წავიდეთ ერთ შაბათ-კვირას, რატომ უნდა გვაჯობოს სხვამ — კათაყვა-

ური ენა არ ვიცით თუ ვიქაცობა გვაკლიაო. ჭიუაში დამიჯდა. არ დავმალავ, ვიციფლუტტე პატარა; გამოვაწერინე ჩემს უფროსს რვაკაციანი ავტობუსები რომაა, ახლა რაფს ვეძახით, მაშინ აღარ მახსოვს, რა ერქვა. ეს, ახლანდელი, ცოტა გაუმჯობესებულია, მაშინდელი უფრო მაღალ ბორბლებზე იდგა და თუ ოცზე მეტი სიჩქარით მოუხვევდი, გადაბრუნება ხელში გიკავა.

ერთი სიტყვით, გავუყევით გზას. მანქანა, რა თქმა უნდა, ძველი და დანჯღრეული გახლდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მძღოლი შეგვხვდა გამოცდილი. სამოცსგადაშორებული კაცი იყო, მარცხენა ლოყა დიდი, ბადრიჯნისფერი ტყორპით ჰქონდა ჩაბნელებული. დილით, ცოტა არ იყოს, დაადგიანა მოსვლა და შეგვაშინა. დეთის წინაშე, ბოდიში მოგვიხადა, მანქანას ვაკეთებდი, დაბერდა და დღედღეზე ჩამოსაწერია, მაგრამ არ ვეშვებითო. მე რომ ცოტა შეცბუნებულმა განვუცხადე ექსკურსიის სხვა წევრები არ ჩანან მეთქი, გაიღიმა და თვალი ჩამიკრა — არ გინდათ, ბატონო, ჩემთან მასეთი ლაპარაკი. გუშინდელი ხომ არ გგონივართ. მშვენივრად ვიცი, რის საყიდლადაც მიდიხართ კათაყვაკავში. ექსკურსიებზე ვინღა დადის ახლაო.

გიგლამ იცის, მე გაჭიანურება არ მიყვარს და თავს აღარ შეგაწყენო იმის მოყოლით, თუ იქეთობას რამდენი გვაწვალა და გაგვაძაღლა მანქანამ. განსაკუთრებით ფასანაურს რომ გავცდით, რადიატორში წყალი დუღდებოდა და წამდაუწუმ ვასვენებდით. ერთ კინოდ ღირდა ჩვენი „დასვენება“. ძრავა რომ ხლიწინ-ჩლახუნს დაიწყებდა და მანქანა ჩორთით მიმავალ ჯაგლაგზე უფრო ნელ სიჩქარეზე დაეშვებოდა, გავჩერდებოდით. მძღოლი სახეზე შემდუღებელთა ნიღაბ-სარკეს აიფარებდა (წინდახედული კაცი იყო. იცოდა თავისი მანქანის ამბავი და თადარიგი დაეჭირა) და კაპოტს ახდიდა. ბრეზენტის ერთთითიანი, ჭუჭყისგან ჯალაშასავით გასქელებული ხელთათმანებიანი ... ტორის სახურავს მოხსნიდა და უკან მიასკდებოდა, რომ ადუღებული წყლის შადრევანი თავზე არ გადავვლებოდა, როცა რადიატორის ამოფრქვევა მინელდებოდა და ცხელი წყალი ბუყბუყზე გადავიდოდა, პირნიღაბიანი მძღოლი ონკანს გახსნიდა, მდუღარეს ჩამოდვრიდა, რადიატორს ცივი, მინერალური, ბუყბუყა წყლით გაავსებდა და გზას განვაგრძნობდით. კილომეტრნახევარში, ჰა, ორკილომეტრში კვლავ დაიწყებდა ძრავა თუხთუხ-ჩლახუნს და ყველაფერი თავიდან მეორდებოდა, დარიალს რომ გავცდით და გავივაკეთ, თითქოს სული ჩაედგა, აიწყვიტა ჩვენმა რაფმა და რაც ჯვრის უღელტეხილზე სიმწარე გვანახა, ღამის დაგვავიწყა.

შაბათ დილით წასულები, ასე, ღამის თერთმეტ საათზე ჩავედით კათაყვაკავში. სასტუმროში ადგილს ვინ მოგვცემდა და, სხვათაშორის, არც გვქონდა პრეტენზია, ღამე გლეხის სახლში გავათენეთ.

ახალგათენებულზე დავაცხრიეთ ბაზარს. ოთხფეხს აქაც ცეცხლი ეკიდა. გოჯს სამ თუმანზე ნაკლებ არ დაგალაპარაკებდნენ, ქათამი კი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩვენს ბაზრათან შედარებით იაფი იყო. ვიყიდეთ მე და ვახტანგმა თითო მოზრდილი გოჯი, ხუთ-ხუთი მომსებული დედალი და ცხრა იყო, თუ თერთმეტ-თერთმეტი ვარია. მძღოლმაც ამდენი, თუ ცოტა მეტი, აღარ მახსოვს, შეიძინა. ავკარგიანი კაცი იყო. ცხოველ-ფრინველთათვის ყუთებიც მოეშარაგებინა და ტომრებიც წამოიღო. მთავარი კინაღამ დამავიწყდა, მეორე გზობაზე ბაზრიდან რომ გამოვდივართ და თითოს თითო გოჯი ატატებული მოგვყავს, ვახტანგი ბაზრის გამოსასვლელში არწივისცხვირიან, ფაფახოსან ჩერქეზს შაგხალებიან გოჯზე შეეკაჭრა. გოჯი ჭეკვირილით იღებდა იქაურობას, თავდალმადაკიდე-

ბაზე სასტაკ პროტესტს აცხადებდა. ჩერქეზმა საკმაოდ ძვირი დაუფასა, ვახტანგმა გაიკვირვა, რა ამბავია და ჩავიარეთ. მე მეგონა ვახტანგმაც ისე, ყასიდად, ფასის გასაგებად ჰკითხა მეფე, რაკიდა თავიდან თითო გოჯის ყიდვა გვქონდა ნავარაუდევი. ნავაჭრი მანქანაში რომ დავაბინავეთ და ის-ის იყო უნდა დავძრულიყავით, ვახტანგმა ამ წუთში მოვალო და ბაზრის ხახაში გაუჩინარდა. ხუთიოდე წუთში უკან მოდის და ჭყვინტილი გაქაფულ ხალებიან გოჯს მოათრევს. გოჯი ხტუნავს, იკვარღება, ჭირვეულობს, ტანს ზამბარასავით ათამაშებს. ძლივს დავამაგრეთ სამივემ. ტომარაში ძალით ჩავტენეთ და თავი რომ მოვუკრიათ, ამოვისუნთქეთ. მძღოლმა ტომრიანად ყუთში ჩაუშვა, ზემოთ ფანერის ნაჭერი დაადო და ფანერს, ყოველშემთხვევისათვის, აგური დაამატა. გულმა არ მომითმინაო, წაიბოდიშა ვახტანგმა, საერთოდ შავხალებიან გოჯს გემრიელი ხორცი აქვსო.

მანქანა პირველ მოსახვევს გამოცილებული არც კი იყო, ჩერქეზულმა გოჯმა რომ ჭყვიტინი ატეხა. ჩერქეზულმა მეფეი ასე დაბეჯითებით იმატომ ვამბობ, რომ რაღაც თავისებური, დანადაჯენილი ქალივით ცივი, გამყინავი ხმა ჰქონდა. დანარჩენი სამი გოჯი ერთ ყუთში გვყავდა. ყოველშემთხვევისთვის თავი აეხადე ყუთს. იწვნენ მშვიდად, უღრტვინველად, ღრუტუნითაც კი არ ღრუტუნებდნენ. გოჯები არ იყვნენ ახლა ისინიც? გეკითხები მე შენ.

ასე არ გამოვაო, მძღოლმა. თუ რამე არ ვისაშველეთ, კარანტინია და, შეიძლება მთელი ნავაჭრი ჩამოგვრთვანო. რატომღაც მე მომიბრუნდა, შეირბინე ერთი იმ მაღაზიაში, იქნებ ერთი ბოთლი არაყი გაახერხოვო. გავიქეცი. სადაა არაყი. წამლად რომ გინდოდეს, იშოვი? ჩემთვის როდი მინდა, ასე და ასეა ჩემი საქმე, გოჯებისთვის მინდა მეთქი, დავიღრიჯე გამყიდველს. შეწუხდა, ხომ იცი. რა ვქნა ახლა, სტუმარი როგორ გავაწბილო, მითხეს მეტეს. შენთვის თუ არ გინდაო, ამ ... ... „წინსვლის“ ხაგლეჯში გამოხვეული არაყი. ავშენდი კაცი! მაღაზიიდან გამოსვლისას ვიღაცამ მკლავში მომკიდა ხელი. მოვიხედე, ჩემს წინ მეზღვაურისქუდიანი, ბუკლესპიჯაკიანი, გახუნებულულვაშა მაღალი კაცი დგას. საბუთი ნახევრად ამოსწია ჯიბიდან და არც მეტი, არც ნაკლები — მილიციის ქვეგანყოფილებაში გაყოლა მიბრძანა. ვაი ამ ჭაბას. ეს მინდოდა ახლა მეე? ჩემთვის კი არ მიყიდია, პატივცემულო, მე ღვიძლი მტკივა, საერთოდ გრამს არა ვსვამ, გოჭისთვის შევიძინე მეთქი. ადგილზე გავარკვევთ ყველაფერსო. მე ხომ ვიცი, ადგილზე გარკვევა რას ნიშნავს. ჯერ ერთი საექსკურსიო ავტობუსის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის დაგვსჯიდნენ, მერე კარანტინის დროს ცხოველების რესპუბლიკის გარეთგაყვანისათვის მოგვცხებდნენ და ვინ იცის, კიდევ რა შარს მოგვდებდნენ. გავწირე მეორე თუმნიანი, ვუყიდე არაყი მგრძნობიარე თანამშრომელს და რომ იცოდეთ, რა მადლობელი დავრჩი მისი, ხელი რომ ჩამომართვა და გზა მშვიდობისა მისურვა.

სამ მშვიდ გოჯს თითო ყლუპი დავალევინეთ, ჩერქეზულს ნახევარ ბოთლზე მეტი ჩავაცალეთ ხახაში. ცოტა ხანს გაბურბუსალებული მოგგეჩერებოდა, ისევ ტომარაში ჩავამწყვდიეთ და დაამედებულებმა გზა განვაგრძეთ.

კათაყვავაკავის გამოსასვლელში რასაკვირველია, გაგვაჩერეს. ჩვენსკენ ხანშიშესული, ტანმძიმე სერჟანტი წამოვიდა: მძღოლს საბუთები გაუსინჯა და საეჭვოდ შეგვათვალიერა. სულდგმული ხომ არაფერი გიყიდიათო. შოფერმა უარი განუცხადა და, ის იყო, უნდა დავძრულიყავით, ჩერქეზულმა ტყვემ ისეთი ჭყვირილი ატეხა, შენი მოწონებული. — მიაყენეთ მანქანა და ჩა-

მოდით სამივემ, თქვენი პატრონი ქვეყანაცაო, სერჟანტმა.

— არ დაგვდუპო, — ვეხვეწებით, — წვრილი ცოლ-შვილის პატრონები ვართ, ხელფასზე დანაზოგი ფულით გოჭი და ქათმები გვყიდია, ნუ ჩაგვები ჩვენს ცოდვაში. გიცნობთ, რა ანგელოზებიც ბრძანდებითო, ნამუსგარეცხილი სპეკულიანტები ხართ, ჩემი გაცურება გინდოდათო, — მძვინვარებს სერჟანტი. მერე ხმას დაუწია და მივხედით, რომ მთლად არ გაგვწირა გამჩენმა. მცირე პაუზის დროს ხუთი ვარია ავუფრთხიალეთ ხელებში. ეცოტავა, ორიც დავუმატეთ და მოგვეშვა.

მოვდივართ და მოვიმღერით მეთქი რომ გითხრათ, არ იქნება მართალი. სიმღერა ვის ახსოვს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გვიხარია, რომ ხიფათს გადავრჩით, არ გავილანძღეთ.

ქალაქ ჩაქუჩეთამდე ხუთიოდე კილომეტრში ახალი, მშვენიერი ცისფერ-ფრთებიანი ჯიხური დგას — ავტონინპექციის საგუშაგო. ფხიზელმა მორიგემ შორიდანვე შეგვნიშნა, ჯიხურიდან გამოვიდა და თავაზიანად შეგვეგება. მესმის ყურადღებიანი ხალხი.

რასაკვირველია, შავხალება გოჭის ჭყვირილი ქვეყანას იღებს. უქუდო, წაქისფერთვალება ავტონისპეტორმა მანქანაში შემოიხედა, გაიღიმა და თავი გადააქნია. მძღოლი იახლა, საბუთებიანად შეიყვანა ჯიხურში და კარგა ხანს დააყოვნა.

— ქათმებზე უარს ამბობს, ერთ გოჭს უნდა შეველიოთ, — გამოგვიცხადა მძღოლმა უკან დაბრუნებისას და თავი ჩაჰკიდა.

— ჩერქეზული მივცეთ, — ანგარიშმიუცემლად ვთქვი მე — დავისვენებთ ქე მაინც, თავიდანაც არ უნდა გვეყიდა.

ასეც გადაწყდა.

როგორც იქნა, ამოვადგარკალეთ ტომრიდან ურჩი გოჭი და შემოგებებულ მასპინძელს ხელებში მივაჩეჩეთ. ეტყობოდა, აინ საქმეებში ჩვენი დამხვდური ხაში არ გახლდათ. უკანა ფეხებში სტაცა ხელი და ჯიხურისკენ გაარბენინა. მძღოლმა საბუთებიანად ხელი რდილობელს ამოუდვა და საქეს მიუჯდა თუ არა, ბარაქიანმა ხალხურმა გინებამ ავტოინსპექტორის ჯიხურისკენ მიგვიღიჯა კისრები. მორბის ჩვენსკენ გზის გუშაგი. გოჭი ისევ ისე მარჯვენა ხელში უჭირავს და ჩექმით სცემს ცხვირპირზე, მარცხენა საჩვენებელი თითი პირში ჩაუდვია და სისხლი სახელოზე მოწვეთავს. — გადაყენეთ მანქანა, თქვე ბანდიტებოვო. თქვენგან რა ხეირი ნახავს კაცი. ველური გოჭი შემომაჩერეთ, თითი კინაღამ მომაკვნიტაო. დასანდობი არა ხართ არცერთი. მე ადამიანები მეგონეთ, პატივი გეცითო.

მოკლედ, დავიბრუნეთ უკან ჩვენი არამზადა და ნერვებმოშლილი გზის დარაჯი სხვა, მშვიდი, ფუმფული თვალებმილეული გოჭით დავასაჩუქრეთ.

ბრუთის მყინვართან, ჩამოსახვევში, გზა გადაკეტილი იყო. ორი წოთელ-სამკლაურიანი მთიელი მოგვიახლოდა. დაბეჯითებით უნდა ვთქვა; პირდაპირი, პატიოსანი ხალხი აღმოჩნდა. საბუთები არც კი მოუთხოვიათ, ექსი შვილივით ნაზარდი დედალი ამოიღლიავეს და გაგვიშვეს.

შვიდს აღარაფერი აკლდა, მიმინოსჭალას რომ მოვუახლოვდიდი. პირი გავისველოთო, ვახტანგმა. ჯერ მეავე წყალს დავეწყაფეთ, ხელები დავიბანეთ, სახეზე შევიისხით და მერე სახნაკლეს მივაშურეთ. ხინკლის გარდა ყველაფერი ჰქონდათ. გვარიანად დავნაყრდით, თითო გავაბოლეთ და ავტობუსს დაეუბრუნდით, მაგრამ სანამ კარს გავაღებდით, ჭყვირილ-კაკანმა გული გადაგვიბრუნა. საშინელი სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ. ჩერქეზულ ავაზაკს ტომარა გამოეკეთა, ფანერ-აგური ამოერღვია და ამოსულიყო. ჯერ ვარიებს დარეოდა და დაეჯიჯგნა, ახლა ტკუტკუბირიოდ მოხტუნავე, ფეხებშეკრულ ქათმებს დასდევდა ავტობუსში. სანამ თავაწყვეტილ გოჭს მოვიხელ-

თებდით და რაფს ხელში ჩავიგდებდით, ჩვენი დაგვემართა. ავტობუსის ოკუპირების შემდეგ გაირკვა, რომ სამი დედალი და რვა ვარია ამქვეყნისა აღარ იყო, ბარის კბილებით მოგდადულები გადავყარეთ, თავწაწყვეტილ-სისხლგამდინარენი ყუთში ჩავყარეთ და დანა პირს არ გვიხსნიდა, ქვასანაყურს რომ მოვადექით.

არც დაბა ქვასანაყურის საგზაო შემთხვევების მეთვალყურეობის სამსახურმა დაგვაყენა კარგი დღე. გულდასმით გაგვსინჯეს და, ცოტა არ იყოს, მოიწყინეს, რომ ჩვენს მანქანაში ნარკოტიკები ვერ აღმოაჩინეს. პირადობის მოწმობები ჩამოგვართვეს და კარგა ხანს იდუმალი მზერით გვცდიდნენ სწრაფად, თვალის დაუხამხამებლად შეგვეძლო თუ არა ჩვენი სახელისა და გვარის, სამუშაო ადგილის და დაბადების თარიღის დასახელება. როცა დარწმუნდნენ, რომ საზოგადოებისთვის დიდ საშიშროებას არ წარმოვადგენდით, გაგვიშვეს და ერთი ქათქათა გოჯი მძევლად დაიტოვეს.

ვისაც მოვუყევი, არავინ დაიჯერა და რაღა თქვენ დაიჯერებთ; გასავთებულები, ქანცგაწყვეტილები შუაღამისას შემოგვდით თბილისში. ჩვენი სავაჭრო ეპოპეის დასასრულს მანქანაში ჩერქეზული გოჯი და სამი თავწაწყვეტილი დედალიღა დაგვრჩენოდა.

ვახტანგ სამაძე ქვემოთ ცხოვრობს, მოგეხსენებათ, ამოსასვლელში და, ბუნებრივია, პირველად მის სახლთან შევჩერდით. ხელების ფშვნეტით გადავიდა და დაგვემშვიდობა, — გოჯს ვის უტოვებ მეთქი. — შენი იყოს, მე მაგის სახლში შემყვანინ არ ვარო. — როგორ გეკადრება, გოჯი შენ შეიძინე და შენი საკუთრებაა. ხომ იცი, ხალიან გოჯს რა გემრიელი ხორცი აქვს მეთქი. ცოცხალი თავით არ ვიზამ მაგასო, მიპასუხა და გაამბიჯა.

წამოვხტი, გოჯს ტომრიანად ხელი დავავლე, ავტობუსიდან ჩამოვხტი და გამოვეკიდე. ხუთიოდე ნაბიჯი არ გადამედგა, ხელში სიმსუბუქე ვიგრძენი და ჯოწქაძის ქუჩისკენ გაქცეულ გოჯს მოვკარი თვალი. თურმე ეს ტომარაც გამოუღრღნია და ამდენ ძიძგილაობაში თავს უშველია. არიქა ბიჭებო მეთქი, შეეყვირე და გამოვუდექი. ვახტანგმა თავს დავუვლიო და ჩიტაძეზე ჩაირბინა, მძღოლმა რაფი დაქოქა და ფარეზანებიული უკან მოგვდევს. გოჯი წინ და ჩვენ უკან. ვიღას ესმის შემხვედრი მანქანების გაბმული სიგნალი, ვიღას ეხამუშება აივანზე გადმომდგარი ბაღიძეების მოქალაქეების სიცილ-ხარხარი. უკანასკნელად ფუნიკულიორის სადგურთან მოეკარი თვალი, კიბიდან კისრისტეხით ჩამორბოდა, მერე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვეღარ ვიპოვეთ. რას ეძებთო, ღამეულ მთაწმინდას შეფენილებს გვკითხა, თოფიანმა დარაჯმა. — გოჯსო, — უკანმოუხედავად ესროლა საბაძემ, — რომელ გოჯს?— არ მოგვეშვა დარაჯი. — ჩერქეზულს! — ისე ხაზგასმულად, კბილების ღრჭიალით მივუგე მე, რომ დარაჯს მეტი შეკითხვის სურვილი არ გასჩენია.

დაახლოებით ასე, ღამის სამ საათზე, დევნა შეაწყვიტეთ და თავი დამარცხებულად ვცანით. იქნებ აღმართს არც კი შედგომია, რომელიმე კუსტარ-მარტოხელას სარდაფში ტუცა თავი. ვინ იცის, გოჯს და, მითუმეტეს ჩერქეზულს, შენ გაუგებ რამეს?

მინაწერი: ეს ნოველა შარშან, ერთ ოჯახში, ნაცნობების ვიწრო წრეში წაკითხე. დიდი მოწონება ხვდა მეთქი, რომ გითხრათ, სიცრუე იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ამასწინათ, იმ წრიდან ერთი კაცი შემხვდა და მითხრა: რამდენი ვიცინეთ მაშინ გოჯზე დაწერილ შენს ნოველაზე, რატომ არსად ბეჭდავო.

მაშინ არ მითქვამს, მაგრამ თუ სადმე შეგხვდეთ, იქნებ თქვენ მაინც აუხსნათ, ძვირფასო მკითხველო, რომ ეს ნოველა გოჯზე არ გახლავთ დაწერილი.

უფინალო ნოველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კარებშიდე ალაპარაკდა.

— შლაპიანი მოხუცი ქალი. იცანი ფლების ყოფილ ბალერინას ჰგავს, ჰენ-ნენე უკეთია და თვალებზე აბრეშუმის შავი ბადე აქვს დაშვებული.

კაცმა მხრები აიჩეჩა:

— ალბათ სტუმარია.

— თქვენ რომელზე მეთქი, ქალ-ბატონო, არ მიპასუხა. მე რომ მეხუ-თეს დავაჭირე, ჰენნენეთი დაკავირდა ღილაკს. დამდურებულივით მიცქერო-და.

— მაღლა ავიდა?

— კი, რომელზე ვერ გეტყვი.

ნანამ ასე იცოდა. სალამს კი არ იტ-ყოდა, პირდაპირ საუბარზე გადადიო-და. სანდრო უკვე შეჩვეული იყო, შე-მოვიდოდა ნანა და, ან იმით იწყებდა, თუ როგორ აეკიდა ტროლეიბუსში ვიღაც „იდიოტი“, ან იმით, რომ დღეს უსაშველოდ გრძელი დღე იყო და ლექ-ციების დამთავრებას საშველი არ და-ადგა, ან იმით, რომ პალტოში ძალიან ცხელა და ხალხს რომ არ რცხვენო-დეს, სიამოვნებით იკლიდა მოსასხა-მით ამ შუა ზამთარში. მერე პალტოს ან ჩექმებს მიყრი-მოყრიდა. სანდროს ხალათს და შლოპანცებს ჩაიცვამდა, დივანზე მოკალთდებოდა, ტელე-ფონს მუხლებზე დაიდებდა და სამ-ოთხ მეგობარს მაინც დაურეკავდა, რომ სან-დროსთან არის და თუ დედაჩემმა და-რეკოს, უთხარი ჩემთან იყო და ამ წუთ-ში წამოვიდათქო. „მერე მაშინვე და-მირეკე გესმის? წავედი“, დაიყოლებდა, ჭერს ახედავდა, ესეც ეგრეო, იტყო-და, დივანზე თავდაღმა, ლამაზად გა-წოლილი, ჩანთას გადაუწვდიდა ხელს, სიგარეტს და სანთებელას ამოიღებ-და, სიგარეტს გაიჩაღებდა, გაზეთს ცალ გვერდს აახევდა, ძაბრივით საფერ-ფლეს გაკეთებდა და გაამოლებდა.

მეორე წელია სანდრო ამ დროს, ერთსა და იმავეს ეუბნება:

— აკი ჩვალიდან აღარ მოკუწეო?

— გეხვეწები ამ ერთხელ. ჩვალიდან მართლა აღარ მოკუწეე.

სანდრო ადგებოდა, კარადის თავზე დადგმულ საფერფლე-ნიეარას აიღებ-და, მიუახლოვდებოდა, საფერფლეს სკამზე დაუდებდა და ხუჭუჭა თმებზე მოუქიჩავებდა, მოეფერებოდა.

მაგრამ იმ დღეს გოგონამ მასპინ-ძელს უგუნებობა შეატყო და ლიფტში დამგზავრებულ მოხუც ქალზე საუბა-რი უცებ შეწყვიტა, პალტო გაიხადა, ჩანთა დივანზე მოისროლა, სკამი გა-მოსწია, მუშტებს ლამაზი ნიკაპი და-აყრდნო და სანდროს თვალებში შეხე-და.

— რა მოხდა?

— მამაშენი იყო ჩემთან.

— როდის? სად?

— სამსახურში დღეს, ასე თორმეტის-კენ იქნებოდა.

— მარტო იყო?

— მარტო.

— რაო?

სანდრომ თითები მაგიდაზე აათამა-შა, ნანას თვალი შეავლო და განზე გაი-ხედა.

— რას მეტყოდა.

ქალიშვილმა სიგარეტს მოუკიდა და საფერფლის კიდეს ჩამოადო.

— დაწვრილებით მომიყევი.

— შენ არ გითქვამს, რომ მამაშენმა ყველაფერი იცოდა.

— იცის. დაურეკეს.

— ვინ დაურეკავდა?

— რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ამ-ბავი მთელმა ქალაქმა იცის. მერე?

— მოვიდა ის კაცი. ოთახიდან გამო-მიხმო. ქვევით ბაღში ჩავედით. მე ხომ ნანახი არ მყავდა, მაგრამ მაშინვე მივ-ხვდი, რომ მამაშენი იყო.

— ?

— გგავს რაღაცით. წარბებით მგონი.

— მერე? — ნანამ სიგარეტი აიღო

ნაფაზი დაარტყა, გადაფერფლა და ისევ საფერფლეს ჩამოადო.

— მეო, ყველაფერი ვიცი. ვატყობდი, ლაპარაკი უქირდა. დაღლილი, ნაწამები სახე ჰქონდა. რა მინდა ახლა ამ რომ მოვედიო, თუ ძმა ხარ, ქვეშ გამომსცელ კაცად არ ჩამთვალო. მე ჩემს წრეში ვეყაკაცად მიცნობენ და ერთ სიკვდილ ვთოავებ, ახლა რომ ველაპარაკებიო. შენ რას გემარილები, კაცმა რომ თქვას, მე ჩემსას უნდა მოვუარო, მაგრამ რა ვქნა, შვილს ვერ მოიკვეთ თურმე, ძნელი ყოფილაო. არადა, მთელი ოჯახი გადავუვეთო, მაგრამ არაფერი გაგვივიდაო. ისიც ვიცი; რომ ციღშვილიანი ხარ და ისიც ვიცი, რომ შენს შვილებზე მზე და მთვარე ამოგდისო. მე საპრეტენზიო არაფერი მაქვს, ა, ორი კაცი ვართ აგერ, იქნებ როგორმე მოვუაროთ ამ საქმესო. ეს სიტყვები ისე მიაყარა ერთმანეთს, რომ სიტყვის ჩადგმა არ მაცალა. ვერც ვიკადრებდი და მაიმუნობაც იქნებოდა, რომ დამეწყო: როგორ გეკადრებათ, ეგ სიცოცხე, თქვენს ქალიშვილს ხეირიანად არც კი ვიცნობ, მონაჭორია ყველაფერი მეთქი. ხომ მართალი ვარ?

— მერე?

ნანას ფართო შავმაყვალა, გრძელწამწამებიანი თვალები გამალებით მოძრაობდნენ. მზერა სანდროს ხელებიდან მხრებზე, ტუჩებზე, თვალებზე გადადიოდა. მოჩვენებით სიმშვიდეს ნანას რომ ფარად ეხმო, სწორედ რომ შეშფოთებული თვალები ამხელდნენ.

— რა მერე. ვიჯექი და ვუსმენდი. იგი ჩემთან დასატუქსავად ან ჭკუის სასწავლებლად კი არ მოსულა. ასე რომ ყოფილიყო, გავღიზიანდებოდი და მეც რაღაც პოზიციას დავადგებოდი. შვილი მეღუპებაო, მითხრა. აბა შენ წარმოიდგინე, ჩემს მდგომარეობაში შენი თავი. მე ჩემი გითხარი და აწი, როგორც სინდისმა გაგიჭრასო, ადგა და წავიდა.

— შენ არაფერი გითქვამს?

— კი. რაღაც გაურკვეველი... აღარ მახსოვს... ყოველ შემთხვევაში მეც ჩვენა, თითქოს, ჩემს სიტყვას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. რა ვქნათ?

ნანა ყველაფრს ელოდა ამ შეკითხვის გარდა. ნუთუ დღემდე გარკვეული არ იყო, რაც უნდა ექნათ. იგი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და შემოუტრიალებლად თქვა.

— ვიცოდი რომ მოვიდოდა. სამ თვეზე მეტი იქნება, რაც მე იმ სცენებს ვუძლებ. რამაც შენ პირველივე დღეს ასე შეგაშფოთა. ყოველ დღე ნატაციებს მიკითხავენ. დედაჩემმა გუშინწინ შენი საყვარელი „ბანანები“ დამიჭრა და კარებში გასულს ტუფლი მესროლა, მაგრამ მე შენთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს.

— ამას რატომ მეუბნები? მეც არ უნდა მეთქვა?

— რა ვიცი, — ნანა მობრუნდა და ნერვიული ნაბიჯით წამოვიდა სანდროსკენ, მხრებზე ხელი დაადო, დაიხარა და თვალებში ჩახედა. მათი ტუჩები ლამის ეხებოდნენ ერთმანეთს — სალაპარაკოდაც არ ღირს მეთქი ყველაფერი ჩვენს სიყვარულთან შედარებით. მე ყველაფრისთვის მზად ვარ, სანდრო. დედა იმისია, რომ შეიცხადოს და „ბანანები“ დამიჭრას, დამამწყვდიოს და სახლიდან არ გამომიშვას, მამა იმისია, რომ ჩემს „გადასარჩენად“ რამე იღონოს. გარეგნულად ხომ საზიზღრად ჩანს; მე ოცდაერთი წლის გოგო, შენი, ორმოცდახუთი წლის ცოლშვილიანი კაცის, საყვარელი ვარ. ასე რომ, მე ძალიან კარგად მესმის ჩემი მშობლების.

— და ჩვენ ვალდებული ვართ ანგარიში გავუწიოთ.

— რაში გავუწიოთ ანგარიში, სანდრო. სიყვარულში? ეს მხაზველობითი გეომეტრიის ფრიადზე ჩაბარება, ან სარეცხის გაწურვაში მოხმარება კი არ არის. მთელი ცხოვრების აზრია. შენ არ მითხარი? ან რა შენი თქმა მინდოდა, მე თვითონ ვერ ვგრძნობ? მელაპა-

რაკებიან სახლში გაუთავებლად, დააბიჯებს წინ და უკან მამაჩემი და მაგალითები მოჰყავს, როგორ დაღუპა მავანი და მავანი, როგორც თვითონ ეძახის, ბავშვურმა გრძნობამ. აკაწკაწებს კბილებს დედაჩემი; ქვად მქცეოდა მუცელი და შენ არ გამეჩინეო. ხანდახან, თითქოსდა, მეც ვირწმუნებ, რას ვერჩი ამ ხალხს მეთქი. ვზიავარ და ყველაფერი მჯერა. პირობასაც ვაძლევდი ადრე, რომ ხვალიდან არ გნახავდი. მერე? დამთავრდება ლექციები და არც კი ვიცი, როგორ აღმოვჩნდები ხოლმე შენს კარებთან. ერთი რამ ვიცი, მთელი ქვეყანა რომ წინ გადამიდგეს, მაშინ, როცა ტროლეიბუსში ვჯდები და შენსკენ მოვდივარ, ვერ დამაკავებს. ამ ბოლო დროს მიხვდნენ, რომ არაფერი გამოვა და თავი გამანებეს. აკი მამაჩემსაც უთქვამს. ახლა იერიში შენზე მოიტანეს. ბოლოს ყველაფერში დარწმუნდებიან და შენც მოგეშვებიან.

სანდრომ კისერი გაინთავისუფლა, ხელისგულები დაუკოცნა, სკამზე დასვა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— არც ასე იოლადაა საქმე. ცოტა უნდა დავფიქრდეთ, საქიროა.

ნანამ კვლავ მუშტებს დააყრდნო ნიკაპი.

— შენ მე გიყვარვარ, სანდრო?

— ძალიან.

— ჰოდა, მორჩა და გათავდა. სიყვარული განსაკუთრებულია და ბჭობას ვერ იტანს.

— სიცოცხლეს რომ მირჩევნიხარ, სწორედ იმიტომ მინდა ყოველთვის კარგად იყო.

— რას მთავაზობ ჩემი კარგად ყოფნისთვის, ბატონო სანდრო?

ბოლო ორი სიტყვა ნანამ გაღიზიანებული ხაზგასმით წარმოთქვა.

— ნუ ბრაზობ. თუ გჯერა ჩემი, მომისმინე.

— გისმენ, ნაფიცი მოწაფესავით.

— შენ იმდენად საყვარელი ბოგოხარ, რომ ჩემთვის კისერგასივებული, თმაგაცვენილი, უწარბო კაცისთვის არც კი მემეტები. მე შენ იმდენად მიყვარხარ, რომ შენ რამე რამე გაგიჭირდეს, თავს მოვიკლავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სენტიმენტების გარეშე მითხარი.

— მე არაფერი წინადადება არა მაქვს. შენს თავს ვფიცავარ, მეც ისე ვარ მთვრალი შენით, რომ განსჯის თავი არა მაქვს, მაგრამ რაღაც უნდა მოვიფიქროთ. ეს შენთვისაა საჭირო, თორემ ჩემი თავი ჯანდაბას. მე არც მომავალი მაქვს და არც ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ.

— მამაჩემი სანამ განახავდა, არ ფიქრობდი ჩემი მომავალზე?

— ვფიქრობდი, რატომ მელაპარაკები ასე გამომწვევად?

— ვიჩხუბოთ სანდრო? — ნანას ტუჩები უთრთოდა.

— არა. ვილაპარაკოთ. ბოლოსდაბოლოს შენ უნდა გათხოვდე და შენს გზას ეწიო.

ნანა წამოდგა. ხელები თოჯინასავით გააქან-გამაქანა, გაიცინა და სარკესთან დადგა.

— დიდი მადლობა ზრუნვისათვის, სანდრო. საქმროს შერჩევაშიც ხომ არ დამეხმარებოდი?

— აი, ხომ ხედავ, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვს და მერე, როგორც შენ გსურს, საერთოდ, ისე მოვიქცეთ. მე შენ მიყვარხარ, გესმის?

— ეგ სიყვარულის ხმა არ არის, სანდრო.

— სწორედ რომ სიყვარულისაა.

— შენ შარშან, გუშინ ამ დროს, ასე არ ლაპარაკობდი.

— დღეს მამაშენი იყო მეთქი ჩემთან. ჩვენ ორივენი მამაკაცები ვართ.

— კეთილი, მამაჩემი ყველაფერში მართალია. მამაჩემს სურს შენ ჩამოგშორდე, ცოტა ხნის შემდეგ, როცა, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი გამივლის, მოვძებნო ვინმე ჩემი შესაფერისი და გავთხოვდე, მაგრამ შენ? შენ შეგიძლია მშვიდად იყო იმ დროს, როცა მე ქორწილის ცერემონიალს გავითამაშებ, როცა გრძელი, თეთრი კა-

ბით და თაიგულით სხვის გვერდით საქორწინო სახლის კიბეზე ავალ?

— ჩემთვის ეს ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ უნდა გავუძლო.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, სანდრო. ამას შენ ამბობ? რას უნდა გაუძლო, მე რომ სხვის საძინებელ ოთახში ჩემი ფეხით შევალ? ეს შენ არ მეკითხები ყოველდღე? ამ და ამ საათიდან და ამ წუთიდან სად იყავიო? შენ არ გიწოლდება ყურები მე რომ ქუჩაში ვაეს მივესალმები და ყელში მოწოლილი ბოღმით არ მეკითხები, საიდან იცნობო?!

— დამშვიდდი, ნუ ყვირი. ეგ ყველაფერი ეგრეა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს.

— რა ბოლოსდაბოლოს?

— შენ ჩემი თამბის გოგო არა ხარ. მე, ხვალ თუ ზეგ, დავბერდები.

— ეგ შენი სიტყვები არ არის, სანდრო. შენ ხვალ დაბერდები თუ ზეგ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ახლა, ამ წუთში ბედნიერი ვარ შენთან და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ.

— მაგრამ შენ ხომ მთელი ცხოვრება წინა გაქვს.

— მიჩუქნია შენს მიღმა დარჩენილი მთელი ცხოვრება იმისთვის, ვისაც ძალიან უნდა.

— უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ. ჩემთან შენი ურთიერთობა, თავიდანვე გიფიხარი, უპირსპექტივოა.

— რა პერსპექტივაზე ლაპარაკობ. მე შენ მაღაზიაში არ მიყიდიხარ და არც მოლაპარაკებების დრო გვქონია. მე შენთან ყოფნა მინდა და ვარ.

— მაგრამ ხვალ? როცა წლები გაიირბენს და რაღაც-რაღაცეები შენთვისაც გვიან იქნება?

— ნუ მაშინებ, სანდრო, გეხვეწები. როდის გახდი შენ ასე საზიზღრად ჭკვიანი და პრაქტიკული.

სანდროს თვალზე ცრემლი მოადგა, მან მშვენივრად იცოდა, რომ სისულელეს ამბობდა, მაგრამ უკანდახევა არ შეეძლო.

— შენთვისვე, ჩემო ძვირფასო.

ნანა წამოხტა, უკნიდან შემოუარა და თვალებზე ხელი ააფარა.

— ძალიან გთხოვ, მითხარი რომ ხუმრობ!

— მე არ ვხუმრობ, ნანა.

ქალიშვილი დივანზე დაემხო და აქვითინდა.

— მე ვიცი ახლა გძულვარ, მაგრამ ოცი წლის შემდეგ ამ დღის მადლობელი იქნები. ეს მე მივდივარ სასიკვდილო მსხვერპლზე შენი გულისთვის.

— არა! არა! არა!

ნანამ მუთაქას ხელები დაუშინა.

— დაწყნარდი. ესა ხარ სუფლ? აკი ყველაზე ჭკვიანი გოგო ვარო, — სანდრო დივანზე ჩამოჯდა და აცახცახებულ მხრებზე ხელით ჩამოჰყვა, — რა გითხარი ასეთი, მე შენს გვერდით ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ.

— შენ... როგორ შეგიძლო... თურმე ჩემს გათხოვებასაც შეეგუები.

— შეეგუები თუ არა, ეგ სხვა საქმეა. შენი მომავლისათვის კი ეს აუცილებელია.

— ვის? ვის? მე შენს იქეთ ვერავის ვერ ვხედავ. ყველა მამაკაცი ნერვებს მიშლის. მზადა ვარ ქუჩაში უტიფრად მოჩერებულს მივუბრუნდე და თვალები ამოვკორტნო!

— ეგ ახლა გეჩვენება.

ნანა წამოჯდა და თვალები თითებით შეიმშრალა.

— მე არც ისე პატარა გოგო ვარ, რომ რაღაცეები მეჩვენებოდეს. ჩემი ტოლი ბიჭები ნერვებს მიშლიან. დეგენერატებად მეჩვენებიან და მათთან, შენთვისაც ბევრჯერ მითქვამს, მკაცრი მასწავლებლის დამოკიდებულება მაქვს. მინდა ხანდახან ყური ავუწიო.

— ესეც დროის ამბავია. გაიცლის.

— სანდრო, — ნანა ჭერს შესცქეროდა და კარგა ხნის შემდეგ მიაბრუნა თავი სანდროსკენ, — სხვებიც ასე ამთავრებენ? ასე ცუდად?

— ჩვენ არაფერს არ ვამთავრებთ. უბრალოდ ვსაუბრობთ, ხომ გითხარი. საერთოდ, შემთხვევათა მსხვერპლია ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს როგორ?

— ჩვეულებრივად. ჩემი და და სიძე რომ ალერსში არ წასულიყვნენ, ამ ოთახსაც არავინ დამიტოვებდა. თუ ეს ოთახი არ ძალებოდა, მე მგონი, შენც არ მეყოლებოდი.

— არ გამაგიჟო, ახლა რაღაც დიდი საშინელება წამოიწყე.

— როცა თავისუფალი ბინის გასაღები ხელთ მქონდა, მე შენ გამოგიგზავნე.

— ბატონო?

— სწორედ იმ თვალით შეგხედე ინსტიტუტის ვესტიბიულში, რის საშუალებასაც თავისუფალი ბინა და გასაღები მაძლევდა.

— უარი რომ მეთქვა და აქ არ წამოგყოლოდი?

— მაშინ, ალბათ, სხვას ვეტყოდი.

— სანდრო!

სანდრომ გაიცინა. გადმოატრიალა, თვალები დაუკოცნა.

— ჩემი სულელი გოგო. აი, რა ადვილად შეიძლება შენი გაგიჟება. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. არაფერი არ დაიჯერო. მე შენთვის არაფერი მითქვამს.

ნანა მოშვებული იწვა. განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ალერსს მარტო იმით პასუხობდა, რომ სანდროს ტუჩებს თავის ამობურცულ, კახაბლიანით წითელ ტუჩებს შეაგებებდა ხოლმე.

სანდრო წამოდგა, ხალათი და შლოპანცები გამოიტანა და დივანთან დაუწყო.

— შედი აბაზანაში. შენთან ყოფნა მინდა.

არაბულ ტახტზე იწვნენ. ნანა სანდროს მარცხენა გვერდს ჩაჰკვროდა, მორგებულ-მიწებებულს სწორედ იმ ადგილას ედო თავი, სადაც კაცის გულისცემა ყველაზე მკაფიოდ ისმის ხოლმე. ქალიშვილს ყურში უბრაგუნებდა ვაჟკაცის შშფოთვარე, დაღლილი გული. სანდროს მარჯვენა თავქვეშ ამოედო...

კაცმა მარჯვენა გაინთავისუფლა, სკამის საზურგზე დაკიდებულ ელექტროსაათს მისწვდა და დახედა.

— გეჩქარება, რასაკვირველია ძალბურანიდან თქვა ნანამ

— შვიდზე შინ უნდა ვიყო.

— ფეხბურთია, რა თქვა უნდა.

— არა, ფეხბურთი არ არის. უნგრელი სტუმრები უნდა მეწვიონ.

— უნგრელები თუ არა, ჩეხები მაინც იქნებიან.

— მართლა. შენ თავს ვფიცავარ.

— ცოტა ხანს ვიყოთ, გეხვეწები, ოც წუთში წავიდეთ. რაღაც თავი მტკივა. დამაწყვიტე ნერვები.

— სულელი ხარ, შენთან ადამიანურად ლაპარაკი არ შეიძლება.

— რას ეძახი ადამიანურად ლაპარაკს?

— რატომ არ გესმის. რატომ გინდა ჩემი სიკვდილი. შენ რომ ცუდად იყო, ხომ იცი, თავს არ ვიცოცხლებ.

— კარგად რომ ვიყო, ამისათვის რა, დავუჯერო მამაჩემს და დედაჩემს?

— მე შენ კუბოს კარამდე მეყვარები, მაგრამ...

— რა მაგრამ, სანდრო? — ნანა წამოჯდა და პრიალა, სწორი შავი თმები უკან გადაიგდო.

— არ შეიძლება რაღაც-რაღაცეებს ანგარიში არ გავუწიოთ.

— ისევ დაიწყე?

— ნანა, შენ ახლა ბავშვი ხარ. ხომ გეუბნები, დრო გაიკლის და მერე, როცა ყველაფერი განელდება და ტკბილ მოგონებაში გადავა, პირველი შენ დამდებ ბრალს; რატომ შემიყოლიეო.

— რა განელდება, სანდრო? — ნანა გამშრალი ხმით ეკითხებოდა.

— ახლა შენ ამაზე ფიქრიც არ გინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ძველდება და ქრება. ერთ მშვენიერ დღეს შენ თვითონვე აღმოაჩენ, რომ თურმე უკვე მოგწყინდი.

— შენ? მე?

— ჰო, შენ რომ წიგნები წაგიკითხავს და კინოები გინახავს, უდროოდ შეწყვეტილი სიყვარულებია. სიმძაფრე, ცრემლი და დრამატიზმი სწორედ იმას

ახლავს. აბა დაეხატა შექსპირს რომეოსა და ჯულიეტას სასიყვარულო ურთიერთობა მათი ქორწინების მეოცე წელს ყველაფერი რომ ნორმალურად განვითარებულიყო? ეს იქნებოდა მთქნარებისმომგვრელი, მოსაწყენი ამბავი.

— რატომ გავიწყდება, რომ მე ახლა ოცდაერთი წლისა ვარ და ჩემს და ჩემს გონებას ფიქრიც არ შეუძლია იმ სასიყვარულო სიბრძნეზე, რითაც შენ ასე გულმოდგინედ მაშინებ.

— ვიცი, მესმის, მაგრამ ცოტათი ხომ უნდა დამიჯერო.

— და რა გავაკეთო?

— უნდა შეუშვა თავში იმის ფიქრი, რომ ყველაფერსა აქვს დასაწყისი და დასასრული.

— ვთქვათ დავიჯერე. ამით რა შეიცვლება?

— არაფერი... საერთოდ... გეცოდინება...

— მე რომ დავიჯერებ, სიყვარული თანდათან ნელდება და ქრება მეთქი, ხომ იცი, იმ წუთიდან ცოტათი უფრო ნაკლებად მეყვარები. შენ ეს გინდა?

— არა. აი, მე მჯერა, მაგრამ ამის გამო „ცოტათი უფრო ნაკლებად“ არ მიყვარხარ.

— გახსოვს? შენ ერთხელ მითხარი; სიყვარული თანდაყოლილი თვისებაო, სიყვარულის ნიჭი ყველას არ დაყვებაო. ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავიდანვეა განწირული უსიყვარულობისთვისო. მართლა ასეა?

— კი.

— მერე მე ხომ ბედნიერ უმცირესობათა შორის ვარ. მიყვარხარ და რატომ გინდათ შენ, მამაჩემს, დედაჩემს — ყველას ვინც ჩემს ირგვლივ ტრიალებთ, დამიპატარავოთ, გამიქარწყლოთ, პრაქტიკული სისულელეებით დამინაგვიანოთ ეს წარმოუდგენელი ბედნიერება — სიყვარული?

— ამის გაქარწყლებას ვერავინ შეძლებს. ჩვენ უბრალოდ გვინდა გაგახსენოთ, რომ სიყვარულის გარდა არსებობს, იქნება არც ისე მთავარი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რამ — ცხოვრება.

— განა სიყვარული ცხოვრება არ არის?

— სიყვარული რაღაც უფრო მეტია. უფრო სწორად ცხოვრება სიყვარულის გარდა ისეთ წვრილმანებსაც მოიცავს, როგორიცაა „სასურსათო პროგრამა“ და ლატარიის ბილეთი.

— მაგით რა გინდოდა გეთქვა?

— რაც მინდოდა, უკვე ვთქვი.

ნანამ დაამთქნარა და კედლისკენ შეტრიალდა. სანდრო ზურგზე მიეკრო. ქალიშვილის ტანი სასიამოვნოდ გრილი იყო.

— ნუ მიბრაზდები, თუ ჩემი სიცოცხლე ხარ. შენთან ყოველი შეხვედრის დროს ის ფიქრი მიღრღნიდა ტვინს, რომ არ მჭონდა შენს ცხოვრებაში ასე ღრმად ჩარევის უფლება.

— სიყვარული და უფლება ერთმანეთს ხომ იცი, ვერ ეწყობიან.

— ეგ მართალია, მაგრამ შენ ისეთი ანგელოზი ხარ, ასე მგონია, მარტო შენს წინაშე კი არა, მთელი ქვეყნის წინაშე ვარ მეთქი დამნაშავე.

ნანა გადმობრუნდა, ორივე ყურში ჩააფრინდა სანდროს და სახეში ჩასძახა:

— გეხვეწები, შეწყვიტა ეგ ლაპარაკი!

სანდრომ გაიცინა:

— ასე მგონია სანდრო კი არა, უცხო ვიღაც ხარ, გაზეთის მოწინავედან გადმოსული და მამაჩემის დარიგებული.

— ცოტა ასეც არის, მამაშენთან საუბრის შემდეგ, რაღაც ჩაწყდა ჩემს გულში, რომ იცოდე.

— შეგიძლია, სანდრო ერთი რამ შემისრულო?

— ჰო.

— ახლა მე ჩავიცვამ და ძალიან გთხოვ, სანამ წავიდოდე, არც ერთი სიტყვა არ მითხრა. არცერთი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაბრუნდი და ჩემსკენ არ გამოიხედო. ახლა შენი ხმა რომ კიდევ გავიგონო, ყელის ძარღვს გადავიჭრი. ერთი დღისთვის ძალიან ბევრია. წავალ ახლა მე და ვიფიქრებ. არ შეგეშინდეს, სისულელეს არ ჩავიდენ. ხვალ, თორმეტ საათზე, დაგირეკავ და ყველაფერს გეტყვი.

ნანა აუტანლად დიდხანს იცვამდა სანდროს მისკენ არ გაუხედავს. როცა კარმა გაიჭრიალა, წამოხტა.

კარებში გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ლიფტი რომ ამოვიდა, ნანამ ხელი დაუქნია და ლიფტში გაუჩინარდა. სანდრომ ფანჯარა გამოაღო და ქუჩას დააჩერდა. ორ წუთში ნანა სადარბაზოდან გამოვიდოდა, ხელს დაუქნევდა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდოდა. ნანას მაღლა არ ამოუხედავს, თავჩაქინდრული მიიჩქაროდა გაჩერებისკენ.

სანდრო შემობრუნდა, ხალათზე ჯამარი შემოიჭირა და სარკეში ჩაიხედა.

თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

მინაწერი: ამ ნოველას ფინალი არ აქვს.

დამერწმუნეთ, თვითონაც არ ვიცი რა იქნება ხვალ. რა გზას დაადგება ნანა, ან ინანებს თუ არა სამუდამოდ იმდღევანდელ საუბარს სანდრო.

გითხრათ სიმართლე, ცხოვრების ორომტრიალის შემყურე, მეც დავიბენი. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ აჯობებს ამ ორი ადამიანის სიყვარულის ხვალინდელი დღის გათენება ამ დაულაგებელ ცისქვეშეთში?

ჰოდა, როგორც თქვენ გაგეხარდებათ, ისე იყოს.

მე რომ ამ თავსატეხის ამოხსნა შემეძლოს, თქვენზე უკეთესს ვის ვეტყოდი.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

— გოგო, ადამიანურად გავლა არ შეგიძლია შეენ?

— რა იყო ბაბუა?

— აბა, თექვსმეტი წლის გოგოს ასე ბრიგინ-ბრიგინით სიარული გამიგონია?

— მეჩქარება, ბაბუა, ოთხზე სკოლაში უნდა ვიყო.

— რა გინდა ოთხზე სკოლაში?

— შეხვედრა გვაქვს.

— სულ რავა გეჩქარება. შეხვედრა გუშინ არ გქონდათ?

— გუშინ რეპეტიცია გვქონდა, ბაბულია.

— ციალა!

— რა იყო?

— ნელა იარე, შე გადარეულო, ამოვაგჯა გული. ნუ გეშინია, არ გაგექცევათ შეხვედრა არსად.

ციალა შეჩერდა, ჩანთა მარცხენა ხელში გადმოიტანა, ცვლილ[illegible]ტოს ჩაბრუნებული საყელო ნიკაპთან ამოაცოცა, ქუსქუსით მომავალ ბაბუას გამოხედა და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მისი ასაკის გოგონებმა იციან წყენის გამოხატვა; მუხლებში ორჯერ ოდნავ ჩაიკეცა და გაიმართა.

თებერვალი იწურება.

ზამთარმა კუდი მოიქნია და მესამე დღეა ჰყინავს.

თვის დასაწყისში მოულოდნელად დათბა. თოვლი სწრაფად გაადნო და ღობისძირებსღა შეატოვა ზამთრის მოგონებად. გოჭოურას უასფალტო შესახვევებში თოვლ-ჭყაპი გამეფდა. გუბეები და სარდაფები წყლით აივსო. ფეხით მოსიარულეთათვის ყველაზე უსიამოვნო დღეები დადგა და აი, ამ ბოლო დროს, ყინვამ მოუჭირა. გუბეებს თხელი გამჭვირვალე აპკი გადაკრა, მაგრამ ყინულის სქელ ფენად ვერ აქცია. ფეხის დადგმისთანავე ყინული

იბზარება და წყლით იფარება. მანქანებითა და კარტეტებით დახაზული მიწა გააქვავა და, მართალია, ტალახით მოსცრის საშიშროება აღარ არის, მაგრამ დიდი სიფრთხილე გმართებს, ფეხი არ დაგიცდეს და ყინულს შენი სხეულის ნაწილები არ დაახატო.

დიდი სამამულო ომის ვეტერანი ეპიფანე ლომსაძე თავის „გადარეულ“ შვილიშვილს ფეხდაფეხ მიჰყვება და ისე ტუქსავს, რომ სხვა გამვლელებმა ვერაფერი შეამჩნიონ, ხოლო ციალა ზოგჯერ შეჩერდეს, მუხლები შეატოკოს და ბაბუას იძულებულის სახით დაელოდოს.

ეპიფანე ნაბიჯს არ უჩქარებს, თავმოყინულ გუბეს შემოუვლის, მოლიპულ მიწას ფეხით მოსინჯავს; ხომ არ სრიალებსო, და მიუხედავად ციალას ბუზღუნისა, დინჯად, ძძიმედ მაბიჯებს. მისი ასაკის კაცებს აღარ შეჰფერით („აღარ შეჰფერით“, იქნებ მთლად ზუსტი გამოთქმა არ იყოს) ლაღი და გაბედული სიარული, როცა შენი მუხლების იმედი გაქვს და თუ წაიქცევი, არც ამით დაგიშავდება რაიმე.

ეზოებში ნაზამთრი მამლები ძიძგილაობენ, ღობესმომდგარი იხვები ფრთებს აბათქუნებენ და ნაცრისფერ ცას შეჩერებული, უსაქმობით დაღლილი ძაღლები ამთქნარებენ.

— ცხონებულმა ბებიაშენმაც მაგნაირი, მეეელესავით სიარული იცოდა, მისგან გამოგაყვა შენც. გამიგონია ქალის ამხელა ნაბიჯებით სიარული, ბაბუკა?

— რა ვქნა აბა, როცა მეჩქარება ასე ვიარო ასე? — ციალა ფეხის წვერებზე იწევა და გავის თამაშით ზანტად მიიწმაწნება, ჩანთას საკარცხულივით მიიქნევს.

— წესიერად გაიარე, გოგო. ნუ მაიმუნობ, თვარა გამომრჩები კაი წკნელს კოჭებში! — წყრება ეპიფანე.

— რა ვქნა აბა, ბაბულია. მეჩქარება, იცი რას ჰქვია „მეჩქარება“?

— თუ გეჩქარებოდა, დავეტოვებ სახლში. არ მჭირდებოდა შენი [illegible] რობა. რავარცხა იყო, მოვიტანდ[illegible] ხორცს ნელა, უშენოდ.

— ა, შენ არ მითხარი, წამოდი დაღლილი ვარ, მეშინია, გული არ შემიწუხდესო?

— არა ხარ კაი გოგო, ბაბუა, არა. ასეა ეს. წადმართიანად არ მიეხმარება კაცს არაფერში.

ამ ლაპარაკით ჩავიდნენ ეზოში. ციალამ ჩანთა სამზადში შეაგდო და კიბე ორი ნახტომით აირბინა, ვიოლინო გამოარბენინა და ჭიშკრისკენ გაიქცა. ეპიფანემ თვალი გააყოლა, ხელი ჩაიქნია და ბლის ქვეშ, ლურჯადშედებილ ძელსკამზე დაეშვა.

სამზადიდან წინსაფრიანმა რძალმა გამოხედა, იხვებს როფოში ღერღილის ნარეცხი ჩაუსხა და ეპიფანეს შეეხმიანა.

— გეიქცა ეს თხაბელა? ხვარ გიჩხუბიათ კიდევ?

— არა, ბატონო, არა. რა ქნას მაგანაც. ეჩქარებოდა და დამაწყვიტა მუხლები. შეხვედრა ჰქონიათ დღესაც, — ეპიფანეს მუხლებზე ხელები ეწყო და შორს უქმერიონის თავზე წამოჭიმულ, შავთეთრად დაღარული ხვამლის მთას შეჰყურებდა.

მეხუთე თვე დაიწყო, რაც გოჭოურაში სერგეი ლაზოს ქუჩაზე, აბანოს გვერდით, ომის ვეტერანთა მაღაზია გახსნეს. მაღაზია უნივერსალური გახლავთ; ეს იმას ნიშნავს, რომ სურსათიც იყიდება და სამრეწველო საქონელიც. ამ კეთილშობილურ დაწესებულებას კარგად ამარაგებენ და ამიტომ, შესასვლელთან, ყოველთვის ხალხმრავლობაა. შესასვლელთან მეთქი იმტომ მოგახსენებთ, რომ კარებთან ისინიც იკრიბებიან, ომში მონაწილეობა რომ არ მიუღიათ, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ ისარგებლონ ვეტერანთათვის განკუთვნილი ამ სიკეთით. მაღაზიაში შესვლა, რაღა თქმა უნდა, ვეტერანთა წიგნაკებითაა, თანაც ომის მო-

ნაწილემ პირადად უნდა წარმოადგინოს საბუთი. მოგეხსენებთან, ვეტერანის მოწმობის სხვაზე გადაცემა არ შეიძლება. კარებში მდგარი, წითელსამკლაურიანი მორიგე-ვეტერანი მკაცრად იცავს დადგენილ წესს და, მიუხედავად ზოგი ენაჭარტალა მოქალაქის პროტესტისა („შეგვიშვი ჩვენც, რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, ჭამა ერთნაირად უნდა ვეტერანსაც და წვევამდელსაც...“), დახლთან მომხმარებლად ყოველთვის ჩვენი სახელოვანი, ტყვიის წვიმასა და ქარცეცხლში გამოვლილი მოხუცები დგანან.

ზის თავის მამაპაპეულ ეზოში ეპიფანე ლომსაძე და, რა დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ლაფაროში, უნაბის გასწვრივ, განმარტოებით მდგარ თეთრთავა ინდაურზე ფიქრობს. იმ ინდაურმა დილით უეცრად მოიწყინა. წყალში ჩამბალ შავ პუოს ერთი-ორჯერ უხალისოდ ჩაჰკრა ნისკარტი, მერე გაწზე გადგა და ყრიანულ-ალიაქოთით როფოს მისეულ ინდაურებს და ქათმებს მიაჩერდა. ეპიფანეს რძალმა, ნანულომ სკაფა ხელით დაეპურებინა უქეიფოდ მყოფი ინდაური, მაგრამ განგისპირას გაჩენილი ფრინველი, გაჯიუტდა. თავს ისე მოხერხებულად იძვრენდა ნანულის თითებიდან, რომ ქალმა მხოლოდ ორიოდე მსხვილი ლუკმის ჩატენვაღა მოახერხა ინდაურის მოჩვარულ ნისკარტ-ჩიჩახვში. ხელი რომ გაუშვეს, ერთი-ორჯერ უკმაყოფილოდ ჩაიკრახუნა, აქაოდა, რა დამამცირებელი მეთოდით მასაუზმესო. მსხალსა და ლაფაროს შუა გაირბ-გამორიბინა, მერე ბუმბული აიბურდა და თავის გემოზე სვენებ-სვენებით დაილაგა. ახლა ისევ ლაფაროში დგას. აშკარად ეტყობა უგუნებობა, თვალს დახუჭავს, ფრთებს ჩამოყრის და თვლემამორეული წაბორძიკდება. ფეხს წადგამს, კისერს წაიგრძელებს და, თითქოს, რა მოხდაო, ირგვლივ მიმოიხედავს. მერე ისევ უპატარავდება კისერი, კვლავ ელულება თვალები და, რაც ყველაზე უსიამოვნოა, ფრთებ-ნელ-ნელა უცურდება მობუზულ ...

ეპიფანეს შესცივდა, ხელები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა, თითის წვერები პირთან მიიტანა და დაიორთქლა. რეზინის მაღალყელიან ჩექმებში თითები ათამაშა და ქუსლები ერთმანეთს მიარტყა. ერთხანს შუბლსა და დაფანჩულ, თეთრ წარბებზე ისვა ხელი, მერე ძველთაძველ, ზევითშეკერილ დაბამბულ ქუდს ნასკვი გაუხსნა და ყურებზე ჩამოიწია. ნაცრისფერი, ოთხად გაკეცილ-დაუთოვებული ცხვირსახოცი ამოიღო, გულმოდგინედ გაშალა, დაფერთხა, ჯერ სიცივისგან ცრემლ-ჩამდგარ თვალებში ამოისვა, და მერე ისეთი ხმაურით მოიწმინდა ბადრიჯანისმსგავსი, ვეებერთელა ცხვირი, რომ ცალ ფეხზე მდგარი ავადმყოფი ინდაური შეკრთა და ორი ნაბიჯი უკან გადგა.

დაიღალა ეპიფანე. დღეს მეორედ მოუწია სერგეი ლაზოს ქუჩაზე გასვლამ. დილით ნამგალაძის სიდედრმა წაიყვანა, იქნებ ყველი გამომტანინოთ, ეპიფანე ბატონო, თქვენი მაღაზიიდან, გრამი ყველი არ მაქვს სახლშიო. უარს ხომ არ ეტყოდა. გაყვა. ორმანეთიანი ყველი იყო, არა უშავდა, კილონახევარი თავისთვისაც აიღო. იცოდა, სამ საათზე ისევ მოუწევდა წასვლა. ხორცს შესვენების მერე მივიღებთო. სკოლიდან მოვარღნილი ცოლა აიმგზავრა და ძლივს მიუსწრეს ხორცს. ადრე მოეტანათ და კიდეც გაყიდულიყო. ეპიფანეს რომ არ ემარჯვა და მაღაზიის კარებთან მორიალეთა ცრურიგი არ გაერღვია, აღარაფერი შეხვდებოდათ. დღეს დეკეულის ხორცი მოეტანათ და ვეტერანები კვირის მარაგსაც ყიდულობდნენ. მაღაზია ხორცს, მართალია, ყოველდღე იღებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ასეთი, მაღალი ხარისხის ხორცი ამ კვირაში აღარც მოეტანათ.

— კაი გამარჯობა, ეპიფანე ბიძია:

— რომელი ხარ? — ვეტერანმა თავი ასწია, ჭიშკარსმომდგარ სტუმარს გახედა. ხმა ეცნაურა, მაგრამ ცნობით ვერ იცნო.

— ტუხუ ვარ, ტუხუ!

— ტუხუ?

— გუბელაძე. ვერ მიცანი. ხვარ დაგვიბერდი, ეპიფანე ბიძია?

— არც უმაგისობაა. შემოდი ეზოში, ტუხუია. რავა უცხოსავით ირჯები, ბიჭო, შენ!

ტუხუ კალისტრატე გუბელაძის ბიჭია. საწყალ კალისტრატეს შარშან თიაქარი გაუმიზეზდა. ინფექცია შეეჭრა და სისხლი მოეწამლა. ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ვეღარ უშველეს. ეს ერთი შვილი დარჩა. ტუხუ არაა გლახა ბიჭი. ფიზკულტურული დაამთავრა და საცურაო აუზის დირექტორად მუშაობს. სამი თუ ოთხი შვილი ჰყავს. ხელმოკლედ ცხოვრობს. რა ქნას აბა, გულითაც რომ უნდოდეს და შეეძლოს, რას მოიპარავს აუზში. ქუდი არ ახურავს. გრძელი, ლურჯი მოსასხამის ქვეშ ზურგსუკან დაუწყვია ხელები და შავ ულაშებში ღიმილმიკარგული ისე გულდაგული მოდის, გეგონებათ მასპინძელს რაღაც გულგასახარი საიდუმლო უნდა აუწყოსო.

— ხომ ხარ ძველებურად, ეპიფანე ბიძია?

— ძველებურად სადაა, მარა ვუძლებ ჯერჯერობით, — ეპიფანემ სტუმარს ხელი ჩამოართვა — დაბრძანდი.

— დასაბრძანებლად რომ მეცალოს, კაი შენ, ჩემო ბიძია.

— დეისვენე პატარა, მეითქვი სული. სულ რავა გარბიხართ, ბიჭო, რა ხალხი ხართ თქვენ.

— მაინც ნახევარს ვერ ვასწრებთ, ეპიფანე ბიძია. ა, საქმეებს შევრჩი. იქეთური — აქეთური და სამსახურში კი არ წავსულვარ დღეს, — ამ ლაპარაკში ტუხუ მასპინძელს გვერდით მიუჯდა, წქნელი აიღო, შუაზე გატეხა, გრძელი ბოლო მოისროლა, მოკლე დაიტოვა და თითის წვერებზე ირტყამს.

— რას შობით მამაშენისას?

— მარტში სრულდება აგერ ა, ფორეზეში მეტ მარტს. რაღა დარჩა.

— თორმეტ მარტს იყო? მე რაღაცა იქით მახსოვდა?

— თორმეტში, ეპიფანე ბიძია. თორმეტში დევიქეცი დე დევიმხე კაცი. კალე რომ მყავდეს, რა მიჭირდა. ხომ ავად იყო, მარა მაინც რამხელა იმედი ყოფილა სახლში. ახლა მთლად მარტო ვარ.

— აბა რავა გინდა, ახლა მალე ბოვშები წამეგესწრებიან.

— სანამ მაგენი ჭკუას ჩახვდებიან, მე ჩემი მომიხვა.

— შენ მასე გგონია. ხელათ გადის დრო.

— რავაა წესი, კი არ ვიცი. ზუსტად იმ დღეს უნდა გავაკეთო წლისთავი?

— რა დღე უწევს?

— ოთხშაბათია, მგონი.

— შეგიძლია გადაწიო შაბათამდე. სამი დღე იქით, აქეთ, არა აქვს მნიშვნელობა. ისე, ცა და ქვეყანას ნუ მეედება. პატარა წლისთავი გაკეთე.

— ხარჯი ხარჯია, ეპიფანე ბიძია. მეზობლებს და ახლობლებს ხომ უნდა დაგიმახოთყენ, მარტო აქ გროვდება სამოც კაცამდე. რა ვქნა ახლა, თავს ვერ შევიჩცხენ. როგორც წესია, ისე უნდა გავაკეთო. მეტს აღარაფერს მომთხოვს მამაჩემი.

— შენც მართალი ხარ.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

— ეპიფანე ბიძია, — სტუმარმა ცაში გაბარჯღულ კორკიმელს ააყოლა თვალი, — ერთ სიკვდილს ვთავვებ, რომ გაწუხება, მარა სხვა გზა არ მაქვს და უნდა მიშველო.

— ჰო, — ეპიფანემ ქუდი იმ მხრიდან აიწია, რა მხრიდანაც გუბელაძე იჯდა.

— რაცხა შარვალივით იყიდება, თურმე, თქვენს მაღაზიაში, შემჭამა ჩემმა გოგომ.

ვეტერანს გაეცინა.

რევაზ მიქველაძე
ნოველები

— მაგაზე გუშინწინ მე და ჩემმა შვილიშვილმა რაღმე დავხოცეთ ერთმანეთი. დამიეინა; შარვალი იყიდება, არიქა, არ დათავდესო. გავვარდით. რა შარვალი, რისი შარვალი, გალიფეი ოფიცრის, ჩემი ბატონო. სტაცა ციალამ ხელი; ესაა, ამაზე გეუბნებოდიო. რაა, გოგო, მე ვუთხარი, არ ამწონ ახლა ჭკუიდანშეკვა, ამას ჩეიცვამ ქალიშვილი ქალი, სამხედროს გალიფე შარვალს შენ თქვა? თავი მეიკლა. ესაა ახლა მოდაში, ვიცი მეო. — რაკი ესაა მოდაში, ამით ჩემ ეზოში ვერ გეივლი შენმეთქი. თუ ასე ძალიან გინდა, გიყიდი და გადაშენდი სახლიდან, ჩემმა თვალმა არ დაგინახოს, ჩემს ბარობაზეთქვა. დავაშინე ვითომ, ჩემი ჭკუით. ახლანდელ ბოვშებს შენ გადაათქმევინებ რამეს? შამეეხვია ყელზე, ჩემი ბაბულია, ჩემი სიცოცხლე, თუ არ მიყიდი, თავს მეეიკლავ ახლავეო. ვუყიდე, რა მექნა? სად ჩეიცვამ, გოგო, ამას, მე ვუთხარი, სადაც ჩევიცვამ მე ვიცი. ქე უკიდია სახლში, იმას ჩაიცვამს დედამისი? მეტი არ იქნა ჩემი მტერი.

— მაგ დღეში ვარ მეც, — დაიჩივლა ტუხუმ.

— კი ბატონო, წაყოლაზე რავა გეტყვი უარს, მარა ვარგა ასე?

— რაი?

— მივუშვათ, ასე, ბოვშები თავის ნებაზე?

ტუხუს არაფერი უთქვამს, წამოდგა და წელში გაიზნქა.

— მომკლა ამ წელმა, ამ უპატრონომ, დამტანჯა კაცი.

— იშიაზი გეენება.

— იშიაზი რომ მქონდეს, რა მიჭირს, მალის ამოვარდნილობა მაქვს.

— რამ ამოგიგდო, ბიჭო, მალა?

— რა ვიცი, ეშმაკი. ფარცხანაყანებში სვამსო, ვიღაც ექიმბაში, სინაურიძე ყოფილა. მიხვალ და ჩაგიჯენსო ხელად.

— მერე?

— მეეიცალე მისასვლელად?

— გესმის?! — სამზადი სახლის კარებს გასძახა ეპიფანემ.

კარებში ნანული გამოჩნდა.

— ტუხუს ჩავყვები მაღაზიაში ერთი წამას და მოვბრუნდები. ეს ინდოური ვერაა კარგად. საღამოსაც თუ არაფერი ჭამა, დანა და ბინი ჯანი.

— ჭირი თუ დაგვეცა, ის თქვი შენ, — ნანულიმ თავსაფარი ლოყებქვეშ შეიკეცა.

— ჩაყობოდა რაღაცა. ჭირი სადაა ამ ზამთარში, — ტუხუ გაეპასუხა.

ჭიშკარი გაიკეტეს და გზაზე რომ გავიდნენ, ტუხუმ ჰკითხა:

— წოგნაკი ხომ წამოიღე, ეპიფანე ბიძია?

— აპა, აპა, ისე ვინ შემიშვებს. ჯიბეში მიდევს სულ.

ექვსს აღარაფერი აკლდა, რომ დაბრუნდნენ.

ყინვა ძვალ-რბილში ატანდა და ცის დასავალს ნარინჯისფერი დასდებოდა.

— ქარი იქნება ხვალ. — ეპიფანემ ჭიშკარს ხელი შეუყო და ურდული გადაატრიალა.

— ქარი გვაკლდა, — ყრუდ ჩაილაპარაკა ტუხუმ და გაზეთში გახვეული გალიფე შარვალი იღლიაში ამოიჩარა.

— შემოდი ცოტა ხანს, წევივაბშმოთ პატარა, — გაეიმერულა მასპინძელი.

— შენ არ მომიკვდე, დასაჯდომად არ მეცალოს. ქუჩაში მიცდის ჩემი სულელი გოგო, ვიცი მე. რავა შეგაწუხე, რავა დაგღალე, ეპიფანე ბიძია, აბხელა გზაზე. შენ შემოგევლოს ჩემი თავი, — ტუხუ ჭიშკარს მოშორდა.

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ. აბა, მეყოლე კარგად.

— დიდი მადლობა, გადამეხადოს, ეპიფანე ბიძია, — სახლისკენ წასულს დაადევნა სტუმარმა და ჩქარა გაანიჯა.

ის იყო ივაზშმა და სამზადში ტახტზეწამოწოლილს წასთვლიმა, რომ ეზოში ლაპარაკი მოესმა და მიაყურადა.

გარეთ ბნელოდა.

— ახლა მობრუნდა. მეტი ხანი არ არი. დაღლილია, მე ვერ ვეტყვი, შენნ ჭირიმე — ნანულის ხმა იყო.

— არ გამომჭრა ყელი, თავი მომეჭრება, — იხვეწებოდა სტუმარი.

— ა, ბატონო, მაგერ წევს და შენ უთხარი, — წყენა გაერია ხმაში რძალს, მაგრამ ჯიუტმა სტუმარმა, როგორც ჩანს, არ დაიშალა და მოხუცს თავზე წაადგა.

— ეპიფანე ბიძია, ოღონდ ახლა მიშველე და შენხელა სანთელს დაგინთებ, ხაკოიის სულს ვფიცავარ.

გაუკვირდა, ხმაზე როგორ ვერ ვიცანო, ზაურ რევიშვილი, წყალსადენის მორიგე. ახლახანს ჩამოსახლდა ამ ქუჩაზე. დომენტი კვირკველიას ნახევარი სახლი აყიდა ჭასთან. ღორღოცა ხმა აქვს. ხმამაღალი ლაპარაკი იცის და ენასაც უკიდებს ოდნავშესამჩნევად.

— რა იყო, ბიჭო?

— სტუმრები დამეცნენ მოულოდნელად. ოთხი კაცი, რა ქვას ვეცე არ ვიცი. მაგენის ყბიდან ვერ ამოვალ.

— ახლა მევედი, ციალას გეფიცები, ჩამომწყდარი ვარ ფეხზე. რაღაცა გულიც ვერ მაქვს კარგად, — ეპიფანე ტახტზე წამოჯდა და მუხლებზე ხელი ჩამოისვა.

— კაი, ეპიფანე ბიძია, სხვას ვეწევი რაღაცას. ვიცი, შენ ფეხზე რომ იყო, უარს არ მეტყოდი, — ზაურის ხმაში სასოწარკვეთა გაერია, კარებისკენ წავიდა და შემობრუნდა — მე რომ მათხოვო, მოწმობაა თუ რაღაცა, ეპიფანე ბიძია?

— არ შეგიშვებენ შენ, ბატონო, არა, — ყრუდ ჩაილაპარაკა ეპიფანემ — წამოდგა და ღრმად ამოისუნთქა.

— სადაა, გოგო, ქუდი?

— აგერ, ბატონო, — ნანულიმ ქუდი მიაჩეჩა.

— კი მარა. თუ ავად ხარ.. თუ დაღლილი ხარ... ეს რა მომივიდა... რაღა ჩემდა ჭირად, ახლა მევიდნენ მაინცდამაინც... ეპიფანე ბიძია... დარჩი თუ არ შეგიძლია, შენი ჭირიმე — ალუღლუღდა სტუმარი.

— წამოდი, ბატონო, წამოდი. ვივლი რავარცხა იქნება. თუ მივუსწარით, რომელია შენთან?

— შვიდი სრულდებოდა, სახლიდან რომ გამოვედი.

— მივუსწრებთ, მე მგონია, ოვალე ქეტავენ. გესმის? — ეპიფანე ნანულის მიუბრუნდა, — მე თუ დამაგვიანდეს, ბოგშს გოუდექი. ჩამოსახვევთან დახვდი. არ შეაშინოს ვინმემ. რა შეხვედრები ოუტყდათ ამ სიცივეში. რა ქნა ინდაურმა?

— შეეცოცხლდა პატარა. ვუყუროთ დილამდე, რას იზამს.

— ჭამა?

— ცოტა წეიციეკქნა.

— არ გვეზარალოს...

— შენი ჭირი წოუღია — რძალმა სკვირიდან ხელთათმანები ამოიღო და გაუწოდა, — გაიკეთე მამა, თუ გიყვარდე, ჭყინავს.

— ვერ ვგუობ მაგ ოხერს, თვარა კაი შენ, — ზაურს შეხედა, — თურმე ახალგაზრდობაში რაცაა კაცი, ის დანარჩენა ბოლომდე; ხელთათმანებს ვერც ახალგაზრდობაში ვგუობდი. სტალინგრადთან რომ ვიბრძოდიდი, ოც გრადუს ყინვაში დახეთქილი მქონდა თითები, მარა ხელთათმანი არ მიხმარია. აბა, წევედით.

ჭიშკარს რომ გასცდნენ, მარჯვნივ, შუკაში რწევით მომავალი კაცი შენიშნეს, მოსახვევიდან გამოსულმა მანქანამ რომ მიანათა, ვეტერანმა ერთი გახედა, ნაბიჯს აუჩქარა და სალდაბის გარაჟს ამოეფარა. ზაური მიჰყვა.

— რა იყო, ეპიფანე ბიძია? — ჩურჩულით ჰკითხა.

— ის პარმენი არ იყო, სანდუხაძე?

— მე მგონი, 'რავა?

— არაფერი. მივდგეთ აგერ ერთწამას, ჩეიაროს. არ მინდა შევხვდე.

— ხვარაფერი გაწყენინა?

— რავა' გეკადრება. მაწყინარი კაცია სალდაძე? მაგნაირი ტკბილი ბიჭი ამ მოსახვევში არ მეგულება, მარა რა იყო იცი? ამ ერთი თვის წინ ოცი მანეთი ისესხა ჩემგან. არ დარჩა ხელზე, ალბათ, თვარა აქამდე მომიტანდა. არ მინდა ახლა პირისპირ შევხვდე. დეიმორცხვებს. საერთოდ, ეს იცოდე, ჩე-

მო ზაურო, თუ კაცს შენი ვალი აქვს, ხშირად არ უნდა შეეჩხირო თვალში, თორემ შეძულდები. ასე იცის ვალმა.

სალდაძემ ღიღინით ჩაიარა. გარაჟსმიმალულებს არც კი გამოხედა, ეტყობოდა, შეზარხოშებული გახლდათ.

სალდაძე რომ თავის ჩიხში მიიმალა, მეზობლები საფარიდან გამოვიდნენ და გზა განაგრძეს.

— აღარ მოგვეშვება, აწი ეს ზამთარი? — ეპიფანეს ჯიბიდან ხელები ამოიღო და დაიორთქლა.

— ჩვენ რა გვეშორს, იქით ყოფილა გლახათ საქმე. ბათუმში რვა გრადუსი ყინვააო, რადიო ლაპარაკობდა ამ დილით.

— აუჰ, — შეიცხადა ვეტერანმა, — აბა დაახრჩობს ციტრუსებს, ხომ? რვა გრადუსს, ბათუმში ეხუმრები?

— თუ ქარი არ იქნა, შეიძლება ვერ დაახნინოს. თუ ქარი დაერთო, მეყოლე კარგად.

სერგეი ლაზოს ქუჩაზე რომ გავიდნენ, ლამპიონები გამოირთო. შეჩერდნენ.

რევიშვილმა უქმერიონს ახედა და ჩაილაპარაკა:

— აქეთ, გამოღმა ჩააქვრეს, ხიდს გაღმა ქე ანთია.

— რაშია აწი საქმე?

— სულ ვიძახი, ასე ღამით გამოსვლისას ფარანს ჩვენდან ჯიბეშითქვა, მარა არ დამიყენეს ბოეშებმა, ვერ დავმალე ვერსად. „ფუკის“ ხმა მეზარება და ამასწინათ გრძელი, კაი ფანარი ვიყიდე, ვერ მივაგენი. წეიღეს ალბათ და ან დაკარგეს, ან ჩაუქეს ვიღაცას.

მთვარის შუქზე თავმოყინული გუბეები ლამაზად ჩანდა. სინთლის ჩაქრობასთან ერთად ქუჩაში არარეულებრივმა სიჩუმემ დაისადგურა. აქა-იქ ფანჯრებში მკრთალი ცალი დაჩნდა, მაგნიტოფონ-ტელევიზორთა ხმაურისგანაც დაისვენა ყურებმა.

მაღაზიამდე ბევრი აღარაფერი დარჩენოდათ, დენი რომ ჩართეს. ღამის ქალაქი ერთბაშად გაცოცხლდა, დაიძრა, ახმაურდა, თვალში გამოიხედა.

 კარებთან მდგარ, წითელსამკლაურიან მორიგეს ეპიფანემ მოწმობა გაუწოდა და რევიშვილზე ანიშნა.

— ჩემთანაა.

— ვხედავ, ბატონო, — მორიგემ „ბატონოს“ რატომღაც ხაზი გაუსვა, მოწმობისთვის არც დაუხედავს, განზე გაიწია და მოსულნი გაატარა.

ხორცი აღარ იყო. „ბრინზას“ ტიპის ყველი იყიდეს: ხეზეს ბალახის კონსერვები და ბულგარული მწნილი. გამოსვლისას მორიგემ დიონჯი გაიკეთა და ეპიფანეს მწყარალად შეხედა.

— თქვენ სხვას უნდა არიგებდეთ „ტავარიშ პადპალკოვნიკ“, ნამუსიც კაი საქონელია.

— რა არის? — ვეტერანს ჯერ ეგონა მეხუმრებაო.

— რა არის და ნამუსიც კარგი საქონელია.

— მე მეუბნები? — ეპიფანეს სული შეეხუთა, გულმა დაქაჩა და რკინის მოაჯირს მიეყუდა.

— თქვენ გეუბნებით სწორედ, მეოთხეჯერ მოდიხართ დღეს. ამას ვიტყვი, სადაც საჭიროა.

— თქვი.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა, გარეთ რომ არ გამოსულიყო და ღრმად არ ჩაესუნთქა, ეგონა, გული გაუსკდებოდა.

სახლამდე ისე მოვიდნენ, ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ.

რევიშვილი ხვნეშოდა. უნდოდა როგორმე განემუხტა ეს დაძაბულობა, მაგრამ არ იცოდა, რითი დაეწყო. სიტყვებს ვერ პოულობდა. ჭიშკარს რომ მიადგნენ გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— სულ მინდოდა მეკითხა. ომში რავა იყო ჯანმრთელობის საქმე. სიტყვაზე, მაგალითად, თუ არ დაიჭრებოდი, ისე ხდებოდი კაცი ავად?

ეპიფანემ კარგა ხანს არ უპასუხია. ჭიშკარი გაღო, ეზოში შევიდა. გაშლილი ხელები მესრებს ჩასჭიდა და ჩუმათ თქვა:

— ომის დროს... რა ვიცი... ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდა ვიყავი. მაშინ ფიქრის დრო სად გვქონდა.

●

იმ ღამით ეპიფანე ცინცაძემ ვერ იქნა და ვერ დაიძინა.

გული დამძიმებოდა. ვალიდოლმა ენა გაუთეთრა, პირში მლაშე გემო დაუტოვა, გულზე დადებული ლოდი კი ვერა და ვერ მოიშორა.

საწოლზე წამოჯდა. მამლის პირველ ყივილს წამომჯდარი შეხვდა.

თავის ავადმყოფობაზე სიტყვა არა-სოდეს დაუძრავს და არც ახლა ბრალდებ-დოდა შვილ-რძლის შეწუხება.

როდის-როდის ფეხები რომ გაუთბა და გაუხეშებული ენა დაურბილდა, ძველი მახარა მოისხა, ნიფხავ-პერანგის ამარა მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო.

წერდა დიდხანს, სვენებ-სვენებით, იმაზე რაც აწუხებდა და რაც არ შეიძლებოდა მავანთა ყურადღების მიღმა დარჩენილიყო.

კ ი ა ზ ო

აგბომ, როგორც კი თვალი ჰკიდა კიბეზე აჩა-ბაჩად ჩამომავალ კიაზო თვალავაძეს, გველცემულივით შემოტრიალდა და დერეფანს ლამის სირბილით მამოუყვა. ანატომიის კაბინეტის კარს მიაწვა, მაგრამ, მისდაიღბლად, მაინცდამაინც ახლა აღმოჩნდა დაკეტილი კაბინეტის მუდამ მოღიავებული კარი. „ეტყობა ვერ დამინახა; გადავრჩი“, გაიფიქრა მან და ნაბიჯს აუჩქარა. სამასწავლებლოს ჩაუარა. იქ რომ შესულიყო, კიაზო სამასწავლებლოში უეჭველად მოძებნიდა. დერეფნის ბოლოში, ცეკვა-აკრობატიკის დარბაზის ღია კარში ტუცა თავი და კარიც მოიკეტა. ღრუბლის ხალიჩაზე სამი გოგონა მეცადინეობდა, სამიეს ე. წ. „შპაკატი“ გაეჭიმა და წინა, მარცხენა მუხლთან ლამაზი თავების მიტანაში ვარჯიშობდნენ. აგაბოს ერთი გამოხედეს, ამოიხვნეშეს და კვლავ თავიანთ სერიოზულ საქმიანობას დაუბრუნდნენ. მესამე კურსელები იყვნენ. ორ კვირაში ავტორიტეტიანი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე წარდგომა ელოდათ.

აგბომ იანგარიშა, სასწავლო ნაწილის გამგე უკვე ჩაივლიდაო და ის იყო, საფარიდან გამოსვლას აპირებდა, რომ კარს ვიღაც მოაწვა და ფანჯარასთან მირბენილ აგაბოს ავტომატის ჯერივით მიაყარა:

— აგაბო, აქ ხარ, კაცო? მოვკვდი შენი ძებნით.

— შენ ხარ? შემთხვევით შემოვიხედე... ცარცი გამითავდა... წვიმას აპირებს, — სიტყვებს ეძებდა ბავშვივით დაბნეული „მსხვერპლი“.

კიაზომ ხელი გამოსდო, დარბაზს გამოარიდა, დერეფანში გამოიყვანა და სწორედ იქ, სადაც ეროვნული ილუზიონის პიონერის — შაჰრუჭ დეისაძის ბიუსტი დგას, შეაჩერა და ჰკითხა:

— რა ჰქენი ჩემი კორკიმლის?

— ხომ გითხარი, გავაკეთებ, ჯერ ვერ მოვიცალე, — დამნაშავის ეერით განზე გაიხედა აგაბომ.

— ხომ იცი, საშენო საქმეა, — ცოტა არ იყოს, მოწყენილი, მაგრამ საქმიანი კილოთი უთხრა თვალავაძემ.

— ვიცი, მონიშნული მაქვს.

— მოპარვის ამბავი უნდა გაათამაშო, ხომ იცი, კარგად. დღე იყო, მაგრამ შენ შეგიძლია ღამე გადაიტანო მოქმედება. ხომ იცი, ასე შუადამეგადასულზე. მაგ დროსაა, ხომ იცი, საერთოდ ქურდობა.

— ვიცი. მოპარვას მოვუხერხებ რამეს.

— იქ შეგიძლია ძაღლიც გამოიყენო. ძაღლი საერთოდ არ ჰყავდა აგრაფინას, მაგრამ რა გენაღვლება, ვინ გამოწმებს. ვითომ შაქრის კვნიტა იპოვა ჯიბეში და ძაღლს გადაუგდო. ძაღლი, ხომ

იცი, ისე არ დაგანებებს თავს. ჩვენებური ძაღლი, ეზოს ძაღლს რომ ეძახიან, სახელს ქე მოუძებნი, შენ ეგ არ გაგიჭირდება.

— კი კაცო. ეგ იოლია.

— ახლა, ხომ იცი, ტალახია, ხომ იცი. მთავარია მთლად სუფთა ტალახი კი არ იყოს, საქონლის სკორეც. იყოს შიგ გარეული. წყალ-ჭოჭყოიანი ტალახი, კორკიმელი რომ ვეღარ ამოკრიბოს, ხომ იცი.

— კი, კი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ტალახს მშვენიერს დავხატავ — დაიმედა აგაბომ.

— აბა, ნუ გადადებ, ხომ იცი, შორს ამ საქმეს. ზედგამოჭრილი თემაა შენთვის.

— არა... არ გადავდებ... ახლა პატარა ხელი შემეშალა. სხვა საქმეები მომაწვა... მოვიცლი პატარას და ჩავუჯდები:

— აბა, ჰე, ხომ იცი, ოქრო მასალაა. ღმერთი შენკენ.

კიაზო სამასწავლებლოსკენ წავიდა, აგაბომ კი გულხელი დაიკრიფა და კედელს ზურგი მიეყრდნო.

გულხელდაკრეფილ აგაბო გეგუჩაძეს ეჩვენებოდა, რომ ამ წუთში მასზე უბედური ცოტა ვინმე თუ იყო ამოდენა დუნიაზე.

აღარ გავაწვალებ პატივცემულ, თითქმის უკვე ყველაფერს მიმხვდარ, მკითხველს და, ბარემ, ამთავითვე ვუამბობ, რაც ხდება მწერალთა კავშირის წევრ აგაბო გეგუჩაძის თავს.

აგაბო ორმოცსაგდაცილებული, ტანთხელი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, ფერჭამელებით სახედაისრული, მაჩვითი ჩუმი და ფუტკარივით მშრომელი კაცია. კრიტიკოსების ერთხმად აღიარებით, საშუალო მხატვრული დონის ნოველებს სწერს. ხოლო მკითხველი მასის აზრი ხშირად იყოფა: ერთნი თვლიან, რომ აგაბო გეგუჩაძე შესანიშნავ ნოველებს სწერს, მეორენი კი რადიკალურად საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამენ. კიდევ კარგი, აგაბოს ნაცნობთა შორის პირველნი ჭარბობენ, თორემ ჩვენს უპრეტენზიო ნოველისტს გული გაუტყდებოდა და, ვინ იცის, იქნებ წერაზეც აეღო ხელი. ამით, მსოფლიო ნოველისტიკის ისტორია ბევრს არაფერს დაკარგავდა, მაგრამ, ვერ დავმალავ, აგაბოს წვრილშვილს ეკონომიურად, როგორც იტყვიან, საგრძნობლად დაეტყობოდა.

მოკლედ, აგაბო ნოველების წერაში გაწაფული მწერალი გახლდათ. არც ჟურნალისტებს მოუკლავთ თავი შეკითხვების მიცემით (აგაბოს ერთადერთი ინტერვიუ ადგილობრივი სპორტული გაზეთის კორესპონდენტმა ჩამოართვა ამ ოთხი წლის წინათ. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, მეშვიდე ლიგაში მოთამაშე გუნდს — „ნათურას“ შეეხებოდა) და არც აგაბოს ახსოვს როდის და რატომ დაიწყო წერა. პირველი ნოველა პირველი ნოველის დაწერიდან ცხრა წლის თავზე გამოაქვეყნა. სახელის მოხვეჭის მერე შედარებით აეწყო საქმე. ჟურნალები წელიწადში თითო ნოველას უბეჭდავენ და ყოველ მეოთხე წელს გამომცემლობის გულკეთილ დირექტორს მისი თხზულებების წიგნი შეაქვს გეგმაში. განცხადებით აგაბო გეგუჩაძე ყოველ მეოთხე წელს თვრამეტ საავტორო თაბახს მოიითხოვს, იმის იმედით, რომ გამომცემლობა სამს ჩამოაკლებს და თხუთმეტზე დაიყვანს, მაგრამ რატომღაც გამომცემლობის მკაცრი მესვეურნი თორმეტ თაბახზე მაღლა არ უშვებენ აგაბოს. ლამის ოცი წელია მწერლობს. აგაბო გეგუჩაძე და იმდენს ვერ მიხვდა, რომ თუ თხუთმეტფორმიანი წიგნის გამოცემა გინდა, გამომცემლობას სულ ცოტა ოცდახუთი ფორმა მაინც უნდა მოსთხოვო. ათფორმიან წიგნში აგაბო ყოველ მეოთხე წელს ურიგო ჰონორარს როდი იღებს, მაგრამ არც იმდენს, ძვირფასო მკითხველო, სამსახურს თავი გაანებებ და პროფესიონალი მწერლის ფათერაკებით აღსავსე გზას დაადგებ. უხარისხო აგაბო გეგუჩაძე ცირკო-ქორეოგრაფი-

ულ სასწავლებელში ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსს კითხულობს.

წესად აქვს ნოველისტ გეგუჩაძეს, ახალ წიგნს რომ გამოსცემს, ოცდაათიოდე ცალს სასწავლებელში მიიტანს და ჩამოარიგებს — გულისამაყუჩებელი წარწერით დამშვენებულს. ხელმძღვანელობის გარდა, ღმერთო შეგცოდე, მეფეკრისონალიდან რამდენიმე ისეთ კაცსაც ერგება აგაბოს ავტოგრაფიანი წიგნი, ვინც წიგნების კითხვას თავ ჯერ კიდევ მეხუთე ხუთწლედის შუა წლებში გაანება. ისინი დიდი მადლობით ხვდებიან გეგუჩაძის საჩუქარს და მერე, უკეთეს შემთხვევაში, სამასწავლებლოს ფანჯრის რაფაზე რჩებათ წიგნი, ხოლო, უარეს შემთხვევაში — ტროლეიბუსში. აგაბო გეგუჩაძეს ამ საქციელზეც ეტყობა, რომ, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო კაცია. გულუბრყვილობაა აბა რა არის; ნოველისტს სჯერა რომ მისი ახალი წიგნის გამოსვლა ნაცნობ-მეგობართაგან ყველას უნდა გაუხარდეს, კიდევ მეტი — არა თუ უნდა გაუხარდეს, გეგუჩაძე ღრმადაა დარწმუნებული, რომ ავტოგრაფიან ნაჩუქარი წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს. შინაგანი კულტურის ამბავიაო, იტყვის ხოლმე. რატომ არ უნდა ესმოდეს ამ ხნის კაცს, რომ ადამიანთა გონება მილიონი უფრო სარფიანი საქმით არის დაკავებული, ვიდრე აგაბო გეგუჩაძის უპრეტენზიო ნოველების კითხვა გახლავთ.

ასე იყო თუ ისე, შარშანდლამდე მშვიდად მიეყვებოდა აგაბო თავისი წილი ცხოვრების გზას. შარშან, თვრამეტ ოქტომბერს (ზეგ წელი შესრულდება) ცირკო-ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ხალხური გართობა-თამაშობის დარგში, ყოფილი მოჭიდავე კიაზო თვალავაძე კიბეზე დაეწია და ახარა: ნოველისთვის ბრწყინვალე თემა უნდა მოგცე და ყურადღებით მომისმინეო.

ეზოში ჩავიდნენ, გადაბერებული თუთის ძირას, მორზე ჩამოჯდნენ. აგაბომ ფანქარი მოიმარჯვა და სმენად იქცა. კიაზო თვალავაძემ, რასაკვირველია, იცოდა რომ აგაბო მწერალი იყო (წინაადლდეგ შემთხვევაში სიუჟეტის „ჩუქების“ ახირებული სურვილი არ გაუჩნდებოდა, რ. მ.), მაგრამ წაკითხვით კი, სანაძლეოს ჩამოვალ, აგაბოს ხელიდან გამოსული არცერთი ნოველა არ წაეკითხა. მან სულმოუთქმელად, აღტაცებით უამბო გეგუჩაძეს ერთი სევდიანი ამბავი, რომელიც სიყმაწვილეში გადახდენოდა, აგაბოს მომავალი ნოველის თვალავაძისეული სიუჟეტი ასეთი გახლდათ: თვრამეტი წლის კიაზოს მეზობლის ქვრივ აგრაფენასთვის კორკიმელი მოეპარა. ნაქურდალით უბეგავსებული, სოფლის ორღობეში, ტალახში წაქცეულიყო და კორკიმელი დაბნეოდა. ამ ბოლო დეტალს ისეთი სიცილით ჰყვებოდა თვალებში ცრემლჩამდგარი კიაზო, რომ აგაბოსაც კინაღამ გაეცინა, მაგრამ ამბის მთელი სიღტაკე რომ წარმოიდგინა, გული შეეკუმშა და თვალებში სასოწარკვეთა ჩაუდგა.

— მდაა, — თქვა მან და ფანქარი კიტელის ჯიბეში ჩააცურა.

— ხომ კარგი თემაა? — აღტაცებით ჰკითხა კიაზომ.

— რა უჭირს, — გაწზე გაიხედა მწერალმა.

— შენი ფეშქაში იყოს. დაწერე. მე არაფერი მინდა, სადმე კუთხეში თუ მიაწერ, — „ვუძღვნი კიაზო თვალავაძესო“, ხომ კარგი, თუ არა და, არც მაგაზე დაგემდურები.

მაშინ აგაბოს არაფერი უთქვამს და მე მგონი, პირველი შეცდომა სწორედ აქ დაუშვა. გულუბრყვილო მწერალს ეგონა, დირექტორის მოადგილემ თავისი საქმე გააკეთა, მწერალს თემა მომაწოდა, რა ვუყოთ, რომ ნოველისთვის ყოვლად აუტანელი სიუჟეტია, კაცმა პატივი მცა მისი ჭკუით, მადლობის მეტი რა მეთქმისო. ხელისჩამორთმევით დაშორდნენ ერთმანეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგაბოს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ყოფილი მოჭიდავე ამ შემთხვევას აღარც კი გიიხსენებდა, მაგრამ ღრმად მოტყუვდა.

თემის ჩუქების მესამე დღეს აგაბო გეგუჩაძეს დირექტორის მოადგილის კაბინეტში უხმეს. სასწავლებლის თავისებურ ცხოვრებაში მწერალს, სხვადასხვა მიზეზის გამო, მაინცდამაინც აქტიურად არ რევდნენ და აგაბოს გაუკვირდა კიდეც ხალხური გართობა-თამაშობების დარგის შეფმა თავაზიანად რომ მიიღო, სკამი შესთავაზა და მდივან-გოგონასაც შეეხმიანა, ცოტა ხანს არავინ შემოუშვაო.

თვალავაძემ ხელის თითები ერთმანეთს შეაწება და ჭერს ახედა.

— შენ კორკიმელი ხომ იცი რა არის? — გრძელი მოსაწყენი პაუზის შემდეგ ჰკითხა.

— მეტი რა ვიცი, — თავი დახარა აგაბომ.

— გეცოდინება კი. ახლა ეფიქრობდი, ხომ იცი, ჩემთვის. ამ პატიოსანმა კაცმა, იქნებ, კორკიმელი არც კი იცის მეთქი.

— ქლიავის ბუშს ეძახიან. ქლიავზე უფრო წვრილია, მაგრამ უფრო ტკბილიც არის.

— ო, ო, — კვერი დაუკრა კიაზომ — აგაშენა ღმერთმა, გეცოდნა. ახლანდელმა ახალგაზრდებმა შეიძლება აღარც იცოდნენ. სადღაა ახლა კორკიმელი. კაი ხანია ბაზარშიც არ მომიკრავს თვალი.

— არის ხანდახან. გოდოგნიდან შემოაქვთ — გეგუჩაძე სასწავლებლის ხელმძღვანელთაგანს თვალს არ აშორებდა; რა უნდა, რაზე დამიძახაო.

— ახლა, მე რომ შემემთხვა ეს საქმე, ხომ იცი, მკითხველმა არ უნდა გაიგოს. გეგუჩაძე არ ჩაწერო შიგ.

— გაფრთხილება მინდა? მაგდენი არ მესმის მეე?

— ხომ იცი, ხალხი ჭორიკანაა. სხვაგან გადაიტანე მოქმედება, სხვა ქალაქში. თუ გინდა, ქალაქი ნურც იქნება. დაბა იყოს, რამე დასახლებასაც ვით.

— დაბაც შეიძლება.

— გვარი გაგოშიძე, ან გუგუციძე, რომელიც გაგეხარდება.

— მთლად ჩიბურდანიძეს ჩავწერ. ნეიტრალური გვარია.

— ო, ო, ყოჩაღ, აგაშენა ღმერთმა. ჩიბურდანიძე მშვენიერია. კიდევ რა მინდოდა მეთქვა? — კიაზომ კვლავ შეაწება თითები ერთმანეთს და ჭერს შეაცქერდა, — მე მგონია, მეტი არაფერი. თუ გამახსენდა მერე გეტყვი. აგერ არა ხარ?

აგაბო გეგუჩაძემ კარი გამოიხურა და დერეფანს მარჯვნივ გაუყვა, მაშინ, როცა მარჯვნივ არაფერი ესაქმებოდა, წესით მარცხნივ უნდა წასულიყო.

კვირა არ გასულა ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ დირექტორის მოადგილეს აგაბო არ მოეძებნა და „კორკიმელის“ ამბავი არ ეკითხა. ჯერ დაინტერესებოდა, დაიწყო თუ არა მწერალმა მის მიერ ნაჩუქარი თემით ნოველის წერა, მერე სიუჟეტის ცალკეული ფრაგმენტების განმარტებებს მოჰყვებოდა. ამბის ძირითად ჩონჩხს (კორკიმლის მოპარვა-ტალახი), რასაკვირველია, იგივეს სტოვებდა, მაგრამ ჩანართ ეპიზოდებში ბევრ რამეს ცვლდა. ისე იყო გატაცებული „შემოქმედებითი მუშაობით“ კიაზომ თვალავაძე, რომ ყველგან და ყოველთვის აგაბოს დაეძებდა. პედსაბჭოს სხდომის შემდეგ სალაპარაკოდ სტოვებდა, ზოგჯერ ლექციიდან გამოჰყავდა, საპარადო მსვლელობისას გვერდით დაიყენებდა და კორკიმელზე საუბარს გაუბამდა. ბოლო დღეებში აგაბო აბეზარი მესიუჟეტისგან დამალვას თითქმის ვეღარ ახერხებდა. იგი დამნაშავესავით ფეხაკრეფით, მოწყენილი დაადიოდა და თანდათან უფრო რწმუნდებოდა, რომ კიაზომ თვალავაძეს ყველა საკაცობრიო საზრუნავი გვერდზე გადაედო და აგაბოს შემოქმედებით ავტონომია-

ზე იერიშის მიტანის გარდა არაფერი აწუხებდა.

გუშინწინ, შაბათობაზე არ აპირებდა აგაბო წასვლას. ტანი უგრძნობდა, რომ კიაზოსთან უსიამოვნო საუბარი ელოდა, მაგრამ ამ წელს წინა ექვსი შაბათობა გააცდინა და ეშინოდა, ვერ გამიგებენო.

მეშაბათეებს დიმიტრი ხუროძის სახელობის დიდი აუდიტორიის დალაგებადასუფთავება არც კი დაემთავრებინათ, რომ მეორე კურსელი აქტივისტი გოგონა შემოვიდა და გამოაცხადა: — ბატონ აგაბოს ბატონი კიაზო უხმობსო.

— რა ჰქენი? — უბოდიშოდ, კარებშივე შეაგება დირექტორის მოადგილემ.

— ვმუშაობთ, იატაკი მოვამთავრეთ, ფანჯრის წმენდაზე გადავდივართ, — თავი მოიმიმიტა აგაბომ.

— შენ კარგად იცი, რომ სხვა რამეს გეკითხები! — კიაზო არ ხუჭრობდა.

— აა, ხოო — თითქოსდა ახლა მოაგონდაო, კეფა მოიფხანა გეგუჩაძემ — მიდის ნელ-ნელა.

— რა ნელ-ნელა, შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ?! ხალხური გართობა-თამაშობების მეგაირალტრე აშკარად ადუღებულ გუნებაზე იყო.

— რატომ კადრულობთ ასეთ რამეს? — მწერალი მაგიდის კუთხესთან დადგა და მელანჩაშშრალ სამელნეს დაუწყო წვალება.

— მე კი არა, შენ რატომ კადრულობ. შენი საგლახაო ვარ ვითომ მეე?

— ვინ გკადრათ, ბატონო?

— რას ჰქვია ვინ მკადრა. ოქროსავით თემა მოგეცი. შემიყოლიე მთელი წელი. შენი მოსატუარი კბილები კარგა ხანია მოვიცვალე, ხომ იცი შენ?

— არ მომერგო, ბატონო, გუნებაზე და რა ვქნა მე.

— არ მოგერგო კი არა, არ მოირგე. გლახა მასალა იყო, ხომ იცი, შენმა მზემ. ერთი უნდა ჩავჯდე და უნდა წევიკითხო, რას წერ უკეთესს.

— შეიძლება მშვენიერი თემა იყოს, მაგრამ არ ზის ჩემს ხასიათში და რა ვქნა.

— თავის მართლებას ნუ კადრულობ, ხომ იცი, ახლა. გაგამაიმუნე-თქვა მითხარი, ეს სჯობია ყველაფერს. არაფერი მორგება მაგას არ უნდოდა, საათივით იყო აწყობილი. შენთვის მინდოდა პატარა ხელი გამემართა, თვარა, შენ როგორ ფიქრობ? შენზე ნაკლებად იცის წერა-კითხვა კიაზო თვალავაძემ?

— წერა-კითხვა რა შუაშია, ბატონო.

— შენი გამიჩენა მინდოდა, თვარა შენზე ნაკლებ ნოველას დაგწერდი, შენ გგონია, მე თვითონ? ამისთანა თემები ქუჩაში ყრია, ხომ იცი, მიდი და აკრიბე!

— დაწერეთ ბატონო, ვინ გიშლით.

—ხომ იცი, არა შეჯდა მწყაური ხესაო. არამია შენთვის ამნაირი თემა. კორკიმლის ამბავს მე მოვუძებნი ადგილს, მაგრამ ჩემს მასხრად აგდებას არავის არ შევარჩენ, ეს იცოდე შენ, მწერალო აგაბო გეგუჩაძე!

უკანასკნელი სამი სიტყვა კიაზომ განსაკუთრებული ხაზგასმით ღრანჭვების კანკალით, კბილებში გამოსცრა.

●

ამ საუბრიდან ორი თვეც არ გასულა, რომ ცირკო-ჟორეოგრაფიული სასწავლებლის უფროსმა მასწავლებელმა აგაბო გეგუჩაძეს სასწავლებლის დირექტორს, ვეტერან კეფერაძეს განცხადებით მიმართა — სამსახურიდან გამანთავისუფლეთო.

— რაშია საქმე, ხომ არაფერი გაწყენინეთ აგაბო? — შეიცხადა ეს ამბავი დირექტორმა.

— არაფერი, ბატონო, — თავი ჩაქინდრა გეგუჩაძემ.

— არა, მართლა? თუ გიყვარდე.

— არაფერი ნამდვილად.

— აბა, მოგწყენდით, აგაბოს ჭირიმე?

— მოსაწყენი რა გჭირთ, ბატონო.

— სხვაგან იშოვე უკეთესი სამსახუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი? არ გეწყინოს, ასე რომ ჩაგაცივდი, ჩემო აგაბო. შენი წასვლა, რასაკვირველია, დიდი დანაკლისია ჩვენი სასწავლებლისთვის. გვესახელები, მწერალი კაცი ხარ

— არა, არაფერი, რაღაც დაღლილობას ვატყობ თავს. ცოტა ხანს მინდა დავისვენო. მერე ვნახოთ, თუ მოწყენილობამ გამიარა, შეიძლება სხვაგან დავიწყო მუშაობა უბრალო საქმეზე. ლექციების კითხვა მღლის ძალიან.

— ეგ მიზეზია, ვითომ მეტი არაფერი, დავიჯერო? — თვალები მოჭუტა ყოფილმა არტილერისტმა.

— ნამდვილად, სიყრმეს გეფიცები.

— კაი აბა, თუ ასეა... რაღაი გადაწყვეტილი გაქვს... ხელს არ შეგიშლი, — დირექტორმა განცხადებას რეზოლუცია დაადო. აქ ვერც იმის მტკიცებას მოვყვები, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელს სამსახურიდან მწერლის წასვლა ძალიან ეწყინა.

ჩვენს შორის დარჩეს და სასწავლებლის მიტოვების ნამდვილი მიზეზი აგაბო გეგუჩაძეს მაშინ კი არა, მერეც არავისთვის გაუმხელია და, - ალბათ, კარგადაც მოიქცა; მაინც არ დაუჯერებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურო გაცრეცილ კედელზე

პოემა

ბევრი მარგალიტი დავიწყების ტალღებში კიაფობს,
ვინ იცის, ახლოს რამდენჯერ ჩავუარეთ
და მის სიახლოვეს წყალი ავამღვრიეთ.

წარსული დიდია... ბავშვობა მისი მწვანე კუნძულია,
სადაც ერთ სიმღერას ვმღეროდით ყველა
და სივრცე მხოლოდ მნათობების სავანე გვეგონა.
მერე აქ აღმოვჩნდით
და მივხვდით, თურმე სხვადასხვანი ვართ
და სხვადასხვა სიმღერებიც გაისმა თანდათან.

ნაპირი წაიშალა და თვალებს ახსოვს,
ვარსკვლავი ცას მოსწყდა და გულში ჩაიძირა...

ბავშვობის დღეებს ვერ გაიმეორებ,
ბავშვობა სიზმარშიც კი არ მეორდება,
მხოლოდ გაიელვებს, შეგძრავს და გაგაღვიძებს;
ბავშვობის სიმღერები სივრცეშია ამაღლებული,
ალბათ, ამიტომაც მზის ყოველ ამოსვლისას
უპირველესად იგი გვახსენდება;
ბავშვობის სიზმრების ყვავილები
შვიდივე სივრცის ვარსკვლავებმა გაინაწილეს,
ალბათ, ამიტომაც გვიყვარს ვარსკვლავები
ასე ტკბილად, მშობლიურად და ნაღვლიანად...

ბავშვობა სიზმარშიც კი არ მეორდება,
სიზმარში შეიძლება, იხილო ღმერთი,
ღმერთს ბავშვის თვალები აქვს...

წვიმა ბავშვობაში ციდან სასწაულის წამოსვლა იყო,
ღრუბლების გალობა ისმოდა თითქოს,
ბრწყინავდა ცისარტყელა ქალღმერთის ქამარივით
და სიხარულისგან ყვავილები სტკიოდა მინდორს...
წვიმა და იავნანა ერთად ჩაგვესმოდა
და მერე სიზმრებში მიგვყვებოდა შუქად და სითბოდ...

როგორ გვიხაროდა წვიმა ბავშვობაში,
მაგრამ რა ვიცოდით,
რომ მას სარკმლებისთვის და წყაროებისთვის
შორეული ვარსკვლავების ტკივილიც მოჰქონდა,
რომ იგი არა მხოლოდ ჩვენს სახეებს და სათამაშოებს,
სასაფლაოთა ქვებსაც ასველებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმავ... ჩემი ბავშვობის წვიმავ,
შენი შრიალი ზოგჯერ ისე ახლოდან ისმის,
რომ გაოგნებული სივრცეს ვაკვირდები,
მგონია, დაგინახავ და თავს შეგაფარებ
და შენგან ამწვანებულ დედამიწას ვეამბორები.

სიხარულისგან აღფორტულებულ,
წრედ შეკრული გულების შუაში
ჭიაკოკონა ბრიალებდა, სივრცეში მიიწევდა,
თითქოს უნდოდა, მიწას მოსწყვეტოდა,
მაგრამ ამაოდ... ერთ ადგილზე წრიალებდა და იგრიხებოდა,
ვით მზეთუნახავი ცალი ფეხით მახვში გაბმული;
ჭიაკოკონა გიზგიზებდა და გვაბრუებდა,
მისი შუქი ჩვენს თვალებზე ირეკლებოდა
და ჩვენაც რიგრიგობით
მის მოქანავე ცეცხლში გავსხლტებოდით
და მეორე ნაპირზე ვეშვებოდით
და ერთმანეთის შეტრუსულ კულულებს
ისე ვუცინოდით, რომ ამის მხილველი
ჭიაკოკონა უფრო მაღლდებოდა
და მეწამულ ყვავილებს გვესროდა...

ცის სიცილს ჰგავდა ცეცხლი ბავშვობაში,
მაგრამ რა ვიცოდით,
რომ ამ ქვეყნად სხვა ცეცხლიც არსებობდა —
ტკივილის ცეცხლი ბედისგან დანთებული,
ძნელად ჩასაქრობი, ან, საერთოდ, ჩაუქრობელი;
მე ცეცხლი მიყვარდა,
როგორც დედა მეწამულკაბიანი,
მე ცეცხლი მიყვარდა,
როგორც ანგელოზი ზღაპრიდან მოვლენილი,
და ცეცხლით ვხარობდი,
როგორც შადრევანი მზიანი წვიმით,
როგორც ნუკრი პირმზითის წყაროთი.

ზოგჯერ ისე ჩამოთბება ჩემს ირგვლივ, სივრცეში,
ასე მგონია, შენ ანთიხარ ჩემს სიახლოვეს,
ასე მგონია, შენი ალი ათრთოლებს ჰაერს;
ასე მგონია და ვცდილობ, დაგინახო,
რომ ერთხელ კიდევ გაეშრიალდე შენს სიმხურვალეში,
ცეცხლო... ჩემი ბავშვობის ცეცხლო!..

ბავშვობის ქარის გახსენება ცრემლის გარეშე?
გავრბოდით მისგან აღელვებულ, მაღალ ყანაში
და იმ ქარს თითქოს უკვდავების წყლით დაენამა,
ბრწყინავდნენ თავთავები...
ზოგჯერ ჩვენს თვალწინ მზე ყანიდან ამოდიოდა
და თავთავებით გაცინებულ ჰაერის ფონზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვჩანდით, როგორც სიცოცხლის სიმღერები,
ცის დასაწყისთან წამიერად გაქვავებულნი...
ქარისაგან აღელვებულ ყანაში ვიდექით
და დასაღერზე ღრუბელი ჩადიოდა,
თითქოს ფრთხილობდა, რომ მისი ჩრდილით
არ გამკრთალებულიყო ჩვენი სახეები
და ქარის ნაკვალევი...

მე მაშინ სამოთხის მდინარესთან ვიდექი თურმე,
მის ტალღებს ვეთამაშებოდი, მის წყალსა ვსვამდი.
ახლა იქ სხვები დგანან, უდარდელნი და ბედნიერნი,
რომლებიც მომავალში ჩემსავით იტყვიან:
„მე მაშინ სამოთხის მდინარესთან ვიდექი თურმე,
მის ტალღებს ვეთამაშებოდი, მის წყალსა ვსვამდი“...

იყო სიმრავლე ბედნიერი ნატერფალების,
იყო სიახლოვე მზეების
და ასე გადიოდნენ დღეები.

* * *

ჩუქურთმა წვიმაში და მზეში გამოხუნდა
და წინაპრის სახეს დაემსგავსა.
ეს სულ სხვა გზა არის,
სახიფათოც და მშვენიერიც...
გზაჯვარედინთან დაღლილი მგზავრი.
ნაფეხურები ძველი, გადაშლილი.

თუ ვაჟკაცი ხარ, შენი ხელით მოწყვიტე ეკალი.
თუ ვაჟკაცი ხარ, განზე გადექი
და შენზე ძლიერი გაატარე!

ეს სულ სხვა გზა არის... ცრემლი და ყვავილი.
ვიღაცის ნაღვლიანი და სათნო თვალები.
ვიღაცის მხიარული და ცივი სახე.
ერთი მინდობილი და მეორე დაუნდობელი.
ერთი გამყიდველი და მეორე მოუსყიდველი.

ამ უსასრულო, საოცარ გზაზე
მე ვხედავ, მზეო, რომ სიყვარულია
ყველაზე დიდი და ლამაზი მოგზაური,
წინაპრის წინაპარი, მომავლის მომავალი,
სიცოცხლის მხარეებში მოგიზგიზე დღესასწაული;
სიყვარულია ხერხემალი პირამიდების,
სიყვარულია ტყუპისცალი დედამიწისა,
ზოგი ხედავს და ზოგი ვერ ხედავს,
ხოლო ვინც ხედავს, ის ასწილად ბედნიერია,
იგი მკვიდრია ერთდროულად ორი პლანეტის,
ორი პლანეტიდან ესმის სიმღერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რა თქმა უნდა, ნაღვლიანი საგალობლებიც;
ორი პლანტეიდან ესმის მონატრება
და, რა თქმა უნდა, დუმილიც ეჭვიანი...

ვარსკვლავები განა მხოლოდ საკუთარი შუქით ბრწყინავენ,
მათ სახეებზე და მათ შორის გაკიდულ ბილიკებზე
ანარეკლია სიყვარულის კოცონებისა!..

ბავშვობის ბილიკი ყვავილოვან ბურუსში დაიწყო,
იმ ბურუსში ჩვენ თითქოს ყველაფერს ვხედავდით,
მაგრამ ვერც ვხედავდით...
და, როცა ბურუსი გაიფანტა,
ჩვენ შევკრთით, რადგან ფერად ფარდაზე,
ყვავილებს შორის, ჭრილობა შევამჩნიეთ
და იმ ჭრილობიდან
ვიღაცამ სუსხიანი თვალებით გამოგვხედა;
ჩვენ შევკრთით, რადგან ნაღვლიანი ექო გაისმა
და სულ სხვა სივრცე და სიმაღლე გვაგრძნობინა;
აი, ეს გზაა იმ სივრცის ნაწილი.
აი, ეს გზაა იმ სიმაღლით განათებული.

ცხოვრება ფშაური ფარდაგივითაა,
ყველანაირი ფერი ალამაზებს:
მწვანე თუ მეწამული, შავი თუ თეთრი
და, რაც უფრო გახუნდება და გაიცრიცება,
უფრო ძნელად დასათმობი და მშვენიერია!..

ბავშვობის ბილიკი კარგი იყო:
დაეცემოდი და წამოგაყენებდნენ,
სხვას წააქცევდი და გაპატიებდნენ,
მაგრამ ამ გზაზე თუ დაეცი?! —
კი, შეიძლება, აქაც შეგეშველონ,
წამოგაყენონ, გაგამხნევონ, მტვერი ჩამოგფერთხონ,
მაგრამ ამ გზაზე დაცემული როცა წამოდგება,
მან უკვე იცის, რომ დაღი შერჩა,
რომ უკვე ეზიარა დამარცხების სუსხსა და სიმწარეს;
მან ისიც იცის:
ამის მერე მრავალჯერ უნდა გაიმარჯვოს,
რომ ერთი დაცემა თვითონაც დაივიწყოს
და სხვებსაც დაავიწყოს...
მაგრამ განა ყველა გაიმარჯვებს
და თანაც მრავალჯერ?!
გამარჯვება ადვილი არ არის,
ერთი გამარჯვება გულზე გაჩენილი ათასი ბზარია,
ერთი გამარჯვება ტკბილ-მწარე სიფხიზლით
გატეხილი ათასი ღამეა!

პირველი დამარცხება ბავშვობიდან გამოსვლა იყო,
დამარცხება საოცრად ლამაზი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როცა ერთხელ უკვე ლამაზად წააგებ,
ამის მერე იწყება ცხოვრება...

ვინა ხარ, ასე უიმედო რატომ ხარ, ძმაო?
რა ნაღვლიანი ნაბიჯებით ჩადიხარ დაღმართზე!
ხომ ხედავ, ძმაო, რომ მარტო არა ხარ,
რომ მხოლოდ შენს თვალებში
არ მოჩანს საყვედურის დილა და საღამო;
ხომ ხედავ, ძმაო, რომ ბედნიერი ხარ,
რადგან ცისა და მიწის ნაწილი ხარ
და მხოლოდ შენს გულში არ ბრწყინავს ეკალი.
უიმედობა რატომაა შენი მეგზური
ახლა, როდესაც დედამიწა მწვანით იმოსება,
როცა მდინარეში მთა ქანაობს ყვავილოვანი,
აკვანი ჭრიალებს და დედა ილოცება...
ახლა, როდესაც ბუდეებში სიყვარულის ფეთქვა გაისმის,
უიმედობა რატომაა შენი მეგზური?!
ხედავ?! — ბაღის სკამზე ბრწყინავს თაიგული —
ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას ვიღაცა უყვარს
და, როცა თუნდაც ერთი თაიგული არსებობს ქვეყანაზე,
შენ რატომ მიდიხარ ნაღვლიანი, დაღლილი ნაბიჯებით
და უიმედობა რატომაა შენი მეგზური?!

* * *

მე სიყვარულმა ულამაზეს ცას მაზიარა.
მისი ნათელი, დიდი სარკმლიდან
დავინახე უცხო ნაპირები,
სადაც ისეთი ხმები გაისმის, სადაც ისეთი მდუმარეობაა,
რომ არც ცხადისა გეგონება და არც სიზმრისა;
სადაც ვერაფერს იტყვიან ბაგენი,
იქ მხოლოდ თვალები იტყვიან
და თანაც ლოცვასავით:
„ალბათ, ასეთია მხარე უკვდავების“...
მე სიყვარულმა ულამაზეს ზღვას მაზიარა,
მაღალ ტალღებში მიცურავდა მწვანე ხომალდი,
ოთხივე მხრიდან მიცინოდა სამოთხის ნაპირი,
იცვლებოდა ამინდი და ზოგჯერ — თანამგზავრიც,
მაგრამ ხომალდი მაინც მიცურავდა
და, როცა უცხო კუნძულებს ჩავუვლიდით,
ვხედავდით: სივრცე ყველგან ისეთია,
რომ დედის თვალებს გაგახსენებს;
ვხედავდით, რომ მიწა ყველგან უბრალოა,
ვით ქრისტეს სამოსელი...
უკვე გითხარით: ზოგჯერ თანამგზავრიც იცვლებოდა,
ზოგი რომ ხომალდს გამოიცვლიდა,
ზოგი, საერთოდ, რომელიღაც ნაპირზე რჩებოდა,
მაგრამ მე მარტო არასოდეს არა ვყოფილვარ,
ხომალდი ყოველთვის მიცურავდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყვავებული ნაპირების ნისლში ირწეოდა,
ხოლო ხანდახან ფრინველების ჩრდილით დაჭორფლილი
წყლის ჰორიზონტზე ისვენებდა;
გზა არ სრულდებოდა,
თანდათან უფრო ლამაზი და ძნელი მოჩანდა
და ზღვის ზედაპირზე მშვენიერი იყო ხომალდი,
როგორც მარცვალი ქალღმერთის ხელისგულზე...

იყო განშორება...
და განშორების გაცრეცილი ჰორიზონტიდან
ტკივილის კაშკაშა მზე ამოდიოდა
და უფრო მკაფიოდ მოჩანდა სახეები
და უფრო მკაფიოდ ისმოდა ხმები
წარსულის სიჩუმიდან, თუ მომავლის მხარეებიდან.

სიცოცხლე რაა ცრემლისა და ტკივილის გარეშე,
სულ ბედნიერი შენი თავიც არ გვახსოვს, მზეო!

ტკივილო, ჩემო კეთილო წინაპარო,
ჩემო ყოვლისმცოდნე, ნადვლიანო, ტკბილო გადიავ,
შენ ხარ გაბზარული ზარების მფარველი,
როდესაც ყვავილცვენით განათებულ ხიდზე გადმოდიხარ
და ჩვენთვის სახსოვრად მოგაქვს ყვავილები
მზის სიახლოვეს, წმინდა მიწაზე მოკრეფილი.
ტკივილო, შენც გული გაქვს
და ამ გულში მზეა გახვეული,
შენ რომ არ იყო, ყველა ქარი მოდუნდებოდა,
მდინარეებზე ტალღები ჩაქრებოდა,
სალამურის ბაგეს მტვერი დაეჭნობდა,
კლდეს ბზარი არ გაუჩნდებოდა
და ისეთი კლდე ვის რად სჭირდება,
თუ ბზარი არა აქვს
და ამ ბზარიდან არ უცინის ყვავილი ვარსკვლავებს?!
შენ რომ არ იყო, ვულკანი არ შეირხეოდა
და თუ დედამიწა ათასში ერთხელ
არ იძრა და არ აგვაწრიალა,
ასეთი დედამიწა უფრო აგვტკივდება
ჩვენც და ვარსკვლავებსაც...

ტკივილო, შენც მგზავრი ხარ
და ბედი გულიდან გულში დაგატარებს —
უფრო ლამაზი მხარეები არსებობს კიდევ?!
ტკივილო — სიმღერების მიზეზო,
შიშო და განსაცდელო მზიანო,
მოულოდნელად დათოვლილი
გზაფხულის ტოტების შრიალო,
შენც მგზავრი ხარ და სივრცე გწყურია,
რატომდა გწყევლიან, ტიალო?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენ გაგიცანი დიდი ხნის წინათ,
როდესაც დედა ღიღინებდა...
და მაშინ უფრო კარგად გაგიცანი,
როდესაც შვილის კრიალა თვალებიდან
ცრემლებთან ერთად შენც გამიცინე...

ყველა ქანდაკების გამოხედვაში სხივია შენი.
ყველა მეტეორის ნაკვალევზე ფერფლია შენი.
ოკეანეთა ლურჯ სიღრმეებში შუქია შენი...
ტკივილო — სიყვარულის მხარეთა ბინადარო,
ჩემო კეთილო, ბრძენო წინაპარო.

სიცოცხლე ტკივილია, ხანგრძლივი, მშვენიერი ტკივილი!
სიყვარულის მაღალ სამრეკლოში
ტკივილის ზარი მონატრების ტკბილი ხმით წკრიალებს
და ეს წკრიალი გვარწმუნებს დედამიწის
და ვარსკვლავების უკვდავებაში...

ო, დედამიწავ, რა კარგია, რომ ერთადა ვართ
და ერთმანეთის სიტყვებს ვხედავთ ცის სინათლეში.
შენს ყვავილოვან ბალახში რომ სახეს ჩავმალავ,
ან შენი ფოთოლი შუბლზე რომ შემეხება,
მე მაშინ ვრწმუნდები, რომ, მართლაც, დედა ხარ,
ყველა დედაზე ტკბილი და ახლობელი;
შენი შრიალი ღვთაებრივი იავნანაა,
შენი მღუმარება შვილთა შენთა დალოცვად გაისმის;
როდესაც ბილიკზე ბედნიერი წყვილები გარბიან,
შენ ტკბილად გეღიმება
და, თითქოს ამ ღიმილის პასუხად,
ფრინველები ცისკენ მიფრინავენ
და მაშინ ვრწმუნდები, რომ სივრცეც შენია,
შენი ხმების და ექოების ლურჯი სავანეა!..

დედამიწას და ადამიანს ერთნაირი იღბალი ჰქონიათ:
ორივეს უყვარს. ორივეს სწყურია. ორივეს სტკივა.
ორივეს ძილში ეღიმება:
ზოგჯერ — ტკბილად, ზოგჯერ — ნაღვლიანად,
ერთმანეთის იმედით ცოცხლობენ
და სივრცეებში ერთმანეთის სიმღერებს ხედავენ.

ხიფათი სუსხიანი თვალებით გიმზერს
კოსმოსის ბნელი უფსკრულებიდან,
ოკეანეების დაბინდული სიღრმეებიდან,
თვით შენი წიაღიდან... და მაინც ყვავილობ,
შენი მწვერვალები მაინც იცინიან, ვით მზეჭაბუკები;
შენი ბილიკები მაინც მზისკენ მილივლივებენ
და ამ ბილიკების უსასრულობისთვის
გმადლობთ, დედამიწავ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, დედამიწავ, რა კარგია, რომ ერთადა ვართ,
ერთად გვიღამდება და ერთად გვიფენდება,
თოვს... ერთად ვიბარდნებით,
წვიმს... ერთად ვსველდებით;
ო, დედამიწავ, რა კარგია, რომ ერთადა ვართ.
ჩემი ბავშვობის ნაფეხურები
შენს წიაღს სითბოდ და სინათლედ შეემატა.
მე მახსოვს, როგორ მაღვიძებდი
ზოგჯერ სიჩუმით და ზოგჯერ ჩურჩულით;
შენი ფერებით და ხმებით მოხიბლული
ფეხშიშველი შენსკენ გამოვრბოდი,
შენს მწვანე ალმურში ყვავილებს ვკრეფდი
და დედა ამაოდ მეძახოდა...
შენი ბავშვობა, დედამიწავ, შენც გემახსოვრება,
გემახსოვრება, როგორ გადადგი
მზის გარშემო პირველი ნაბიჯები;
გემახსოვრება, დიდმა დედამ გზა როგორ დაგილოცა,
გემახსოვრება და ახლაც ჩაგესმის:
„ბედნიერად გევლოს მზის გარშემო,
მარადიული ყოფილიყოს შენი მგზავრობა“...

სამყარო ტაძარია და შენ მის სივრცეში
ზარი ხარ და ძველისძველ, ხავსიან ბზარებში
უკვდავების წყალი გიკამკამებს...

* * *

ბავშვობას არავინ მიუტოვებია,
იგი ავიწყდება მავანს და მავანს
და ერთ მშვენიერ დღეს წამოიძახებს:
„რატომ მიმატოვა? როდის მიმატოვა?“
ბავშვობა არასოდეს დაბრუნდება,
რადგან, საერთოდ, არსად წასულა,
ან რატომ წავიდოდა? ან ვისთან წავიდოდა?
იგი ჩვენში დარჩა, ვით მლოცველი ერთადერთ ტაძარში,
მაგრამ როდესაც ტაძრის სიახლოვეს გაისმა ხმები
მისთვის უცხო, მკაცრი და ეჭვიანი,
იგი ჯერ შეკრთა, მერე კი თანდათან
ჩვენს არსებაში ჩაღრმავდა, ჩაიკარგა,
შორეულ შრეებში გაირინდა;
იგი ხანდახან შეირხევა რბილად, მსუბუქად
და გულს შეაჩქროლებს...

ბავშვობა ვულკანია პატარა და ყვავილოვანი
და ბედნიერია ამქვეყნად ყველა,
ვის არსებაშიც არ გაციებულა
და ცდილობს მძიმე შრეებში ამოღწევას.

მე არც ბროლის კოშკი გამაჩნია და არც ოქროს ნავი,
მე შემიძლია, სიმღერა გისახსოვრო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელსაც სურნელი აქვს შენი გოლეულის
და ვულკანის ყვავილებისა...

* * *

შარშანდელ გაზაფხულს ბუნება ვერ გაიმეორებს,
მაგრამ ის სინათლე,
რაც შარშანდელმა ყვავილცვენამ გულებში დატოვა,
მომავალი დღეების ნუგეშია,
მერმისის მწვერვალებზე გადმომდგარი ქარების ზეიმია.

შარშანდელი გაზაფხული რაც უფრო შორს მიდის,
სამყარო მოჩანს მით უფრო მშვენიერი
და ამ სამყაროში გაისმის:
»გაურკვევლობის უდაბნოში მდგარი ოაზისი —
ეს სიყვარულია...“
მაშ, უფრო ამაღლდი, სიყვარულო,
და შორეულ ვარსკვლავთა მხარეში
იკიაფე პლანეტების გასახარებლად;
უფრო ამაღლდი, სიყვარულო, რომ ყველა ბილიკს
შენი ნათელი გადასდიოდეს;
რომ ყველა გუმბათზე და ოკეანეზე
შენი სიცილი ირეკლებოდეს;
უფრო ამაღლდი, სიყვარულო, რომ შენი სიმაღლე
იყოს ჩვენი ფარი და მახვილი
და ჩვენი დღეების ჩრდილი და სინათლე,
ნისლი და ხავერდი, ცეცხლი და ქარიშხალი,
ლოცვა და ღვთაებრივი ნექტარი...

იქ, სადაც შენი სუნთქვა ახლოვდება,
კედლის ბზარები ღიმილიან ბაგეებს ჰგვანან;
იქ, სადაც შენი მდუმარება ნაპირების გალობად გაისმის,
სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს
ანგელოზის თვალებით უყურებენ;
იქ, სადაც შენი ვენახი ანთია,
დღე ღამის სიცილია და ღამე — დღისა.
თუ ვინმე არის სამყაროში ღირსი უკვდავების,
ეს შენ ხარ... ეს შენ ხარ, სიყვარულო!..

ბედნიერად გვევლოს მზის გარშემო,
მარადიული ყოფილიყოს ჩვენი მგზავრობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲜᲑᲐᲠᲗᲐᲜ

გამომაღვიძა ხმაურმა სისხლის.
ცა ოდიშური გაბოლდა ნისლით.
საბლი გამოჩნდა პატარა ისლის,
ბულბული ნაზად გალობდა მისთვის...

აქ მქონდა წინათ ლამაზი ოდა,
აქ წინათ ჩემი ბავშვობა რბოდა
და სიხარულიც ულევი მქონდა,
დიდი ხნის მერე კვლავ მომაგონდა...

და ვუმზერ ახლა ოდიშურ მინდვრებს,
მდინარეს — ქვებზე ცხვირ-პირს რომ იმტვრევს,
ჩონგურის ღვთიურ უნაზეს მოტივს.
გათავდა, მორჩა, სიბერე მოდის.

ᲛᲘᲜᲓᲐ

შემოიხურა ღამემ მანტია,
სული ივბით უცებ ამევსო...
არა, არ ეუხმობ ახლა განთიადს,
მინდა გეხვიო და გეალერსო.

ყოველი წუთი შენს თავს მაცილებს,
დარღი ფარული ჩუმად ივსება...
სიყვარულს, შენ რომ გაგინაწილებ
ქვეყნად არავის არ ეღირსება.

ᲕᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑ

მივერეკები ცის დასავალთან
ძვირფას ტკივილებს, რაც განვიცადე.
ბევრი ძმაკაცი იქ დასამარდა,
ერთი წუთითაც არ დამიცადეს.

მინდორი, ჩალა, ბღავილი ხარის,
შუხბის ტევრი, მდინარე მომცრო,
უსაყვარლესი მშობლიურ მხარის
ულამაზესი დღეებით ვცოცხლობ.

ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ

ის ზაფხული იყო ცხელი
და მეც ვსვამდი წყაროსავით...
ბიძაჩემის თეთრი ცხენი
ლაგამს ხრავდა ტაროსავით,
იქვე, ნაძვთა ჩრდილში მისთვის
იდგა თეთრი სალოცავი...

კაკლის ხე და ძველი ოდა,
ის პირველი დაპირება.
ყველაფერი მიხაროდა,
ყველაფერი მაკვირვებდა...
ახლა?

ᲘᲡᲔᲕ ᲨᲕᲘᲚᲬ

მე რომ ვიღლები ხანდახან,
შენ გეჩვენება სასაცილოდ,
მოვა დრო, სოფლის გადაღმა
როდესაც უნდა გამაცილო.

ვიცი, ჩემს გავლილ გზებს
ბევრი მოკვდავი ინატრებდა,
მეც ჩამიქრება მზე,
რომელიც მუდამ მინათებდა.

უნდა გამიხსენო ჯარგ კაცად
და ბედს არასდროს ემორჩილო...

ცხოვრებამ ბოლომდე დამჭანცა,
აწი შენ იცი, ჩემო შვილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახას

სასაფლაოზე ჩამოწვა ბინდი,
მე დღეს ვერაფერს ვერ ვიტყვი ახალს.
გადასასვლელი პატარა ხიდი
ჩაიმსხვრა შენთვის, ძვირფასო კახა.

რად შეეკვეცა ფრთები შენს სურვილს,
ბედი, შავბედი ოურმე მოგდევდა...
და შენი თეთრი ლამაზი სული
აფრინდა ცაში ანგელოსებთან.

იმ დღეს ბუნება ატირდა ლამის,
აი, ამ ლექსშიც ბევრი ვიწვალე...
ხუგეშო დედის, იმედო მამის,
რად გაგვიფრინდი და გაგვეცალე.

გულისტკივილით ვიხსენებ იმ დროს,
ცხოვრება შენი ჩყვაოდა როცა.
შენ სიყვარული გართმევდა დიდ დროს
და დაგაკვებოდა თან დედის ლოცვა:

მწარე ფიქრებით ვაბოლებ ოთახს,
განუკურნელი მე სევდა მახლავს.
რით ვანუგეშებთ მამაშენს, ოთარს,
ან შენს დედიკოს რას ვეტყვით ახალს...

სასაფლაოზე ჩამოწვა ბინდი.
მე დღეს ვერაფერს ვერ ვიტყვი ახალს.
გადასასვლელი პატარა ხიდი
ჩაიმსხვრა შენთვის, ძვირფასო კახა.

ტრასაზე თელავისკენ

ოცდაორი აგვისტო,
წვიმა, ქარი, თელავი...
მხოლოდ ერთმა გაგვისწრო,
დანარჩენმა ვერავინ.

ხარ ოცნების სათავე
დაიღრეები ფერებად...
ვეღარ მოათავთავე
შენი ბედნიერება.

ზღვა იყო წყნარი

ზღვა იყო წყნარი და ლურჯი ზეცა,
ვეება მთები იდგნენ ჯიქურად.
თქვენ გუშინ თეთრი ჯინსები გეცვათ
და გიხდებოდათ ფანტასტიკურად.

მზე მიგორავდა — ედემის ვაშლი...
ბიჭები ერთურთს მისდევდნენ ცურვით
და შენს თვალებში პატარა ბავშვის
ღიმილი ჰკლავდა წუთიერ სურვილს...

სამება

ვიცით სამება რომ
არის ერთი,
და თაყვანსა ვსცემთ
ჭეშმარიტებას,
ქართველში იყო
და არის ღმერთი,
ბოლომდეც ალბათ
ასე იქნება...

მაგრამ მეორეც
ვიცით სამებას
და თაყვანსა ვსცემთ
ვითარც მესიას,
საქართველოში
მუდამ ერთია
მესია, ფუხჯი
და პოეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგოსანთა დოღი

მათრახმა სტვენით წრე შემოსალტა
გაიჭრა ველზე ჩემი იაბოც,
უცნაურია დოღი მგოსანთა
ყველა თავ-თავის სივრცეს მიაპობს,

ყველა სიმღერა სხვანაირია...
ყველას აღება უნდა ტატნობის,
დღეს ჩემი ცხენიც გადაირია
და მეც მტკაველის არ ვარ დამთმობი.

ბიეტა აბშილავა

●

გოჯის ციხესთან ჩაფიქრებული
ლურჯთვალა ტეხურს
ადგას ნათელი...
ფეხზე წამოდგა ნაჭალაქევი
საუკუნეთა კორიანტელით.

●

რიყე-რიყე ჩაჰყოლოდა
ია-ია ბილიკს...
ორწოხ-ორწოხ იმუხლებდა,
თრთოდა, თრთოდა ნისლი...
მაღლდებოდა, მაღლდებოდა
კოლხის ჭერი ისლის...
ალაგეზე მომდგარიყავ, მიმზეროდი
იჭვით...
ნარინჯებში სულს ნაბავდა
სიო, — მორცხვი ბიჭი...
ისევ ვდუმვართ, ერთურთისკენ
ვერ გადავდგით ბიჯი...

მატარებელი, წვიმა...

... არა, რაც გინდათ თქვით და, ჩვენი ამბავი მაინც იმასა ჰგავს, მოპასანის ზოგი მოთხრობა რომ იწყება — დარბაზში, ბუხართან ვისხედით, გრაფ დე... რაღაც ვთხოვეთ და მანაც შემდეგი ამბავი გვიამბოო... ჰაი გიდი! გვარიშვილობაზე ნუ მიდგება საქმე, თორემ ბარემ ორ გრაფს კი არა, ჰერცოგსაც მოვაკაკვინო, ვინძღოო, თითი, მაგრამ, მახლას, ვიპ, დრონი, დრონიო, ცხონებული ალექსანდრე ჭავჭავაძისა არ იყოს — ახლა მეც ისეთივე კნიაზი გახლავართ, როგორი ბარონ-ვიკონტებიც თქვენნა მყავხართ და რა ციხე-დარბაზიც ეს კაფეა, ასე რომ, ჯანდაბას თქვენი თავი, მაინც ამეშალა უკვე ლაპარაკის საღერღელი და მოგიყვებით ერთ ამბავს, ოღონდ სანაცვლოდ ერთ ბოთლ შამპანურსაც ჩამოდით... ვიპ, დალოცვილებო, არისტოკრატობას არ მანებებთ, ლაქლაქით ლამის სიკა გამომაცალოთ და გასამრჯელოც აღარ გემეტებთ, სადაური სამართალია... ჰმ, ბატონი ბრძანდები! ჰოდა ეს ჭიქა შემოვსეთ, ქირქილს და თვალის პაჭუნს მოეშვით და, იცოდეთ, არ შემაწყვეტინოთ, თორემ, მაშის სული ნუ წამიწყდება, მე ვიცი მაშინ თქვენი სეირი... ჰო, წელან, ვიპ დრონი, დრონი-მეთქი, რომ ვახსენე, ამაზე მომაგონდა ერთი თავგადასავალი — დიდი ხნის ამბავი კია, თუ არ ვცდები, ოცდაათი არა, რის ოცდაათი — ეხლავე გეტყვით, — ჰო, თუ მეტი არა, ორმოცი წელი მაინც იქნება გასული, მაგრამ კარგად მახსოვს — სხვა თუ არაფერი, ჩემს ჟურნალისტურ დებიუტთან არის დაკავშირებული. — ჰო, ზუსტად ორმოცი წელი გასულა — და, ეტყობა, ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში ეგრე ნათლად, თორემ ისე, რომ მომკლა წუხანდელ ამბავს ვერ გამახსენებ ზოგჯერ. — რას იზამ, ასაკს თავისი გააქვს, თუმცა ბებრულ წუწუნს მოუკვდა პატრონი, რას ვამბობდი?.. ჰო, ჟურნალისტურ დებიუტთან არის-მეთქი დაკავშირებული — მაშინ ახალი დაწყებული მქონდა რედაქციაში მუშაობა. თუმცა რაღა ახალი — მთელი ორი წელი ისე მაყურყუტეს, ხეირიან საქმეს არ გამაკარეს, ჰოდა, ერთხელაც, უკვე იმედი რომ გადამეწურა, ეტყობა, თვალში ვერ მოვუვედი-მეთქი, რედაქტორი მიბარებს — გრიშა იყო მაშინ, ჩემი ხნისებს თქვენც გეხსომებათ ზოგიერთს, მკვდარზე არ ითქმის, მაგრამ კაი ოხერი ბრძანდებოდა, ცხონებული... რა გაცინებთ, ტყუილს ვამბობ?.. ჰოდა, აბა მაცალეთ — მიბარებს და მეუბნება, ზღვისპირეთზე მიმოხილვას ვამზადებთ და ფოთში რომ გაგაგზავნოთ იქაური ნავსადგურის მუშაობის და საერთოდ ცხოვრების გასაშუქებლად — ეს სიტყვა უყვარდა ძალიან — რას იტყვიო. რას ვიტყოდი? ჯერ ერთი, რომ ჯელი ვიყავი, ჯანიც მომდევდა და გულიც, კოლიმა რომ ეთქვათ, მაშინაც არ დავიხევდი უკან, უეტაპოდ თუ მიმავლენდნენ, ცხადია, და ესეც არ იყოს, პირველად მანდობდნენ ნამდვილ საქმეს და ისე დავფაცურდი, ახლავე წავალ-მეთქი, რომ ლამის იყო გადაიფიქრა იმ კაცმა, მაგრამ აღარ გადათქვა მერე, კარგა ხანს მარიგა ჭკუა და, აბა შენ იციო, გზა დამიოლოცა. დამისხი ერთი გასამრჯელოს ანგარიშში, დამისხი, იშტაზე მოსაყვანად... ჰმ, ასე.

თქვენი არ ვიცი და, ბათუმი ან სოხუმი, საერთოდ, ჩვენი ზღვისპირა ქალაქები, თუნდაც გაგრა ავიღოთ, ხომ ბომბონიერებს ჰგვანან ყველანი და სილამაზით ეგებ ბევრი ქალაქიც ვერ შეედარის, ოღონდ შემთხვევაში, შავ ზღვაზე მე მაინც ფოთი მირჩევნია, ის კი არა, ბრაზიც მერევა ხანდახან, ასე იშვიათად რომ ახსენებენ ხოლმე, იმის არ იყოს, დედას რომ გული ეტკინება, სტუმრები შვილებს რომ უქმებენ, რა გადასარევები გუვანანო და ნაკლებ კოპწიას და უფრო მორიდებულს კი ყასიდად შეაწევენ სიტყვას. მართლაც, არის ეს ფოთი თავისთვის, არც ლექსებს უძღვნიან, არც სიმღერებს, არც კინოსურათებს, ის კიდევ ყურს არ იპატრუყნებს, შრომობს ზამთარ-ზაფხულ, ეწევა „საზღვაო ჭიშკრის“ ჭაპანს და დამადლებითაც არაფერს იმადლება. არადა, არც სილამაზე აკლია, რომ იცოდეთ, და სიძველე ხომ რაღა სალაპარაკოა... არა, არგონავტებს ნუ გამახსენებ, თუ ძმა ხარ, რა სატრაბახო ეგ არის?.. სიძველით? მაგაზე სხვა დროს, ეხლა კი ისედაც გამიგრძელდა სიტყვა. რას ვამბობდი?.. ჰო, მოკლედ, ძალიან მიყვარს ფოთი. მაგრამ ეს სიყვარული მოგვიანებით, დროთა განმავლობაში გამოჩნდა, მაშინ კი, რომ ჩავედი, გულზე შემომეყარა — ცოდვა გამხელილი სჯობს და კიდევ იმიტომ მიმიხარია-და ფოთში რომ რაც უნდა ყოფილიყო, ზღვაზე მივდიოდი, იმ დროს კი — ომისწინა დროს მოგახსენებთ, ეს შედარებით უცხო ხელი გახლდათ, ჰოდა, ეფერობდი ერთი ორჯერ ხომ მაინც ჩავყურყუმალავდები ზღვაში, ცოტას გავშავდები, თანაც ეგება შორეულ ნაოსნობაში გადაკარგული რომელიმე მეზღვაურის თანამეცხედრეს ვცე ნოგეში-მეთქი. აკი ვთქვი, ჯელი ვიყავი, თავქარიანი და დიდად არ გამემტყუნებოდა ამისთანა ვერაგული ზრახვები, მაგრამ, საქმეში ხარ — წვიმა ხომ წვიმად დამხვდა, ზღვაც ისე აქოჩრილიყო, ჩემზე გაცილებით გულადაც დაიაფრთხობდა მარტო მისი შეხედვა და ქალაქიც ისეთი მოჟამული მეჩვენა, ერთი პირობა კინღამ უკან გამოვბრუნდი, მაგრამ მალე გამოქვრდა ფანტაზია — გეცოდინებათ, ჯერ ახლა როგორ ხვდებიან ხომ „ცენტრიდან“ ჩასულ კორესპონდენტებს და მაშინ ხომ ნუღარ იკითხავთ, თავზე გადამყვანენ — ჯერ სასტუმროში ისეთ ნომერში დამაბინავეს, ფლიგელ-ადიუტანტიც არ ოუკადრისებდა, პირადი მანქანაც — „ემადინი“ იყო, აბა სხვა რა იქნებოდა — მანქანად მომიჩინეს და, საერთოდ, ისე მელოლიავებოდნენ, აღარ ვიცოდი რა მექნა — ახალბედა ვიყავი, დამწყები, ჯერ არ შემყოფოდა ჩემი კოლეგების პროფესიული სენი, თავზედობა რომ ჰქვია ქართულად, იმათაც რა შემატყვეს, არ გვედიდგულება და, პირიქით, დაიჩქვინნა კიდეცო — არა, მართლა კარგი ხალხია ფოთლები, ყოველ შემთხვევაში, ახლა არ ვიცი, დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ, იმ ხანებში კი იყენენ — ეს რომ შემატყვეს პატივისცემა გამიორკეცეს და მეც დღისით რომ ნავსადგურში, ელევატორზე ან სადმე სხვაგან დავფორთხავდი, მერე, სადამოს, ნომერში ყოველ სიტყვას თავს ვაკლავდი, ვინძლო პატივისცემა დავუფასო-მეთქი ჩემს მასპინძლებს, მით უმეტეს, რომ წვიმა არადა არ იღებდა და გულის გადაყოლებაც გამომდიოდა. მოკლედ, ამ ყოფაში რომ ვარ, ერთიც ენახოთ და, არ გამოიდარა! — სწორედ ის იყო ნაშუადღევს ნავსადგურში ამწეების მუშაობის შესწავლას მოვრჩი, იქაურებთან ერთად სადილად ცოტა გადაკვრაც მოვასწარი — მაშ როგორ გინდათ, ხომ უნდა დავაბლოვებდი მსვლის — და ცამაც გადაიკარა — გარეთ რომ გამოვედი, სულ კრიალი გაუდიოდა ყველაფერს. რაკიღა დარს ვეღირსე, შინ, ესე იგი, სასტუმროსაკენ მიმავალმა მანქანა გავუშვი და ფეხით გავუდექი გზას, დიდხანს ვიხეტიალე, სანამ საბოლოოდ ავიღებდი გეზს შინისკენ. კარგად მახსოვს, საღამოს პირი იყო, ზღვიდან გრილი, საამო ნიავი უბერავდა, ქალაქიც ამჯერად ბევრად

უფრო მომზიდველი მეჩვენა, შექეიფიანებულიც გახლდით და ისეთ გუნებაზე დავდექი, რომ ღიღინიც წამოვიწყე და ამ დროს მართლა არ შემომესმა მუსიკის ხმა?! ვიოლინო უკრავდა. ცოტა კი გამიკვირდა, ხომ იცი, მაგრამ, რადიოა-მეთქი და ყურადღება აღარ მიმიქცევია, არადა, რაც უფრო წინ მივიწევ, ხმაც უფრო ახლოვდება. ძლიერდება და უეცრად, კუთხეს რომ გავცდი, რას ვხედავ: დგას — ხომ ამდენი წელი გავიდა, გუშინდელივით მდგას თვალწინ — მაღალი, მაკინტოშს რომ ვეძახდით, ისეთ ლამაზაში ჩაცმული მოხუცი, გრძელი, თეთრი, ბოლოებში შეყვითლებული თმა ლამის მხრებამდე სცემს, ვიოლინო მოუმარჯვებია და უკრავს, თან ისეთი სახით, გეგონება ყოველდღე კონცერტებზე გამოდიოდეს, არადა, ამ დროს ფეხებთან, ამობრუნებული ფართოფარფლებიანი შლიაპა უდევს და შიგ ორიოდე შაურიანი თუ აბაზიანიც ჭიატებს — მოკლედ, ნეაპოლიტა რადა და ეგ არის. ყველა-ყველა და, ამას კი აღარ ველოდი — სახტად დავრჩი, ხომ იცი, ცოტა ხანს კი ვუყურე ასე გაშტერებულმა და მერე, დაკვრა რომ მოათავა — რაღაც უბრალო მელოდიას უკრავდა, — შემომხედა და მეც, არ ვიცი რა ბზიკმა მიკბინა, ეტყობა, მეტისმეტი დაბნეულობის დროს რომ იცის, ისე მომივიდა, ვითომდა დარდმანდულად მივახალე, **а ну-ка маэстро, сыграйте что-нибудь из Глазунова-მეთქი.** აქამდე ვერ გამიგია, ან რუსულს რა მრჯიდა — რუსს არა ჰგავდა, ან გლაზუნოვი რამ გამახსენა — ჩემს დღეში არ ვყოფილვარ მისი მოყვარული. მაგრამ ამას ვინ ჩივის, თქვენ მოხუცი თქვით — ამის თქმა იყო და, ერთი კი აზიდა წარბები და მერე მოკვეთით დაეშო მუხლებზე, ხელები გამოიშვირა და, **как вы знаете моего дорогого учителя Александра Константиновича Глазунова-ო** შემომღაღადა. სახტად დარჩენა ახლა გენახათ, მგონი თვითონ გლაზუნოვი რომ გამომცხადებოდა იმ წუთს, ამაზე უფრო არ გამიკვირდებოდა, რომ იტალიანეს პირი დავაღე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მერე, როგორც იქნა, ამოვილუღლუღე, **лично быть знаком чести не имел, но кое-что слышал-მეთქი,** — ანგლობა ვცადე, ვითომ, ჩემი ჭკუით. ვცადე და ძალიანაც ვინანე იმწამსვე — ისე შემომხედა, მიწი გამსკდომოდა, ის მერჩია. ადგა, მუხლები დაიფერთხა, ვიოლინოს ბუდე გახსნა და საკრავი შიგ ჩადო, თან, ვხედავ, ნიკაპი და ხელები უკანკალებს, თვალებზეც ცრემლები მოსდგომია. წავხედი კაცი — **Ради бога, извините за дурацкую шутку, но я и в самом деле с удовольствием послушал бы что-нибудь из Глазунова-მეთქი** შევეევედრე. გამომცდელად შემომხედა და უცბადვე მოუბრუნდა გული — ისევ ამოიღო ვიოლინო, მოიმარჯვა, ცოტა ხანს ემზადა, ხან ასე დადგა, ხან ისე — ერთ რამედ ღირდა ამის ყურება — და ბოლოს დაიწყო, მუსიკა ვიცანი — კონცერტი იყო ვიოლინოსა და ორკესტრისათვის... ახლა რომ გითხრათ, პაგანინი ყოო-მეთქი, ან ოისტრახი, არ დამიჯერებთ, და მართალიც იქნებით, მაგრამ გვარიანად კი უკრავდა, ბგერა სუფთა ქონდა, ინტონაციაც სწორი, თუმცა ამას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარი სხვა რამე იყო — ძველი სკოლის ოსტატების პეწი და ლაზათი ჰქონდა შემორჩენილი პოზაშიც და საერთოდ შესრულების მანერაში; ისე რომ დაკვრის ხარისხს ყურადღებას აღარც კი აქცევდი — როგორ გითხრათ, იმას ჰგავდა მისი ამბავი, ძველი სათები რომ არის ხოლმე — მუშაობითაც ძლივს მუშაობენ, წამდაუწუმ ჩერდებიან, ხმაც დანჯღრეული აქვთ, როცა რეკავენ, მაგრამ ისე არიან მოვარაყებულ-მოჩუქურთმებული, ისეთი ზიზილ-პიპილოები ამშვენებთ, რომ მუშაობას სულ არ თხოვ — ყურებასაც სჯერდები. აი, ამდაგვარი გრძნობა მქონდა, მოკლედ, პირწყავარდნილი „მაესტრო“ იყო. ჰოდა,

ვიდექით ასე, კარგი სანახავები კი ვიქნებოდით ორივენი, ვინმეს რომ გამოვევლო, მაგრამ, ვერ გეტყვით, ადგილი იყო ისეთი, თუ დრო, არავინ შემოგვსწრებია, თან კაცმა რომ თქვას, არც გაჭიანურებულა ეს ჩვენი კონცერტი, თავი-ბოლო ხუთიოდე წუთს თუ გასტანა და მერე ჩემმა მაესტრომ უცბად ხელები ჩამოყარა — მეტი არ შეიძლიაო, სევდიანი ღიმილით მოიბოდიშა. არა უშავს, მთავარია, რომ განუზომელი სიამოვნება მომანიჭეთ თქვენი ხელოვნებით-მეთქი, დავამშვიდე. რას ბრძანებთ, სამადლობელო თუ მაქვს, მე მაქვსო, იმანაც მიპასუხა და ასე შევეეევით ნელ-ნელა. მარილა გლაზუნოვის ნამოწოფარი ყოფილიყო, ძველი პეტერბურგელი, მაგრამ მერე გზა არეოდა, ბევრიც ეხეტიალა, ბოლოს საქართველოში მოხვედრილიყო და აქ რატომღაც ფოთში დამკვიდრება ემჯობინებინა. ძალიან კარგი ქალაქია, თანაც ცოტა პეტერბურგს მაგონებს თავისი დაგეგმარებით და ნესტითო, ასე ამიხსნა. მოკლედ, ფოთში დასახლებულიყო და ბოლო დრამდე სასტუმროს რესტორნის ორკესტრში ემუშავა, მაგრამ სმა ჰყვარებოდა საწყალს და ერთი-ორი თვის წინ დაეთხოვათ იქიდან. ჰოდა, ეადაწყვიტა, თავის გასატანად ბედი ისევ ქუჩაში ესინჯა, где и подвизаюсь ныне, в качестве первой скрыпки, за отсутствием других-ო, როგორც თვითონ იხუმრა. ამასობაში სასტუმრომდეც მივაღწიეთ და ეს რომ მითხრა, თავში მაისვე ერთმა აზრმა გამკრა — წამომყევით-მეთქი, მკლავში ხელი მოვკიდე და სასტუმროში შევედით. ჰო, მარილა, ამდენ მიეთმოეთში სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ სასტუმროს დირექციასაც და პერსონალსაც, რაკი მხედავდნენ, ქალაქის მესვეურებს რა პატივიც ვუყადი, „ათას ერთ ღამეში“ რომ გადაცმული ხალიფა დაიარება ბაღდადში, რა ერქვა?.. ...ჰო, ჰარუნ-არ-რაშიდი — რაღაც იმდაგვარი თუ არა, ბევრად ნაკლებიც არ ვეგონე — სულ ელეთ-მელეთი მოსდიოდათ ჩემს დანახვაზე და მეც ვიფერებდი უკვე საამდროოდ, ხომ იცი, ამ ამბავს... ვაჰ, კაცი ჭირს ეჩვეოდეს, ის გიკვირდეთ, თორემ ლხინი გაუტკბეს, რა სათქმელია — ჰოდა, ეს ჩემი მოხუცი რომ წარვუდგინე და დავუცაცხანე ადმინისტრატორს თუ დირექტორს — ახლა აღარ მახსოვს — ეს კაცი შესანიშნავი მუსიკოსია და ორკესტრიდან მისი გაგდება როგორ გაგიბედიათ, ახლავე აღადგინეთ-მეთქი, ისე დაფეთდნენ, სულ, რა-ვ გეკადრებათ, მაგაზე გაწყენინებთოს ძახლით გაამწესეს დაუყოვნებლივ ჩემი მაესტრო ხელახლა ორკესტრში. ერთი სიტყვით, სრული რევანში ავიღე წეღანდელი განცვიფრებისათვის — მოხეცმა გოგენებით შემომხედა და, ეს-ეს, переодетый принц-ო? თითქმის სერიოზულად მკითხა. Нет, большекорреспондент-მეთქი, მივუგე და, როცა მიხვდა, ისეთი ხარხარი წაგვესკდა ორივეს, სულ დავუბნეეთ თავგზა ჩემი რისხვით ისედაც დაზაფრულ სასტუმროს პერსონალს. აბა, ახლა გენახათ ჩემი მაესტრო, აღარ იცოდა, საბრალო, რითი გადაეხადა ამაგი — საღამოს რესტორანში რომ შევიდოდი ხოლმე, დაკვრას შეწყვეტდა, ორკესტრსაც შუა ოტაზე შეაჩერებდა — სხვათა შორის, მუსიკოსები, როგორც შევატყვე, ძალიან აფასებდნენ — და მისი დირიჟორობით ისე ომახიანად დასცხებდნენ ტრიუმფალური მარშს „აიდადან“, რომ ვინც იქ იყო იმ დროს, მე მგონი, კარგა ხნით კარგავდა სმა-ჭამის მადას და, საერთოდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიარულის ხალისს, სამაგიეროდ, მე მოწყალე ღიმილით დაუფქნევდი თავს და, ვითომც აქ არაფერიო, გადავხედავდი თანამგზავრს... მეზღვაურების თანამეცხედრეებთან, ნურას უკაცრავად და, სხვა მხრივ კი ვცდილობდი გულისნადების ასრულებას, მაგრამ ამას ჩვენ ამბავთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ დამაცლით, კარგს იზამთ, რას ვამბობდი?.. ჰო,

ასეთი ამბით მხვდებოდა. ზოგჯერაც, თუ დიდხანს შევრჩებოდი იქაურობას და მარტოკასაც დამიგულებდა, Если позволите-ო, მკითხავდა, მომიჯდებოდა და გავაბამდით მასლაათს. გვიანობამდე ვისხედით ხოლმე, აქეთურს ვიტყოდით, იქითურს, უფრო მეტად მაესტრო ლაპარაკობდა — ხან სასაცილო რამეს მოყვებოდა, ხანაც ნაღვლიანს — მაგრამ ყოველთვის საინტერესოს, უფრო სწორად, საინტერესოდ, ისევ შესრულების თვალსაზრისით. ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა — ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებდა აუღიარებელი გენიოსობისას, თავსაც რომ იწამლავენ და შენც გიშხამავენ გუნებას ბედის გაუთავებელი სამდურავით, ფილოსოფიურად უცქეროდა თავის ყისმათს, დიდ ქარტეხილებში მოყოლილი ნაფოტა ნავი ვარო — Аки челн во море-окиане-ო, წაუძველრუსულებდა. საერთოდ, უყვარდა მაღალფარდოვანი ლაპარაკი — მაგალითად, მე «Благородный юноша»-ს მეძახოდა და არ ვიცი, კიდევ რა ეპითეტებით მამკობდა, მეც ჩემი მხრივ, მაესტრობიით ან სახელ-მამის სახელობით მივმართავდი ხოლმე და ვიყავით ასე შეხმატკბილებულად. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ძაან დროს ვატარებდი და ამ განცხრომაში ისე მომეპარა გამომგზავრების დრო, რომ ვერც კი გავიგე. ბოლოსწინა დღეს აუარებელი საქმე გამომიჩნდა — ეს დარჩენილი „ობიექტების“ დათვალიერებაო, ეს ისაო, ეს ესაო, მერე საქეიფოდ გამაქანეს და სასტუმროში, შუაღამეს იყო გადაცილებული, რომ მომიტანეს. დილით, ნაბახუსევმა, თავი ძლივს ავაგლიჯე ბალიშს, ისევ მასპინძლებმა მიპატრონეს — ჩამაცვეს, დამახურეს, ცოტა მომასულიერეს, სადგურზე ციმცის მიმიყვანეს და ვაგონშიც ლამის ხელში ატატებული ამიყვანეს. მაინც ვერ გამომიკეთდა გუნება — საშანლდა მტკიოდა თავი, თან ისეთი წვიმა დაუშვა, ჩემს გამცილებლებს, მთელი მათი თავაზიანობის მიუხედავად, დიდი ხვეწნა-მუდარა არ დასჭირვებიათ, ისე გამომეთხოვნენ დავთვალეთ უშველეს. მე კი ამ დროს, რაღაც ჭირიანად, ჩემი მაესტროოც მომაგონდა, დაუმშვიდობებლად რომ ეტოვებდი და, ხომ მოგეხსენებათ, ნამთვრალევზე რავარი სინდისის ქენჯნა იცის — იოტისოდენა რამე ამაზზენ დანაშაულად მოგეჩვენება კაცს — ისეთ ხასიათზე დავდექი, ისეთი ნაღველი შემომწვა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ეგებ ცოტა გულზე მომეშვას-მეთქი, ის იყო, პაპიროსი გავაბოლე და მატარებელიც დაიძრა — ბაქანს გავხედე უკანასკნელად და რას ვხედავ — არ მორბის ჩემი მაესტრო თავქუდმოგლეჯილი ამ თავსხმაში და ვიოლინოს ბუღეს არ მოაკონწიალებს? იმის გაფიქრებაც კი მოვასწარი, ეს რაღად უნდოდა-მეთქი, რომ ამ დროს, რაკი შეატყო, ვეღარ დავეწევიო, გახსნა ბუღეე, ამოიღო ის თავისი ვიოლინო, მოიმარჯვა და დაკვრა არ დაიწყო — ან რა უნდა დაეკრა, ან ვიოლინო არ დაენანა — თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, საწყალი — მაცილებდა თავისი ჭკუით. გადავირეე, ხომ იცი, ამის დანახვაზე, დავეჯაჯგურე ფანჯარას — არ ვიცი, რას ვაპირებდი, რომ გამეღო, მაგრამ, გაგიგონია, ძვრაც ვერ ვუფაფი. მერიეს ვეცი — იმასაც ვერაფერი მოვუხერხე და დავყარე ფარ-ხმალი — მინას მივაჭყლეტე ცხვირ-პირი და ასე გავაცქერილდი მოხუცს. ის კიდევ იდგა ასე ბაქანზე, სანამ მოჩანდა და უკრავდა — თვალს რომ მიეფარა და მერეც, გზაში, კიდევ დიდხანს მეჩვენებოდა, თითქოს ვიოლინოს ხმა ჩამესმოდა შორიდან...

... ჰმ, ეგეთი ამბავი იყო, მაშ. მაინცდამაინც ვერ შეგაქცევინეთ თავი, როგორც გატყობთ, მაგრამ ნუ გამირისხდებით — თქვენ თვითონ დაიკინეთ, რამე მოგვიყევით, მე კი უკეთესი არაფერი მომაგონდა. ასეა თუ ისე, გასამრჯელო მაინც მეკუთვნის, ხომ მართალია?.. ჰოდა, თითოც ჩამოასხით, თორემ ახლა კი მართლა გამიშრა ყელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზს სამი მხრიდან მინა ერტყა, ერთადერთი მკვრივი კედელიც ხიანრისმაგვარი მოზაიკით იყო დაფარული და ხმელ-ხმელ, ჭაღარაშერეულ მამაკაცს, რომელიც ჩვეულებისამებრ კუთხის მაგიდასთან იჯდა, კვლავ ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს უზარმაზარი, ოღონდ დაწრეტილი აკვარიუმის ფსკერზე იმყოფებოდა. ამ შეგრძნების მიუხედავად, ან იქნება მისი გამოისობითაც, ამ კაცს უყვარდა აქაურობა, მეტადრე საღამოობით, როცა გაჩახჩახებულ, ხალხით გავსებულ დარბაზში ყრუ, გაბმული გუგუნი ისადგურებდა, სქელი, მყიფე მინები კი გაუმჭვირვალი ხდებოდნენ და მხოლოდ კიფეს შიგთავსს ასახავდნენ გარსმომდგარი სიბნელისაგან სარკედქცეულნი. ასეთ დროს დარბაზისაკენ ზურგშექცევით ჯდებოდა ხოლმე და ისე ადევნებდა თვალს წამსვლელ-მომსვლელს, მაგრამ ახლა სხვა გასართობი ეპოვა — ციცაბო, გლუვ მინას ერთგან ზადი აღმოაჩნდა და მასზე დაცემულ მზერას როცა აადგილებდა, უძრავი სიბრტყე ახირებულად, ჩაგდებული კენჭისაგან ატორტმანებული, ლიკლივა წრეებად გაშლილი ტბორის ზედაპირივით ამრეკდებდა და ასხვაფერებდა არეკლილი საგნების მოყვანილობასა თუ მოძრაობას.

— შეიძლება? — მოესმა ანაზდად.

მოიხედა; ჩვიდმეტ-თვრამეტიოდე წლის გოგო და ბიჭი დასდგომოდნენ თავს. ბიჭი ძალიან მაღალი იყო, მაგრამ კარგი აღნაგობის წყალობით მისი სიმაღლე არც ისე თვალშისაცემი იქნებოდა, სანდომიანი, ქალის პირობაზე არცთუ ტანმორჩილი თანამგზავრი რომ არა, რომელიც მხრამდე ძლივს უწვევდა და ხაზს უსვამდა მის ახოვანებას. მაინც უხდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ახლა გვარიანად შეცბუნებულნი გამოიყურებოდნენ, რადგან დარბაზში დაუკავებელი მაგიდა აღარ დარჩენილიყო და ახლო-მახლო მსხდომნიც ერთგვარი ნიშნის მოგებით უცქერდნენ. ბიჭმა თავისუფალ სკამს დაადო ხელი და, ემანდ, დაბნეულობა არ შემატყოსო, უკმეხად გაუმეორა:

— შეიძლება?

კიო, თავი დაუქნია კაცმა და ისევე მინისაკენ იბრუნა პირი.

— არ მომწონს აქაურობა, — გაიგონა დასხდომისთანავე როგორ გადაულაპარაკა გოგომ ბიჭს, — მოდი, წავიდეთ...

— რაღა დროს წასვლაა, თანაც ვერ ნახე, ყინავს გარეთ, აქ თბილა მაინც, — ბიჭს ხმა ახალი დაბოხებული ჰქონდა და ჩუმი ლაპარაკი არ გამოსდიოდა.

— წავიდეთ, რა, — არ დაიშალა გოგომ.

— კარგი, გეყოფა.

კაცმა მინაში მაგიდასთან მოსული ოფიციანტი ქალი დალანდა, მობრუნდა და როცა თანამესუფრეებმა ყავა და ნამცხვარი შეუკვეთეს, პატარა, მუცელგაბერილ, გამოცლილ მინის სურაზე ანიშნა უხმოდ, კიდევ მომიტანე კონიაკიო. კარგიო, უხმოდვე დაუქნია თავი ოფიციანტმა და გაეცალა.

— მოგვიტევეთ, ასე დაურიდებლად რომ შემოგეზიარეთ, — მიტრიალება არ აცალა, მოუბოდიშა გოგომ, რომელსაც ეტყობოდა, თანმხლების უხეშობის გამოსყიდვა უნდოდა. — სხვებან ყველა ადგილი დაკავებული იყო და იძულებული გავხდით, თქვენ შემოგკედლებოდით.

— არა უშავს, — გაუღიმა კაცმა, — ამ დროს აქ ყოველთვის ასეთი ამბავია.

— დიახ, ამბობენ, ძალიან ეტანება აქაურობას ხალხი და თანაც საკმაოდ ჭრელიო, არა? — გაუხარდა გოგოს შემრიგებლური პასუხი.

— მიიხედ-მოიხედე და თვითონ დარწმუნდები, — გააწყვეტინა „საზავო მოლაპარაკება“ ბიჭმა, რომელსაც ეტყობოდა, ჯერაც არ განელებოდა წეღანდელი გაღიზიანება. გოგომ მზერით

უსაყვედურა, წყენის დასაფარავად ერთხანს თავი დახარა და მერე, მაინც მოავლო თვალი დარბაზს.

— ნახე, ვინ ზის იქ, — ხელზე შეეხო უცბად ბიჭს.

იმან უხალისოდ მიიხედა. დარბაზის შუაგულში, ამოსასვლელთან, სადაც უფრო დიდი მაგიდები იდგა, რამდენიმე ქალთან და მამაკაცთან ერთად იჯდა მსუქანი, მელოტშეპარული კაცი — ახლახანს სახელგავარდნილი მწერალი, საუბრით გართულს, თითქოს აინუნშიაც არ მოსდიოდა გარეშემოთა ყურადღება.

— დიდი ამბავი... — თავი მოაბრუნა ბიჭმა.

— რატომ, რას ერჩი? — გაუკვირდა მის თანამგზავრს.

— არაფერს, უბრალოდ, ვინ ზისო, ისე თქვი, გეგონება, მართლა დიდი ვინმე დაგენახოს.

— რატომ რა, ცუდი მწერალია?

— უკეთესებიც არსებობენ...

— ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით მაგაზე უკეთესი ბევრი არ უნდა იყოს.

— დღესდღეობითაც არიან, ალბათ, ოღონდ მაგასავით არ ეჩვენებიან ხალხს, დატკბით, რა ბიჭი გყევართო.

— ნუ იცი ასეთი ლაპარაკი, აქოდა, თავმომწონეობაში არ ჩამომართვანო, გარეთაც ვეღარ გამოსულა, ისე გამოდის.

— ნუ გეშინია, არც სახლში ჯდომით დაემართება ჟანგბადის უკმარისობა, მე როგორც ვატყობ.

— შენ უბრალოდ გშურს, — გაბრაზდა გოგო.

ბიჭმა ერთხელ კი გადახედა, მაგრამ აღარ შესიტყვებია — აშკარად არ ეჯაშნიკებოდა უცხოს თანდასწრებით კინკლაობა, გოგო კი მისი უგუნებობის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო და კრიჭაში ჩადგომით უხდიდა სამაგიეროს, ისე რომ ოფიციანტმა სწორედ დროზე მოუსწროთ — სანამ იგი სუფრას აწყობდა, არაფერი უთქვამთ, ბიჭმა ჰკითხა მხოლოდ, სიგარეტი ხომ არა გაქვთო, და უარი რომ მიიღო, რაღაც ჩაიბუტბუტა, ალბათ, ეს ბოზიეთო, — ეგ ალბათ, ეს ბოზიეთ, — ეს ბოზიეთ, — ეს ბოზიეთ, —

შეალია თავი, არადა, იქნებ, მეტიც შეეძლო.

— ესე იგი, ისეთი რამეებიც წერა, რასაც ვერავინ გაიგებდა, არა?

— გამგები გაიგებს, ახლა თუ არა მერე, მოგვიანებით მაინც.

— კარგი და, მერეც ვერავინ გაიგოს, მაშინ? ხომ ტყუილად ჩაუვლის ყველაფერი? ან თუნდაც გაეგოთ, თვითონ ხომ ვეღარ მოესწრება აღიარებას?

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რიგიანი დაეწერა რაიმე და უსათუოდ გაიგებდნენ, თუ არადა, მაშინ მარტო თვითონ ეგონებოდა, დიდი რაღაც შეექმენიო და საკუთარი თავის მეტს არავის მოატყუებდა.

— დიდი ვერაფერი ნუგეშია...

— მაგისთვის არა და, ზოგისთვის იქნება არის, — სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა ბიჭმა.

გოგოს გაეცინა:

— თუ იცი იმ ზოგიერთებს რას ეძახიან?

— რას?

— ხელმოცარულებს, აი, რას. მართალი არა ვარ? — კაცს მიუბრუნდა გოგო.

— კი, ეგრე ეძახიან, — დაუმოწმა იმან.

—ეგენი, — თავი გააქნია ბიჭმა, — ეგენი ეძახიან ეგრე.

— შენ ვერაფერი გადაგაჯერებს, — ხელი ჩაიქნია გოგომ.

კაცმა ცოტა ხანს კიდევ ატრიალა თითებით კონიაკით სავსე სირჩა მერე აიღო, ნელ-ნელა გამოცალა, მაგიდაზე დადგა და ისე, რომ არავისთვის მიუმართავს, იკითხა:

— თბილისელები უნდა იყოთ, არა?

— დიახ, — უპასუხა გოგომ.

— მაშინ იქნებ გინახავთ, ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი კაცი იყო, მხატვარი, რუსთაველზე, ზედ შუაგულ ტროტუარზე იდგა ხოლმე მოლბერტით და ისე ხატავდა.

— ჰო, მახსოვს, — გაკვირვებით შეხედა ბიჭმა, — ჩემი სკოლის წინ იდგა ხოლმე, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას. კაფანდარა კაცი იყო, ჭაღარათმიანი, ველვეტის პიჯაკი ეცვა ზამთარ-ზაფხულ...

— რას ხატავდა? — ჰკითხა გოგომ.

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბიჭმა, მგონი სამხატვრო გალერეას, თუმცა ტილოზე კი ბუნდოვანი ლაქების მეტი არაფერი ჩანდა, არადა, ბლომად ხალხი ეხვეოდა, ვნახოთ, რა გამოუვაო, მაგრამ არ დააყენა საშველი.

კაცმა კვლავ შეიტანა სასმისი:

— თუ გახსოვთ, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეგ ამბავი?

— თუ არ ვცდები, ორ წელიწადს მაინც, — შუბლი შეეკმუხნა ბიჭს, — ჰო, ბოლო კლასებში რომ ვიყავი, თითქმის ყოველდღე ვხედავდი, მერე სადღაც გაქრა...

— თუ იცით, რატომ?

— რატომ გაქრა?

— არა, რატომ არ დაამთავრა სურათი?

ბიჭმა ისევ აიჩეჩა მხრები. კაცმა კონიაკი გადაკარა და სულმოუთქმელად, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— დღისით დადებული საღებავის ფენას საღამოს ფხეკდა ხოლმე შინ, ისე, რომ არც აპირებდა დამთავრებას.

— კი, მაგრამ, რატომ შვრებოდა ამას? — გაოცდა გოგო.

— რა მოგახსენოთ. რამდენადაც ვიცი, თავის დროზე ისიც არ დაგიდევდათ თანამედროვეთა აზრს მომავალი აღიარების თუ სხვა რაღაცის იმედით, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, საკუთარი თავის რწმენამ უმტყუნა, ჰოდა, მანაც გამონახა დიდების სხივებში ჭყუმპალაობის ხერხი, — ღიმილით გადახედა ბიჭს, — თავისებურად, რაღა თქმა უნდა, და სიამოვნებას იხანგრძლივებდა, ალბათ.

— მერე?

კაცმა ბიჭზე ანიშნა:

— აკი თქვა, სადღაც გაქრაო, მეც აღარ მინახავს...

გოგომაც გადახედა ბიჭს, მაგრამ ის კაცს უყურებდა — დაკვირვებით თუ მოლდინით და ამანაც იქით გადაიტანა მზერა:

— თქვენ იცნობდით იმ მხატვარს?

— არა, — უპასუხა კაცმა, წამოდგა, კარგად იყავითო, დაემშვიდობათ და ოფიციანტს მიაშურა დანახარჯის გადასახდელად. იქიდან გამობრუნებულს ის იყო, კიბეზე უნდა დაედგა ფეხი, რომ მწერალმა თვალი მოჰკრა და ფეხზე წამოდგომით, მომეტებული თავაზიანობით მიესალმა, როგორც იციან ხოლმე აღზევებულმა ადამიანებმა, თავმდაბლობის გამოჩენა როცა სურთ. ამანაც დაუკრა თავი და ხვეულ მარმარილოს კიბეს ჩაუყვა.

მაგიდასთან დარჩენილნი ჩუმად ისხდნენ, — მინაში იყურებოდნენ და თუმცა იგი კვლავინდებურად დარბაზის შიგთავსს უფრო მკაფიოდ ასახავდა, ვიდრე გარე სამყაროს, ბოლოს მაინც გაარჩიეს მხრებში მოხრილი მაღალი კაცი, ჩქარი ნაბიჯით რომ შორდებოდა კაფეს. გარეთ სუსხს, ეტყობა, კიდევ უფრო ეძალა და ასფალტიც ალაგ-ალაგ მოყინულიყო, მიმავალს ერთი-ორჯერ ფეხი აუსხლტა, კინაღამ დაეცა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია, სულ უფრო სცდებოდა კაფეში დარჩენილთა თვალთახედვის არეს, მინებიდან გადაღვრილი შუქით განთებულ სივრცეს და თანდათანობით, თითქოს ნაწილ-ნაწილ ერწყმისო, უჩინარდებოდა სიბნელეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვრივეგის ელეგია

— კვრივი — ხატის ნაკრძალი.

ქვაზე ფეხწითელა მტრედის ნავალი ეტყობოდა.
მთა-მთაზე წარღვნის გამორიყულ კიდობანივით იდგა.
ირხეოდა რაღაც მუსიკისნაირი,
მაგრამ არ იყო იგი მუსიკა —
ხეობას ეფინებოდა სიჩუმის ექოები,
რომელსაც კაცშეუვალი კვრივები გამოსცემდნენ...

შროშანებს შრიალ-შრიალით მოჰქონდათ ნაცრისფერი ყვავილები
და მიმოაფენდნენ საბეკურის კარზე...
სადაც მზე და მთვარე მიცურავენ ხავსიან ცაზე
და კაცთა ყოფის საიდუმლო ნიშნებს ანათებენ...

თითქოს ხე, რომელიც ნაყოფის მომცემია,
აღარ ჰყვავის და ხმება უხილავი ცეცხლით...
ამ არემარეში მაინც ხარობს მცენარეთა უძველესი ჯიშები:
იელი, ბზა, ღვია...
ქაცვი...
თრემლი...
რომელთაც ადამიანის თვალები აქვთ...
მათი ბუჩქები სანთელივით ანათებენ მყუდრო სამოსახლოებს,
დამარხულ ქალაქებსა და ულამაზეს ადგილებს,
რომლებსაც წინაპართა დარქმეული სახელები შვენის...
თუკი ჩვენ დაგვეკარგა ბუნების ბოძებული საიდუმლო
და რაც ვიცით იმასაც თანდათან ვივიწყებთ, —
ეს იმიტომ რომ —
ველარ ვიძინებთ იმ დიდროვანი ხეებისა
და უძველესი ჯიშის მცენარეთა ჩრდილებში,
რომელთაც ყველაფერი ახსოვს...

ბუნება ჩვენთვის შეუვალ კვრივად იქცა...
თორემ ერთი ძილი და სიზმარიც კი
საკმარისია იმისთვის, რომ კაცმა სულ ცოტა
საკუთარი პაპის სახელი მაინც გაიხსენოს...
მოიგონოს ერთი ანდრეზთაგანი მაინც,
რომელიც „დროთა კაშშირზე“ მიუთითებს...

ნუთუ ჩვენ ველარ ვიცხოვრებთ იმ ქალაქებში,
და ველარ დავეწევით იმ დროს
და იმათ, —
„ვისაც თავიანთ ბაღებში უყვაოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ზაფხული...“
და ვერ გავსინჯავთ იმ მცენარეთა ცხარე ნაყოფს
წელიწადში სამჯერ რომ ჰყვაოდნენ
და სამჯერ მწიფდნენ...(?)

ეს ჩვენი წინაპრების აგარაკებია —
იმ ნიშან-დებული ადგილებით, —
სადაც ბებერი ხარები იწვნენ
და რქებზე სანთლები ეკრათ,
ახლა კი ჭინკები ჭიაკოკონებს ანთებენ...

მე შევედი ერთხელ
ერთი დიდებული ჭადრის ქვეშ — კვრივში, და შევისვენე...
ეს ხატის ხე იყო,
იგი ანათებდა ხატსა და ხატის ირგვლივ მდებარე
აკრძალულ ზონას —
სადაც არ შეიძლებოდა ხორციელის სიარული —
მაგრამ შეიძლებოდა შესვლა ლტოლვილისა,
გაძევებულისა სხვათა თემიდან,
ან — თავისი მამულიდან —
და თავის შეფარება — როგორც „ხვთის საელჩოში...“
ხეს, წელიწადის სხვადასხვა დროს, —
სხვადასხვა ფრინველები სტუმრობდნენ...
ზოგჯერ ქედნების გუნდი ჩაშვებოდა მის ბებერ ტოტებში
და ხვთიურ სულს ჩააფენდა...
ნაბუნიობს რქათეთრი ირმები შეპბღაველებდნენ ხოლმე
ხის ფუღუროდან ამოვარდნილ მთვარეს!!!

ხე უფრო იმ სულებს „ჰყვარობდა“,
რომელთაც მის ხსოვნაში გაიარეს
და ახლაც მის წიაღში ეძინათ,
...და გამოვედი იქიდან ისეთი მშვიდი და სათნო,
როგორც ბალახი...
და ისეთი ფერნაცვალი,
რომ ნაცნობებს თვის ბულული ვეგონე,
ხოლო მწყერჩიტები მესეოდნენ
როგორც მწყერთითფქლას მწიფე ბუჩქებს...
და ვიხილე სიზმარი — რომელიც ერთხელ გახუას დაესიზმრა
და მეფე მირიანმა იხილა ზედაზნის მთაზე...
. . . . . .
ეს მხარე,
ეს ადგილები ჩემი წინაპრების სამოსახლოა,
და რაკი აქ სხვა აღარავინ დარჩა აქაველი,
და მხოლოდ მე ვარ ცოცხალთა შორის „ცოცხალ-მკვდარი“,
და მკვდართა შორის ცოცხალი, —
მე შევდგი ფეხი ამ კვრივში...
ქვეყნის ოთხივე კუთხეს ძაღლივით ნათრევი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჯილი და დამცრობილი —
მოვედი აქ და ვეხვეწები:
შემიხიზნავს კერივი როგორც ხორციელს
და ცოდვილს,
თუ ქვეყნიერ რიოშის მორევში დამტოვებს?.

. . . . .

თუ ძველი ნასოფლარის ქვებზე ჩამოჯდები,
თუ კედლებზე გადაკლილ ბალახს მოთიბავ,
მოძებნი კერიას და ცეცხლს დაანთებ, —
ნასახლარი მაშინვე სახლად იქცევა,
ნასოფლარი — სოფლად!
ცეცხლი უკან აბრუნებს და ირგვლივ იკრებს გარდასულ სულებს
და გარემო იხსენებს დავიწყებულ სიხარულს...
თუ ნასოფლარში დარჩენას აპირებ —
ცეცხლი დაინთე და გვერდზე მოუწექი;
ცეცხლი ისე გიცავს სიმარტოვეში,
როგორც მამა — შვილს,
ანდაც ხვთაება — თავის ბარძიმს...

. . . . . .

მაგრამ მაინც:
რად ხმებიან ბრდღვიალა ხეები ასე მწარედ
ძველ მამულებში?..
და ზეზეურად ნაღალატევი ლანდებივით ფითრდებიან?!
და მიიხრებიან თავისი მარადიული ზაფხულიდან —
ზამთრის ბაღებისაკენ?..
იქნება ჩვენგან სწყინთ რამე?
იქნება არ მოსწონთ ჩვენი საყვირების ექოები ძველ კვრივებს
და თავისი ზარებისა ურჩევნიათ!..

. . . . . .

საღდგომოდ,
როცა ბალახი ჯერ კიდევ არ არის გამოსული მიწიდან,
როცა ჯერ კიდევ ილო-ჟრილოა —
აქ ყველაფერი შავ-თეთრი ფირივით იხატება —
და სულში ტკივილით მეღვენდება...

. . . . . .

ნაბუნიობს —
არე-მარე თითქოს სიზმარში იძირება —
მთები გველის პერანგს იცმევენ,
თევზები მდინარიდან ფშაბ'ში გადადიან,
და დგება: ბალახთა მწიფობისა... და...
წყალთა შედედების ჟამი...

. . . . .

მერე მოვა თოვლი
და სიჩუმის თეთრი ბუხრებიდან
ყვავების გუნდი აბოლდება...
მოკვდავთა მიერი საგნები და სახელები —
ნაბშირით ნახატის სახეს იღებენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიჩუმის თეთრი სრფლები არ იცინიან
ბავშვისა და მოხუცის ნაფეხურებით...
არ ირთვებიან მელიისა და მამლის... იგავით, —
არე-მარე მხოლოდ მგლის ყმუილით იქსელება...
და დგება ისეთი ამინდი,
როცა თვითონ მზესაც სცივა ხოლმე,
რაკი საკვამურები სოფელს არ ათბობენ,
სიხარულს უჭირს
და დღე გადადის ღამის გუმბათზე...
თოვლი საერთო ფონს უქმნის
და მეტი სიმკვეთრით გამოაჩენს —
ადამიანთა ყოფის ამსახველ ფერწასულ „ბარელიეფებს“.

. . . . . .

ამ გარემოს ერთი კეთილშობილი ველი ამშვენებს, —
საღვთო კრავების საბეკური,
წინდის ნაჭრელსავით რომ გადაუდის ნახნაური სრელები
და ჯვარის ყანები...

.

აქ ერთად ცხოვრობდნენ კაცი და ჯვარი,
ჯვარსაც ისევე სჭირდებოდა, როგორც კაცს, —
ქერი და იფქლი...
ქერის ლუდი
და ქადაგი გაიდაურის „რიოში“ წირვანი...

. . . . .

ეს ადგილები:
ეს ჯვართვაკენი...
ხოლთგორ-ახოთგორი:
თილილა — მარაისძის,
იდია — თოხოლიჩას ნადგომები...
მათი სახარავნენი,
მათი თიკანსახოცანი და საირმიანი,
მაღალ სიჩალე და საელიაოს წვერი,
ბაგანი და ნახიზნარნი, —
ახლა ერთი მთლიანი კვრივია...
თუმცა არავის ეკრძალება იქ შესვლა,
მაგრამ მაინც — არავინა სჩანს მუნ მყოფელი —
თვინიერ მკვდართა და მეზვერეთა...
და ამ უცხო ნაკრძალს
ახლა ეშმაკის რემები სძოვენ...

. . . . . .

მე როცა აქა ვარ
კვილ-კვილით ავდივარ სერებზე,
კლდეზე ნისლის კოტორივით ვკიდივარ,
ხევებში გატეხილ მთვარესავით ვგდივარ...
ხან სად ვზივარ მარტო ტურასავით
და ვწევარ ხატის მწევარივით...
ზოგჯერ ძილშიაც მღვიძავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მღვიძარე სიზმრებს ვხედავ, —
რომლებიც მიმანიშნებენ ჩემს საბედისწერო შეცდომაზე...

. . . . . .

მაგრამ ჩემი სული და სხეული,
ჩემი ძილი და სიზმარი
ვერა სწვდება ამ ვრცეულ სამოთხეს —
არ ჰყოფნის,
და ვერ ავსებს მის მარტოობას!..
ამიტომ შეპყრობილი ვარ მე
ჩემი ტკბილ-მწარე უმწეობით
და მარტოობის სალუდე ქვაბებში თავდაყირა ვდგევარ
და ნისლებით ვთვრები...
თუმცა: „არცარა ნისლმა დამათრო...“

. . . . . .

„ძველი სოფლის“ ზურგთან აწოწილი მწვერვალები დგანან
და ერთმანეთის ექოებს ისმენენ...
მთები ერთი დაკვლებით შეერიალდებიან ძირიდან თხემამდე
და მიმოირხევიან ლაჟვარდში...
თქვენ შეგიძლიათ მობრძანდეთ
და მოუსმინოთ მათს ექოებს —
და ერთმანეთისაკენ მიმორხევას დაესწროთ!!

ზოგჯერ, გაზაფხულობით, იგრგვინებენ მწვერვალები, —
თითქოს ვეფხვებმა გაიღვიძესო, —
თოვლის მდინარეები ჩამოიღვრებიან
და დეკის რტოებს გამორიყავენ ძველისძველ საფლავებზე,
მაგრამ ეს მცენარენი ვერ ჰგუობენ „მკვდართა სოფლებს“,
ფოთლებს იცვლიან და სხვა სახით ხარობენ...

შეღმა სოფელში 13 ნასახლარია
და ეს ნასახლარები ახლაც ინახავენ
ამ მწვერვალების ექოებს...
ხოლო მათ “შუკებსა“ და „აივნებზე“
უხვად ჰყვავიან ის უცნობი მცენარენი,
რომელთაც ცოცხლები არ რგავდნენ... თავის სიცოცხლეში
და ოდესღაც დეკის ყვავილები შვენოდათ...

ამ სოფლებს აქვს იმისი „ბედნიერება“
რომ დიდხანს ასე დარჩნენ
და წარსულის სიზმრებში იბანაონ...
თუმცა, ჩემთვის, აქ ისევე ჰყვავიან
ის გაუგონრად ლამაზი, გველისფერი სათიბები
და ქალი-სამძიმარა, ჯუთ ელენეს ყელღილიან ქათიბში,
ჩემი სიხარულის გვირილით...
მე რა ვიცოდი, რომ ყოველი სათიბი და ნამთიბლავი
ბოლოს გვრინით თავდებოდა!..
და ხიმშირას მოსამკელი ყანის კუდსაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრიალა მზე და ქარბორბალები აიტაცებდნენ,
და იმ ქურწითელა ვაშლებსაც გველი შეიპყრობდა...

ახლა სწორედ იმ ყანის კუდზე ვწევარ, —
სადაც აქაურებმა უკანასკნელი ძნები მომკეს,
სამი ხმიადი გამოაცხვეს
და სადღაც წავიდნენ —
მიწა აქ ისევ მოლოდინშია და გულივით ფეთქავს...
. . . . . .
მინდა ჩემს „სააგარაკოში“ მობრძანდეთ
და ის ხეები გავანედლოთ,
რომლებიც აქ დიდი ხნის წინ ჰყვაოდნენ —
და როცა პატრონი თვალს მოეფარა —
ისინიც მიეფარნენ...
. . . . . .
ახლა მე მოვედი, თორღვა ძაგანივით და შევუდექი კოშკის აგებას
კვრივის წიაღში!..
ველი რომელიც მწვანე ჩარჩოშია ჩასმული
ტიხრული მინანქარივით მოსჩანს მაღლიდან.
თუ ბორცვზე გულაღმა დაეგდები და მაღლა აიხედავ
იხილავ ცას — რომელიც ცისა უნახავს გაგხდის...
ღამით, უმთვაროც რომ იყოს, მაინც ანათებს!
და ელოდები: ჩამოდგება ნავი
და გველშაპი ჯაჭვის თვალს ჩამოგიშლის!
გულაღმა დაწოლილი
და თევზივით ლაყუჩგაღებული
სუნთქავ ვარსკვლავების ჟრიალში, —
სანამ არ ჩამოივლის ერთი აქაური —
ღვიის ბუჩქში ნამძინარევი კაცი და არ გაგიღიმებს:
„ეგ ცა სულ ეგრე იყო, ჩემო კარგო კაცო,
რად გაგკვირვებია? —
კიდობანში ხომ არ ჰყავდი დამწყდეული?!“
—ვყავდი! ვყავდი! —
შესძახებ შენ და გონზე მოხვალ.
. . . . . .
ახლა მე მოვრჩი თხრობას, იმ უცნაური ნაკრძალის შესახებ,
რომელსაც ჩვენი წარსული ჯერ კიდევ ახსოვს —
ამით ჩემს გულშ შედედებულ ტკივილს ვაცხადებ,
და ვამბობ:
რომ ღმერთი არ ჩარეულა ამ საქმეში —
და საკვირველია მამულების ასეთი გაკვირვება კაცის ხელით.....

ლევან სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი

კარი მესამე

ქვართი

ქვა არის სიმტკიცე დედამიწისა, ჩონჩხი მისი სხეულებრივი ანაგებისა, სასოება მისი ტანის სიმთელისა და განურღვეველობისა.

უკეთუ ქვა არ ყოფილიყო, ადამიანიც არ იქნებოდა, ანდა თუ იქნებოდა, სხვანაირი უნდა ჩამოკეეთილიყო ადამიანი, სულ სხვანაირი.

(იქნებ კიდევაც აჯობებდა, სხვანაირი ყოფილიყო ადამიანი, იქნებ უარესიც იქნებოდა, მაგრამ ახლა ამ საკითხავთან არაფერიც არ გვესაქმება).

ჰო და, ქვა არის-მეთქი სიმტკიცე დედამიწისა და... ადამიანის სიმტკიცეც.

ადამიანი ქვის სიმტკიცის და სიმკვრივის იმედად ცხოვრობს და იღვწის.

და მთელს წუთისოფელს ქვასთან განუყრელ ჯუფთად ატარებს ადამიანი.

ქვა არის მისი პირველი საშრომელი და საბრძოლველი იარაღი — საცხოვრებელი.

ქვა არის მისი კერია — საცხოვრებელი.

ქვა არის მისი საკურთხეველი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი სახლი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი წისქვილი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი საფლავი-საცხოვრებელი.

ქვასავით მტკიცე.

ქვასავით მძიმე.

ქვასავით მკვრივი.

ქვასავით მთლიანი.

ქვასავით მომმენი.

ქვასავით უგრძნობელი.

ქვასავით გული, გინა — გულქვა.

და ქვა თვითონ არს გულქვა, ადამიანისთვის ფრიად გულქვა.

არაფერი ისე გულქვად, ჯიუტად არ ეურჩება ადამიანის ხელს და გონებას, როგორც ქვა.

მაგრამ მაინც დაამჯობებდა ქვით ნამტკიც დედამიწაზე კაცი კაცთაგანი, რომლის წინაშეც ყოველი ჯიშის ქვას სისხლში მონის თვინიერება ჩაუსახლდებოდა, მისი ხელის უბრალო გადასმაზეც ქვის გული ცვილისად ექცეოდა, მისი საჭრეთელის შეხებისას ძვალსახსარში ვასილისკო გაუვლიდა და ტანი აუცახცახდებოდა.

და ეს კაცთაგანი იყო: სახელად — თვალშვენიერი, გვარად არსუკისძე, მესაიდუმლე და მეუფე სულისა ქვისა უსულოისა

ველურ ქვათაგან ყოვლად მყაფარ და საჭრეთლის მსხლეტარ რუქან კოხის ქვასაც თვალს დაჰკრავდა თუ არა, მაშინვე უცნაური გერშით უპოვნიდა უწვრილეს ნერვებს და, ჩუგლუგის ერთი შემოკვრით, ეტრატის ფურცლებივით დაშლიდა ყოველი სხვა ოსტატისთვის შეუღწეველ შხამიან კოხს.

უფრო მსუბუქად, თამაშ-თამაშით, მოჰყვებოდა არსუკისძის ხელი — კაჭარი და არძანი, სალა და კარკარი,

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 3.

სპონდიო და ფიქალი, სიპი და სასრეკი, ქარწყია და სოდომის ნალეწი.

მაინც დრუნგილი იყო ტრფიალი და გზნება თვალშვენიერ არსუკისძისა.

ალგეთის, თეძმის და ნინბისის ბუდობთაგან ამოკაფული ლაჟვარდოვანი, მწვანე და ხორცისფერი დრუნგილის ლარფინები იყო მისი საყვარელი, სულის მარგებელი სამუშაო მასალა.

სრული გატაცებით და თავდავიწყებით თლიდა და კვეთავდა ჩუქურთმას და ყოველი ახალი თხზულებაზის, ალაგრეკის, მეანდრის წყობის ახსნა და თვალის ანელა უსაზღვრო სიხარულით ავსებდა მის გულს.

გარშემო კი სრული ძალისხმევით იძვროდა ყოველი იძვრისი სვეტიცხოველის აღმშენებლობისა.

გიორგი მეფისა და მელქისედეკ კათალიკოსის მკაცრი განკარგულებანი, განუცადებელი ზრუნვა და ურვა მტკიცედ ესაწინდრებოდა ტაძრის აღმასვლას.

ხარები, ცხენები, კარაულნი, ვირი, კერძოვირი და აზავირი — ცალუღლად, უღლად, ყევრად — განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ ქვასა და ღორღს, ლოდსა და როჭკს, სილას და ქვიშას, კირსა და ცარცს, გაჯსა და კირლამს. ხე-ტყე ტიეებით მოცურავდა მტკვრით და არაგვით, და ზედ ტაძართან ერთდებოდნენ, წეროების გუნდის მინამსგავსად.

განუწყვეტლივ და მონაცვლეობით თავიანთ კერძ სამუშაოს განასრულებდნენ — ხურონი, ქვითხურონი და კირითხურონი, მხატვარნი, მსახვარნი და მეჩუქურთმენი, ზეინკალნი და კვერისხურონი.

იჭრებოდა, იკაფებოდა, ითლებოდა და ირანდებოდა — ამაკი და ადიტონი, დვირე და დროშის ჭოკი, ანწალა და ავარტანი, ელამონი და ელევენი, თავბანდი და თავკიდე, კამარა და არწიკაკი, ლატანი და ლავგარდანი, ბაზო და გულფიცარი, ბატიყელა და სერსერთი, თაღი და თაღის წარბი, კაკუტი და ჯალაბდარი, ლართხი და ლარტყა, ნივნივა და საგბოლიანი, საცრმლე და სალექარი.

ხალხში უკვე დადიოდა ხმა: მცხეთაში სვეტიცხოველი ქუთათისის ბაგრატიონულ ეჯიბრება ისე, ვითარცა კონსტანტინოპოლის აია სოფია ეჯიბრებოდა იერუსალიმის სოლომონის ტაძარსო.

და არსუკისძე არსუკისძეს ეჯიბრებაო, — ამასაც ამბობდნენ.

იცოდე, მკლავს დაგაგდებინებ, ჭიმმა რომ მამაჩემისას არ აჯობოსო, — უთხრა ქუთათისიდან ახლად ჩამოსულმა, ახლადნაკურთხმა მეფემ, გიორგი პირველმა თვალშვენიერს.

თან ისე უთხრა, კაცი ვერ მიხვდებოდა, სახუმროდ თქვა თუ საჟეშმარიტოდ.

ქვას აპობდა, აკოპიტებდა, თუ კაზმაადა — ყოველთვის მარტოობა ერჩივნა თვალშვენიერს, კაცთაგან მარტოობა.

არ უყვარდა, როცა მისი თითების კვალდაკვალ სხვისი თვალები დაცოცავდნენ, ღრიანკალის საცეცებივით.

მეტადრე შურიანი თვალების ფათურს ვერ იტანდა მის ნახელავზე.

არა და, თვალახმის გარეშეც უტყუარი გერშით შეიგრძნობდა და შეიცნობდა ბოროტ თუ კეთილი თვალის თვალთვალს გრძნეული ხუროთმოძღვარი.

იმ დღესაც ასე მოხდა.

თვალშვენიერი ტაძრის მთავარი კარიბჭის კურტიმლებს კაზმავდა, როცა ოფლით დაცვარულ მარჯვენა ხელის მტევანზე მოშურნე და მოძნაური მზერის დაცემა შეიგრძნო.

ხელი ზედ ქვაზევე გაუქვავდა.

აიხედა.

ჯარბის თვალები უცქერდნენ, უძვრელად, ჩაციებით.

ფეხისგულები გაუხურდა არსუკისძეს (რაც სჩვეოდა უამური განცდის ჟამს).

ჯარბის თვალებიანი მწოფური ჭაბუ-

კი იყო, მწითური თხელი წარბებით, დაბალი უნაოჭო შუბლით და წინწამოზიდული, უსაშველოდ გრძელ-ბიბილოვანი ყურებით.

— რაი არს, ხუროთმოძღვარო, ასე ავად რომ შემომხედე? იქნებ, საჭვრეტად გებილწებოდე? — თქვა ჯიქურად მოსულმა და ისე ცივად გაიცინა, რომ სიცილი იგი ტუჩ-კბილის არეს არ გასცილებია და სახეზე ნაკვთიც არ შერხეულა.

გალახული კვერცხიდან გამოჩეკილს ჰგავსო, გაიფიქრა თავისთვის თვალშვენიერმა, ხოლო ხმამაღლა ეს ჰკითხა ახალმოსულს:

— ვინ ხარ, ჭაბუკო, შენ?

— მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ჩემი მოსვლაც ამ ქვეყანაზე ჩვეულებრივი იყო. ჩემი არსებობაც ჩვეულებრივი პამპულობით დაიწყო. დავიბადე თუ არა, ვითარცა ყველას, მეც სულ პირველად ბარძაყებში ჩამხედეს — ბიჭი დაიბადა თუ გოგო — და მერე მოითვალისეს ცხვირი და თვალები, პირის ნახევი და ყურის ნაჭრევნი, ხელები, ფეხები, თითები...

— მე დაბადება არ მაკითხავს და, კიდევ, როგორი კვერცხისაგანი ხარ შენ, — გააწყვეტინა არსუკისძემ და კვლავ აემზადა სამუშაოდ.

— მაშ, სხვარიგ გეტყვი: არიან სხეულნი გრილნი და სხეულნი ტფილნი, ხოლო მე გრილთა სხეულთაგანი ვარ, — და ნასაუკუნევ ძვალთა ჩხარუნის მინამსგავსი ხმით გაიცინა მწითურმა სტუმარმა.

„ვიცნი საქმენი, შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი, და მეგულების აღმოგდებაი შენი პირისაგან ჩემისა“, — უცებ მიუგდო არსუკისძემ სიტყვითა იოანე ღვთისმეტყველისა.

— მე ვარ ქირქნი აბულახტარი! — შესძახა სტუმარმა, დიდგული, მზვაობარი ხმით.

— მაინც რაისთვის მოსულხარ, ჭაბუკო აბულახტარო? — ყრუდ ჰკიდხა თვალშვენიერმა.

— სახილველად სვეტიცხოვლის აღმშენებლობისა.

— აჰა, ესერა, შეხედე, მიდი ხალხთან, აღმშენებლებთან.

— ხალხთან? — სიცილი აუვარდა ქირქნს აბულახტარს. კარგახანს ღინცილებდა მხრებისა და ყურის ბიბილოთა ტოკვით.

— გინდა ხალხი და გინდა ხვასტაგი! ბღავილი კუუთა და აღრევა მამრთა და მდედრთა, სხვა არაფერი! დანარჩენი ყოველივე, გონისმიერი, არის მხოლოდ ყალბზე უყალბესი ლაყბიერება, სიცრუე და ფარისევლობა! — როგორც იქნა დააბოლოვა და ბიბილოებიც დაუწყნარდა.

— საძრახისია, ფრიად საძრახისი, შენი სიტყვაც და შენი სიცილიც! — მკაცრად თქვა არსუკისძემ და ისევ შეუდგა მუშაობას.

— ხალხთან კი არა, მე შენს სახილველად მოვედი, ხუროთმოძღვარო.

— ჩემთან, რაისთვის? — ისე იკითხა, თავიც არ აუღია და არც მუშაობა შეუწყვეტია არსუკისძეს.

— სიდიდისთვის.

ეს რომ მოესმა, მაშინ კი ასწია თავი თვალშვენიერმა, კითხვის ნიშნით სახეგარდასახულმა.

— რა სიდიდისთვის?

— იმისთვის, რასაც დღეს ჰქვია სახელად თვალშვენიერი და გვარად არსუკისძე, აღმშენებელი ქუთათისის სამეფო და მცხეთის საკათალიკოსო ტაძრებისა.

— მერე, იხილე ერთიც და მეორეც.

— ტაძრები?

— სწორედ.

— მე ტაძრების დიდი აღმშენებლის ხილვა უფრო მეწადნიერება, ვიდრე იმ აღმშენებლის დიდი ტაძრებისა.

— ?!

— ვინათგან ხალხი აღმშენებელზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე აშენებულზე.

— აკი ხალხი ხვასტაგიაო, და უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ასეა, მის ლაპარაკს რაღა ფასი აქვს?

— ხალხის ფასი სწორედ მხოლოდ ლაპარაკში და ხმაურშია, გინა ხვასტაგივით ზმუილში, ბღავილში და სხვა არაფერში.

შეჰხარა ამ სიტყვებმა თვალშვენიერი. დიდხანს სდუმდა, მიწას თვალმიბჯენილი. რეცა, ეგზომ უტიფარი სიტყვის მოკმელიც გადავიწყდა. მერე ტაძრის კართშემო მომუშავე და მოფუსფუსე ხალხს გაჰხედა და უსაზღვრო სიბრალულმა მოიცცა გული მისი. ბოლოს მოუბრუნდა იმ უსიამო სტუმარს და უთხრა თავშეკავებული მძვინვარებით:

— წადი აქედან, ჯაბუკო, წადი და დაივიწყე, ჩემთან რომ იყავ და მეც დავივიწყებ შენს სტუმრობას.

— არა, არ დაივიწყებ, არაის გზით არც დავიწყებ და ვერც დავიწყებ! — ენინო დატენილი ხმით შესძახა სტუმარმა — ქირქილშ აბულახტარს ვერავინაც ვერ დავიწყებს, და განა მარტო იმიტომ, რომ მას გრძელი ბიბილოები და ჯარბის თვალები აქვს, ან კიდევ, ხელის თითები უფრო მოკლე, ვიდრე ფერხთა თითები!

უნებურად თვალი გაეჭცა არსუკისძეს და მართლა გააოცა ქირქილშ აბულახტარის ხელებზე თითების სიმოკლემ. ხელებიდან ფეხებზე ჩამოჰკრა მზერა, მაგრამ ძვირფასი, სინგურისფერი წაღები ემოსა ფეხებზე მწითურ ჯაბუკს და არ უჩანდა ფერხთა თითები.

—...არამედ საქმენი მისნი გაიძულებენ, ვერასოდეს ვერ დაივიწყოთ ქირქილშ აბულახტარი!

სთქვა მუქარით და უცებ იქვე მწოლარე უზარმაზარ რუქან ლოდს დაწვდა ორივე ხელით, დაწვდა და, სანამ არსუკისძე რაიმე გააზრებას მოასწრებდა, ასწია ქირქილშმა ციმციმ ის მქისე ქვაკლდე, ათი ვაჟკაციც ასაწევად ხელს რომ ვერ შეუბედავდა. ასწია, წუთით ჰაერში გააჩერა და ისევ არხეინად ჩამოუშვა და დაასვენა ლოდი ეგ მისსავ ნაწოლზე.

— აჰანდე! — იყვირა ნიშნისგებით და თვალი თვალში გაუყარა აბულახტარმა არსუკისძეს.

გაოგნებული იდგა სვეტიცხოვლის აღმშენებელი.

— სადაც ვინმემ თავისი სთქვას, იგი ნურც ჩემსას დაივიწყებს! — გაიცინა აბულახტარმა ავი სიცილით.

გაიცინა, გატრიალდა და გაუჩინარდა.

გაუჩინარდა და რაღაც უცნაური სუნი დატოვა, ჯარიოტის სიმყრალის მინამსგავსი.

თვალშვენიერი კი იდგა და გაშტერებით დასცქეროდა ქვას, რომელიც მართლაც ათ კაცს ბზის ფორნიდან ძლივს გადმოეღო და ახლა ერთ ვინმე კოტიტა თითებიანს ეგრე იოლად დაებრიყვებინა.

იმ დღეს ერთხელ კიდევ დაისვა ღრიანკალი ბარძაყზე ქირქილშმა.

დაისვა და გაახელა მსუბუქი ბწკენინო, და როგორც კი გაავებულმა მცოცავმა ტიტველ ხორცს მარწუხები მოუჭირა და ნამარწუხალში გესლით გატენილი კუდი ჩაასრიალა, სრულად ჩანერწყვა და ჩაწურვა აღარ აცალა ქირქილშმა და უმალვე აიგლიჯა ხორციდან მცოცავი იგი.

ისე ჩანდა, თანდათან, მცირე ნანერწყვავით აჩეკვდა ტანს ახალგაზრდა აბულახტარი ღრიანკალის გესლს.

ის დღე მოეწამლა თვალშვენიერ არსუკისძეს. რასაც ხელი მოჰკიდა, ვერაფერი სასიკეთოდ ვერ მოიხმარა — ვერც საჭრეთელი და ვერც საჭვრეთელი, ვერც სატეხი და ვერცა საკვეთი, ვერც ხვეწი და ვერცა ჩქუთი.

ბოლოს, ნასამხრალზე იფიქრა — სულ მოცდენას, საიოლო რამეს მანც გავაკეთებო და ბადიმებს ჩაუჯდა გასათლელად.

და უკვირდა ყველას, ბადიმების

სათლელად როგორ მოიცალა ჩვენმა დიდმოძღვარმაო.

თლიდა და ქირქილ აბულანტარზე ფიქრობდა არსუკისძე. უეჭველად გალახული კვერცხიდან იქნება გამოჩეკილიო, ფიქრობდა, მაგრამ იმოდენა ძალა რა სატანას უბოძებია ამ ბოროტისთვისო. თანაც თავს ეგულისწყროებმებოდა თვალშვენიერი, რატომ ვფიქრობო, აკი გადაეწყვიტე სამუდამოდ დავივიწყო ეგ ნავსიანი ნაშობი ბელზებულისაო.

და ამ ფიქრში რომ იყო, უცებისად ისევ იგერშა უცხო თვალი ბადიმის თლაში გართულ ხელის მტევანზე.

მაგრამ ამჯერად იგერშა არა თვალი ჯარბისა, არამედ ჰოროლი მზისა.

წამისად აიხედა თვალშვენიერმა.

მის წინ შავ ბურნუსში გახვეული და შავი საკვართულით წელშეკრული ჭაბუკი იდგა, ხმელი, მაღალი, უხამლოო. მრეში თმები მძიმე ვარჯებად ეყარა მხრებზე. სახე ნამზეური ჭქონდა, უცხო, არაამქვეყნიური ფერისა და ერისა.

ასეთი წყობილი და დაწყნარებული სახე არასოდეს ენახა არსუკისძეს.

„ჭაბუკი სიბრძნის სიმწიფითა ნაყოფითა განშვენებული და... ეგზომ წყობილი, ეგზომ სახედაწყნარებული...

ნეტავ, ასეთი ხომ არ მინდა იყოს სვეტიცხოველი?!“

და წამით ტაძრისკენ გაიხედა ხუროთმოძღვარმა.

წამითვე შემობრუნდა და ისევ სახეში შეხედა მოსულს.

თვალები დიდი და ლურჯი ჰქონდა.

და, რეცა — წარბებიც ლურჯი.

მარცხნივ, საფეთქელზე — ცისფერი აშკი კათოლიკე ძარღვისა, ვითარცა ზედწარწერა — „კახ“.

ხოლო, შუბლი — მაღალი და ჯვარსახოვანი.

ღმერთო დიდებულო!

თვალი ხომ არ მაცდუნებსო, გაუელვა არსუკისძეს, ჭაბუკის შუბლს წამით მზერა მოწყვიტა, ზედაზენს გაჰხედა, მერე ჯვრის ტაძარს, იქიდან არაბანი მთას და ასე, გაწაფული თვალიერებ სტუმრის შუბლს მიაშტერდა.

ბეჯითად — ჭაბუკს შუბლზე ჯვარი ესახა!

ერთმანეთს უცქერდნენ დიდხანს, მდუმარედ, თვალგანწონილნი.

და გრძნობდნენ ცალცალკე — როგორ ეღვიძებოდათ ერთმანეთისგან სულში უცხო მზე — ამქვეყნიური სამზეოსგან მიღმიერი მზე.

გიორგი ვერ მიხვდა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო. მაგრამ აზრი კი დაიკრა, რა კითხვაც დაიბადა არსუკისძის გულში — „ვინ ხარ, ჭაბუკო, შენ?“ — და გულნაფიქრალის სიტყვით გაცხადებას თვითონ დასაწრო პასუხი:

— ერთი მწირი ვინმე ვარ, მდაბალი და უხმარი მონაი ღმრთისა.

ეს მაინც და მაინც არ გაჰკვირვებია თვალშვენიერს. აკი ვინაობის გასაგისი კითხვა ყველასათვის ერთნაირიაო და ახლა თვითონ დასაწრო კითხვა:

— სახელად რა გქვია ღვთის ნათლულო?

— გიორგი.

— საიდან და რა გზით მოდიხარ?

— იმ გზით, რა გზითაც იარა ნინომ — ფარავნიდან მცხეთის კარამდე.

— ნინოს გზით? — გაიკვირვა თვალშვენიერმა. მცირედ ჩაფიქრდა და განაგრძო — იქნებ ყოველ ნათესავ ქართველს სულის მარგებელ ევლოგიად განეცდებოდეს ერთხელ მაინც გაელა მაგ გზისა.

თქვა და ისევ მიაჩერდა სახეზე სტუმარს.

დუმილი გახანიერდა.

„რომ გაიღიმოს, სამი-ოთხი წლის ყრმას დაემსგავსება“, გაივლო გულში თვალშვენიერმა.

და „გულში გავლებულს“ წამსვე ხმამაღლა მიუგო გიორგიმ:

— ბავშვის ერთ ღიმილს მთელი სამყაროს სიხარულიც ვერ აიწონის.

ამას კი აღარ მოელოდა თვალშვენიერი.

(მაგრამ გიორგი კი მოელოდა?!).

„ნუთუ ეს ჯაბუკი არის იგი — მარჩბივი ჩემი სულისა?!“ — გაუელვა არსუკიძეს.

„ნუთუ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი არის მარჩბივი ჩემი სულისა?!“ — გაუელვა გიორგის.

— ბავშვის ღიმილიო, რაისად ამბობ? — ხმამაღლა იკითხა გაოგნებულმა არსუკიძემ.

— გზაზედ, ურბნისს რომ მოვატანე, ერთი ხის ჩრდილში მცირე ხანს შევდექ დასასვენებლად — დაიწყო გიორგიმ — იქვე მცირე მოლზე მივწექ და თვალი მივლულე. რაღაც შრიალმა გამომაღვიძა. ვხედავ, ჩვილი ყრმა, სამი ანუ ოთხის წლისა, ბალახში მოაბიჯებს უძალო და უსასო ნაბიჯებით. მოდის და ხელში ყვავილი უჭირავს რაღაც უცხო, სისხლისფერი ყვავილი. ხოლო სახეზე... ღმერთო ჩემო, რა სახე იყო ეს, ან რა ღიმილით მოქანდული და დამშვენებული! მოვიდა ახლოს, სულ ახლოს, ყვავილი ჩემკენ გამოიწვადა და მითხრა პირღიმილიანმა: „აჰა, ესერა!“ — მე ჩამოვართვი ყვავილი უცხო, თავზე ვეამბორე ყრმას და ჯვარი გარდავსახე სამჭოს. სახე დაუდინჯდა და დაუბრძენდა ყრმას. გაიღიმე ისევ-მეთქი, შევეკედრე. წამით გაიღიმა, უცნაური არილის შუქით, ისევ ჩაიქრო ღიმილი, ისევ დინჯი სახით ამომხედა, მიეკერა, მიეკერა და, უცად, რეცა რაღაც გაახსენდა, გაბრუნდა და წავიდა უძალო, აცაბაცა ნაბიჯით, და შევიდა ღია ჭიშკარში, საიდანაც გამოსულიყო ჩემი ძილის ჟამს.

დაასრულა, უბეში ხელი ჩაიყო და ყვავილი ამოიღო გიორგიმ.

— აჰა, ესერა, ყვავილი იგი, უწმიდესი, უმანკოესი და უსათნოესი ხელით მოწყვეტილი, და მთნაეს მე, რამეთუ მოგიძღვნა შენ!

მაღლი მიუგო თვალშვენიერმა, ყვავილი ჩამოართვა, დაყნოსა, დახედა და თქვა გაკვირვებულმა:

— ასე ცოცხალი, ასე სურნელმოსილი, თითქოს წუთის წინ მოეწყვეტოთ?

— ორი დღე-ღამის წინ მოისრა, იგი — და მაინც არის ისევ ცოცხალი, ცოცხლითა პირველშობილებითა, — თქვა გიორგიმ.

ატრიალა და აბრუნა ხელში ყვავილი იგი თვალშვენიერმა, მერე გიორგის შუბლს მიაჩერდა და თქვა მხურვალედ:

— ხოლო მასაზრდოებელი ამა ყვავილის უჭკნობლობისა — წმიდა გზა ნინო განმანათლებლისა, ხელი უმანკო ყრმისა და ხელიდან ხელში წმიდა ჯაბუკისა.

— ..და კვლავაც უჭკნობელი დარჩება იგი უწმიდეს და უნეტარეს ხუროთმოძღვართან დავანებული, — დაასრულა გიორგიმ სიტყვა თვალშვენიერისა.

გაეცინა თვალშვენიერს.

— უწმიდესი და უნეტარესიო? ჩუმად, ჯაბუკო, მელქისედეკ კათალიკოსს არ მიწვდეს ყურში, თორემ მერე ის გვწვდება ჩვენ ყველში, — თქვა, სიცილი ჩაათავა და ისევ დინჯად და საქმიანად დაასრულა:

— ეს ერთი ღამეც ვაცალოთ და, უკეთუ ხვალ დილითაც ყვავილი ესე უცნაური კვლავ ამნაირი ცხოველმოსილებით შემოგვანათებს, მაშინ ჩვენც ჩვენებურად სასწაული ვისასწაულოთ.

თქვა თვალშვენიერმა და წავიდეთო, ანიშნა გიორგის. მიჰყვა სტუმარი მასპინძელს. სვეტიცხოვლის ეზო გაიარეს. უხაროდა გიორგის, საუფლო ტაძრის მშენებელთა სახეებს რომ უკქერიდა, საუფლო ოფლით ალმურმოდებულ სახეებს.

„და სრულიად მიმოსახედნი და მიმოსადგომნი სვეტიცხოვლისა მოუცავს ერთ მთლიან, განუკეთეელ და განუჭრელ სუნთქვას, საუფლო სუნთქვას“, — ფიქრობდა გიორგი.

— აქ ერთობილი საუფლო სუნთქვით სუნთქავს ყოველი, — თქვა თვალშვენიერმა და ხარაჩოს პირველ კიბეს შეუდგა.

„ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ჩემი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდუმარე ფიქრი იყო და ამან სიტყვით, სწორედ ახლა, გასწვრივად ჩემი ფიქრისა, ვით განაცხადა?!“ — ტვინი დაეწვა გიორგის.

— ...სხვანაირად სვეტიცხოველი არც აშენდება, — დაასრულა ორივეს ფიქრი თვალშვენიერმა, ხმამაღლა დასარულა, ხოლო თავისთვის გულში კვლავ გაივლო, სწორედ ეს ჭაბუკი უნდა იყოს მარჩბივი ჩემი სულისაო.

მიუძღოდა მასპინძელი სტუმარს და ფიქრობდა თავისთვის გულში: „ნეტავ შემეძლოს, მუხლმოყრილმა რომ ავაშენო სვეტიცხოველი“.

მიჰყვებოდა სტუმარი მასპინძელს, კიბით-კიბეზე და ფიქრობდა თავისთვის გულში: „ნეტავ შემეძლოს, მუხლმოყრილმა რომ აღვწერო ყამნი და ცხოვრებანი საქართველოსი“.

მიდიოდნენ და ადიოდნენ მაღლა მარჩბივნი სულისანი.

„და უკეთუ სხეულით ვერ შევიძელ, სულით მაინც დაჩოქილი ვიქნები შენი აღშენების ყამს, სვეტიცხოველო!“ — ფიქრი მოინაცვლა თვალშვენიერმა.

„და უკეთუ სხეულით ვერ შევიძელ, სულით მაინც დაჩოქილი ვიქნები შენი ყამთასვლის აღწერისას, ქართლოსის ჯიშო!“ — ფიქრი მოინაცვლა გიორგიმ.

ადიოდნენ.

და თავისთვის ფიქრობდნენ.

და ერთნაირად ფიქრობდნენ.

მაგრამ ერთმანეთის ფიქრი არ ესმოდათ ახლა.

განგებას ორივენი იმით დაესაჯა, ყოველთვის რომ ვერ შეეტყოთ ერთმანეთის მდუმარე ფიქრი.

ვიდოდნენ ქვემოდან მაღლა, ვიდოდნენ მაინც ერთი სულისანი, ერთობილი ფიქრთმეტყველებით აღვსებულნი.

ნაზრახევნი და ნაზიარევი შინაგანი სულისანი.

სულ მაღლა ავიდნენ, წელში გარდაკვეთილი ტაძრის ზღუდარზე.

იდგა ქვედატანი ტაძრისა და სულწასულად, გამთლიანების წყურვილით შეპყრობილი, ელოდა სადღაც ზედეთში გაფრენილ ჯერ კიდევ უსხეულო თანამესხეულს.

ჩამოსხდნენ.

თვალშვენიერმა გიორგისგან მიძღვნილი ყვავილი ილეკროს ლორფინზე დასდო და თქვა:

— დილამდე დაველოდოთ და ვიხილოთ ძალმოსილება მისი ცხოველმყოფელობისაი.

გიორგიმ მდუმარე თავდადრეკით ამცნო თანხმობა.

მზე ჩაიწურა.

ჰაერი იძრა.

რწმოლმა იწივლა.

მწუხრის ძელსა სცეს სამთავროს ტაძარში.

და უცებ, სიმღერის თუ ლოცვის მინაგვარი ხმით აღმოხდა არსუკისძეს:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ფიქრი უფლისა.

— ეს როგორღა მოხდა, ხუროთმოძღვარო?! — შესძახა გიორგიმ.

— რა, გიორგი?

— ეგ ლექსი ხომ ჩემს სულში დაიბადა, ფარავნის ტბასთან, ხოლო... შენს სულში საიდან გაჩნდა?

— რა ლექსიო? — იკითხა თვალშვენიერმა განცვიფრებით.

— რაიც ახლა თქვი, — და თვითონაც ლოცვასავით თქვა გიორგიმ:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ლოცვა უფლისა.

— ნუთუ მართლა! ნუთუ ისევ... — იყვირა თვალშვენიერმა.

ვეღარ შეენშნათ, როგორ წამოვარდნილიყვნენ ფეხზე ორივენი.

დიდხანს იდგნენ ასე — ჩაფიქრებულნი, გაოცებულნი, გაშეთებულნი.

— მე ვიცი ახლა რა სიტყვა სუფევს შენს სულში, — უთხრა თვალშვენიერმა.

— მეც ვიცი, რა სიტყვაც სუფევს შენს სულში, — შეაგება გიორგიმ.

— სთქვი!

— ძელის ცემა მარადიული სიცოცხლე და სიფხიზლეა კაცთა მოდგმისა.

— აგრეა, აგრე, ფიქრი ჩემი! — შესძახა თვალშვენიერმა.

— აგრეა ჩემი ფიქრიც, რაიც ჩემს სულში დაიბადა ჯერ კიდევ პირველ ყრმობისას.

— მაშ, შენს სულშიც, ჩემს სულშიც, ეამეამეულად, ერთნაირი საფიქრალნი აღიძვრებიან, ერთნაირ წყობით, ერთნაირ ხმობით, ერთნაირ გრძნობით! — სთქვა თვალშვენიერმა და მარჯვენა ხელი მხარზე დაადო სტეპარს.

გიორგიმ იგრძნო, რომ არსუკისძის მარჯვენა უსაზღვრო სიყვარულით იყო ტვირთული.

— მაშ, ვართ ერთარსნი! — თქვა გიორგიმ.

— თუ, თანაარსნი?

— არა, ერთარსნი! — მტკიცედ გაიმეორა გიორგიმ.

— ამინ, ერთარსნი! იყოს ეს სიტყვა ქართული, ნარუქად ნაშობი შენი სულისა.

— ჩვენი სულისა! — ჩაასწორა გიორგიმ.

და ჩამოსხდნენ სულით გაბედნიერებულნი.

„მართალი ყოფილა: მსგავსი მსგავსს ახარებს და აბედნიერებს“, — გაუელვა ორივეს ერთეამეულად.

სული მარტოი იღლება მარტოსულობის სიმძიმითო, — ამბობდა არსუკისძე — დადის მარტოსული დაღლილ-დაქანცული, დადის და ეძებს მეორეს, თავის ჯუფთის ცალს, რათა მიეყრდნოს, მიესვენოს, მასთან მიმოსუნთქვით აღორძინდეს და კვლავ განემტკიცოს. უმეტეს წილ ამაოდ ეძებს მარტოსული თავის ჯუფთის ცალს და უკეთუ ვერ იპოვის, ბოლოს და ბოლოს სული იგი იამავრი დაიმსხვრევა საკუთარი უსნეულო სხეულის სიმძიმით...

ღამე განზოგადდა, „ერთარსთა“ საამურ სიტყვაჭეკვაში.

ძილს მოეცვა სახლაკნი სვეტიცხოველის მაშენებელთა.

„სახლაკი მუშისა სახლაკი სულმწარისა არს“, — გაუელვა გიორგის.

და იდგნენ წყვდიადში განზავებულნი სახლაკნი სულმწარეთა...

უცებ შორეული, უცხო ძახილი შემოიჭრა მცხეთურ ცისკვამში. ბღავ�sa, საც ჰგავდა ხმა იგი, ზმეილსაც, გმინვასაც, ოხვრასაც.

— ირემი დაიბადა, — თქვა არსუკისძემ სიხარულით — ფურირმის ძეობა და ზვეობა სუფევს ახლა ზედაზნის ტყეებში.

— ღმერთო, უშველე! — ჩაიბუტბუტა გიორგიმ.

კიდევ გაისმა ძეობის ხმა ზედაზნის მთიდან... კიდევ...

ისხდნენ და ისმენდნენ მარჩბევნი სულისანი.

ისხდნენ მდუმარედ, სიტყვაგანრიდებულნი.

ისხდნენ და უტყვად ისუნთქავდნენ ერთმანეთის აზრს.

და აზრი მათი იყო მტკიცედ დაჯიშებული, წმინდად გათლილი და გარანდული, უხორკლო და უმეჭეჭო, ვითარცა ქვა — გათლილი თვალშვენიერ არსუკისძისგან, და სიტყვა — გათლილი გიორგი თაქთირისძისგან.

ზედაზნის მთიდან კი ეამეამეულად ისევ მოდიოდა ხმა ძეობისა და ზვეობისა, და ხმას თან მოჰქონდა ჩვილი სურნელი ნადირის ჯიქნიდან ნადინარი ნარუქი რძისა.

აედონთა სულისშემძვრელი გალობა მოედინებოდა სამთავროს წალკოტიდან.

და ისხდნენ ერთად შუაგარდაკვეთილ სვეტიცხოველზე ხურო ქვისაი და ხურო სიტყვისაი.

ისხდნენ და ისმენდნენ ნადირთა და ფრინველთა ხმიანს — თანადედამიწელთა ხმიანს.

ისხდნენ და ისუნთქავდნენ ელეურ ძუძუდან ნადინარი ლორთქო რძის სურნელს.

ისხდნენ და ისუნთქავდნენ ერთმანეთის აზრს.

გიორგიმ იგრძნო, რეცა იმ წუთში გაიზარდა სვეტიცხოველი.

— არა, ეს შენ ვითომ გაიზარდე ამ წუთში, — უთხრა თვალშვენიერმა.

უკვე აღარ გაჰკვირვებია გიორგის, ზიარმა სულმა რომ ზიარ სულს ფიქრი გაუსწორა.

დრო კი ვიდოდა.

ვიდოდა სივრცეში დრო.

— მე მინდა სვეტიცხოვლის მეოხებით დრო სივრცეში მოვაქციო და მოვამკვრივო, — სთქვა თვალშვენიერმა.

— ვიცი, შენ მიელტვი დროის და სივრცის განსხეულებას, — მაშინვე გადაუბა სიტყვა სიტყვაზე გიორგიმ.

— მინდა და მიველტვი, მაგრამ ძალუძს კი-ა კაცსა დროის და სივრცის განსხეულება?

— ძალუძს, უკეთუ კაცთან იქნება ღმერთი.

— ღმერთი?! — უცებ, სატევრად მონაქნევი ხმით იკითხა ხუროთმოძღვარმა.

— სწორედ, ღმერთი! — დაბეჭდა გიორგიმ.

— მაგრამ...

— ?!

და. უცებისად ორივემ იგერშა, რომ ამ წუთში ისინი უკვე აღარ იყვნენ ტყუბნი სულისანი. ისინი უკვე სხვადასხვა იყვნენ, ერთმანეთისგან სულგანლტოლვილნი და სულგაწწყალებულნი.

არც შეემჩნიათ, ისე წამომდგარიყვნენ და ამართულიყვნენ, ღმერთზე ფიქრით აღვსილნი.

დუმილი გახანიერდა.

— ვიგრძენ და ვიცან: სხვადასხვანი არიან ღმერთი ჩემი და ღმერთი შენი, — დაარღვია მდუმარება თვალშვენიერმა.

— განა, იესო, უფალი და მაცხოვარი ჩვენი, ორივე ჩვენთვის არ არის ერთი?! — განცვიფრებით შესძახა და, მარტო გული კი არა, ძვლებიც შეუძრწუნდა გიორგის.

— უფლის ნათლულო, ოდენ ქრისტეს აღმსარებლობა როდი გვეყოფნის სრულიად ღმერთის გააზრებასა და გაცნობიერებაში, — შემწყალებლური ღიმილით უთხრა თვალშვენიერმა.

წყენა ჩაუხდა გულში გიორგის.

— აკი ქრისტე, თვითონ ღმერთი წარმოიშვა ღვთის წიაღიდან!

— და მასთან ყოველი არსიც წარმოიშვა იმავ წიაღიდან, — წაართვა სიტყვა თვალშვენიერმა.

— და წიაღი იგი, ღმერთი ყოვლისმომცველი, ყოვლის განმყოფელი და თვითონ ერთარსება განუყოფელი! — უკუუჭირა სიტყვა გიორგიმ.

— მადლი შენ, უფლის ნათლულო, რამეთუ მიწილადე სული შენი, მაგრამ კვლავ გეტყვი — მე სხვა ღმერთს ვეძებ და მივესწრაფი, განსხვავებულს შენი ღმერთისგან! — ენინანად დააწვა სათქმელს თვალშვენიერი.

— მაინც რა არის შენი ღმერთი, საყოველთაო ღმერთისაგან განსხვავებული? — ჰკითხა გიორგიმ, რეცა, დაღლილი ხმით.

— ყური დამიგდე, ნათლულო ღმერთისა, — მძიმედ ამოისუნთქა თვალშვენიერმა — შენ რომ ღმერთს ამბობ, ღმერთი იგი, გეთანხმები, არსებულია მარადიულად, უსაწყისოდ, დაუსაბამოდ, ისე ვითარცა არ აქვს საწყისი არც დროს, არც სივრცეს. გარნა ის ღმერთი, საითკენაც მე მივისწრაფი, არის ღმერთი არარსებული.

— არარსებული?!

— სწორედ და, იქნებ ღმერთი არც იყოს იგი, — თქვა არსუკისძემ.

— და შენ უნდა შექმნა იგი?! — ჰკითხა გიორგიმ.

— მე უნდა შევქმნა! — დაუბეჭდა ჯიუტად ხუროთმოძღვარმა.

— მაინც ვითარი იქნება იგი? — არ ეშვებოდა გიორგი.

— არ ვიცი, სიტყვით არ ძალმიძს გამოვხატო, ვინათგან სიტყვათა მიღმაა იგი.

— სიტყვათა მიღმა?

— ჰო, სიტყვათა მიღმა და უხილავი, ვითარცა აზრი.

— ალბათ, შენს ღმერთს მაშინ იხილავ, როცა სვეტიცხოვლის აღმშენებ-

ლობას განასრულებ, — ფიქრის შემდეგ უთხრა გიორგიმ.

— შენ ასე გგონია? — იკითხა თვალშვენიერმა და გიორგი ვერ მიხვდა, რა უფრო იმსჭვალებოდა მისი სიტყვიდან, წყენა თუ სიხარული.

ისევ დადუმდნენ და ისევ უსიტყვოდ სუნთქავდნენ და ისრუტავდნენ ერთმანეთის ფიქრს, ზედაზნიდან ველური რძის სურნელთან ერთად.

ზემოდან ისევ გაისმოდა ოხვრა მშობიარე ფურირემისა.

ქვემოდან კაცთა ოხვრაც ისმოდა ხამუშხამუშად.

მძიმედ ეძინა ქვასთან ბრძოლით დაქანცულ მუშათა საცხოვრისს. ავი ძილისშორისი აწამებდა ყოველ სახლაკს სულიმწარისას.

ისევ გიორგის სიტყვამ განაპო დუმილი:

— დიდ არს ძალა ჩ ე მ ი ღმერთისა, რომელმაც შენ ჩაგინერგა უნარი შ ე ნ ი ღმერთის ძებნისა და მოპოებისა.

იფიქრა ერთხანს თვალშვენიერმა ამ სიტყვაზე და ბოლოს ეს უპასუხა:

— მარადიული ნათლის ძოძუს ხარ დაწაფებული, ყრმაო კეთილო, მაგრამ მითხარი, განა მე უკვე მოვიპოვე ჩემი ღმერთი?

— მოიპოვე და იგი არს სვეტიცხოველი.

და ისევ იგრძნო გიორგიმ, თითქოს სიმაღლე მოემატა სვეტიცხოველს, და აზიდა იგი მაღლა თვით აზიდულმა სვეტიცხოველმა.

— ისევ შენ თვითონ იზრდები, ყრმაო კეთილო, სვეტიცხოველი კი ელოდება ზრდის დასასრულს. მაშასადამე, უკეთუ მართლა ჩემი ღმერთი ეს ტაძარია, ღმერთი იგი კვლავ არსებობის საზღვრებს მიღმაა.

— ჯერ არსებობაზე მაღლა დგას იგი, ხოლო დადგება ჟამი, ოდეს შენი გრძნეული ხელით ტაძარი ესე თვითონვე შექმნის არსებას თვისას.

მცირე ხანიც მოითიეს უტყვად და უცებ შესძახეს, რაც ერთად იშვა ორივეს სულში:

— სვეტიცხოველო, ჰქმენ თავი შენი!

სვეტიცხოველი კი იდგა განკეთილი და გამთლიანების წყურვილით ატანილი.

იდგა და სულწასულად ელოდა ჯერაც უსხეულო თანასხეულს.

ისინი კი ისხდნენ და საუბრობდნენ.

ძილის მეუფე ვერ ბედავდა მისულიყო და თავისი ყოველის დამრეცავი კვერთხის მიმთხვევით დაეხუჭა მათი თვალები.

მწყურვალე წადნიერებით ეკითხებოდა ყრმა მწირი და პასუხობდა ხუროთმოძღვარი, და ერქვა მათ საუბარს — „ხელოვნებისათვის“.

ხელოვნებას, ჯერ აზრად განსჯილს, „ზედმიწევნულობას“ ეუწოდებთ, ხოლო, აზრი, საქმედ განსრულებული — არის სრულქმნილი ხელოვნება, — ამბობდა ხუროთმოძღვარი.

მაგრამ არა ყოველი ხელთნაქმარი არის ჭეშმარიტი ხელოვნება, არამედ:

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ღმერთი.

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ლოგოსი.

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ხელოვანი.

მაგრამ ხელით კეთება და ხელით კეთების ცოდნა არ არის ხელოვნება, არამედ იგი არის ხელოსნობა, ანუ — ხელოვნება ნაკლი.

— ალღოსმიერია, თუ აზრისმიერი ხელოვნება? — ჰკითხა გიორგიმ.

— ალღო თვითონ აზრია, მაგრამ აზრი ნადირთა, და ნადირული აზრით, ანუ ალღოთი, იწყება თვითონ ადამიანი, — ამბობდა თვალშვენიერი.

— ალღო იგერშეს ხელოვნებას, ვითარცა ნადირი სისხლსა ნაკოდისასა, ხოლო აზრი, საკუთრივ აზრი, დასწმენდს, დაასაწმისებს და დაასისწორებს ალღოთი ნაგერშალს.

— მაშ, დვრიტა ხელოვნებისა ყოფილა ალღო, ანუ გერში, ხოლო აზრი

ილისტიკი ყოფილა მისი, — თქვა გიორგიმ.

— კარგად ისიტყვე — მოეწონა თვალშვენიერს — დვრიტა და ილისტიკი!

— და როცა ჩვენ ვამბობთ — გაბაგრძო გიორგიმ — „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუეშე შეუდგინა მას შვიდნი სუეტნი“ — შეგვიძლია ესეც ვისიტყოთ, ვითარმედ: ხელოვნებამან იშენა სახლი თვისი და ქუეშე შეუდგნა მას შვიდნი სუეტნი ალღოსანნი და გერშისანნი.

— ხოლო, შვიდთა სვეტთაგან უზენაესი — სვეტი-ცხოველი! — ჩამოართვა თვალშვენიერმა.

— სვეტი-ცხოველი, სვეტი-სული, სვეტი-სხეული! — დაიძახა გიორგიმ.

— სვეტი ცხოველი, სვეტი სული, სვეტი სხეული! — გაიმეორა არსუკისძემ, ნახატურივით გარინდებულმა და ახლა თვითნაც იგრძნო, როგორ ამოიზიდა შუაგარდაკვეთილი ტაძარი და როგორ აზიდა მაღლა ორი თითის დადებით აღმშენებელი მისი.

— სვეტიცხოველი — სვეტი ერისა, სხეული ერისა, ს უ ლ ი ე რ ი ს ა!

— ღმერთო ძლიერო! „სულიერი“! „ს უ ლ ი“ და „ე რ ი“ ერთ სიტყვაში შერწყმული და შეერთებული! „სულიერი“, სულიერი!

— სვეტი-ცხოველი — სხეული ერისა, სული ერისა!

— და, სვეტიცხოველო, სულო ერისაო, ჰქმენ თავი შენი!

— სულო ერისაო!

— ჰქმენ თავი შენი!

— იქმენინ თავითა შენითა!

და ცისკარი შემოვიდა, ნელდი და ნათელმორთხმული.

უხილავი ჯადოქრის ხელით ახლადგაწყფული, ვერცხლისფერი ილეკროს თაღი ჩამოადგა წყვდიადისაგან ენაწარმიელ დედამიწას.

„ხოლო, არიელი, ძე ჰაერეთისა?“ — ფ ი ქ რ ა დ გაუელვა გიორგის, ცისკრის მხილველს.

— ორბი? — ს ი ტ ყ ვ ა დ აღმოხდა თვალშვენიერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისევ გაოცებულნი და გაოგნებულნი, თვალებით ერთურთს შეეყინენ სულის მარჩხვინი.

და, როგორც იქნა, ისევ თვალშვენიერმა შეძლო ყინვის გალხობა:

— მაშ, ერთხელ კიდევ ვიწამეთ ჩვენ საოცარი, კაცის გონებით მიუწვდომელი თანაზიარობა ჩვენი სულებისა: არიელი, ძე ჰაერეთისა, ორბად გასახავს შენ შენდათავად, და აგრევე მეც ჩემდათავად, ვინათგან სულნი ჩვენნი არიან ცალკე და არიან ერთად!..

ხოლო, თვითონ არიელი არსად ჩანდა.

არსუკისძემ იცოდა, ორბი რომ იმ დღეს არ მოფრინდებოდა.

გიორგიმ კი არ იცოდა.

(ყოველთვის, განუწყვეტლივ და განიადაგებით როდი იყვნენ ისინი ტყუბნი სულისანი)...

წამომიმართნენ და ყვავილს დაეცქერდნენ, ილეკროს ლორფინზე ღამენათევს.

ყვავილი იყო ცვარით და ზრიმლით დაღეღეფილი, კვლავ ზრობაშეუხებელი და ლორთქოდ ცხოველმოსილი.

— ხარ-ობს, ვინათგან უ-ხარ-ია! — დამარცვლა გიორგიმ, თვითონ გახარებულმა.

— სი-ხარ-ული! — დამარცვლა თვალშვენიერმაც, ყვავილი იგი აიღო რუდუნით, და გიორგის ანიშნა.

და დაეშვნენ ძირს.

სანამ მიწაზე ფეხს დაადგამდნენ, მესტვინარმა ნესტეს ჩაჰბერა და ზეწამოჰყარა მსახლობარნი ქოხთა, კარავთა და სახლაკთა.

გამოჰყავდათ მუშები ჰაჰაპეტებს, სამუშაოთა ზედამდგებს, ეპისტატებს, აღმშენებელნი სვეტიცხოვლისა, ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად, თითო-თითოდ. არაგვისკენ გარბოდნენ. შედიოდნენ მდინარეში, ხელპირს იბანდნენ, მხარ-მკლავს და გულ-მკერდს იზელდნენ ცივი წყლით. ძილისა და ძილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისის ნაშთებს განუტევებდნენ სხეულიდან. გარბოდნენ სიცილით და ოხვრით, ხუმრობით და ლანძღვით, ღიღინით და ბუზღუნით.

— წყალო, წყალო, შენ წაიღე ჩემი ცუდი სიზმრები! წყალო, წყალო, შენ წაიღე ჩემი ცუდი სიზმრები! წყალო, წყალო, შენ წაიღე ჩემი ცუდი სიზმრები! — ბუტბუტებდა რომელიღაც, წყალზე თვალდაშტერებული.

წყლიდან ამოღიოდნენ და იქვე, მდინარის პირას, ერთი უტეკვანის სიგრძეზე სახელდახელოდ ნაგებ ფიცრულ ტბაში ' უსხდებოდნენ სასაუზმედ.

მზარეულები უკვე არიგებდნენ, პინაკებით, მოხარშული ლობინარისა და ოსპის ბოღლოწოს.

არსუკისძეს საგანგებოდ გამოეთხოვა მეფისთვის და კათალიკოსისთვის, მუშას არ მომიშვიდეს და არ მომიწყურდესო. სვეტიცხოველი სიყვარულმა, სიხარულმა და მადლმა უნდა ააშენოსო. ხოლო, მშიერი კაცის ცრემლი და წყევლა-კრულვა, ახალს აგვიშენებს კი არა, აშენებულსაც დაგვინგრევს და წაგვლეკავსო.

კუჭი დედაა წუხილისაო.

მეფენი, ბაგრატ და გიორგი, დიდად ზრუნავდნენ სვეტიცხოვლის მუშათა სიმაძღრისათვის. ორივე მეფის ჯამს სვეტიცხოვლის აღმშენებელთა ტბაში ყოველდღე ოთხჯერ უნდა გაშლილიყო, ოთხივე ჯერით — საუზმე, სადილი, სამხარი და სერი.

ჯერ ბაგრატმა დაადგინა და მას უკან გიორგიმ განაახლა მამის დანადგინარი: ვინცა ვინ სვეტიცხოვლის აღმშენებლობაზე იღვწის, განტევებულ იქნას ყოველი გადასახადისაგან და მის კარზე რაიმეს მოსათხოვრად აღარავინ მისდგომოდეს, თვინიერ მზისა, ქარისა და წვიმისაო.

მელქისედეკ კათალიკოსიც არ ივიწყებდა სვეტიცხოვლის მაშენებელთა მაძღრისად დაპურების საზრუნავს. მოსე წინასწარმეტყველიც და პავლე მოციქულიც მოგვიწოდებდნენ — „არა შეუკრა პირი ხარსა მლეწველსაო“.

ამბობდა მელქისედეკი.

არსუკისძე მუდამ სასტიკი თვალით ზომავდა მნე-მუჯირებს, ოდენობა კისრად იყო ზრუნვა მუშის საზრდელ-სანოვაგეზე. ერთხელ სადილეული საზრდელის დაგვიანებისთვის, არსუკისძემ მუჯირს ისეთი სილა შემოჰკრა, სამ დღეს ცნობაზე ძლივს მოიყვანეს მუჯირი იგი...

მეცხვინარმა ისევე ჩაჰბერა ნესტეს.

ძელსაც ჰკრეს სამთავროს ტაძრისიანებმა.

საუზმე ჩათავდა. ეპისტატებმა სვეტიცხოველს შემოუსიეს აღმშენებელნი.

ცა — სუფთა, უზადო და უმეჭეჭო — ელოდა მზეს მარადიულ სამზეო გზაზე.

მზე კი, უფალი მზე, რეცა ამოსვლას აგვიანებდა.

არსუკისძემ ცას თვალი აუბზირა, თითქოს იქიდან ვისმეს მოსვლას ელოდებოდა, მაგრამ არ მოდიოდა. თვითონაც იცოდა, იმ დღეს რომ არ მოვიდოდა. ძალიან კი უნდოდა, გიორგის ენახა მისი ორბი.

— მზის ამოსვლა მაინც ვიხილოთ და ვიგემოთ ერთად, — უთხრა გიორგის ღიმილით.

გაუკვირდა გიორგის, „მაინცობა“ რად ჩაუთრთო და ცაზე მზის გარდა კიდევ რას ელოდებოდაო, — გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ საპასუხოდ გაუღიმა მკრთალი ღიმილით.

მზე ამოვიდა, ისევ ახალი და ხელახალი. ნელი, ზვიადი რხევით გადმოადგა იგი ჯვარის მონასტერს და პირველი სხივები ჩამოჰყარა კონა-კონებად მტკვრისა და არაგვის წყალსაკრებელში.

თვალშვენიერმა მარცხენა ხელი გიორგის გადასდო მხარზე, მარჯვენათი

ლევან სანიკიძე
გიორგი ათონელი

კი მისი ნაჩუქარი ყვავილი მზისკენ გააშვირა.

— მადლობელი ვართ, მე და ჩემი უმრწემესი ძმა, ვინათგან შენ კვლავ მოხველ ჩვენთან, მზეო კეთილო!

ყვავილი კი ისევ ლორთქო იყო, ცხოველნაჯერი, დაუმშნარი და ფერგაუმკრთალი. მხოლოდ ნალამური ცვარი აკრიფა და შესვა მზემ მისი ფურცლებიდან.

გამოტრიალდა და გამოატრიალა გიორგი თვალშვენიერმა.

ახლა ერთად უნდა აღმართოთ მე და შენ სვეტიცხოველზე ვაზი ჩემი ნახელავიო, — უთხრა და წაიყვანა.

ტაძრის მარცხენა ნაოსში შევიდნენ და თავს დაადგნენ დიდი ხის ლართხებზე დაწოლილ ქვას.

სიგრძე ქვისა — სამი წყრთეული.

სიგანე — წყრთეულნახევარი.

ფერი — თეთრი, კამკამა.

ჯაკარი — ქარვა.

ხოლო, ჩუქურთმა ქვისა — ვაზი, რქამშვენიერი, ორი მტევნით ორმხრივ ნატვირთი.

ჩუქურთმის გარშემო, ოთხივე მხრის გასწვრივ — მრუდხაზოვანი მეანდრები და ალაგოეები.

დასცქეროდა გიორგი ამ საოცარ სახელეულს, საკვირველი ხელოვნებით ნახელოვნარს.

უცებ დაიჩოქა და დაემხო. ვაზს რქა და მტევნები დაუკოცნა და უთხრა მხურვალედ:

— ბედნიერი ხარ, ქვაო შენ, ბედნიერი, ვინათგან ღვთაებრივმა დიდოსტატმა უაზრო და უჯმაჯური ქვაობისაგან დაგიხსნა და ვაზის სიცოცხლე მოგანიჭა! მომილოცნია, მომილოცნია!

ეს რომ სთქვა, იქვე მუხლებზე შემობრუნდა და, ვიდრე თვალშვენიერი გონს მოეგებოდა, მარჯვენა ხელის მტევანზე ეამბორა ნასწრაფევად.

მოეხვია თვალშვენიერი, აზიდა და ჩაიკრა გულში ტყუბი სულისა.

ვერ შეეძინაოთ, ისე შემოსდგომოდნენ ჯგროდ ხელოსანნი.

არსუკისძემ თვალი გადაჰკრა გესლაისძეს. გესლაისძე გავარდა და სხვებიც გაიყოლია. მსხვილად ნაგრეხი კანაფის ჯალამბარი მოიტანეს (ილეკროს აშკს არ ენდნენ, — ჩუქურთმა არ დაგვიზიანოსო), ქვა ერთ მხარეს აბარმაცებით აზიდეს, გვარლით შესკვნეს, სამხრეებით შეამარყუჟეს და წასაღებად გაამზადეს.

წინ თვალშვენიერი ჩადგა, უკან — გიორგი. მოიმშვილდნენ, სამხრეები მხრებზე გადაიცვეს და გადაუმეს, აიმართნენ და აზიდეს ქვა-ვაზი. დაიძრნენ და შეუდგნენ კიბის საფეხურებს.

მძიმედ ვიდოდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ და ადიოდნენ, ქვემოდან მაღლა, სვეტიცხოველზე, თვითონ ნიშან-სვეტნი საუკუნისა.

ადიოდნენ და აჰქონდათ ვაზი ჯვარსახოვანი — ზენიშანი საქართველოს სულისა და სხეულის მთლიანობისა და ტანგანურრეველობისა.

ათი ვაკაცის თანადგომით მარქაფად მისდევდათ გესლაისძე, მაგრამ ხელის შეშველებაც არ ისურვეს ტვირთში შებმულებმა.

და ავიდნენ, ელამონის თავზე ავიდნენ. ტვირთი ფრთხილად ჩამოიტვირთეს და ოფლი ჩამოიწურეს.

მერე, უბიდან ყვავილი ამოიღო არსუკისძემ, გიორგის ნაძღვნევი ყვავილი.

და ყვავილი იგი მთავარ საკდეზე მიამაგრა ხუროთმოძღვარმა.

ირგვლივ სიო ირხეოდა შეფრფენვით და ყვავილიც თრთოდა — სიონაკრავი, კვლავაც ჭკნობაშეუხებელი და სიცოცხლეშეულეველი.

და ერთხელ კიდევ შეუდგნენ ქვა-ვაზს თვალშვენიერი და გიორგი, ფეხზე დაყენეს, ზურგით კედელს მიაყრდნეს და მიახუტეს.

ყვავილი ვაზსა და სვეტიცხოველს შორის მოექცა.

სრულმა დუმილმა და გარინდებამ მოიცვა ყველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ვახს უცქერდნენ და შეიგრძნობდნენ.

იმ ყვავილს ვეღარ უცქერდნენ, მაგრამ იმასაც შეიგრძნობდნენ.

და პირველი ისევ გამოერკვა არსუკისძე. ილისტიკი მოითხოვა და მოართვეს.

დაადო თავზე ილისტიკი ახლაღმართულ ქვას. შუა მოკიმცმე ვერცხლის ბურთულას დააცქერდა და დარწმუნდა, რომ ქვა სწორად იდგა. ერთხანს კიდევ უცქირა მდუმარემ მისი სულის და სხეულის ნაშობს. მას უკან ვახის შუაწხულს ხელი მიაჯინა და მღელვარედ შესძახა:

— სახელი მისი — ვ ა ზ ი ცხ ო ვ ე ლ ი!

— ამინ! — სთქვა გიორგიმ და ჯვარი გარდასახა ჯვარს, ახალნთლულს.

— ამინ! — და ჯვარი ისახეს ყველა იქ მდგომთა.

ძირს დაეშვნენ ისევ.

ჩემი წასვლის დრო დადგა, თქვა გიორგიმ.

ჯერ მუქაფა უნდა მოგიძღვნაო, უთხრა თვალშვენიერმა.

რაის მუქაფაო?- — გაიკვირვა გიორგიმ.

ყვავილი რომ მომიძღვენი, იმის სამაგიეროო, — სთქვა ღიმილით თვალშვენიერმა, ყრმას მკლავში ხელი გამოსდო და წაიყვანა.

— „ჰმ, მუქაფა! ამაოდ დაშვრები, ღვთაებრივო ხუროთმძღვარო!“ — გაუღელა ფიქრმა გიორგის.

— არც დაშვრები და კრინტსაც ვერ დაძრავ! — სიცილით უპასუხა ხმამაღლა თვალშვენიერმა გიორგის ფიქრს.

ისევ ესმოდათ ერთმანეთის ფიქრი, უხილავი და უცნობელი ძაფებით გადაბმულ ტყუბთა სულიერთა.

გიორგის, რეცა, შერცხვა, ნაფიქრალი მუქარა რომ გაუმეღოვანდა და გაძალიანება ვეღარ შეუბედა, ისე შეჰყვა სახლში მასპინძელს, მისი მძლავრი ხელისგან მკლავშეპყრობილი.

მასპინძელმა ტილოს ნატით დაფენილ დალიჯზე დასვა სტუმარი. თვითონ, ახლავეო, თქვა, გავიდა და ორ-სამ წუთში უკანვე შემობრუნდა. ხელში ტანმორჩილი, შავფეროვანი ვაშკარანი ეჭირა.

გახსნა ვაშკარანი იგი არსუკისძემ. გახსნა და ხის მცირე ჯვარი ამოიღო, ქალის დალალით შეკვერთხილი.

ჯვარი რახსისფერი იყო, თმა — ალისფერი, ანუ მზისფერი.

ჯვარის ხილვაზე ჯვარი ისახა გიორგიმ.

იგრძნო ღვთის ტარიგმა — ეგზომ მცირე ჯვარში უზემოესი ხელოვნება და სულიერება ესვენა.

ისიც გაახსენდა გიორგის — ფერი ამ ჯვრისა, რახსისფერი, იმ ორბსაც ჰქონდა, ჯერ სიზმარში რომ ნახა და შემდეგ ცხადში, ფარავნის პირას.

— ეს ჯვარი ნინოს ეკლესიის ნაწილია, — თქვა არსუკისძემ.

— ნინოს?!

— ჰო, წმიდა ნინოს ხის ეკლესიისა, მირიან მეფეს რომ. ააშენებინა ნინომ სწორედ იქ, სადაც ახლა შენდება ჩვენი, ახალი სვეტიცხოველი.

მდუმარედ ისმენდა გიორგი, ქანდაკებასავით უძრავი და იმ ჯვარს თვალებით ჩაცივებული.

— სწორედ იმ ადგილას ჯერ იყო ნინოს ხის ეკლესია — განაგრძობდა თვალშვენიერი — მერე, იქვე, მის ნაძირკლევზე, ვახტანგ გორგასალმა ააშენა ქვის სიონი, ხოლო ახლა, გორგასალიდან ხუთასი წლის შემდგომ, ორივეს ნაძირკლევზე შენდება მესამე სვეტიცხოველი.

— ხოლო, ეგ ჯვარი? — ვეღარ მოითმინა გიორგიმ.

— ნინოს ეკლესიის ნაწილია-მეთქი. მე თვითონ ჩემის ხელით გავთხარე პირველთაგანნ ბალავერი სვეტიცხოველისა, მე თვითონ მოვიძიე და მივაგენ მის ნაშთებს პირველქმნილი სალოცავის საძირეებში.

— მაინც, როგორ! — გაიკვირვა გიორგიმ.

— ძალიან იოლად, რადგან მე ხომ მახსოვდა, — უბრალოდ თქვა თვალშვენიერმა.

— მახსოვდაო?! რა გახსოვდა?! — დაიბნა გიორგი.

— ადგილი და ადგილი იმ ხის ტაძრისა, რომელიც აღეშენა ნინოს ნებით და წილხვდომილობით.

— მერე, მახსოვსო, ისე ამბობ, რეცა შენ თვითონ დასწრებოდე და თვალით გეხილოს! — პირი შეუცინდა გიორგის.

— სწორედ კიდევაც დავესწარ და კიდევაც ვიხილე.

— როგორ?!

— მე ვიყავ და ვცხოვრობდი მაშინ, — ისევ სრული სიმშვიდით და უბრალოებით სთქვა არსუკისძემ.

გაშრა და გაყვითლდა გიორგი.

— მაშ, შენ ერთხელ უკვე იყავ ამ ქვეყანაზე? — ძლივს შეძრა ენა.

— ვიყავ, — დაუდასტურა თვალშვენიერმა უღიმილოდ.

— მაშ, შენ გინახავს წმიდა ნინო, მეფე მირიან, დედოფალი ნანა და სხვანი და სხვანი იმ ქვეყნისანი, წინანდელნი შვიდასი წლისა?!

— მინახავს, ყველა მინახავს.

— ყველა გახსოვს?

— ყველა.

— მერე, მერე... როგორი იყო წმიდა ნინო?

— ეგ კი აღარ მახსოვს.

— როგორ, ყველა გახსოვს და ის აღარ გახსოვს, უმთავრესი და ღვთაებრივი?!

— ალბათ, სწორედ მისი ღვთაებრიობის გამო არ მახსოვს... ღვთაებრივის დახსომება მის ხილვაზე ძნელი ყოფილა!

გაჩუმდა და ჩაფიქრდა თვალშვენიერ არსუკისძე.

გიორგისაც მოშლოდა ფუძე სიტყვისა.

— არა და, როგორ მჭირდება გახსენება მისი ხატისა! — აღმოხდა ისევ არსუკისძეს. თქვა და უცებ, თითქოს ფიქრი იცვალა, ჯვარი მაღლა ასწია და განაგრძო:

— და ეს ჯვარი იმ ხის ნაწილთაგან გამოთალე და გამოკვერთე, ნინოს ხელნაალერსევი და ცრემლნაფრქვევი ხის ნაშთისაგან... და - ჰა, ესერა, შენია იგი! — დაასრულა და ჯვარი გაუწოდა თვალშვენიერმა გიორგის.

— ჩემი?!

— სწორედ შენია, ღვთის ნათლულო!

მივიდა და მარჯვენით მარჯვენაში ჩაუდო ჯვარი იგი სულის ტყუბმა სულის ტყუბისაკენ.

ჯვრის შეხებამ და შესხეულებამ გამოარკვია გიორგი.

დაიცქერდა, ჯვარი ისახა და ეამბორა. მას უკან ისევ არსუკისძეს ჩაეკრა გულში,

— მადლობელი ვარ! — უთხრა და ეწყინა, რომ ეს სიტყვა სუსტი იყო, ძალიან სუსტი, სწორედ იმ მადლის გამოსახატავად, რაითაც ახლა ავსებულიყო გული და სრული არსება მისი.

— ვიცოდი, ასეთ მუქადაზე უარს ვერ მეტყოდი, — ხმამაღლა გაიცინა არსუკისძემ და თვითონაც ეამბორა გიორგის შუბლსა ჯვარსახოვანსა.

დასცქეროდა გიორგი ჯვარს, ჯადოქმნილი.

ჯვარი!

ქრისტემდე — იარაღი კაცთა ტანჯვისა, წამებისა, ვნებისა, დამცირებისა, დამდაბლებისა.

და — „ჰუერიათა სამე საცთურ და წარმართთა სისულელე“ (პავლე მოციქულის სიტყვები გაახსენდა).

ხოლო, ჯვარი ქრისტეს შემდგომი, ქრისტეს ღვთაებრივი სისხლით ცხებული — ზენიშანი ცოდვისგან დახსნის, განწმენდის, სიკვდილის დათრგუნვის, ძლევისა და გამარჯვებისა.

ჯვარი!

გარდაკვეთა მაღლივისა და განივისა: მაღლივი — ზენაარისა, განი ღვთაებრივისა, განივი — ქვენაარისა, განი კაცობრივისა.

ერთიოფნა ზენასოფლურისა და ქვენასოფლურისა.

ჯვარი ქართული!

ქალის თმებით შეკვერთხილი.

ქალის სულიერ-სხეულებრივი ნაყოფიერების სიძძიმით დახრილი ფრთები ქართული ჯვრისა...

— ხოლო, ეს თმები? — უცებ იკითხა გიორგიმ.

— თმებიო?

— ჰო, აი ეს ალისფერი დალილი, რომლითაც შეკვერთხილია ჯვარი ესე, — გიიმეორა გიორგიმ და უმალვე ინანა მწარედ.

თვალშვენიერ არსუკისძე გაფიორებულიყო.

ლამის გული გაუხმა გიორგის, კითარცა ეკეი.

— ჰო, კიდევ რა უნდა მეთქვა? — თქვა თვალშვენიერმა დაღლილი ხმით და შუბლზე ხელი წნეხივით გადაიტარა.

— მე უკვე მეშინია, ბოროთმოძღვარო! — უცებ უთხრა გიორგიმ.

— ჩემი გეშინია? — გაეცინა თვალშვენიერს.

— არა, შენი კი არა, შენთვის მეშინია, შენ-თვის.

— მაინც რაისთვის, ვერ გამიგია, — ისევ ნაძალადევად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა არსუკისძემ.

— რაღაც დიდი, უფსკერო წუხილი სდუმს შენს გულში.

— ნუ გეფიქრება. შესაძლოა, ეგ წუხილი ჩემი არსების განუყოფელი და განუკვეთელი თანაარსებაა და, უკეთუ ვიქნები — ისიც იქნება, არ ვიქნები და — არც ის იქნება.

ისევ გაჩუმდა და ჩაფიქრდა. და ფიქრის მერე უთხრა გიორგის:

— მოდი, კვართები გავუცვალოთ ერთმანეთს!

— კვართებიო?!

— ჰო, კვართები, პერანგები.

და წელზემოთ გაშიშვლდა უცებ არსუკისძე.

— კვართები, ჰო, მაგრამ... ენა დაგებ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, გენანება?

— გენანებაო?! მე სიცოცხლე არ შენანება, მაგრამ... კვართი საერთოდ არ მაცვია მე, — თქვა გიორგიმ, საკვართული შემოიხსნა და ტანი იძანაც იშიშვლა წელზემოთ.

და ასე შერჩნენ ერთმანეთს ტანშიშველნი, ზეაღმავალნი ქვის მეუფე და ახლადმომავალი სიტყვის მეუფე.

ერთმანეთს უცქერდნენ ზეაღმტაცი წადნიერებით.

გიორგის წინ ზრდასრული, დამწვესებული ვაჟკაცი იდგა, ოცდაათ წელს გადამცდარი, მზითნაჯერი, სრულად კუნთოვანი, აზიდული და გაშლილი თორაკით.

თვალშვენიერის წინ ჯერ ისევ ყრმა იდგა, ტანითა იფქლის ფერითა და ზრდაუმწიფარი, მაგრამ ნაკვთიანად წყობილი და სამომავლო ტანის სიმრთელით მრავლის აღმოქმედი.

— მერე და, რატომ არა გაქვს კვართი? — ჰკითხა თვალშვენიერმა.

— არა მაქვს, ვინათგან კვართი ჩემი საფლავსა შიგან ჰგიეს.

— როგორ?! — აღმოხდა თვალშვენიერს.

— ნურცა შენ მკითხავ..

— არ გეთხავ, არა, — შეაშველა თვალშვენიერმა.

ისევ მდუმარედ ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

— ჩემს კვართში შენ ვერც კი ჩაეტეოდი, — უთხრა გიორგიმ.

— სამაგიეროდ შენ ჩაეტევი ჩემს პერანგში, — შეესაძა თვალშვენიერმა. მაშინვე მივიდა, კვართი გიორგის თავზე გადააცვა, ხელებიც სახელოებში თვითონვე გააცმევინა და გარეკდან მისი ბურნუსიც შემოაცვა.

— სამაგიეროდ? — უმწეოდ იკითხა გიორგიმ.

— სამაგიეროდ ეგ საკვერთხელი მისახსოვრე მე!

— აჰა, ესერა, საკვირველო ადამიანო!

არსუკისძეს ჩამოართვა და მაშინვე შეირტყა წელზე საკვერთხელი იგი.

ისევ მდუმარება, — მდუმარება სიტყვადქცევაზე უფრო მეტყველი.

დადგა დრო დამშვიდობებისა.

და ეუბნებოდა თვალშვენიერი:

— მაცხოვარი და მეუფე ჩვენი, იესუა ნაზარველი, ტომით იყო ჰაბირუელი. დე, ვეთაყვანოთ, მის კვალს მივსდიოთ განუცადებლად, მისთვის დავიხოცოთ, მის ფერხთა მტვრად გარდავიქცეთ, მაგრამ იქნებ ჩვენშიც, ჩვენს თანასისხლიერ ნათესავ ქართველშიც იყო ვინმე, ან იქნეს ვინმე, რომლის ღვთაებრივ მადლს და ღირსებას უკეთუ არ ვეთაყვანებით, აუგად მაინც ნუ მოვიხსენებთ და ხალხის ხსოვნიდან მის აღმოფხვრას ნუ ავიჩემებთ.

— რაისთვის ბრძანებ... სიტყვის ჩართვა სცადა გიორგიმ, მაგრამ ანიშნა თვალშვენიერმა, ნუ შემიშლიო, და განაგრძო:

— ვგრძნობ უტყუვრად და უცთომელად, ჩემო გიორგი, დადგება დრო, შენ სიბრძნის მდელო იქნები და იმა მდელოზე მრავალსახე ყვავილები აყვავდებიან; შენთა წიგნთა და ლოგოსთა მადლით მოირწყვება ქვეყნიერება. მაგრამ, გახსოვდეს, სიბრძნე, სიქველეც, სიყვარულიც და სიხარულიც ყოველი სკნელისა, შენთვის და ჩემთვის, ისე ვითარცა ყოველი ქართველისთვის — მაინც უნდა იწყებოდეს საქართველოდან.

გიორგიმ ისევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ისევ არ დაანება თვალშვენიერმა:

— ვიცი, ვიცი, რომ მეთანხმები, უსიტყვოდ ვხედავ; აკი უსიტყვოდ გვესმის ხშირად ჩვენ ერთმანეთის.

გიორგის ხმა აღარ დაუძრავს. იდგა იგი თავდახრილი, მდუმარი, უსაწყისო და უსასრულო ფიქრით ნატვირთი. და როგორც იქნა, ამოიღო ხმა:

— ვიდრე წავსულვარ, ეს ერი თხოვნა შემისრულე, ხუროთმოძღვარო!

— მითხარ, გიორგი!

— სანამ ტაძარს დასრულებდე, სადმე კედელზე, ადამიანის თვალის სახინოდ, შენი სახელი დაწერე, ვითარცა შენ, აღმშენებელმა.

— სახელი მივაწერო? — განცვიფრდა თვალშვენიერი.

— სწორედ, სწორედ!

— არც არასადროს მიმიწერია, არც ქუთათისის ტაძარზე მიკადრებია და არც სვეტიცხოველს შევაწუხებ ჩემი ცოდვილი სახელის მირქმევით.

— უნდა მიაწერო, თუნდაც იმიტომ, შენს მაგივრად სხვისი სახელი არ აღმოჩნდეს ზედ მიწერილი.

ჩაფიქრდა არსუკისძე, ჩაფიქრდა. მერე, უცებისად, რეცა სხვა მკვეთრმა საფიქრალმა გამოარკვია და გიორგის მხარს მოეჭიდა.

— მაშ, მშვიდობით, ჩემი სულის თანამოსაგრეკ!

— მშვიდობით, ჩემი სულის თანამხედარო!

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

თვალშვენიერმა იგრძნო: გიორგის გულზე სცხელოდა.

გიორგიმ იგრძნო: თვალშვენიერს გულზე სცივდა.

და გაშორდნენ.

— არ დაგავიწყდეს, ღვთის მუხლზე ზიხარ და, ღმერთს გაუფრთხილდი! — უკანასკნელად უთხრა თვალშვენიერმა.

— შენ კი სატანას გაუფრთხილდი, ვინათგან — სადაც ღვთის სახლი დაიდგმება, იქ სატანაც დაიდგამს ხშირად უხილავ სახლაკს! — უკანასკნელად უთხრა გიორგიმ.

და წამოვიდა გიორგი. წამოვიდა და, არმაზის მთას რომ ქედზე მოექცა, მაშინ შედგა და მოიხედა უკან.

არსუკისძე აღარსად ჩანდა.

ველარც დაინახა და აღარც იმის დაჯერება სურდა, რომ სვეტიცხოვლის აღმშენებელიც იმაში ჩაიკარგა, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლიდან ჯინჯველებად ჩენილნი რომ ფუსფუსებდნენ და ფუთფუთებდნენ მტკვრისა და არაგვის წყალსართავში.

კვართის უბიდან ჯვარი ამოიღო და დაჰხედა ხარბად.

კვართსაც და ჯვარსაც სდიოდა სურნელი მისი სულის მარჩბვისა, თვალშვენიერ არსუკისძისა.

ხოლო, ალისფერი ქალის დალალს თავისი, საკუთარი სურნელი ჰქონდა.

ჯვარი ცხელი იყო, თუმცაღა ქალის ნედლი თმა ანელებდა მის მხურვალებას.

ტანის მხურვალებას კი ვეღარ გაუძლო. ჯერ ბუნტუნი გაიძრო და მიაგდო. მერე კვართი გაიხადა და ბალახზე გაფენა მოწიწებით. და მაშინ პირველად იხილა: კვართის მარცხენა ძუძუზე ტაძარი იყო ამოჭარგული.

მსახვარი სვეტიცხოვლისა!

სიხარულით აევსო გული.

და უცებ მოეჩვენა: სვეტიცხოვლის მსახვარი ნინოს ჯვარს ჰგავდა!

და წამსვე, გაწლილ კვართზე, მსახვარის გვერდით, მისგან მარჯვნივ, დაასვენა თმით შეკერთხილი ჯვარი ნინოსი.

უცქირა, უდარა და უჯერა ერთურთს.

და დარწმუნდა, რომ სვეტიცხოველი არ შენდებოდა ვითარცა ჯვარი ყოველი, ანუ აწამდე ქმნილი ტაძარი ყოველი. არამედ იგი შენდებოდა ხატებად ნინოს ჯვრისა, ხატებად ჯვრისა ქართულისა.

თუმცაღა ესეც — უფრო შეიგრძნობოდა, ვიდრე შეიცნობოდა.

მაგრამ, უკეთუ ეს მართლა ასეა, რად არ გაუმხილა თვითონ თვალშვენიერმა — მარჩბივმა მარჩბივს?!

და უსაზღვროდ მოეწადინა ისევ ხილვა არსუკისძისა.

გადაიხედა და თვალით ჩხრეკა დაუწყო ქვეშეთს.

ისევ არ ჩანდა არსუკისძე.

ჩანდა მხოლოდ სვეტიცხოველი, შუაგარდაკვეთილი და გამთლიანების დაურწყულებელი წყურვილით პირდაღებული.

დიდხანს უცქირა ვრცელთვალიანმა.

ისევ ჯვარმა წაართვა მზერა, დახრილმკლავებიანმა.

ასეთ ჯვარზე ცმა უმძიმესი იქნება, რადგან დახრილ ფრთებზე გალურსმულ წამებულს უფრო მძიმე და მძაფრი დატვირთვით დაითრევს დედამიწა...

ისევ გადახედა ქვეშეთს.

ისევ არ იყო თვალშვენიერ არსუკისძე.

მხოლოდ ისევ იყო სვეტიცხოველი, გარდაკვეთილი და გამთლიანების წყურვილით განაწამები.

იდგა ტაძარი და თითქოს იძვროდა.

თითქოს ფეთქავდა.

იდგა და ფეთქავდა საქართველოს საფეთქელზე სვეტიცხოველი.

მესამე დღეს, მიმწუხრისას, მიატანა გიორგიმ სოფელსა მშობელსა — ტონთიოს.

ძელი მიმწუხრისა რეკავდა სოფლის ეკლესიიდან.

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ლოცვა უფლისა.

„ნეტავ ახლა, აი, ამ წუთში, არსუკისძის სულშიც თუ იძვრის ლექსი ესე!“ — ბაუელვა გიორგის.

მივიდა სახლსა შინა დამბადებელსა.

შეხვდა დედა.

შეხვდა მამა.

შეხვდა ძმა.

და ყველა შეხვედრას ერქვა სიხარული და სიყვარული უწრფესი, უნაზესი და უსათნოესი, რადგან ყველაფერი იყო მშობელშვილური და ზიარსისხლური.

მეორე დღეს იაკობმა უთხრა შვილს: ბიძები გიხმობენ ხახულში და შენც უნდა წახვიდე აუცილებლადო.

ბიძები? ხახული?

ჰო, ასე იყო: იაკობ თაქთირისძეს ორი უფროსი ძმა ჰყავდა — გიორგი და საბა. ორივე, დიდი ხანია, ხახულის ტაძრის ღვაწლსა და სამსახურში იდგ-

ნენ. გიორგის „მწერალს“ ეძახდნენ, რადგან ადრე მწერალთ-გამგებლად მსახურობდა მეფე დავით კურაპალატის კარზე.

და ახლა ბიძეები იხმობდნენ ძმისწულს — გიორგი მწერალი და საბა — „ეაცი წრფელი და უმანკო“.

და გადაწყდა ხახულს წასვლა.

გამგზავრების წინ დედამ შვილს პერანგი გაუსინჯა. გაუკვირდა მარიამს. შვილს პერანგი თითქოს ისეთივე ეცვა, თვითონ რომ მოუქსოვა უკერველად, მაგრამ ახლა მარცხენა მხარეს ჯვარი კი არა, ტაძარი ეხატა.

— ეს რა კვართია, შვილო?

— კვართია, პერანგი, სხვა რა უნდა იყოს?

— მეც ვხედავ, რომ პერანგია, მაგრამ ჯვარი რა იქნა?

— გავცვალე, დედა, მთხოვა და უარი ვეღარ ვუთხარ.

— ვინ გთხოვა?

— ერთმა ადამიანმა... მთხოვა და გავუცვალე; ჯვრიანი ტაძრიანში გავუცვალე.

მარიამი გაჩუმდა.

— გული დაგწყდა, დედა? — ჰკითხა გიორგიმ, თვითონ გულდაწყვეტილმა.

— არა, შვილო, გული რად დამწყდებოდა, უკეთუ შენმა გულმა გაიხარა? — უთხრა და აკოცა დედამ შვილს...

...და წავიდნენ ხახულს იაკობი და გიორგი.

და მივიდნენ.

და იდგა დიდებული ტაძარი, გუმბათოვანი, სამნავიანი, მდინარე თორთომის მარცხენა შენაკადზე — ხახულისწყალზე.

მეფე დავით კურაპალატს აეშენებია იგი, ღვთისმშობლის სახელზე, გიორგის მისვლამდე ორმოცი წლით ადრე.

იაკობმა შვილი ძმებს მიჰგვარა.

ძმებმა, გიორგი მწერალმა და საბამ, ძმისწული, რომლის მაღალნიჭიერება და ღვთისმოსავობა ადრევე შეეტყოთ, დიდი სიყვარულით ჩაიბარეს, იაკობს შვილისადმი მამეული მზრუნველობის აღთქმა მისცეს და [illegible] უკანვე გამოისტუმრეს.

მეორე დღეს ბიძებმა ყრმა ძმისწული წარუდგინეს ხახულის მთავარი ლავრის წინამძღვარს, მამა მკაირის.

განაცვიფრა ყმაწვილის ხილვამ წინამძღვარი. ჭეშმარიტად უფლისგან ხელდებული არისო და მაშინვე აკურთხა კურთხევითა წრფელითა, მაშინვე საეკლესიო ეკლოგიის მონაწილედ ჰყო და თავის სულიერ შვილად გამოაცხადა.

ხახულის სავანეში იმჟამად იღვწოდა დიდი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ მესამისა, ძმა მეფე გიორგი პირველისა, „ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან ფრიად კეთილი, და რიტორ-მომთხრობელი, და მაღალ სიტყვათა ზედან დამთხზველი, მონოზონებათა სრული, და განმანათლებელი ეკლესიებთა, რომელსაც უწოდეს ქართველთა ეკლესიათა სამკაულად“.

და მიჰგვარეს ბასილი დიდს ახალი მოწაფე. და იმანაც განიხარა მისი ხილვით, სიხარულითა დიდითა. განიხარა და აკურთხა კურთხევითა წმიდითა.

მას უკან კიდევ ღმერთშემოსილმან ანტონი მნათემან აკურთხა გიორგი, ყოვლითა კურთხევითა. ხოლო, ანტონი იყო „ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი და მთარგმნელი წერილთა, უბნობასა შინა მჭევრმეტყველი, და მშვენიერი მთხზველი, და მქადაგებელი, რომელიც იწოდებოდა დიდ მეცნიერად“.

ბოლოს, სრულად შეიყარა საკრებულო უზუცესთა სამღვდელოთა, იწყეს ბჭობად, ვისთვის მიეცათ სამოწაფოდ მათი ახალი, შვილად აყვანილი ჭაბუკი.

და გადაწყვიტეს: ყველაზე ღირსეული, ღმრთივსულიერი, მწყემსი კეთილი, რომელიც ახალ მოწაფეს „სწავლის სძესაც“ უხვად შეასმენდა და სათნოებითაც უადრესად განასრულებდა — იქნებოდა ილარიონ თვალელი.

ილარიონი ადრე თვალის მონასტერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობდა, ანტიოქიის ახლოს. მერე იქიდან წამოსულა, „თვალოელის“ სახელით, და ხახულის სავანეში დავანებულა.

და „მას ჟამსა, ვითარცა მთიები, ბრწყინავდა კრებულთა შორის მამათასა“ ილარიონ თვალოელი. იყო იგი „სიბრძნის-მოყვარებასა შინა სრული, სათნოებისა სარკე და მმარხველთა კანონი“.

და სწორედ ილარიონ თვალოელს შეჰვედრეს სამოწყფოდ სულიერი შვილი თვისი წმიდა მამებმა. და შეიწყნარა „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღვრებათა შინა განთქმულმა“ ილარიონმა თანამოღვაწე სამღვდელოთა თხოვნა და მიიღო გიორგი მოწყფედ და შვილად თვისად.

განვლო მცირე დრომ და ისევ იწყო ხმამ მიმორხევა: არც არავინ არს, არც ყოფილ არს და არც იქნებიეს ბადალი გიორგისი, არცა ნიჭის სიმაღლით, არცა გულის სისრულით, არცა სულის სიმძლავრით და არცა ზნეკეთილობით.

საკვირველი სისწრაფით სწავლობდა და ითვისებდა ენებს — ბერძნულს, არაბულს, სომხურს.

საოცარი ძალტევადობით ისრუტავდა მისი მძლავრი გონება ყოველივეს, დაწერილს თუ ზეპირად ნათქვამს. სასწაული იყო მისი ხსოვნითი სისრულე. უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველივეს საზეპიროდ ინთქავდა გონება მისი: საღვთისმეტყველო წერილნი ყოველნი, ძველი და ახალი აღთქმანი, კანონნი სჯულისანი, საგალობელნი, საწელიწდონი, ძლისპირნი...

მაგრამ — მთავარი მაინც იყო განსჯანი წაკითხულისანი.

და საკუთარი განსჯანი...

...სინათლე შუა დღისა, სინათლე ცისკროვანი ცისა, სინათლე სრულიცხოველი მზისა — ნუთუ ეს არის სასრული სრულიად სინათლისა?

სწუხდა გიორგი.

შფოთავდა მისი სული.

სინათლე უაღრესი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე უაღრესი!

სადა არს იგი, უკეთუ არს?

უნდა იყოს! რამეთუ სინათლემ ჭეშმარიტი თავი თვისი.

უნდა იყოს და უეჭველ არს, სადღაც არს სინათლე უაღრესი, ანუ უ-სი-ნათლო-ე-სი-ი, ანუ უ-ნათლ-ო-ე-სი! უნდა იყოს ამა სინათლის მიღმიერ!

და ვითარ შევიგრძნობ მე მას, სინათლეს უაღრესსა და მიღმიერსა?

და ვითარ შევიცნობ მე მას?

ანუ, ვითარ ვიალღოებ და ვიგერშებ მე მას?

ანუ, ვითარ მივწვდები და მივემთხვევი მე მას გონებითა ჩემითა?

ანუ, ძალუძს კი-ა გონებასა ჩემსა და სრულიად გონებასა კაცისასა შეგრძნება და შემეცნება უნათლოოსისა?

ანუ, ნება აქვს სულსა ჩემსა ჩვენი სინათლის მიღმიერი უსინათლოესის შემეცნებითი ხელყოფისა?!

შემეცნებითი ხელყოფისა...

შემეცნებითი შეურაცხებისა...

შემეცნებითი შებილწვისა...

ვაი, უტიფრობას სულისას ჩემისას!

სწუხდა ჭაბუკი მონაზონი.

შფოთავდა სული მისი.

მარტო იყო.

მარტო იყო იმ ჟამსაც, ოდეს ძიესი დიდი მოძღვარი და მასწავლებელი ისეთი გზნებით განსჯიდა მასთან სიტყვადმიმოქცევაში საკითხავთა სულის მარგებელთა.

ჟამჟამად ისეთ უსაშველო მარტოობასაც კი შეიგრძნობდა, თითქოს მის ახლოს მყოფ ადამიანთაგან თანამედროვეც აღარ მოიძებნებოდა და — მხოლოდ დრო და სივრცე იყო მისი თანამედროვე.

უკეთუ არავინ მიეახლებოდა და არავინ გაესიტყვებოდა, თვითონ არარაისთვის არავის არ მიეტანებოდა.

მარტო იყო.

მარტო დადიოდა. საყოველთაო გზას ერიდებოდა. საცანდალოს მოიძიებდა.

მხოლოდ მისი „მე“ იყო მასთან.

მხოლოდ მისი „მე“ და მისი „ანტი-მე“.

არავინ უნდოდა, არავინ ენატრებოდა.

თუმცაღა — თვალშვენიერ არსუკისძე ენატრებოდა.

ვი უტიფრობას სულისას ჩემისას, რამეთუ თვალშვენიერი უტიფარ არს!

სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი აკი თავის საკუთარ ღმერთს ეძიებს და, აი, უტიფრობა და კაცნიერება სულისა მისისა!

მაგრამ... ოოო, რა მომხიბლავია ძიება ახლისა, თუნდაც ახალი ღვთაებისა!

ვი უტიფრობავ, ჩემი სულისა!

მინდოდა მეთქვა: რა მომხიბლავია-მეთქი ძიება ახალი ჭეშმარიტებისა!

მაგრამ არსებობს კი-ა ახალი ჭეშმარიტება?

ანუ, საერთოდ — „რაი არს ჭეშმარიტება?“ — პილატეს ეს აგდებული კითხვა დღემდე ხომ პასუხგაუცემელია?

მაგრამ — ვგონებ, ეს კი სწორად ვიცით, რომ ჭეშმარიტება მარადიულია და ჩვენ მისი შექმნა არ შეგვიძლია.

ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტების მიგნება და აღიარება შეგვიძლია.

ხოლო, არსებულის მიგნება, თუნდაც აქამდე მიუგნებელის მიგნება,- არა არს მიგნება ახლისა.

ხოლო, არსუკისძე ეძიებს სრულიად ახალს, ჭეშმარიტების რაღაც მიღმიერს, მაშასადამე ღმერთის მიღმიერს, ახალ ღმერთს, აქამდე არარსებულს, თუ ჩვენთვის არ არსებულს და ჩვენი გრძნობის და გონების მიღმიერად არსებულ ღმერთს!

აი, უტიფრობა და კაცნიერება თვალშვენიერ არსუკისძისა!

და ძალიან, ძალიან ენატრებოდა თვალშვენიერთან ყოფნა გიორგის. მის „უტიფარ სულთან“ ყოფნა ენატრებოდა.

მისაჯე მე და საჯენ, უფალო, რაისა-თვისაც გამომიწვიე მე, რაის საწუთისოფლოდ, არყოფნიდან ამ უცნაურ, ჩემთვის ჯერ ისევ გაუცნობიერებელ ყოფიერებაში?

და, არის თუ არა ადამიანი აზრი დედამიწისა?

ან, იქნება, თავის თავის აზრიც არ არის იგი?

იქნება, შენის ნებით, უფალო, ადამიანი სამყაროს მხოლოდ მიგდებული ბავშვია და სხვა არაფერი?

იქნება, ამ სამყაროს ბუშს არცა აქვს უფლება, თავი იმტვრიოს და ტვინი იშალიტოს, რა სულიერ-სხეულებრივი მიმართებანი შეიძლება იქნეს ან არ იქნეს „მესა“ და „არა-მეს“ შორის, ზენასოფლურსა და ქვენასოფლურს შორის...

მზის ჩასვენება ღამის სათევად, ძილად და ძილისშორისად განაწყობს დედა-ბუნებას და არსთა ყოველთა. ხოლო იგი არ იძინებდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სიკვდილს არ იჩვევდა (აკი ძილი სიკვდილის მიჩვევაა), არამედ, უბრალოდ, არ ეძინებოდა.

არ ეძინებოდა, რადგან მის გონებაში უთვალავ აზრთა ნადიმი იდგა და ყოველი მონადიმე იყო თავისთავად ხელშეუხები, სხლტომადი, მყაფარი, პიტალო და ფიწალო, ჭირვეული და ჩხუბისთავი, დაურიდალი და შეურიგალი.

ამიტომ არ ეძინებოდა.

მხოლოდ, დამწვარი ფოთლების მინამსგავსი სურნელი მოეფინებოდა და მოათრობდა აზრის დუღილით ნადუღარ მის გონებას.

მდინარის პირას ჩავიდოდა, ან მდინარეში ჩაცვივნულ ვარსკვლავებს ჩასცქეროდა, ან მინდორზე გულაღმა დაირეცებოდა და იწვა დამწვარი ფოთლების სურნელითა და აედონთა გალობით აღრეულ ბურანში.

მცხეთიდან კიდევ ერთი, მანამდე განუცადებელი და გაუცნობიერებელი სურნელი გამოჰყვა, დღემდე რომ განუშორებლად დაუფლებოდა მთელს მის არსებას. სახელი ვერ დაერქმია გიორგის, რა სურნელი იყო ეს, მაგრამ

უსაზღვროდ საამო და სანეტარო კი იყო სუფნელი იგი.

აშკარად არსუკისძის კვართს ასდიოდა, ტაძროვან კვართს, მაგრამ კვართს რომ გაიხდიდა, ტანს დაიბანდა და დასიპეტაკებდა, მაშინაც, დედიშობილას, ვაუნელებლად განეფრქვეოდა ფშვიადი იგი.

და გიორგიმ უწოდა მას — „სუნნელება სვეტიცხოვლისა“.

უფროს ბიძას, გიორგი მწერალს, კანანახად, მგალობელთ წარმმართველად და საკამნო წიგნთა მკითხველად ემსახურებოდა ყრმა გიორგი.

ჟამჟამად თვალშვენიერ არსუკისძის დანაბარები უწუხებდა სულს — დიდი ეფთვიმე მთაწმიდელის გზა გელოდება გასავლელადო.

ხახულის მოძღვართა და მოწესეთა წყალობით უკვე ბევრი რამ შეეტყო გიორგის ეფთვიმეს ცხოვრებისა და ღვაწლთაგან.

და ფიქრობდა გიორგი დიადი მამაშვილის, იოანესა და ეფთვიმეს გამო...

გიორგის ფიქრი გაუწყდა: თავზე უფროსი ბიძა დასდგომოდა, გიორგი მწერალი.

იმიერ ტაოში, ხახულის სავანიდან მარჯვედ მოარული მგზავრისათვის ერთი დღის სავალზე, დაბა ტვარწატაფში, წარჩინებული დიდაზნაურისა და სპასპეტის, ფერის ჯოჯიკისძის სასახლე იდგა.

მამამისი, ჯოჯიკ, თორნიკე ერისთავის თანაშემწე სარდალი იყო ბარდა სკლეიროსთან ძლევამოსილი ბრძოლის ჟამს.

თვითონ ფერისი, ექვსი ათასი რჩეული მხედრით, მხარში ედგა მთავარსარდალ გაბრიელ ოჩოპინტრესძეს, როცა ქართველებმა სრულად გაანადგურეს მამლან ამირა და მისი მრავალრიცხოვანი სარკინოზული მხედრობა.

ფერის ცოლად ჰყავდა მეფე ბაგრატ მესამის ასული, კრავაი, ანუ გიორგი მეფის და დიდი ბასილი ხახულელის დაი. ამბობდნენ კიდეც მაშინ: ეს დიდებული დედაკაცი ღმრთისმსახურებით მის ძმას, ბასილი ნეტარს, არც კი ჩამოუვარდებაო.

და განუზრახავთ ცოლსა და ქმარს, მათი დიდი ოჯახისათვის ვინმე მოეწვიათ საღვთო სწავლებათა და წმიდა ზნეობათა მასწავლებლად.

და ასეთ სასურველ სულის მწრთვნელად მიუჩნევიათ და, კიდევაც „დიდითა ვედრებითა და ქენებითა“, მიუწვევიათ გიორგი მწერალი.

და მიდიოდა გიორგი მწერალი ფერის ჯოჯიკისძის ოჯახში მოძღვრად და მასწავლებლად, მიდიოდა და თანაშემწედ მიჰყავდა ძმისწული თვისი, ჭაბუკი გიორგი.

და წაიყვანა.

და პირველ დღეთავე შინა შეიყვარეს ფერისის ოჯახმა და სრულმა სახლეულმა ეს საკვირველი, ნაჭმაღალი, ზნემაღალი, სახედაწყნარებული და ჯვარშუბლოვანი ჭაბუკი.

ფერისის მეუღლემ, კრავაიმ — „საღმრთომან მან დედაკაცმან შვილად თვისად აღიარა იგი“.

დრო კი მიჰქროდა. მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. მიჰქროდა ძველ ფრთათა განყრით, ახლადასხმული ცინცხალი ფრთების ქნევით, ფათქალით.

ფერის ჯოჯიკისძე სასახლის ახლოს კარის ეკლესიას აშენებდა. მსახვარიც თვითონ იყო ეკლესიისა, ერისმთავარი და ხუროთმოძღვარიც.

მიწის მთხრელნი, ქვითხურონი და კალატოზნი კი სომხები მოეხმო.

გიორგიც — როგორც კი ერისმთავრის სახლეულის სულიერ წრთვნასა და წიგნთა კითხვას დაეხსნებოდა — მაშინვე მშენებლობაზე გადიოდა, თვითონაც მუშაობდა და მშენებლებს ქვათა თლაში და ქვათატვირთვაში ეხმარებოდა.

ძალიან შეეთვისნენ ერთმანეთს.

ძალიან მოსწონდა გიორგის ეს კეთი-

ლი, მრომბისმოყვარე და ჭკვიანი ადამიანი.

უნარიდა, რომ ქართველ და სომეხ წინაპართა განეკეთებინა ძმობა და მეზობლობა ამათაც ისე ესმოდათ და ეცნობიერებოდათ, როგორც თვითონ.

მათთან სიტყვათმიმოქცევით, სომხურ მეტყველებაშიც იწაფებოდა იგი.

და, ერთხელ, როცა გიორგიმ და გაგიკ შირაკაცმა კედლის ზღუდარზე ქვა აზიდეს, დათქმულ ადგილზე ჩაასადაგეს, მერე იქვე ჩამოჯდნენ და ოფლი მოიწმინდეს, — გაგიკმა ჰკითხა გიორგის:

— რა მითხარი, რა გვარიაო სვეტიცხოვლის აღმშენებელი?

— არსუკისძე, — უპასუხა გიორგიმ.

გიორგის საფეთქელზე გამალებით უფეთქავდა ძარღვი კათოლიკე.

მცირე ხნით გონება მოვიცვალოთ, უკან დავიხიოთ და ფიქრით იმ წელიწადს მივადგეთ, ოდეს ბოროტი მოუსავლიანობა დაემუქრა საქართველოს.

ბელზებულის, ჭაკი სატანის თვალმა გათვალა და ამოახმო თესლი, ნაყოფის მშობელი, საგაზაფხულოდ ნახნავ-ნათეს თერძულებში.

მეფის დამ, ალისფერმა ევნიკიამ იტვირთა განკურნება უცხო მწერთაგან გაბერწებული დედამიწისა.

(სამკურნალო ხელოვნება შეესწავლა ევნიკიას, ვითარცა იყო წესი სამეფო სახლსა შინა).

ძმას, გიორგი მეფეს აბრძანებინა: ყოველ სოფელში თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის ქალწულები გამოეყვანათ, სათვეო რიგით წიდოვანნი, და თერძულებში ერბენინებინათ, ურო-პანაგოდ, დედიშობილად.

თვითონ პირველმა გაიძრო როპანაგი ევნიკიამ, თანატოლი ქალწულებიც ქვედა ტანზე გაიშიშვლა და ეფანაგა ... ოვა სირბილით სამეფო და საბატონო ყანებისაკენ. ძაღლის ძილზე გავიდნენ და გლეხის სადილობამდე ირბინეს. ირბინეს და აფრქვიეს ქალწულობა თვისი ჭაკი სატანის ცხელი თვალით გათვალულ მიწას.

და განკურნა დედამიწა, განაგდო სატანა და დაიბრუნა ძალი ნაყოფმშობელობისა.

და იფეთქა ჯეჯილმა.

მაშინ თვითონაც ქალწული იყო ევნიკია.

მაშინ...

ხოლო, ახლა...

ახლა აღარ იყო ქალწულობა.

და იყო ოდენ სიყვარული, ნაშობი ქალწულობისა.

ხოლო, სიყვარული თვალშვენიერ არსუკისძესთან განეყოფდა ევნიკიას.

გარდარეული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი.

ქირქიშ აბულახტარსაც შეჰყვარებოდა ევნიკია გარდარეულად.

ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს თორნიკე ერისთავის გმირობა, ძალიან ძვირად.

დავით კურაპალატი და თორნიკე ერისთავი რომ არა, ბარდა სკლიაროსი ბასილი კეისარს კეისრობამდე ამოჭყლეტდა აკვანში.

ხშირად ემართებოდათ ასე ქართველებს: უცხო თესლისთვის საკუთარი სისხლის ფასად გაცემული მადლი ბოლოს მაინც მატლად ექცეოდათ და უმადურობა ცხვირში ძმრად ამოსდინდებოდათ.

არა და, ასეთი ძლიერი ხელმწიფე

არც მოსწრებია ბიზანტიის საიმპერატორო კარს, როგორიც ბასილი მეორე — ეს გულმშრალი, ენამოტეხილი უაზნო და უგვარდიდო, მედუქნის ქალის ნაშობი.

(უგვარდიდონი საერთოდ მოსდგამდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტსა და გვირგვინს — მეღორეები, მეჯოგეები, მეჯინიბეები, ცირკის ჯამბაზები, ტაკიმასხარები).

და იყო კეისარი ბასილევსი ბასილი მეორე უაზნო და უგვარდიდო, მაგრამ ხელმწიფე ძლიერი ნიჭით, ძლიერი ნებით და ძლიერ ბოროტი გულით.

და, გეშინოდეს, ადამიანო, ძლიერი ბოროტისა!

და მთავარ მტრებად აიჩემა ბოროტმა ძლიერმა: დასავლეთით — ბულგარელები, აღმოსავლეთით — ქართველები.

იმ წელს, რა წელსაც გიორგი პირველი საქართველოს ტახტს ისადგებდა და მძიმე გვირგვინს ყმაწვილურ თავზე ისწორებდა, ბასილი ბასილევსს უკვე ოცდახუთწლოვანი სისხლნათხევი კეისრობის გზა ჰქონდა განვლილი. დიდძალი სისხლი დაექცათ და დიდძალი ხორციც დაუმიწდათ ბერძნებს ბულგარელებთან ხანგრძლივ ხმალთაკვეთებაში, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაუტანია „ბოროტ ძლიერს“.

და მოვიდა საქართველოში ამბავი ბავთი და ზარდამცემი: ბასილი კეისარს ბელასიცის მთებთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბულგარელები სასტიკად დაუმარცხებია, თხუთმეტი ათასი ბულგარელისთვის თვალები დაუთხრია, ყოველ ას დაბრმავებულზე, ბრმათა ასეულის წინამძღოლად, ერთი ცალთვალდაბრმავებული წაუძღვარებია და ამნაირად, ბრმა კოლონებად ასხმულნი, მათი მეფისათვის, სამეფოლისთვის გაუგზავნია. ათასეულობით თვალდაშრეტილ თანამემამულეთა ხილვით ელდაცემული სამეფილი ლოგინად ჩავარდნილა და მსგეფსის თავზე კიდევაც მომკვდარა.

ამ დღიდან ბასილი ბასილევსს ახალი, უკანსაყივარი სახელი დარქმეცია — „ბულგართმძლეტელი“.

მაგრამ არც ეს ჩუგდია აინუწში გიორგი მეფეს — უშიშა ვითარცა უხორცოს.

სიცილით კვდებოდა გიორგი: უკანსაყივარ სახელად მაინც „მძლეტელი“ სჯობია „მეშაკესო“ (იმპერატორ კონსტანტინე მეხუთეს გულისხმობდა — ნათელისას ემბაზი რომ აუქოთებია, ხოლო მოწიფულობისას ჭაკ ცხენებთან რომ მაკინტლობდა).

გიორგი მეფის ბობოქარ სულს სამხრეთული ქართული მიწები მიუხმობდა — ტაო და ბასიანი, რომლებიც იქაურ მოღალატე აზნაურებს მიეცათ ბერძნებისთვის, „ღადრობითა ბოროტითა“.

ღალატი ჰყვაოდა საქართველოში, ღალატი — თანასისხლიერის შურითა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი.

ღალატი ბარტყობდა საქართველოში.

აგერ, თოთხმეტი წელიწადი იდგნენ ტაო-ბასიანის ქართველთაგან ნაღალატევ ქართულ ციხესიმაგრეებში ბიზანტიური ციხიონები.

დრო მიდიოდა, დროს ადამიანები თან მიჰყავდა, მაგრამ ზნისა, ჩვევისა და ხსოვნის წაღება, თითქოს არ შესძლებია ყოვლისმყლაპავ დროს, რამეთუ: ქართველთაგან ნაღალატევი ქართველები ტაო-ბასიანის ქართულ მიწა-წყალზე

ისევ ქართველობდნენ, ქართულ ენასა და ქართულ სულს მიმოიქცევდნენ, მათ თანამსახლობარ სომხებსაც ძველებურად თანაიძმობდნენ, თანაიჭირვებდნენ და თანაილხინებდნენ... თუმცა ციხიონებში მაინც უცხოელნი იდგნენ — ბერძენნი, ანუ ბიზანტიელნი, ანუ „რომეელნი“.

იდგნენ და იყვნენ.

თავისთვის იყვნენ, თავისთვის-მეთქი!

რადგან — ქართულ მიწა-წყალზე, ქართულ შინაყოფაში ჩარევას ვერ ბედავდნენ.

და იყო ორივე მხარე თავისთვის: ქართველობა ქართველობით და უცხოელობა უცხოელობით.

მაგრამ გიორგი მეფეს არ შეეძლო ყოფილიყო ისეთი კუდაბახალა მეფუკა, მის მიწაზე რომ უცხო თესლის „უწყინარობით“ თავი ენუგეშებინა.

სამხრეთისკენ მიეშურებოდა ქართველთა ლაშქარი, ქართული მიწების დასაბრუნებლად, მოსაბრუნებლად და საპატრონოდ.

მეფეს თანასარდლებად მისდევდნენ — ზვიად ერისთავი, რატი ბაღვაში, კლდეკარელი და ხურსი ტაოელი.

ტაოში ფერის ჯოჯიკისძე შემოგება და შემოუერთდა თავისი ლაშქრით გიორგი მეფეს.

ზედიზედ განდევნეს ქართველებმა ბიზანტიური ციხიონები ქართული ციხეებიდან.

ფერის ჯოჯიკისძემ ძლევის სალხინებელი ტაბლა თავის სასახლეში გაუშალა მეფეს, ტაარწატაფში.

(ისედაც ეწადნიერებოდა მეფეს ფერისის ოჯახში წვევა, რადგან დიასახლისი, კრავავი, აკი მისი და იყო, ასული მეფე ბაგრატ მესამისა).

ტაბლის კურთხევა სახლის უფალმა მიანდო ჭაბუკ ბერს, რომელსაც სახელად ერქვა გიორგი.

და აკურთხა ბერმა გიორგიმ ტაბლა ეგი: „მამამ, ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი შენი, მოვიდი სუფევა შენი, იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს, და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“.

გაოცდა მეფე: არასოდეს ადამიანის სახეზე ასეთი სიმშვიდე არ ენახა.

„ალბათ, ესე არს სიდიადე სიმშვიდისა, ან იქნებ... სიმშვიდე სიდიადისა“, — ფიქრობდა და ნაფიქრალს ინაცვლებდა მეფე.

კურთხევა რომ დაასრულა, უკუდგა და წასასვლელად აემზადა გიორგი ბერი. მაგრამ არ გაუშვა გიორგი მეფემ: მოდი და ვიყოთ ერთად, ჩემო სეხნა და სახელმოდგამო, — უბრძანა კეთილი ღიმილით.

გვერდით დაისვა და მის შუბლს დაეკქერდა.

— ღმერთო დიდებულო! — აღმოხდა.

ბერს ხელი შუბლისკენ გაექცა.

— ნუ გეფიქრება, მონაზონო, — გაეცინა მეფეს — ჯვარი ესევითარი, უცნაური და გაუგონარი, არცა წაგერთმევის, არცა წაგეშლების.

მერე ლხინის უფლობა ხურსი ტაოელს უბრძანა მეფემ. აქაური ხარ და აქაურმა გვიწინამძღვარეო.

ნადიმი გაიწყო, გაგრძელდა და გახანიერდა.

სმა იყო სასმურებითა წვრილითა.

ზმა იყო სიტყვითა მცირითა და აზრითა ნოყიერითა.

გალობა იყო ხმითა ჰამოითა და ხიბლითა საგრძნობოითა.

მეფემ თავისი სადღეგრძელო აღკვეთა ბრძანებითა რისხვეულითა.

მასპინძელი ადღეგრძელა ლხინის უფალმა.

ყველამ გაიხსენა ფერისის გმირობანი, გამორჩევით, ო�sა წლის წინანდელი ვეჟკაცობანი. მაშინ ადარბადაგანის ამირა, მამლანი მოვიდა საქართველოს წასახდენად. მოვიდა ასი ათასიანი მხედრობით. ვანის ტბის პირად, ქალაქ ხლათთან დაბანაკდა სარკინოზთა ლაშქარი. მეფე დავით კურაპალატს სალაშქრო ცხენზე ამხედრება აღარ შეეძლო, წელთა სიმრავლით დატვირთულს, და სახელდახელოდ შეყრილ ქართულ მხედრობას სარდლებად უჩინა გაბრიელ ოჩოპინტრესძე და ფერის ჯოჯიკისძე. და ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს რიცხობრივად დიდად უპირატესი მტერი. ბევრმა ქართველმა ისახელა იმ დღეს თავი, გამორჩევით — ძმებმა გამრეკელებმა და ფერის ჯოჯიკისძემ. გაქცეულ მამლანსა და მის თანამლტოლვარე ლაშქარს ქართველებმა ხლათიდან არჭეშმდის სდიეს ჩეხვით და კაფვით...

ხურსი ტაოელმა მორიგი სასმურითა ტურფითა დღეგრძელყო ნათესავი ქართველი.

ნათესავი ქართველი გიორგი მონაზონმა ადღეგრძელოსო, უცებ ბრძანა მეფემ.

ფეხზე წამოდგა ჭაბუკი ბერი.

სიჩუმე ჩამოწვა.

ყველა უცქერდა და ელოდა უზღვრო წადნიერებით.

მასპინძლის სახლეულმა კი იცოდა, რომ მათი მეწიგნე და კანანახი არც ღვინოს სვამდა და არც საეროებთან ტაბლას არ იზიარებდა.

— რა გაეწყობა, მე ვარ მიზეზი მოშორმისა შენისა და ნუ იქნები გულკლებულ, უკეთუ გვაზიარო სიბრძნესა შენსა! — უთხრა მეფემ, დარსახოვანმა.

— იყავნ ნება შენი, მეფეთ მეფეო. უკეთუ ჩემი ძაბუნი სიტყვა ღირსჰყავ სასმინრად. მაგრამ ვაი თუ, მიწამან ჩემმან იბღალოს და ხნულმან მისმან იტიროს ჩემზედა უძლურებისა სიტყვისა ჩემისათვის.

— სთქვი გულდებულად და გულუშიშრად! — გაამხნევა ხელმწიფემ.

და თქვა გიორგი ბერმა, გიორგი მეფის ბრძანებით, სიტყვა: რაი არს ნათესავი ქართველი?!

— სამი რამ მშვენიერებად და ჰაეროვნებად მოსდგამს ნათესავსა ქართველსა: წყობილნაკეთოვანება ანაგებისა, მზისფეროვნება კანისა, კეთილსურნელება სულისკვეთისა.

— სამი რამ ძლიერ ნიშატად მოსდგამს ქართველის სხეულს: სიმკვრივე კუნთისა, სიმტკიცე ძარღვისა, სიმხურვალე სისხლისა.

— სამი რამ ძლიერ ნიშატად მოსდგამს ქართველის გულს: გულისხმიერება, გულწრფელობა, გულმოწყალება.

— სამი რამ კეთილ ნიშატად მოსდგამს ქართველის სულს: დიდსულოვნება, დიდბუნებოვნება, დიდმეცნაობა.

— სამი რამ ქველ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: სიმამაცე, სიმართლე, სილაღე.

— სამი რამ გამორჩეულ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: პატივმოყვარეობა, სახელისმაძიებლობა, განცხრომისმოყვარეობა.

— სამი რამ უკიდურეს მოყვარეობად მოსდგამს ნათესავ ქართველს: უცხოთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, ძლევისმოყვარეობა.

—სამი რამ სიძულვილი მოსდგამს ნათესავ ქართველს: სიძულვილი ნათესავი ქართველისა, სიძულვილი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჯითისა, სიძულვილი მწარე სიმართლესთან თვალსწორებისა.

— სამი რამ უძლურების ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: უძლურება თეთრკბილოვან მტრის გამოცნობისა, უძლურება თანმიმდევრობისა, უძლურება საიდუმლოს შენახვისა.

— სამი რამ უღირს ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: სიზარმაცე, ბაქიობა, სახიობური ფარისევლობა.

— ქართველი არის შემწყნარებელი უცხო თესლისა, შეუწყნარებელი შინაური თანასისხლიერისა.

— ქართველი არის უშურველი უცხო თესლისა, მოშურნე შინაური თანასისხლიერისა.

— ქართველი არის შენმდობელი უცხო თესლისა, დაუნდობელი შინაური თანასისხლიერისა.

— ქართველი ფიქრობს: მე როდი ვიწყები საქართველოდან, არამედ — საქართველო იწყება ჩემგან.

— გული - ქართველისა — მთისა უმძიმესი;

— სული ქართველისა — ბზისა უმსუბუქესი;

— გონი ქართველისა — მზისა უნათლესი;

— ორივ ბუნება განუჭრელ და განუკვეთელ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: ბუნებაი საღმრთო და ბუნებაი საკაცო. მაგრამ ორივესა ბუნებასა შინა სასწორი ქართველისა არის წონასწორობადაკარგული, საზღვარგადამცდარი, ზომიერებაგანრღვეული, ადვილად მიმორხეადი და მიმორწევადი.

— აჰა, ესერა, რაისად ხდება რომ ხშირად ეგზომ მოკლენი არიან ქართველთა თვალნი სულისანი.

— აჰა, ესერა, რატომ ჰყვავის ღალატი საქართველოში.

— აჰა, ესერა, რატომ ბარტყობს ღალატი ქართველთა შორის.

მცირე ხანს იყუჩა ჭაბუკმა ფიქრსა-მა და განაგრძო ესე:

— ქართველი არის გულმავიწყი ფრიადი, რადგან მარად ავიწყდება ის, რაიც არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს: საქართველო უყვარს ყოველ უცხო თესლს, მაგრამ ქართველი როდი უყვარს ყოველ უცხო მომსვლელს საქართველოში; ვინათგან მათ საქართველო უქართველოდ ესურვილებათ და თავისთვის ესურვილებათ. აი, რა ავიწყდება მუდამისად და არ უნდა ავიწყდებოდეს არასოდეს ქართველს, ვითარცა მარადიული საფხიზლებელი გონებისა.

— ხიზანი უყვარს ნათესავ ქართველს, ხიზანი დევნილი, უქონელი, უპოვარი, სასოწარკვეთილი, ნიადაგგამოსხლეტილი; უყვარს თავგამოდებით და თავგადაკვდომით. დაე, უყვარდეს, ვინათგან ქართველის უსაზღვრო კაცთასიყვარულს მეტყველებს იგი. მაგრამ რად ავიწყდება ნათესავ ქართველს, რომ მისგან დაპურებულ და მის სახლში მისგანვე დამკვიდრებულ ხიზანთა შორის ბოლოს და ბოლოს ბევრი ისეთიც გამოერევა, შენგანვე სულმობრუნებული და გაღონივრებული, შენსავე სახლში პირველობას რომ გეცილება?! აი, რა ავიწყდება მუდამისად და არ უნდა ავიწყდებოდეს არასოდეს ქართველს, ვითარცა მარადიული საფხიზლებელი გონებისა.

— მაგრამ სამაგიეროდ ფრიად გულმახვიარიც არის ქართველი, ვინათგან არასოდეს არ ავიწყდება ის, რაიც არასდროს არ უნდა ახსენდებოდეს: წყენა შინაური თანასისხლიერი ქართველისა და, თუნდაც ისეთი წყენა, ყრმობისას უნებურად ნემსით ნაჩხვლეტს, სიჭარმაგეში გულში შუბის ძგერებით რომ გადაუხდის: აი, რა ახსოვს მუდამისად და რა არ უნდა ახსოვდეს არასდროს ქართველს.

— არასოდეს ადამიანს არ ავიწყდე-

ბა, რაც არ ახარებს, რაც ანაღვლებს, რაც გულს უკოდავს და ქართველ კაცსაც არ ავიწყდება ქართველი კაცი, ვინათგან სიკეთე და ზეამაღლება არ ახარებთ ერთმანეთისა.

— ამიტომაც ქართველი კაცი ქართველისგან არის მუდამ განკერძოებულ. განდიდების ცოფით მოსილი ქართველი კაცი განკერძოებით მიისწრაფის განდიდებისკენ. საკვირველი ფნარი მისი, უნარი სწრაფი, ცხოველი ზრდისა, სრულად იხარჯვის მხოლოდ საკუთარი „მეს“ ამაღლების და აღზევებისთვის.

— ქართველს არ უყვარს სიტყვა „ჩვენ“, ანუ უკეთუ იტყვის, „ჩვენის“ შიგნით უფრო მაინც გულისხმობს „მეს“.

მე ვარ პირველი სიტყვაი,
მე ვარ პირველი აზრი,
მე ვარ პირველი ხმაი,
მე ვარ პირველი ხმალი,
მე ვარ პირველი მკლავი,
მე ვარ პირველი საურვალი,
მე ვარ პირველი მომღერალი,
მე ვარ პირველი მოტირალი (პირველობას ტირილშიც რომ არ შეელევა!),
მე ვარ...
მე ვარ...
მე ვარ...
მე...
მე...
მე...
მე ვარ ყველაფერი!

ხოლო, სხვა (ქართველთაგანი) — ან არაფერი და არაყოფიერი, ან მხოლოდ ჩემს შემდგომ ყოფიერი.

ყოველი ქება, ხოტბა-დიდება ქართველს მარტოდენ თავისთვის უნდა — ყოველ ქორწილში სიძისა და ყოველ ტირილში მიცვალებულისა.

— მე ერთი ვდგავარ ქვეყნის ჭიპზე — მე, ერთადერთი!

— ჰკითხე ქართველს — ვინაა შენს შემდგომ მეორე ხმალი? და მაშინვე მოგიგებს მწყრალად: რატომ მეორე ან მესამე, ან მეოთხე? შენ შეგიძლია მკითხო მეხუთე, უფრო მეექვსე, კიდევ უფრო მეშვიდე, მერვე!.. ჰხედავ? მეორე ქართველისთვის „მეორე ხმლობაც“ კი დაენანა. დაენანა, რადგან „მეორე“ ძალზე ახლოა „პირველთან“:

— ყოველ ქართველს ბედისწერამ თუ ბედისწყევლამ ეს ჩაუნერგა საშოიგანნეგ: ისე ჩემი აღზევება არ მოხერხდება, უკეთუ ჩემი მოყვასი და მეზობელი არ დაემხობა!

— მე რომ მეფე ვიყო...
— მე რომ იპასალარი ვიყო...
— მე რომ ერისმთავარი ვიყო...
— მე რომ... მე...

— განუწყვეტლივ იქექება „მე“ ყოველი ნაკრის მქექველის გულში.

— აჰა, ესერა, რაისად უჭირს ყოფნა ქართველთა შორის ამ ძველთაძველ სიბრძნეს — „ბაგე ერთ და ხმა ერთ ყოველთა“.

— აჰა, ესერა, რაისად ჰყვავის ღალატი ქართველთა შორის.

ისევ იყუჩა მცირე ხნით ჭაბუკმა სიტყვისმგებელმა.

ისევ დაიწვა დუმილი ტაბლას.

მხოლოდ წვიმის ხმა შემოდიოდა გარედან.

და წვიმის ხმაც, თითქოს „თავისთვის“ იყო, რადგან გაქვავებულ მონადიმეებს, გულის სიღრმეში ფიქრჩაქცეულებს, რაიმე გარეგანი ხმისთვის ყურადღება უკვე აღარ დაეთმობოდათ.

და მხოლოდ სიჩუმე ცოხნიდა დროს და სივრცეს, ვითარცა ყაჯი ჭიჭნაურისა.

ხოლო სიჩუმისგან წარმოიშვის ყოველი არსი და არარსი.

და ისევ დაიბადა ხმა სიჩუმისგან,

ლევან სანიკიძე
გიორგი ათონელი

ხმა რომელიც ისევ წყნარად, მაგრამ ისე განივთებულად გაისმოდა, რეცა, ხელით დაჭერა და ხელით წონის განსაზღვრებაც შეიძლებოდა ყოველი ბგერისა და ნაბგერალისა.

— ბოროტება სიკეთის უკმარისობაა.

— სიკეთე სიყვარულის სისავსეა.

— უკეთუ არ გიყვარს, მაშასადამე ვერცა კეთილი ვერ იქნები.

— ხოლო, ნათესავი ქართველი სიყვარულს, უკეთუ ეძიებს, უფრო უცნო თესლში ეძიებს, ვიდრე თანასისხლიერ ქართველში.

— მაშასადამე, ქართველი ქართველისადმი უფრო მომტერეა, ვიდრე მოკეთე.

— და ასე, ურთიერთ მომტერეობით უმოკლდებათ ნათესავთა ქართველთა თვალნი სულისანი.

— უსიყვარულოდ ადამიანის წუთისოფელი სატანჯველია.

— ხოლო, ამა ჯოჯოხეთური სატანჯველისგან თავდასახსნელად ჰგიეს ოდენ ორი საშველი — ან სიკვდილი ნასწრაფვეი, ან ისევ სიყვარული წრფელი, ხანგრძლივი.

— ხოლო, ოდეს ადამიანი არც წუთისოფელზე აიღებს ხელს და არც ბოროტებას შეელევა, იგი იწყებს სახიობას სიყვარულისას, ფარისევლობას სიკეთისას და მთელი მისი წუთისოფელი სტყუის იგი, სტყუის ნიღაბქვეშ, ზედაპირული ზედაპირულ ქაფზე ტივტივთ, ვინათგან მისთვის უცხო არს სიღრმენი სიყვარულისა და სიქეელისა.

— რა გაეწყობა — სიყვარულს მუდამ სიძულვილი დარაჯობს მტრად, მესისხლედ, მესაფლავედ, ისე ვითარცა სიხარულს — მწუხარება, სიყმაწვილეს — სიბერე, სიცოცხლეს — სიკვდილი და სიკვდილს კიდევ — რაღაც ჩვენთვის უცნობი ეტლისმწყაფელი.

— მაგრამ სანამ ვართ წუთისოფლის წუთისოფლენნი, მაინც სიყვარული სიძულვილს არ უნდა დავაჩაგვრინოთ.

— ქართველი კაცის ყველა ნიშატი — ღირსება და უღირსობა, სინათლე და სიბნელე, მადლი და ცოდვა, ქეელეე და სიბოროტე, სიმაღლე და სიმდაბლე — ყველა ერთად ჩვენს წინაპართა სისხლისგან ჩვენს ძარღვებში შეგვიწოვია. ჩვენს ტკინზეც ჩვენი წინაპრების ნაკვალევნი აღბეჭდილან წარუშლელად და წარუხოცელად.

— ადამიანი ბუნებას მოჰყავს საწუთისოფლოდ, წუთისოფელი კი მას გაჰხარჯავს, განლევს და დასაფლავებს, ხოლო მატიანე საფლავებიდან ისევ აღადგენს, მაგრამ არა მკვდართათვის, არამედ მხოლოდ ცოცხალთათვის.

— და საფლავიდან ამდგარი მკვდრები გვასწავლიან სასაფლაოსკენ მიმავალ ცოცხლებს.

— და ცოცხლებმა შეუმცდარად უნდა ისწავლონ, წინაპრების ნაცად ნიშატთაგან რა დაიწუნონ და ისევ საფლავში ჩააბრუნონ, ხოლო თვისი წუთისოფლის უკეთ გაწყობისა და გაწუფვისათვის, რა აირჩიონ, ანუ მათი თანადროული და თანამდეკი ცხოვრებისათვის კათოლიკე ძარღვად რა გაიხადონ.

„კათოლიკე ძარღვი“ გამორჩეული სიმკვეთრითა და გზნებით თქვა გიორგიმ, რომელსაც საფეთქელზე თვითონ უთრთოდა ძარღვი კათოლიკე, წარწერით — „კან“.

და უმალვე აღმოხდა მეფეს:

— კათოლიკე ძარღვიო?!

და წამის შემდგომ:

— ბარემ ისიც გვითხარი, ჭაბუკო მწყემსო, რაი არს იგი სახელდებით, ძარღვი კათოლიკე, რომელმაც უნდა იხსნას და აღმავალჰყოს ნათესავი ქართველი სამომავლო და სამერმისო საცხოვრის გზებზე.

— სიყვარული, — უმალვე მოკვეთა ბერძმა.

— სიყვარული? — იკითხა მეფემ, რაღაც უკმარი მხრების აწურვით.

— იგულისხმება სიყვარული მოყვასთა შორის, ანუ სიყვარული საზოგადოდ კაცთა შორისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ ნათესავ ქართველს განა აკლია სიყვარული კაცთა შორისი?

— არამცთუ აკლია, შეიძლება ჭარბადაც ჰქონდეს.

— მერე?

— მერე, მეც სწორედ იმას ძოგახსენებ, მეფეთმეფეო, ნათესავ ქართველს სიყვარული განპებულად აქვს განპებულ გულში.

— ?!

— თვითონ განსაჯე, ხელმწიფეო: ნათესავ ქართველს უსაზღვროებით გაეჩინა სიყვარული საზოგადოდ კაცთა შორისი, მაგრამ არა აქვს სიყვარული შინაური, ნათესავად, სახლთაშორისი. და ამად ვამბობ: სამომავლო საარსებოდ და აღმასასვლელად ნათესავმა ქართველმა კათოლიკე ძარღვად უნდა იმოძღვროს სიყვარული, თანადგომა და თანაღმობა უწინარესად ქართველთა შორის!

დაასრულა ჭაბუკმა ბერმა.

დაასრულა და ისევ ჩამოწვა და ჩამოლპა დუმილი.

გარეთ მტირალი ტიროდა ღამე.

წვიმდა, თქეშახსნილად, შეუკავებლად.

მეფე შეირხა, გიორგის თვალი მიაშტერა და უთხრა მძიმე ხმით:

— სწორედ ღვთის ხელით გათლილი თავი გადგას მხრებზე შენ, ჭაბუკო მწყემსო, მაგრამ ვეჭვობ, რომ ქართველები სიყვარულით ერთმანეთის სულში ჩაძვრენას შეეცდებიან და მოახერხებენ.

სთქვა, მწარე ღიმილით სახე დაეშეწყრა და განაგრძო:

— და კიდეკაც რომ შეეცადნონ, სანამ ქართველნი ერთმანეთს შეიყვარებენ, მაგის ლოდინსა და ცქერაში, ჩვენი დაუძინარი მტრები თვითონ საქართველოს ხელიდან გამოგვტაცებენ.

თქვა და ფიცხლად წამოდგა ფეხზე.

— ამიტომ, ვიდრე ერთმანეთს შეიყვარებდნენ, მადლობა ღმერთს, ხელთა გვაქვს შიში წინსვლისა და გამარჯვებისთვის — შიში, სიყვარულზეც უფრო ძლიერი!

და მახვილზე დაიდო ხელი.

წასვლის წინ გიორგი მეფე და გიორგი ბერი განაპირებულიყვნენ და იყვნენ ცალკე რაღაც სიტყვათმიმოქცევაში.

— შენც გეცოდინებოდა, ჭაბუკო, ალექსანდრე მაკედონელს რომ უთქვამს დიოგენესთვის: მთხოვე, რაც გსურს შენ, ფილოსოფოსს, და მე, მეფე, უეჭველ შეგისრულებო. და მეც ისე გეკითხები, ჩემო ფილოსოფოსო — სათხოვარს ხომ არაფერს აღავლენდი შენ შენი მეფის წინაშე?

— მაქვს სათხოვარი, მეფეთმეფეო, — უცებ უთხრა ბერმა.

— აბა, ბრძანე, კეთილო!

— უბრძანე სვეტიცხოვლის აღმშენებელს, ხელმწიფეო, აუცილებლად მიაწეროს ტაძარს თავისი გვარი, სადმე, კედელზე, გარკვეულად და ადამიანის თვალის საჩინოდ მიაწეროს.

?!

— ნათელი დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა, მეფეთმეფეო, და ამად მწამს, აღესრულება თხოვნა ჩემი და ბრძანება შენი: უეჭველად მიაწეროს თავისი გვარ-სახელი ხუროთმოძღვარმა სვეტიცხოველს, მიაწეროს — „თვალშვენიერ არ-სუ-კის-ძე“ — მიაწეროს!..

ტვარწატაფიდან გავიდა მეფე, მაგრამ ჯერ ისევ ტაოში, ოლთისის გზაზე, კონსტანტინოპოლიდან წამოსული ბერძენი ფაიქები წამოეწივნენ და კეისრის პატრუკაგი მიართვეს.

ეტყობოდა, რისხვა ვედარ დაუტერია ბასილის და სწერდა გიორგის, მუქარით: რაც დაგიპყრია, ახლავე დასცალე და მამაშენის, ბაგრატ მესამის მემკვიდრეობას დასჯერდიო.

რისხვეულობა და გულფიცხობა არც გიორგის აკლდა და მაშინვე, იგივე ფაიქთა ხელით, ეს პასუხი შეუბრუნა

იმპერატორს: ტაო და ბასიანი სწორედ მამაჩემის მემკვიდრეობა იყო; კიდევ, ორივე ეს ქვეყანა ოდითგანვე და მისითა-მისხამდე ქართული ქვეყნებია და ამათგან ერთ სახლაესაც კი უსისხლოდ არავის დავანებებო.

ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის ომის შმორიანი სუნი ჩამოწვა.

ქართველთა მეფემ იცოდა, აეზნიანი ბასილი უსისხლოდ და უსიკეთილოდ არ დათმობდა ტაო-ბასიანს. ამიტომ სასწრაფოდ სამარ სამზადისს შეუდგა და მაშინვე მოკავშირეც მოიძია.

ეს ალ-ჰაქიმი იყო, ეგვიპტის ხალიფა.

ელჩები აფრინა ქაიროში გიორგიმ.

ბიზანტიელები და მათი კეისარი ერთნაირად დაუძინარი მტრები არიან ჩემიც და შენიცო, — უთვლიდა ქართველი არაბს — მოდი და ერთად შევუტიოთ საერთო მოსისხლესო, შენ სამხრეთიდან და მე აღმოსავლეთიდან, ერთდროულად შევესიოთ ბიზანტიის სამანებსო.

გეუბნები მე, ქრისტიანი მუსლიმს, თავი დავანებოთ ღმერთის შეწუხებას და ჩვენ, მიწიერთა, მოვუაროთ ერთმანეთსო. ჩვენ თვითონ, ღვთის მოუხმობლად მივხვდეთ, ვინ ვის ემტერება და ვინ ვის ემოყვრებაო.

ბასილი კეისარი ხომ იმნაირია, არც ქრისტე და არც მუჰამედი არ გაახსენდება, ისე ერთნაირად დალევს მაჰმადიანის და ქრისტიანის სისხლსო.

ამიტომ, საზოგადოდ ღმერთისა და ადამიანის სახელით, მოგიწოდებ ერთად შევესიოთ და სისხლად ვაქცევნოთ უჯიშო, ბილწსისხლოვან ბასილი კეისარს საზოგადოდ ღმერთისა და საზოგადოდ ადამიანის მესისხლეობაო, — სწერდა გიორგი ალ-ჰაქიმს.

ალ-ჰაქიმი ფატიმიდური დინასტიის უსაჩინოესი ხელმწიფე იყო. ფატიმიდები კი თვით მუჰამედის ასულის, ფატმასაგან ჩამოულობდნენ თავის წარმომავლობას.

ფატიმას ღვთაებრივმა თესლმა — ყველაზე სრულქმნილ ნაყოფად ალ-ჰაქიმი გამოიდინა, — გაიძახდნენ მისი მეფეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერთმეტი წლისა იყო ტახტზე რომ ავიდა. ოცდახუთი წელიწადი იმეფა. მამაცი კაცი იყო, ნიჭიერი და მიზანსწრაფული. უზღვროდ სასტიკიც იყო და უზღვროდ გულმოწყალეც. განუკითხავად და უგანაჩენოდ აყრეკინებდა თავებს, მარჯვნივაც და მარცხნივაც. შეწყნარებაც ისეთ დროს იცოდა, არც მიწაზე და არც ზეცაში არავინაც რომ არ ელოდა. დაუნდობელი მტერი იყო ქრისტიანების და ჰაბირუელებისა. მუსლიმთაგან სუნიტების სისხლის ქცევაც უყვარდა. არც შიიტებს აკლებდა ხელს, როცა ჰიპოხონდრია წამოუვლიდა. ამიტომ ყველას სძულდა იგი, ყველა სჯულისა, ყველა ერისა და ყველა წოდების ადამიანს. მაგრამ მაინც ყველას უყვარდა, რადგან ყველას საკუთარი თავი უყვარდა, რადგან ყველა საკუთარი სიცოცხლის დაკარგვისა ეშინოდა. გულწრფელად მხოლოდ დრუზებს უყვარდათ, რადგან მან დრუზების სექტის სიწმინდე სცნო და დრუზებმაც მწყალობლის ღმერთობა ერთხელ და სამუდამოდ აღიარეს (სწორედ მაშინ ალ-ჰაქიმმა თავი ღმერთად გამოაცხადა).

თვითონ ალ-ჰაქიმს უმაღლეს ხალხად მთელს ქვეყანაზე ქართველები მიაჩნდა და გული წყდებოდა, ქრისტიანობას რომ არ ელეოდნენ ქართველები.

ჰიპოხონდრია და შავნაღვლიანობა მაინც არ შორდებოდა ალ-ჰაქიმს. დღეს რომ ღმერთად მოევლინებოდა ქვეყანას, მეორე დღეს უსაცოდავეს მწერად თვლიდა თავს. ხან ბრწყინვალედ მორთულმოკაზმული, ბრწყინვალე ამალით გარშემორტყმული გაივლიდა ხალხში, ბაზრებში, ქუჩაბანდებში, ხან კიდევ — მარტოდმარტო, ძონძით მოსილი გადაიკარგებოდა სიცხით ათახსახებულ უდაბნოებში და ალ-მუკატამის მთის მიუსაფარ ხევხუვებში. აგრე მარტო-

სულად ხეტიალისას მხოლოდ ერთგულ მეუზანგეებს თუ იახლებდა და იმათაც დიდის დამანძილებით ერთ ადგილზე დააყენებდა ფეხმოუცველელად; თვითონ კი უგზოუკელოდ დაიკარგებოდა და გვინ, აგერ როდის, თუ მოაკითხავდა მარტო შთენილებს.

თურმე ალ-მუკატამის უმაღლესი მწვერვალის თხემზე ადიოდა ძაძით მოსილი ხალიფა, მუხლს მოიყრიდა და დღე-ღამის თევით, მშიერ-მწყურვალი, ღმერთს ეხვეწებოდა, რა იქნება მეც ისე მეჩვენო და მელაპარაკო, როგორც მოსეს ეცხადებოდი და ესიტყვებოდიო.

ღამის ალ-ჰაქიმიც ნაბუქოდონოსორ ბაბილონელივით შეიყავა ჭკუაზე, საშინელი სიზმრის წყალობით, ნაბუქოდონოსორივით გაეზარდა თმები და ფრჩხილები, ნაბუქოდონოსორივით სძოვდა ბალახს და იღეელფებოდა ღამით ნაფრქვევი ცვარით და ზრიმლით.

ამბობდნენ, მარტო შავი ნაღველი კი არა, ტვინიც შავი უნდა ჰქონდეს ხალიფასო. ყმაწვილობიდან მაროლა ტვინის სიმშრალე ჰქონდა და ძარღვთა დახშულობანი სტანჯავდა უღვთოდ. მხოლოდ იის ზეთი შველოდა. ამიტომ დღეობით იჯდა და გრილდებოდა იის ზეთით ავსებულ ავაზანში.

მერმე, დიდი ჯანაოზი გამოუჭნდა ალ-ჰაქიმს, სახელად აბუ იაკუბ ისააკ ძე იბრაჰიმისა ძისა ანასტასისა. და ასწავლა უებარი წამალი აბუ იაკუბ ისააკ ძემან იბრაჰიმისამან ძისამან ანასტასისამან ტვინის სიმშრალით განაწამებ ხელმწიფეს.

და სახელი ამა წამლისა — „ქართული წამალი“.

ხოლო, არსი „ქართული წამლისა“ — ნადიმი, ღვინო, სიმღერა და შიგ და შიგ — ქალი.

და, მანამდე რომ ხალიფა ალ-ჰაქიმი ღვინის სმისთვის ყოველ ქვეშევრდომს ან ატყავებდა, ან თავს აგდებინებდა, ახლა ღვინოს თვითონაც მიეშვა და ხალხიც მიუშვა, თვითონაც ამღერდა და ხალხიც აამღერა, თვითონაც მიემღოუშა და ხალხიც „შიგა და შიგ“ თამაროუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თვითონაც მორჩა, ხალხიც მოარჩინა.

ჭეშმარიტად ღმერთი ყოფილა ალ-ჰაქიმიო, — ამბობდა ხალხი.

ჭეშმარიტად ღმერთები ყოფილან ქართველებიო, — ამბობდა ალ-ჰაქიმი.

მაგრამ გიორგი მეფის წერილი მაინც უპასუხოდ დარჩა.

მომკვდარიყო ალ-ჰაქიმის მკურნალი ჯანაოზი, აბუ იაკუბ ისააკ ძე იბრაჰიმისა ძისა ანასტასისა, და ხალიფასაც ხელი აუღია „ქართულ წამალზე“. აუღია და ისევ ნადირივით გაჭრილა მთა-ველად.

ქართველთა მეფის წერილმაც ქაიროს მაინც და მაინც მაშინ მიატანა, როცა ხალიფა ალ-ჰაქიმი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ შეიტყო.

ხალხი უცდიდა ხალიფას.

გიორგი მეფის წერილიც უცდიდა.

მაგრამ გიორგი მეფე ვეღარ მოუცდიდა.

რადგანაც — ბასილი კეისარი აღარ იცდიდა.

ბასილი ბასილევსმა იცოდა, ძალზე ძნელი იქნებოდა ქართველებთან რკენა და რქენა. და საიდუმლოდ ამზადებდა იგი საქართველოზე დაცემას. წინასწარ ხმაც განავრცო, მესოპოტამიაში ეპპირებ გალაშქრებასო და, ქვეყნის თვალის ასახვევად და ქართველთა სიფხიზლის მოსაბოშებლად, ომში სახარჯო სურსათ-სანოვაგეც კი ანტიოქიაში გაგზავნა.

თვითონაც კეისარი, მრავალრიცხოვანი და ალმაჭურად აღჭურვილი ლეგიონენით, ადრიან გზაფხულზე, სირიიდან მესოპოტამიის გზით გაეშურა აღმოსავლეთისკენ.

მაგრამ შუა გზიდან უცებ მარცხნივ შემობრუნდა და საქართველოსკენ წამოემართა სრულის მხედრობით.

ქართველებს კი, თუ რაიმე უუნარო-

ბა და უჭკუობა სჯირდათ, ეს მაინც მტრის ხრიკებისა და სამუხანათო ხეანჯების გამოცნობა იყო.

მაგრამ ამჯერად გიორგი მეფის მზირებმა მაინც დროზე ამოიცნეს მტრის გეზთა საცთომელი ცვლადობა და ყოველივე სასწრაფოდ აცნობეს მეფეს.

ფიცხლად დაიძრა გიორგი მეფე მტერთან შესახვედრად.

ბასიანის პირღია შემოსასვლელში დაიბანაკეს ერთურთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიელებმა.

დიდხანს, „მრავალდღე“, ზომავდნენ ერთმანეთს თვალით. შერკინების დაწყებას კი, თითქოს ორივე მხარე შიშობდა და სამძარი ბედისწერისგან მისთვის უკეთესი ყამის დადგომას ელოდებოდა.

გიორგი მეფე ფატალისტი იყო.

ჯარში ულუკი ვინმე ხომ არ გვყავსო, — მოიკითხა.

მე მყავს ულუკი და ღაზარინელია, — მოახსენა რატი ბაღვაშმა, კლდეკარის ერისთავმა. ჩემივე კუთხიდან არის, თრიალეთიდანო.

და სასწრაფოდ მოაყვანინა რატიმ ულუკი იგი.

ტანად მცირე იყო, ჩინჩიფურა, ვიწრო მხრებიანი და გრეელხელებიანი. ბეჭები სახნისებივით ჰქონდა ამოყრილი. იმოდენა ყურები ესხა, ალბათ იმ ყურებით, უკეთუ დასჭირდებოდა, თვალებიდან ცრემლების ამოხოცვასაც იოლად მოახერხებდა. ხოლო თვალები წვრილი ჰქონდა, მბურღავი გრძნებით გატენილი და დანდალუკიით ჩაყვითლებული.

რა გქვიაო, ჰკითხა მეფემ.

ბუჯარაო, უპასუხა ულუკმა.

რა შეგიძლიაო, კითხვა მოუნაცვლა გიორგიმ.

რასაც მეფე მიბრძანებს და ღმერთი გულისხმას ჩამინერგავსო, — მხნედ მიუგო ბუჯარამ.

აბა, რამლი ჰყარე და შეგვატყობინე, რა მოგველის, უკეთუ მტერს შევებმებითო, — უბრძანა მეფემ.

იყავნ ნება შენიო, — და უბეში ჩაიყო და ჩაიფათურა მარჯვენა ხელი. ბუჯარამ.

ჩაიფათურა და უბიდან შავი ჩვრით შეფუთული და შავი აშკით შეკერული რაღაც ამოიღო და მიწაზე დასდო, ფრთხილად, რუდუნებით.

მას უკან მეფეს მიუბრუნდა, თაყვანსაცემად მომშვილდულმა თავი ლამის მიწას ატაკა, ისევ გაიმართა და შეჰკადრა: უკეთუ არ გამირისხდები, ქარქაშიდან ხმალი აღმოიხდინე და მცირე ხნით მიბოძეო.

მეფე ჯერ შეცბა მკითხავის ეგზომ მოულოდნელი მოთხოვნით, მერე მხრები აიჩეჩა, თითქოს გაიღიმა კიდეც და ხმალი ქარქაშიდან ამოიწვდინა.

ლურჯი გველივით გაიშხორკალა და ჰაერს სხეული განუკვეთა ფოლადმა ლაჟვარდოვანმა.

ჩამოართვა მეფეს ბუჯარამ ხმალი, ფრთხილად, ორივე ხელით. იქვე, მეფის წინ, პირით აღმოსავლეთისკენ შებრუნდა და შვიდი ნაბიჯი გადათვალა, იმდენად განივრად, რამდენადაც მის მოკლე ნაბიჯებს ძალედვათ.

შვიდი ნაბიჯის თავზე შეჩერდა, ხმალი ორივე ხელით აზიდა, დაიქნია და სწორედ ორი ხელის დადებაზე ჩაარჭო მიწაში.

დაიზრიალა, იძიგძიგა და იბრკიალა ხმალმა ერთხანს.

შავი ფუთა აიღო ბუჯარამ და უკვე დაწყნარებულ ხმალს ვადაზე შვიდჯერ შემოავლო, რაღაც ლოცვის მაგვარი ბუტბუტით.

მას უკან ჩვარი უცებისად გახსნა და ძვალთა შემაზრზენი ჩხარუნიც გაისმა.

ძვლები ხმლის გარშემოწერვით განეფინენ მიწაზე.

ძვლები იგი ადამიანისა იყო, ძველთა-ძველი, დროისა და მიწისგან გამოხრეული, ყვითელნი, დაჩვრეტილნი, დაწერტილი და დამღიავებულნი. ერთი ლავიწის ძვალი უნდა ყოფილიყო, მარჯვენა ლავიწისა. ერთიც ბარძაყის ძვლის

ნალეწი. დანარჩენი თითები იყო, ხელთა რტონი. უკლებლივ ათივე.

ვინ იყო იგი ვისაც ამ ძვალთა პატრონი ერქვა? ვისი სულის და ხორცის ჭურჭელი იყო ჩონჩხი იგი, რომლის ნამუსრევნი ახლა ქართველი მეფის სოსმარი ხმლის გარშემო ეყარა? ანუ — რა იყო სულ-ხორცი იგი, რომელიც შეიგრძნობდა, განიცდიდა და ხარობდა? იყო მოზეიმე ხორცი და მოზეიმე სული, და ოდესაც იყო ყოველივე.

იყო!

და იქვე, ოდესღაც, გაქრა სულიც, გაქრა ხორციც. გაქრა, მაგრამ ჭეშმარიტად გაქრა?! გაქრა... და ერდადერთი, რაიც ადამიანის უდღეური ანაგებიდან რაიმე ნაშთი კიდევ დროით გამძლე ყოფილა — ყოფილა ოდენ და ოდენ ძვალი...

ადამიანის ყოველი გრძნება და ვზნება ბოლოს თავს იყრის და განეფინება თითებში.

ადამიანის ყოველი გააზრების ნივთობრივი ქმედებაც არის თითები.

და, რას აკეთებდნენ ეს თითები, ოდეს იყვნენ ვითარცა თითები, ანუ როცა ხელისა?

რას ქმნიდნენ?
რას აშენებდნენ?
რას ანგრევდნენ?

ვის ლოყას ეფერებოდნენ?
ვის მკერდს ელაციცებოდნენ?
ვის ყელს ეტანებოდნენ (საალერსოდ, თუ სახრჩობად)?

ვის ულესავდნენ მახვილს (საშველად თუ საშიგნავად)?

ფიქრობდა გიორგი, მეფე ქართველთა, მახვილი მესიისა.

ფიქრობდა მანამ, სანამ ულუკი იგი, ოთხზე დართხმული, ხმლის წრეწირში მიმოფანტულ ძვლებს სინჯავდა გაფაციცებით. სინჯავდა, ძვალთა ვარდნის კუთხეებს ამოწმებდა, ურთიერთისგან დაცლებისა და ხმლისგანაც ყოველი მათგანის დაშორების მანძილს ზომავდა. რაღაცეებს კრებდა, რაღაცას რაღაცაზე ამრავლებდა, რაღაცას ბუტბუტებდა თუ ლოცულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იქნა წამოდგა ფეხზე ბუჯარა.

წამოდგა, მაგრამ ცოცხალი ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე.

აბა, რას გვეტყვიო, ჰკითხა მეფემ.

ჩემს სიკვდილს და არგადარჩენასო, ამოიხრიალა ღაზარინელმა.

— მაინც?

— ვიტყვი სიცრუეს — შემრისხავს ღმერთი, ვიტყვი სიმართლეს — შემრისხავს მეფე. ამიტომ ვთქვი, სიკვდილს ვერ ავცდები-მეთქი.

რისხვამ ტუჩები გაუყვითლა მეფეს.

— შენ სიმართლე სთქვი და სიკვდილისა მე ვიცოდე! — უბრძანა და ისეთი თვალით დააკქერდა, გველი რომ ბაყაყს დააკქერდება, გამჩხიბავი და გამყინავი მზერით.

და თქვა ბუჯარამ, გაჩხიბულმა ულუკმა და ღაზარინელმა:

— მტერი მოითვლის შვიდჯერ მეტ ძალას, მეფევ მბრძანებელო, მაგრამ როდის ყოფილან ქართველები უმრავლესნი მათი მტრებისა! აქ მთავარი სულ სხვა რამ არის... და ისევ შეყოვნდა მკითხავი.

— დაასრულე! — ბრძანა მეფემ და ყბის ძვლებმა ლოყები შეურხია.

მთავარი ის არის, რომ კეისრის ლაშქარში უცხო მხედრობა დგას, რომელსაც აქამდე საქართველოს სამანებთან ფეხიც არ დაუდგამს.

— სახით და სახელდებით?

—სახით მწითურნი არიან და მათებურ ენაზეც ეგ ჰქვიათ — რუსნი.

— რუსნი?! — გაოცდა მეფე.

გაოცდა ყველა.

— სწორედ რუსნი, — დაუდასტურა ისევ ბუჯარამ.

მამამისის, ბაგრატ მესამის მონათხრობი გაიხსენა გიორგიმ: პირველად ბასილი კეისარს რუსები მეშველ ძალად ჩრდილოეთიდან, კიევიდან, მაშინ გამოუწვევია, ბარდა ფოკა რომ აუჯანყდა, მთელი მცირე აზია წაართ-

ვა და ლამის კონსტანტინოპოლსაც ამოჰხადა სული ალყით და შიმშილით. კიევის მაშინდელმა მთავარმა, ვლადიმერ სვიატოსლავის ძემ, დახმარება აღუთქვა, მაგრამ სამაგიეროდ ბასილი კეისარს მისი დაი მოსთხოვა ცოლად. კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარი არ კადრულობდა „წარმართთ ვარანგთან“ დამოყვრებას, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა და გაათხოვეს კეისრის დაი, ანნა, კიევის რუსთა მთავარზე. და გამოუგზავნა წარმართმა სიძემ ქრისტიან ცოლისძმას ექვსი ათასი დარჩეული მეომარი. სწორედ ამ რუსთა მხედრობის წყალობით იყო, რომ ქრისოპოლისთან ბასილი ბასილევსმა სასტიკად დაამარცხა ბარდა ფოკა. კიდევ, მეორედ, აბიდოსთან, ისევ რუსების იმედით ჩაება გადამწყვეტ ბრძოლაში ბასილი. ბარდა ფოკამ იფიქრა, სანამ რუსები ჩემს ჯარს ბოლოს მოუღებდნენ, მანამ მე ჩემის ხელით ძაღლთაპირ ბასილის მოვუთავებ სიცოცხლესო. და მიაშურა ფოკამ პირდაპირ ბასილის, მაგრამ კეისრისკენ გაქანებულმა ფოკამ სრულიად მოულოდნელად ცხენს გეზი უცვალა, ბრძოლის ველს გაეცალა, დაქვეითდა და მიწაზე კიდევაც დაწვა და კიდევაც დააკვდა. ვერავინ მიხვდა, და დღემდეც არავინ იცის, რა დაემართა მაშინ ბარდა ფოკას...

ფიქრს გამოეყარა გიორგი და ჰკითხა ბუჯარას:

— რამდენი არიან?

— რუსნი?

— ჰო.

— ექვსი ათასი.

გაეცინა მეფეს.

— ნუ მიწყენ, მეფევ მწყალობელო, მაგრამ ასი ათას ბერძენს უფრო მოევლება, ვიდრე ექვსი ათას რუსს.

— მჯობნის მჯობნი რამ დალია ამ ქვეყანაზე?

— მაგრამ უნდა მოგახსენო მე, კადნიერმა, ხელმწიფეო, რაიც ხმალმა შენმა კურთხეულმა უკვე შეიტყო, — უთხრა, მიწიდან ხმალი ამოაძრო და მეფეს მიაროვა.

მეფემ ხმალი აიღო და ისე შიშვლად დაიდვა წინ, უნაგირის ძარძაყსა და ცხენის ჯიდაოს შორის.

— აბა, რაიც შენმა ძვლებმა ჩემს ხმალს შეატყობინეს, ვინძლო ახლა მეც შემატყობინო! — ბრძანა მეფემ და ისევ დაუშტერდა მჩხიბავი თვალით ულუკის სახეს.

მზერა არ გაიტეხა ბუჯარმა და უთხრა მეფეს გადაწყვეტით:

— უკეთუ შეებმი, მარცხი გიწერია, მეფეთმეფეო.

— მარცხი?

— დიახ.. და ახლა ბრძანე, მომკლან, ან ენა მომჭრან! — დაასრულა ულუკმა და თავი მიწაზე დაბჯინა.

ეს ბოლო სიტყვები გიორგის აღარც გაუგონია.

მისი გონება სიტყვა „მარცხს“ ჩასჭიდებოდა.

ბარძაყები აუძაგძაგდა, ისე ძალუმად, ძაგძაგი კაციდან ცხენსაც გადაეღო.

ასე ემართებოდა მეფეს, როცა რამ მძიმე ფიქრი განეცდებოდა.

მაგრამ ეს არ იყო შიში, არამედ იყო მხოლოდ გზნებადი ლტოლვა მარცხის დამარცხებისა. შიში ვერ დაერქმეოდა თუნდაც იმიტომ, რომ „უშიშს, ვითარცა უხორცოს“, ბარძაყთა წუთიერი ძიგძიგი და თრთოლვა კიდევ მაშინ ემართებოდა, როცა სხეულში ქალის ტრფიალების თონე გაუჩაღდებოდა..

სანამ მეფე ფიქრობდა და ბარძაყებს იწყნარებდა, ბუჯარამ ძვლები აკრიფა, სათითაოდ დაკოცნა, მერე ყველა ერთად იმ ფლასში გაჰხვია, ისევ იმ შავი აშკით შეკრა და უბეში ჩაიბრუნა დიდის რუდუნებით.

გიორგი მეფემ ბრძანა ბანაკი აეყარათ და უკან გამობრუნებულიყვნენ.

ოლთისის გზით მოდიოდნენ.

ბიზანტიელები ფეხდაფეხ მოსდევდნენ.

გიორგიმ ოლთისიდან მოსახლეობა

დედაწულიანად გაიყვანა და ჯარიც გაფრთხილა, ხალხზე ეზრუნათ, და თვითონ ციხე-ქალაქი, მტერს რომ არ დარჩენოდა, ცეცხლს მისცა.

კოლას გზას დაადგა გიორგი და მისი ლაშქარი.

ისევ კვალში ჩამდგარნი მოსდევდნენ ბიზანტიელნი.

თვითონ მეფე და ზვიად ერისთავი ქართველთა წინაკერძს მოუძღოდნენ.

ხუსი და რატი უკანაკერძს იფარავდნენ.

სოფელი შირიმნი გამოჩნდა.

გიორგიმ და ზვიადმა ჩამოიტოვეს სოფელი.

ხოლო, ხუსი და რატი, ის იყო შირიმნს მიეახლნენ, რომ კვისრის მეწინავე კოჰორტებიც წამოეწევნენ.

ქართველები შეუბრუნდნენ და შეებნენ მტერს.

სასტიკი ხმალთაკვეთება გაჩაღდა და გამრგვალდა.

შედრკნენ და უკუიქცენ ბიზანტიელნი.

გულდაგულ გამოენთნენ რატი და ხუსი.

მაგრამ კეისარმა მოუსწრო ბრძოლას მთავარი ძალებით.

წინ წასულმა გიორგი მეფემ კი გვიან შეიტყო, „ვითარმედ ომი არს უკანამავალთა ზედა“.

მაშინ „აღბორგნეს“ მეფე, მყისვე უკან შემოაბრუნა და საომრად განაწყო წინამავალი და თანამავალი ლაშქარი.

გიორგისა და ზვიადის მოსვლამდე აკავებდნენ კეისრის ლეგიონებს ხელ-ჩართულნი თავდავიწყებით ჩაბმული ქართველები.

ისევ შედრკნენ და გასაქცევად აიშალნენ ბიზანტიელნი.

და სწორედ მაშინ შორიდან ნაძგერალმა მაზრაკმა ძირს დასცა ხუსი ერისთავი.

გულშეძრულნი შედგნენ ქართველნი.

გულმოცემულად შემოუტიეს ბიზანტიელებმა.

რატი კლდეკარელმა კვლავ დასძარა წინ თავისიანნი.

თავდავიწყებით შეიჭრა ქართველი ერისთავი ბიზანტიელთა მჭიდრო რიგებში.

გიორგი მეფემ და ზვიად ერისთავმაც მოატანეს ბრძოლას.

მაგრამ რატი ერისთავს ვეღარ მოუსწრეს ცოცხალს: შუბებით დაეცხრილათ და მახვილებით აეკაფთ ბიზანტიელებს.

მძვინვარე ყივილით გადაეშვა გიორგი მეფე ბრძოლაში.

ქართველები, რეცა, ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

ბაილი ბასილევსმაც ბრძოლად ჩაბა სამარქაფო ლეგიონები.

დიდხანს წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი.

ისევ გაიჭრა წინ გიორგი.

ბასილი კეისარს დაეძებდა გაფთრებული.

კეისარი კი თავისიანთა ღრმა უკანაკერძში იდგა ბუკელარიოსებითა და პროტოსპათაროსებით გარშემორტყმული.

ყური აუწვა და აუწივლა ქართველი მეფის ყივილმა ბასილის. სახე დაემწყარა ბრაზით და სირცხვილით.

— რა საკადრისია, ღვთაებრივი კეისარი მის ყმის გამოწვევას აჰყვეს?

შესცქახა, მახვილი იწვადა და ცხენი წინ წამოაგდო დუკა თეოდოროსმა, რომელსაც „ლაბაშას“ ეძახდნენ უკანსაყივარად.

ეს პირდაპირ ხსნა იყო კეისრისთვის. და კეისარი კიდევაც დაუფასებს ლაბაშას, სხვებს რომ დაასწრო, ამდენ ლაქუცარს, და პირველმა გაიმეტა თავი მისი „ღვთაებრივი ბასილევსისთვის“.

უკანაკერძში მდგარმა ლეგიონებმა გზა მისცეს, და ცხენი დაათხა თეოდოროს ლაბაშამ. მას აღარ დასჭირვებია ძებნა ქართველი მეფისა, რომელიც ორივე მხრისთვის სათვალისოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირჩეოდა სწორედ გამორჩეული ახოვნებით და შემმართებლობით.

თეოდოროს ლაბაშა კი მრავალნაცადი ოსტატი იყო ორთა შეკინებისა. და გაალმასებით მიუხტა იგი გიორგი მეფეს. უნაგირზე გადაზნექა მოასწრო გიორგიმ და ბეწვზე აიცდინა პირველი მონაქნევი, თუმცა ოქრომკედოვანი ქეჯიმი მაინც ჩამოუკვეთა ბერძნის მახვილმა ცხენის მარცხენა ბეჭიდან. და საპასუხოდ აელვა ხმალი გიორგიმ. ფარით ისნლიტა თეოდოროსმა. და წინიდან მოვარდნილ სიკვდილთან მორკინალმა მეფემ ვერ შენიშნა, როგორ მოუხდა მას ზურგიდან შავი გაელვებით მეორე სიკვდილი. ეს რომელიღაც ბერძენი სქოლარიოსი იყო, რომელმაც უკნიდან დაუსისწორა მახვილი მეფეს, კეფაში...

ხმლის ელვა...

წამი...

და ელვას ახალმა ელვამ დაასწორა:

ქირქიშ აბულახტარმა სქოლარიოსს მხრის კვირისტაგში უჭირა ხმალი და მიწას ზრიალით დაენარცხა ხმლიანი მარჯვენა, ლერწმის ღეროსავით სუფთად მოკვეთილი. მეორედ მოიქნია აბულახტარმა და თავგაპობილი მოწყდა უნაგირიდან ბერძენი.

და ისე, რომ გიორგი მეფემ კვლავ არ იცოდა, რაიც მის ზურგში მომხდარიყო, წამით თავისი თვალებით მოპირდაპირეს მზერა გაუტეხა და იმავე წამშიც ხმალი ჩასტია. და თეოდოროს ლაბაშა ალმეედად განკვეთილი გადმოეშვა ცხენიდან.

აიშალა ბრძოლის სასწორი. ბიზანტიელთა მარცხით დაქანდა იგი.

და, ბოლოს, როცა „მოისრეს ბერძენნი დიდნი და ფრიადნი“, მარცხს შერიგებულმა ბასილი კეისარმა ბრძოლის ველს ზურგი აქცია.

მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი“, ნადავლს დაეხარბნენ და ბრძოლას განრინებულ მტერს ბოლომდე აღარ მისდიეს.

სამაგიეროდ, როცა ქართველები ნადავლით დატვირთულნი წამოვიდნენ, ჰაიჰარად აშლილდაშლილნი, ბიზანტიელებმა ისევ მოსდიეს ხელახალ კომპორტებად და ლეგიონებად დარაზმულებმა.

ქართველები არ მოელოდნენ და საომრად გაუწყობელნი შეხვდნენ მტერს. შეხვდნენ და იძლიენენ. არტაანში შემოიკრნენ ბიზანტიელნი. შემოიკრნენ და ბოროტად იავარჰყვეს. — გაძარცვეს, გადაწვეს და მცხოვრებნი, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ტყვედ წაიყვანეს.

გიორგი მეფე საძცხეში გადავიდა ნიალის გზით. იქიდან თრიალეთს მიაშურა. გზადაგზა ჯარებს კოკბდა გზაზედვე აუწყეს დაწვრილებით, როგორ დაიხსნა იგი აშკარა სიკვდილისგან ქირქიშ აბულახტარმა შირიმნის ბრძოლაში.

ბრძანა მოეყვანათ მასთან ქირქიში.

მიიყვანეს.

მუხლებზე დაეცა და მეფის მუხლებს საამბოროდ მიეტანა მხსნელი მეფისა.

არ დაანება გიორგიმ. უმალვე ფეხზე წამოაყენა და უცქირა ერთ ხანს მდუმარედ.

„მწითური ყოფილა“, გაუელვა მეფეს.

„მწითურ, გინა რუს“, — ისევ ის ულუკი გაახსენდა, ადამიანის ძვლებით მერამლე, — მწითური, ანუ რუსი დაგამარცხებსო.

მოდი და ერწმუნე კიდევ ამნაირ ცრუსა და რიოშს: მწითურმა დამამარცხა კი არა, მწითურმა დამიხსნა თურმე უეშველი სიკვდილისგანო.

ერთი ფიქრი ესეც იფიქრა გიორგიმ, ახლა იმ ულუკს მოვაძებნინებ და ოთხში ამოვაღებინებო, მაგრამ მაშინვე ფიქრი მოინაცვლა, ჯანდაბას მისი თავი, და ისევ მის მშველელს მიეცა აზრით.

როგორი კაცის კერძი ვყოფილვარო, გულში გაეცინა მეფეს — უშობლო, გრძელბიბილოვანი, ჯარბის თვალებით, საკვირველად მოკლე თითებით და კი-

დევ... სუნს გამოცემდა, რაღაც უსიამო სუნს, მგონი ჯარაოტის სიმყრალის მაგვარს.

ზიზღი დაითრგუნა მეფემ და ისევ ხელებზე შეხედა აბულახტარს. ისიც კი მოეჩვენა, მის მხსნელს ხელებზე თითო ოთითიც აკლდა და უცებ თვალით გადაუთვალა კიდეც, მაგრამ ჩვეულებრივად ხუთ-ხუთი რომ აღმოაჩნდა, ბოლოს მაინც ეს იფიქრა გიორგიმ: ასე მოკლე თითებით, გეგონება, ხმლის ვადასაც ვერ ჩაეჭიდოს ხელმოვარგებით, მაგრამ ოსტატი კი ნამდვილად ყოფილაო.

მარჯვენის მოჭრის ოსტატი!...

— მაშ, შენ ქირქიშ აბულახტარი ხარ?

— დიახ, მეუფეო მწყალობელო!

— მეხმლედ ამიყვანიხარ!

მუხლებზე დაეცა ქირქიშ აბულახტარი და დაულოშნა ფერხნი ხელმწიფეს.

თრიალეთს მოატანა გიორგი მეფემ.

ბასილი ბასილევსი ფეხდაფეხ მოსდევდა, ყველას და ყველაფერს სპობდა და აოხრებდა მაოხრებლობის დიდოსტატი.

ბრძანება გაეცა ბულგართმჭლეტელს: არ დაზოგონ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ჩვილი, არც სრულწლოვანი, არც ქალი, არც კაცი.

ჯავახეთი იავარჰყვეს ბიზანტიელებმა და თრიალეთს შემოუდგნენ.

თრიალეთს ახალი ლაშქარი შეეყარა იაკობ თაქთირისძეს.

წანართა და შაქელთა ჯარიც გაჩნდა მაწევრად.

ყველა ერთად შემოიყარა გიორგი მეფემ და მტერს მიუბრუნდა გაალმასებით.

შედრკა ბასილი კეისარი, ქართველებს ზურგი აქცია და ისევ ჯავახეთარტაანის გზით გაჭენდა.

ახლა გიორგი მისდევდა ფეხდაფეხ მტერს, შერკინებაც გულით სწყუროდა, „გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“.

ნაადრევმა ზამთარმა მოუსწრო მორკენალთ.

კეისარი გამოსაზამთრებლად დაბანაკდა „ქუეყანასა ხალდისასა, მასლობელად ტრაპიზონთასა“, საიდანაც იგი მომავალი წლისთვის საზღვაო ლაშქრობას ამზადებდა საქართველოს ზღვის განაკიდურთა ასაოხრებლად.

ეშზადებოდა, მაგრამ გამარჯვების რწმენა ძალზე შერყეოდა ბასილის.

ქართველთა მეფეს ახალი ჯარები ჰყავდა მომავალ წელს საომრად.

შორიმნის ბრძოლაც, მართალია, თავის გამარჯვებად ჰქონდა გამოცხადებული კეისარს, მაგრამ საკუთარ თავთან ბჭობისას არც ამაში იყო მაინცდამაინც დარწმუნებული.

ალბათ, თავის მხრივ „ის ბიჭი“ თავის თავს თვლის გამარჯვებულადო, — გულს ასკდებოდა ბასილი.

ერთი სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორი უგემურად ელოდა გაზაფხულებას „ქუეყანასა ხალდისასა“.

ზავი სწყუროდა ბასილის.

იქნებ, „იმ ბიჭსაც“ სწყუროდეს ზავი?!

თითქოს, გიორგი მართლა მიხვედრილიყოს ბასილის გულის წადილს და დესპანი გაუგზავნა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად.

ცას ეწია სიხარულით კეისარი.

და მთელი ზამთარი „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულის თვის“.

რეცა, კიდეც შეთანხმდნენ.

რეცა, კიდეც „შეიყუარეს“ ერთმანეთი.

და მოიწია არე გაზაფხულისა.

და წერობამა გაავსეს ზეცა, გუთნის მსგავსად დაწყობილებმა, მწუხარე ფრთების ქნევით.

და სწორედ მაშინ იმპერატორმა შეიტყო, რომ მის დასამხობად აჯანყებულან მისგან წინა წელს განპატიჟებული სარდლები — ნიკიფორე ქსიფე და ნიკიფორე ფოკა.

მაგრამ ბასილის ისევ წყალობდა

ბედი. სანამ შეთქმულნი მის წინააღმდეგ რაიმე ქმედითს იქმოდნენ, მათი მეთაურები თვითონ დაეტაკნენ ერთმანეთს. დაეტაკნენ და ნიკიფორე ქსიფემ ყელი გამოღადრა ნიკიფორე ფოკას, ხოლო თვითონ ქსიფე კეისრის ერთგულმა კარისკაცებმა შეიპყრეს.

ბასილის ბრძანებით ქსიფე ბერად აღკვეცეს, დანარჩენ შეთქმულთაგან ერთი ლომებს დააგლეჯინეს, სხვებს უბრალოდ თავები დააყრევინეს.

მთავარი მაინც ის იყო, კეისარმა აიჩემა, შეთქმულებს ქართველი მეფე მფარველობდაო. და მისი ბრძანებით, მოკლულ ნიკიფორე ფოკას თავი მოჭრეს და გიორგის გამოუგზავნეს. ამით იმპერატორი ქართველ მეფეს ატყობინებდა, რომ მისთვის, თითქოს, ყველაფერი ნათელი იყო და დავა კონსტანტინოპოლსა და ქუთათისს შორის ერთხელ და სამუდამოდ მხოლოდ მახვილთა ჯვარედინს უნდა გადაეწყვიტა.

ბასილი კეისრისა და გიორგი მეფის ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვანებდა ფერის ჯოჯოხეთის მონაწილეობა ორი ნიკიფორეს შეთქმულებაში.

დიახ, აშკარა გახდა, რომ ქართველი ერისმთავარი წილს იდებდა კეისრის დასამხობად გათვლილ შეთქმულებაში.

და ერთხელ, შუაღმისას, მოულოდნელად დაესხნენ ფერისის სასახლეს ტვარწატაფს ბიზანტიელნი.

უცხოელ მომხვდურთა შორის ქართველებიც შეიცნო ფერისმა და მისმა სახლეულმა.

(აკი ღალატი ჰყვაოდა საქართველოში, ღალატი თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი).

ყველანი შეიპყრეს, ხელ-ფეხი დაუბორკილეს და წაიყვანეს.

პყრობილთა შორის იყო ბიძა-ძმისწულიც — გიორგი მწერალი და გიორგი კანანახი.

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲣᲛᲔᲠᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

1.

მე, ადამის ძეს,
შუადღიდან,
შუაღამიდან,
ერთი შეკითხვა
დამებადა
დასაბამიდან

და ამ შეკითხვით
შევაწუხე
მზეცა და მთვარეც:
— მითხარით,
ჩემი შუადღეა,
თუ შუაღამე?

თუ შუადღეა,
რატომ მადევს
მთვარის ბორკილი?
შუაღამეა?
ცისარტყელით
ვარ გაშოლტილი.

თუ შუადღეა,
მაშინ,
როგორ მოვხვდი
შავეთში,
შუაღამიდან
უკუნეთის
ოკეანეში...
თუ შუადღეა,
მზე სადაა
და მზის ნათელი?
შუაღამეა?
— კოსმიური,
შუმერამდელი...

თვალდახელს შუა,
ადამის ძევ,
რა დრო გავიდა...
საიდან მიხმობ,
შუადღიდან?
— შუაღამიდან.
ამისთვის ღირდა
ცის დათმობა,
ნეკნის მოცეხვა?
— შუადღის მზეზე
დაიწერა
მთვარის სონეტი.

...შუადღის მზეზე
გაჩორკნილი
ნავით დავეშვი
შუაღამიდან
უკუნეთის
ოკეანეში.

2.

იდგა ზაფხული, თივის სურნელი,
ჩამავალი მზის შარავანდედი...
მთაზე გადმოდგა შავი ღრუბელი,
როგორც ცხოველი შუმერამდელი.

დაჰბერა ქარმა და უფრო მკვეთრად,
გადაიშალა, როგორც რვეული
და ქანდაკებად გამოიკვეთა
ულამაზესი ხარის სხეული.

რა ხარი იყო... ასეთი ხარი
ათასწლეულში ერთხელ იალებს.
იმედიც იყო და შიშის ზარიც,
რაც ასე უყვართ ადამიანებს.

რა ხარი იყო... შავი, ვით ღამე,
გახსნილი, როგორც ცა ნაავდრალი,
რქა — ალესილი ნახევარმთვარე,
კისერი — ძელქვა გაურანდავი.

დაქანებული ფერდობზე ლავად
მოგრეხილ რქებზე ისვამდა ცხელ მზეს
და მიარხევდა ნებივრად გავას
ყოჩივარდებით მოჩითულ ველზე.

. . . .

ყოჩივარდებით მოჩითულ ველზე
მორბოდა გოგო — ნიავი მალი,
ებურცებოდა ტალღები მკერდზე
და იცინოდა ვით წყაროს წყალი.

ტუჩები, როგორც მწიფე ხართუთა
უხმოდ უხმობდა მკრეფავს დარხევას...
მორბოდა სველი ბალახის სუნთქვა
და გაზაფხულის თავბრუსდახვევა.

მორბოდა ლილა მზის შესახვედრად
და ტრიალებდა მორევში ნავი.
წყალი ყინულებს ტენდა, ამსხვრევდა,
რომ ხელმეორედ მოეკლა თავი.

ის კი მორბოდა, ტალღები მკერდზე
იზიდებოდა სულ უფრო მაღლა.
...ყოჩივარდებით მოჩითულ ველზე
სხვა გზა არ მიდის, სიკვდილის გარდა.

მაგრამ ნეტარებაგადანატანი
ვინ დაგიდევდა მიზეზს და შედეგს...
შინდის შოლტივით მოქნილი ტანი
გაზნექილიყო მოდრეკილ ქედზე.

ირგვლივ, კი, უკვე რეკავდნენ ზარებს,
რომ არ განრისხდეს ღმერთი, თუ კერპი
და სანამ ცაზე გადმოვა მთვარე,
უნდა დაენთოს სამსხვერპლო ცეცხლი.

3.

ისევ ზაფხული,
მაგნოლიის
დახრილი ტოტი,
შუადღის ხვატი
გათანგული
ევქსინოს პონტი.

— დამასკოს ქლიავს
ეძახიან ქართლში
დამასხის.
...ის კი მორბოდა
და მოჭქონდა
სუნთქვა ბალახის.

ტალღა ლაციცით
მზით გარუჯულ
მაღალ თეძოებს
გადუსრიალებს,
რომ დაბრუნდეს
კვლავ ხელმეორედ.

— მზის პაემანზე,
გაგონდება,

გულის სანაცვლოდ ლოდები უდევს,
თუმცა უცოდველ არის რომელიმ
ო, მოზუზუნე კრაზანის ბუდევ.
იჩქარე, მოკლა თანატოლელი!

ადამის მამავ, თუნდ ცალი თვალით
შეხედე, როგორ გიზგიზებს ცეცხლი!
...ქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალი
კი არ დაიწვა, გადნა ვით ვერცხლი.

კი არ დაიწვა, გადნა ვით ვერცხლი
და ხარი ღრუბლად გადაქცეული,
მთვარეზე მარტო, მზეზე ეული,
ცაში ნაკვალევს დაეძებს მერცხლის.

ეძებს ქვესკნელში, ეძებს შავეთში,
რაც რქებს გადურჩა, შელეწა მკერდით,
ეძებს უკუნეთ შუადამეში,
მაგრამ ერთია ულისეს ხვედრი.

და ვერაფერი ვერ დაგიფარავს
დაღდადებული ბედის შერისხვით...
ხარო, ერთგულო, როგორც წიქარა,
განწირული ხარ ლეგენდებისთვის.

ვინ გაეშურა?
შინდის შოლტივით
მოგონებამ
გაიტყლაშუნა.

— გახსოვს,
სიკვდილი მიუსაჯეს
პირველ მესიას.
— მე კი, წამება
სიკვდილამდე.
უკეთესია?

ო, რა ამაოდ
ვეაჯები
მზესა და მთვარეს...
ან ვინ გაგიმხელს
შენ შუადღეს,
თუ შუაღამეს.

სიზმრად თუ ვნახავ,
რომ თავიდან
ისევ დაეშვი
შუაღამიდან
შუმერამდელ
ოკეანეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანის ზღაპარი

რაღაცა მწყინს და თან მიხარია,
ზოგს უნდა ემტრო, —
ზოგს ეთაყვანო...
ზოგჯერ სიკეთე დაუმალიათ,
ჩაუქოლიათ ბოროტთ სამყარო,

მაგრამ შემორჩა სული დარიალს,
აქ ამირანი ჰქუხს, ლაპარაკობს,
მჯერა, არ მჯერა,
მწყინს, მიხარია
და მაინც გისმენ, ტკბილო ზღაპარო!

კაზარი

სოფლის ორღობეს მიჰყვება მგზავრი,
მგზავრი მიჰყვება სოფლის გზა-შარას,
ჩაქანგებულა საყდარი, ზარი,
პატარა ცელქი ღელეც დამშრალა.

ეზოს ძაღლივით გულს მოსდევს ბრაზი,
ხან წინ, ხან უკან მალ-მალ ყურებით,
შავ კვამლს ზეცისკენ მძევლებად
გზავნის,
ცას მიყრდნობილი საკვამურები...

●

თოვლი ჩამოწვა იმ ქოსა მთებზე
და სულიც ჩემი თოვლით ივსება,
მე ამ ნისლებში,
ამ მთებში გეძებ,
საით წაგიღეს ნეტავ ნისლებმა?
საით წაგიღეს ნეტავ, ვიცოდე,
საით მიგხვეტავს ცივი ქარები,

ჩემსავით მითხარ ვინ შეგიცოდებს,
ჩემსავით მითხარ ვის ებრალები.
ქარმა მომტაცა შენი ალერსი,
მზე მთლად შესუდრეს შავმა
ღრუბლებმა,
სულის საკნიდან ლექსის ხმა მესმის,
მონატრებული თავისუფლებას...

სიზმარი

როდი მიჭირდა გზა თოვლიანი,
დღეს კი ვეღარ ვძლებ ასე იოლად,
მახსოვს ბავშვობა ალერსიანი,
შეუპოვრობა შენთან, რიონთან...
დამესიზმრები, წყალს მასმევ პეშვით,
მორცხვად ისწორებ გაღეღილ პერანგს,
შორს ნისლში მოსჩანს ბავშვობის
წლები,
გვიხმობს და ვიპყრობთ აქოჩრილ
მწვერვალს.

მწვერვალზე გვხვდება ლამაზი კვიცი,
მივდევთ და ვიჭერთ ასე იოლად...
კვიცის ჭიხვინს და შენს კისკის-
სიცილს
ია-ვარდები უხვად სცვივოდა...
გამომეღვიძა ძვლების ჭრიალში,
ჭადარა ვიდექ უკვე სიონთან,
იწურებოდა ალერსიანი
დღე და
მიმწუხრის მზე ჩადიოდა.

●

გავითვალე ათამდე,
ქვებზე წრეებს ვდარავდი,
ყველაფერი წამართვეს,
უცებ გავჭაღარავდი.

გადმოვთვალე ათიდან,
ისევ უკან ერთამდის,
თუკი ეშმამ დამფლითა,
სულო, მიდი ღმერთამდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსით გადმოვალ შენთან ალავერდს,
ჩამოგაშორო დარდს და წამებას,
თუკი გულები რამეს მალავენ,
ის ვერ დამალონ ჩვენმა თვალებმა.

მაგრამ ამ სოფელს ისე რა გალევს,
არ შეგაწუხოს სიცხემ, ქარებმა...
და ზოგჯერ ისიც თუ არ დავმალეთ,
რაც დაინახეს ჩვენმა თვალებმა...

●

პატარა ლუკმა
პატარა ხემსი,
პატარა სითბო, დიდი ოცნება,
დიდად იქცევა პატარა ლექსიც
და გრძელ სიცოცხლედ შეიმოსება...

სამშაბათ

დიდდებიან ღელეები,
ზოგჯერ სულაც შრებიან,
დაინგრევა ეს სახლებიც, —
ისევ აშენდებიან.

ყველაფერი მიდი-მოდის,
ვანა აქა რჩებიან,
ზოგჯერ ხედ და ზოგჯერ კაცად,
ისევ გამოჩნდებიან...

●

შენგან არ ვითხოვ მე მოფერებას
მომეფერება ვიცი ეს ქვები,
ვცხოვრობ იმედით,
არ მაქვს, — მექნება,
შენ გეშინია, გაქვს, — არ გექნების.
ბოლოს წაგვხვეტავს სიკვდილის
ლანდი,

ქარი წაგვრეკავს ღრუბლის ფთილებად,
ფული და ოქრო, როგორც წილადი,
ერთმანეთს შეჰკვეცს, გაბათილდება.
უკვდავებამდე გზა კი შორს არი,
რამდენი მთაა ღრე და ნაპრალი,
არ ბათილდება მოსაგონარი,
მოყმის ლექსი და ტკბილი ზღაპარი...

წუთისოფელი

ამ მიწას ვარდით, ეკლით მოფენილს,
მინდა ვულოცო, ხატზე ვუფიცო,
დავალ კარიკარ წუთისოფელში,
ვარ კმაყოფილიც, —
უკმაყოფილიც...

ზოგჯერ მღრნის სევდა დაუნდობელი,
ზოგჯერ კი მე ვარ მასზე ძლიერი
და ამ ხანმოკლე წუთისოფელში
ვარ სევდიანიც
და ბედნიერიც...

●

გუშინ ზოგს რომ მტრებად თვლიდნენ, დღეს მოყვარედ დაფასდა,
მაგრამ მაინც მტრის სახელი შერჩა ისევ ფარსადანს...
დღევანდელი მოყვარე, ხვალ კი — შენი მტერიო,
ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას,
ჩვენს ჯიშს გამოერიოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გეკითხები — როგორია ნუშის ყვავილი...

შთამომავალო —
ყველა დროის,
ყველა ეპოქის,
ეს მე გეძახი —
საუკუნის შვილი უძღები...
ეს მე გეძახი
არნახული აღფრთოვანებით
შ ე ნ —
ვინც დაქანცულ დედამიწას
ცაში უძღვები!

რა უნდა გითხრა?
მოსაყოლი შენთან ბევრი მაქვს,
თუ გაკვირვების შეგრჩენია
შნო და უნარი —
მე ამ მიწაზე
ისე კარგი გოგო მიყვარდა,
რომ სიცოცხლეზე
არასოდეს მითქვამს უარი...

მეც მქონდა ჩემი საკუთარი
მაჯის საათი...
და თუ ხანდახან
მდუმარების მედო ხუნდები,
მე გეკითხები —
როგორია ნუშის ყვავილი,
როცა უცნობი ვარსკვლავიდან
სახლში ბრუნდები!

მე გეკითხები —
როგორია ჩემი თბილისი,
იქნებ დაიწყო
შემოდგომის თეთრი ქარები,
იქნებ ღალატობს
საოცნებო თოვლის ბაბუას
ჩემი ქალაქის დეკემბერი —
ათნაქმარევი...

რა უნდა გითხრა...
ორშაბათი დილა გთენდა
და მე შევყურებ შენს წამწამებს
ფართოდ გახელილს,
მოდი,
ღიმილთან
შენი
ცრემლის
წვეთიც
მაჩუქე,
რომ ისევ შევძლო დაგიძახო —
კ ა ც ი ს ს ა ხ ე ლ ი!!!

●

ათასნაირი მესმის ჩურჩული,
მოყინულია ყველა ფერდობი,
მეც მეპარება შავი ურჩხული,
როცა აპრილის ცქერით ვერთობი...
ეს ვარსკვლავები ალერსმა დარგო,
ქვეყნიერების მე ვარ პატრონი,
ჰა, ყვავილები, აჭტრისა მარგო —
ჩვენ ამ ღამესთან ვრჩებით მარტონი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ალვის ხეზე

ქვესკნელიდან მონაბერი
გადალეწავს ქარი ალვას...
ნუ კვშინინ. მოწამეო:
ბნელი წარკალს!
ბნელი წარკალს!

იქნებ ქარი
გოლგოთაზე
უკვდავების
მიმტანია...

აპატიე.
აპატიე
შენი სულის ლიტანია.

და თუ ქარმა,
და თუ ქარმა,
და თუ ქარმა დაგაშინა...
რა გინდოდა ასე მაღლა?!
ვინ გელოდა ცათა შინა?!

●

მებადურებმა დატოვეს ქსანი,
ოქროა თევზებიც ქსაწში დატოვეს,
გადაიღება ცისფერი ფშანი,
დაწვა დუმილი და სიმარტოვე.

ცა იყო შორი. ღმერთის კარეტა
მიაცილებდა ფერად სადგურებს...
ჩამოიარეს მერე ქარებმაც
და ყველაფერი გაანადგურეს.

ნუ იდარდებთ, პოლკოვნიკო!

(მინაწერი მარკესის წიგნზე)

თქვენს ბინაში
წერილები
აღარ მოდის
გამთენია...
მაინც გჯერათ,
პოლკოვნიკო,
წინ რომი და
ათენია!
მიწყდა ბრძოლა,
ბებერ თვალებს
მწუხარება
მოფენია...

სად დაკარგეთ,
პოლკოვნიკო,
მშვენიერი
ოფელია!
სად გაფრინდნენ
ის ქარები,
ის წვიმები,
ის თოლია..
პოლკოვნიკო,
ახლა მაინც
მოასვენეთ
ისტორია!!!

რაჭაში

დაკარგულია დრო და
დაკარგულია გზანი.
ჩვენი პატარა ოდა.
ჩემი პატარა ნანი.

დაკარგულია მზე და
დაკარგულია ფონი.
რად მსაყვედურობს, დედა,
ღები, ჭიორა, ონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრება

როცა თეთრი გვირილები
სასაფლაოს მოჩითავენ,
გაიხსენეთ იაკობი —
სამყაროსთან მოჭიდავე...

როცა გზათა ულრანიდან
მზე გამოვა მოარაკე,
შემოკმედი გაიხსენეთ —
მდუმარების მოქანდაკე...

და მარტების კივილამდე,
და მარტების მოფენამდე
გაიხსენეთ
ბიბლიური შემოდგომა —
მ ო ფ ე რ ა დ ე.

ოფოტრტი

ოთახში დარჩა
მხოლოდ ნათურა,
ოთახში დარჩა
მხოლოდ კედლები
და როცა
ჭარმა ამიფათურა
ფანჯრის რაფაზე
თეთრი კედრები,
ისევ ნაცნობი
ქალაქი მეცა,
სავსე —
ბავშვობის
მკაცრი ვალებით...
მოვიპატიჟე
ოთახში ზეცა
და შემიყვარდა
ჩემი თვალები.

ი ე ბ ი

მეეზოვე ქუჩას დაგვის,
ჩაივლიან ქვაფენილზე
ფრაკიანი ძიები.
ორი დღეა ქარი მთვრალი დადის.
და მოხუცმა ვერ გაყიდა იები.

გულგრილია სახეების ელვარება,
ყვავილებსაც წახდომია ნირი.
გულგრილია უსასოთა მღელვარება,
თურმე ისიც,
'ვინც დღეს ასე ყვირის:
ი ე ბ ი!!!

წავა წასულ დღეთა ფერი —
ცხოვრებასთან რიკ-ტაფელას თამაში...
მართალია მხოლოდ ჭერი
პარკეტების უსასრულო დავაში!

ნიკიფოროს ვრეტოკასი

დაბადება

ოი, როგორი ქარიშხალია,
ვაი, როგორ დასველებულხარ,
აგბურდვია თმები, მარიამ!
ზღურბლზე რატომ გაჩერებულხარ?!
შემოდი, გათბი, ჩაის მოგართმევ,
(მართალი გითხრა ხელმოკლედ ვარ,
ცოტას ვშოულობ, ჩემს მეგობრებს კი
ესეც არა აქვთ, ჩემი წრის ხალხი
ღარიბნი და უქონელნი ვართ!)
აი, თბილი წამოსასხამი, სახლი არეულ-დარეულია.
ცნობისმოყვარე თვალით უმზერ აქაურობას,
შემოდი, დაჯექ, რაღას უდგეხარ!
შენს აქ მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე,
ამ სარეცელზე ლექსი იშვა,
შენს მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე
ქვეყნიერების სევდამ ჩემთან მოილოგინა.

ხელების საუბარი

თითქმის ერთ საათს საუბრობდნენ შენი ხელები
მე მსმენია ტყის და მდინარის სიმღერები,
მაგრამ სიმღერა ხელებისა მოვისმინე ახლა პირველად.
ფიქვს შეყუჟული გაისუსა ჭრიჭინობელა
ხოლო იქ, სადაც ჩამავალი მნათობი ენთო,
სხივთა ხაზები ვერტიკალური
მიწაზე უცებ ჩამოსული ღმერთების ფრთათა ნაკვალევი
მეგონა იმ წამს.
როცა ქვეყანა გაეხვია დაისის ბინდში
მხოლოდ ხელები ხმიანებდნენ,
მხოლოდ მათი ხმები ისმოდა
შენს ათ თითზე იჯდა ათი ჭრიჭინობელაც
გასცქეროდა შორეულ ზეცას და მღეროდა თავდავიწყებით.
და მეც ერთხელ კიდევ მეჩვენა
ხუთი სანტოტო ხაზივით მწყობრად
დალაგდა ფრთათა ნაკვალევი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ნავსაღგური მოვინახულე

მე ნავთსაყუდელს მივაშურე, ჩემი წლები დავინახე
და ხომალდები გასასვლელად გამზადებულნი,
თვალისმომჭრელს მზის სამოსელში გამოწყობილი
ზღვა ელვარებდა.
შენ კი შორს იყავ.
შევთხოვე უფალს
ძოწეცათ ნება
ერთი ვარსკვლავის ცისქვეშ მაინც ღამის თევისა.
შევთხოვე გამჩენს
სულ მცირე ხნით
შეაყოვნოს გამგზავრება ამ ხომალდების
შეაჩერონ სრბოლა ჩემი კუთვნილი წლების —
შენ ხომ შორსა ხარ!

ანდერძი საკუთარი თავისთვის

რამეთუ ჩვენი დრო იწურება, მისმინე, სულო,
თავი ანებე ფუჭ ფაციფუცს, ტყუილ-უბრალოდ ნუ იხარჯები
თორემ წაგებ!
შენ განუწყვეტლივ ითვლი, აჯამებ.
შენ სულ რაღაცას იწერ და იწერ,
შავი ღრუბლები წაეფარა სურვილებს შენსას
ჭექა-ქუხილზე ცახცახებ და ელვა ძალას გართმევს სრულიად.
რა მოგიტანა ამ შემთხვევითი წამების ქროლვამ?
იმღერე, სულო, იმღერე თითქოს ანათებდეს მზე კიდით კიდე,
ჩვენი ღმერთები არცთუ დიდად ხელგაშლილნი
ყოფილან თურმე.
შენ კი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ამორჩევის მოგეცა ნება,
შენ წილად გერგო უმაღლესი ღირსების საქმე —
მიაბიჯებდე მუხლჩაუხრელად უძნელეს გზაზე,
ერთიულთა საცალფეხო, ვიწრო ბილიკზე
ვინ გითხრა, მარტო, ეულად ვლიდე,
მარჯვნივ და მარცხნივ, ყოველ მხრიდან, შენს სიახლოვეს
უჩინმაჩინი ბილიკები მიიკლაკნება,
იმღერე, სულო, შენ ხმამაღლა იმღერე, სულო,
რომ თანამგზავრნი არ შედრკნენ და არ დაგიშინდნენ!

არაფერია შენს შესახვედრად თუკი ქარი წამოფრინდება,
არაფერია ქარაშოტი ნაბიჯს რომ გირვეს,
შენ გზა განაგრძე, მხნედ იარე, იარე მაინც,
გასწი, იარე შენ მეტი არ მოგეთხოვება,
იარე, სულო, თუნდ მოხუცის კუს ნაბიჯებით...
ოოეშვი იმათ, ვის გულშიაც ვარსკვლავი ჩაქრა,
ვის სულშიაც დაფდაფები არ გრიალებენ
და საყვირებიც სამუდამოდ დადუმებულან.
დე, გამოშრნენ სახეები თიხისაგან ნაძერწი მათი,
ვით ძუმეები ცეცხლწაკიდებულ უდაბნოში მიტოვებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ იარე, იარე, სულო, თავაწეულმა იარე, სულო,
ძთებს დაეშვანე დუნიაზე ამაღლებულებს,
სხვა დროებაც მალე დადგება,
მოვა, მოიტახს ჰორს, სიმართლეს და წითელ ვარდებს,
იარე, სულო, მიცვალებულთა გზას ასდი და ცოცხლებს მისდიე
მზისკენ, მზისკენ იჩქარე, სულო.
რომელიც დრო-ეამს არა მორჩილებს
და წინ მიუძღვის სიმართლისთვის თავგანწირულებს!
იჩქარე, სულო — დრო ეს ჩვენი ბალღებია —
იმათ ზრდას კი ვერაფერი ვერ შეაჩერებს,
იჩქარე, სულო, და ეს გახსოვდეს.
იჩქარე, სულო — შენ ხომ კაცი ხარ!

შემოქმედება

მეგობრის ვაჟო, ძმისწულო ჩემო,
ნეტავ თუ გესმის ხმა მოხუცისა!
მახსოვს ამ ქვეყნად მეც ოდესღაც ვიარებოდი,
რაღაც რაღაცებს ვაკეთებდი, ვშრომობდი ცოტას...
არ გაგიკვირდეს სახელი რომ ვერ გითხრა შენი,
ჩემო ბიჭუნავ, ამ მიწაში ჩაფლულსაც მესმის,
როცა ხნავ და როცა სცემ გრდემლსა.
ისე სჭედ რკინას, თითქოს საყვირს ახმიანებდე.

თუკი ოდესმე გამომკვეთეს მარმარილოში, მოდი ერთხელაც
წითელი ვარდი მომტანე ახალგაშლილი,
ყოველ ახალ გაზაფხულზე პიედესტალზე შევიმართები
ყოველ გაზაფხულს მე ვიქნები უფრო მაღალი...
გესმის ჩემი ხმა? მე ვარ, მოხუცი პაპაშენი,
მზეკაბუკი უბერებელი.

დაიმახსოვრე, ჩემო ბიჭუნავ, რომ ეს ქვეყანა
მე ჩემს სამჭედლად გადავაქცე.
და როდესაც ოქროს რკალს ვჭედდი —
ოქროს ბეჭედს — ქვეყნიერების სასიყვარულოდ
მზე ჩემს გრდემლზე ბურთივით ხტოდა,
მე ენებს ვჭედდი იმ ზარებისთვის,
მომავლის ტაძრებს რომ დაჰკიდებენ.
ჩემო კეთილო, რა თქმა უნდა, ახალი მზე
ვერ გამოვჭედე, მარტოოდენ ოქრომკედს ვწნავდი
და სხივთა ბაფთებს მოელვარეს მივანასკვავდი.
შენ როგორ ფიქრობ, რას ვოსტატობდი?
ძველი სიცოცხლე შეეალიე ადამიანის ღიმილის მიბმას
ზეთისხილის უხუნარ შტოსთან, აი ეს იყო ჩემი საქმე,
ბუნებრივი, ჩვეულებრივი, როგორც ბაღი ზეთისხილისა
მიმქრალი მთვარის სხივით ოდნავ განათებული.
ჩემი დაზგა კი... რაკრაკებდა ძილდაკარგული,
როგორც ჭრიჭინა ღობისძირას შეყუჟული
აგვისტოს ღამით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტთა საქმე

პოეტები უშიშრად ცხოვრობენ,
პირშიმთქმელები არიან პოეტები,
არ არსებობს ხელის გული, რომელიც პოეტს
შეიძლებოდეს პირზე დაიფარო.
შთაგონებას ბორკილს ვერ დაადებ!
იციან პოეტებმა სამეფო დინასტიებისა და ტახტის ფასი.
მეფეთა კანონების კრებულს კი არა,
უმაღლეს კანონს მიაგებენ პატივს.
პოეტები აკრძალულ სიმართლეს
როგორც პატიმრები ციხის პაროლს ისე იმეორებენ.
დიან, დედამიწის სულია პოეტი,
შეიმართება, ამაღლდება ჩამოშვავებულ სიბნელეში
მიწას ასცდება, დაბრწყინავს, ბრწყინავს
თვალშეუდგამ სიმაღლეზე ღამის წყვდიადში
ბრწყინავს, როგორც ელვის ნატეხი.

ტირიფები

დილიდანვე ცხადი იყო, რომ გაზაფხულდა.
ნიაღვარივით წამოსკდა მზე და აფეთქდნენ ტირიფები...
მზე აგუგუნდა, აქაფებული და რძისფერი ჩანჩქერები —
მდინარეში გადაცვივდნენ ტირიფების სავსე ტოტები.
შენ წყნარად იდექ, მოახლოების გეშინოდა,
აქაფებული თეთრი შუქი შემოგხვეოდა,
გზნება, რომელსაც ასხივებდნენ აყივლებული ყვავილები,
უხვი, ურიცხვი...
როცა მე თეთრი, მძიმე ტოტი გამოგიწოდე,
ინება ღმერთმა ქვეყნიერებას გაუთენა დიდი დღე და დღესასწაული.
ფოთლებიდან წვეთავდა ოქრო, ცა ცახცახებდა,
ჩამოჰგავდნენ ბავშვებს სახლები —
გაბრწყინებული ზღის სინათლეში ფეხაკრეფით დააბიჯებდნენ,
როცა ნიავი ფრთამსუბუქი შენს ღაწვებზე ჩამოცქრიალდა.
და ფოთლები შენი მწვანე მოსასხამისა,
მიწას დასცვივდა, მიმოიხედე გაკვირვებულმა
და მშვიდად მკითხე:
აი ამ მინდვრებს, გადაპენტილს ვარდ-ყვავილებით
და სიყვარულს თუ აქვთ ზღვარი...
უსაზღვრონი არიან-მეთქი, — მეც გიპასუხე.
იმიტომაც გითხარი ასე, რომ შენ გულზე
დაიფინე ტირიფის ტოტი,
მან კი ნათელი, უშრეტელი გამოაშუქა.
მზემ გადაწვა ხეთა ჩრდილები,
ქვაც სინთლედ გადაიქცა, ნიავიც, უამიც
მთელი ქვეყანა სიყვარულად გარდაისახა!

ბერძნულიდან თარგმნა **იზა ორჯონიკიძემ**

გივი ალხაზიშვილი

მდინარეს არსად ეჩქარება

მდინარეს არსად ეჩქარება, იგი მუდამ მიედინება, ირეკლავს ყოველივეს, რასაც თვალს შეავლებს და მიედინება, მიედინება ისე, რომ არსად ეჩქარება. ჩაუვლის ჭალებს, მდელოებს, ხიდებს და ბეტონის ჯებირებს, შეამდგრეს ქალაქის სტომაქი მის კრიალა ტალღებს, მაზუთსა და მჟავარტყლს, ზსამების სიბლანტეს მიუმატებს. იგი მაინც მიდის, მიედინება და რისი წალებაც შეუძლია ყველფერი მოაქს თავქვე, ზღვისაკენ. მდინარის ბავშვობა მისი სათავეა, ჩვენი სათავე კი ბავშვობაა და რაც უფრო ვშორდებით სათავეს — მით უფრო ვიმდგრევით...

მდინარეს არსად ეჩქარება, იგი მუდამ მიედინება. უწყვეტელი მდინარება და უცნაური სხვაობა მდინარის ზედაპირზე არეკლილ და რეალურ გარემოს შორის ბმადეს წარმავლობისა და მარადიულის ბუნებრივი მოლიანობის შეგრძნებას, რასაც ჩვენ მდინარებას ვუწოდებთ.

მდინარეს არსად ეჩქარება, იგი, უბრალოდ, მუდამ მიედინება.

ჩვენ კი, ყოველთვის სადღაც გვეჩქარება, გვეჩქარება უკეთესი დღეებისაკენ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოვაჩენთ: ამ სიჩქარეში შეიძლება მოელი სიცოცხლე გავიჩინოთ. სინანულით, ამ აღმოჩენით რომ გვეუფლება, როგორღაც აწესრიგებს ჩვენი სიცოცხლის რიტმს და ზღვასმიაბლოებული მდინარესავით ალარსად გვეჩქარება, და თუ კი ადრე დროის ზედაპირზე მოცურავდებოდით, ახლა უკვე მძაფრად ვგრძნობთ წამების, წუთების, დღეების სიღრმეს და ანარეკლიც თვალის გუგებზე კი არ გადაირბენს, როგორც ტალღებზე, არამედ სულის სიღრმეშე. ილექება და სამუდამოდ გვამახსოვრდება, რადგან მომავალი დღეებისაკენ მეკანიკურ სწრაფვას ცვლის სიცოცხლის არსის შეცნობის წუთრეული, ალბრეული სიცოცხლე და ჩვენს გულში სხვა სინათლით კრთიან სიტყვები: რწმენა, მაზანი, სულისკვეთება, გონიერება. სულიერი ცხოვრება, მოწესრიგებული რიტმი, მარადიულ მიდინერებასთან შერწყმა, ჰარმონიული თანაარსებობაა.

მდინარეს არსად ეჩქარება, იგი მუდამ მიედინება. აი, უკვე მერამდენედ ვიმეორებ „ფრაზას, რომელიც, თითქოს, ისევე ბუნებრივად ელეარს, როგორც თავქვე მიმავალი მდინარის უწყვეტელი დინება. ამ წინადადების განმეორებით მინდა ხაკუთარ თავს მოვაგონო მნიშვნელობა სასიცოცხლო, ბუნებრივი რიტმისა, რომელიც ეუბნებიდენ რწმენით და მაზნისკენ უწყვეტელი, გამუდმებული სწრაფვით მიიდწევა.

საიოკენ ვისწრაფოთ?! ვისკენ არ რისკენ ვისწრაფოთ?! რითი განსხვავდება გაუტკბეველობისაკენ აჩქარებული, გაუეცნობიერებელი წინსვლა, იდუმალისკენ სიყვარულის ეზოი სწრაფვისაგან?!

ჩვენ საით ვისწრაფოთ?! ვინ იცის, ვინ საით მივდივართ, ალბათ ყველა თავის გზით: ზოგი ღვთისკენ და ზოგი ეშმაკისკენ, ზოგი კი საერთოდ უმოქმედოა და სიამოვნებით ცხოვრობს აქვარუშის თევზივით, თან გამუდმებით იმის მოლოდინშია, როდის გაუმასპინძლდებიან ნამცეცებით. დიახ, ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებას თავის რიტმი აქვს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას აზრიანს თუ უაზროს, ეპოქის მდინარეა, ეპოქის რიტმი ამოძიებენებს. ამ რიტმის შეგრძნება უფრო ადვილია ვიდრე გააზრება — თან იგი ისე ადვილად მოსახელთებელი არაა, როგორც მუსიკალური ნაწარმოების რიტმი, როგორც ლექსის რიტმი. დიახ, ყველგან და ყველფერში იგრძნობა რიტმი — არა მხოლოდ მუსიკაში, პოეზიისა და პროზაში, რიტმია ყველგან და ყველფერში, ერთი შეხედვით სტატიკურ ფერწერულ ტილოებშეც, დიდებულ არქიტექტურულ ანსამბლებში თუ ერთფეროვან მასივებში. ჩვენ, ყველა ცალ-ცალკენ ამ რიტმს ვკმენთ და მერე ვერც კი ვამჩნევთ როგორ ვემორჩილებთ მას.

თუ დრო ზოგიერთივს მხოლოდ ზედაპირია — გარემოსა და საგანთა ამრეკლვეა, გასარბენი მანძილი A წერტილიდან B წერტილამდე — შემოქმედებისთვის იგი სიღრმეა, მარადიული ზვდომის ასპარეზი. შემოქმედის გონი და ალღო სივრცეებშია განფენილი და ზვდომის წუთი ისევე ღრმაა, როგორც საუკუნე, ისევე ღრმაა ათასი წელი, „ვითარცა დღეი ერთი“... ვინც

ინერციული მუსიკურებელია, გულგრილი, მხოლოდ საკუთარ სატკივარზე მოწუწუნე „რანიდია“, იგი არაა შემოქმედი. როცა შემოქმედს ეკამბიმ, მე არ ვგულისხმობ მხოლოდ შემოქმედებათა კავშირის წევრებს, ანდა იმათ, ვინც რადაცას წერენ. სიტყვა შემოქმედნი მე ვგულისხმობ ხელოვნებისა ადამიანებს, შემოქმედებითი სულისკვეთებით ანთებულებს. ადამიანებს, რომელთა რუდუნება ავლენს ერის სულიერ პოტენციალს. მათი შემოქმედების, მოღვაწეობის მასტაბები და რიცმი კი ერის გულისცემად ალიქმება და თუ ბანალური კითხვა გავიხსენებენ: ვინ არის თქვენი იდეალი ცხოვრებაში? — ასეთ ადამიანებს უნდა ვასახელებდეთ — არა იმიტომ, რომ მათ მიებაძოთ და დავემგვანოთ შეკნინებულად, არამედ იმიტომ, რომ მათი საქმეები გავაგრძელოთ ახლებურად, შემოქმედებითად, როგორც ტალღა აგრძელებს ტალღას, რათა მდინარეში არ შეშუდეს, არ დავგუბდეთ და არ დაეჭაობდეთ.

„მოძრაობა და მოძრაობა, ჩემო თორგო“... მერამდენედ ჩამესმის ეს სიტყვები და მახსენდება კეთილი ღიმილი წინაპრისა, უკეღასათვის, ცნობილი სურათიდან რომ დაგვნთის. დიახ, მხოლოდ „მოძრაობა“, მოძრაობა სულიერი, გონიერი, მიზანსწრაფული, თუ საჭიროა თავგანწირული, მოვალეობის ერთგულებითა და მოუკახის სიყვარულით აღსავსე.

ჩვენ სათი ვისწრაფოთ?! ხომ არ მოვდოწდით?! ხომ არ დავცალეკედით?! საკეთილ ქმნა, დიდი თუ მცირე საქმის კეთება ჩვენმა მრავალსიტყვაობამ, მცირე ღვაწლით თავმოწონეობამ და პატეგმოყვარეობამ ხომ არ შეეცვალა?! რა გაგვიკეთებია ისეთი, რომ აპლოდისმენტებს ვეგრეოვდეთ, დაფნის გვირგვინებს ვითხოვთ, „შთაგონებულნ“ ფოტოსურათებს ვურთავთ წიგნებს. თუ კი ილიას შეეძლო ეთქვა, „ჩემო კალამო, ჩემო ეარგო, რად გინდა ტაში“... — ჩვენ რაღა უნდა ვთქვთ?!.

მადლობა ღმერთს, დღესაც ცხოვრობენ საქართველოში დიდი ადამიანები. ისინი, როგორც ყოველთვის, ცოტანი არიან. მათი ნაბეჯი, მათთან გასაუბრება, თქვენსავით მეც მომნატრებია, მაგრამ ამ ვიცი რატომ, მისგან ვერ გადამიწყვეტია.

ისევ ეპოქის რიტმი: — წიგნის მაგიერ ტელევიზორი, პირადი წერილების მაგიერ სატელეფონონი საუბრები.

სამწუხაროდ, როცა დიდი ადამიანი მიდის, ან ქვეყნიდან, მერეღა ვგრძნობთ სინანულს სამუდამოდ გადადებული ვიზიტის გამო.

ჩვენ სათი ვისწრაფოთ?! ვისკენ ვისწრაფოთ?! ვისთან საუბარი გვენატრება?!

ერთი ფაქტი მახსენდება, დიდებული ფაქტი, თითქმის სამი საუკუნის წინ რომ მოხდა ბერლინიაში, იგი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ისწრაფოდეს შემოქმედი სრულყოფისაკენ და არ ეთაკიერებოდეს ხელიგან, უკეთესი ოსტატისგან, ისწავლის რაიმე. არნშტადის ეკლესიის ახალგაზრა მეორეოდენ ბეჭედ იოჰან სებასტიან ბახმა, აიღო ერთთვიანი შვებულება და რადგან სამგზაურო ფული არ ქონდა, ფეხით წვიდა ქალაქ ლუბეკში დიტრიხ ბუსტეჰუდეესთან — ცნობილი მეოთხანანურთან, რათა ზოგი რამ ესწავლა მისგან. ქალაქ არნშტადტიდან ლუბეკამდე 350 კილომეტრია.

ხხვა დრო იყოო მეტუეთ. დიახ, ხხვა დრო იყო და ცხოვრების რიტმი, გადაადგილების სიხწრაფე ხხვაგვარი, მაგრამ ნაკლებზედაპირული, უფრო ღრმა და მიზანსწრაფული. არა ვიღაც, რიგითი მუსიკოსი, არამედ, გენიალური ბახი წვიდა ფეხით, დღეისათვის თითქმის უცნობ მუსიკოსთან, რათა მისგან ზოგი რამ შეეხსნაკლა. ჩვენ კი ვინმეისგან რომ რაიმე ვისწავლოთ, ხომ შეილახა ჩვენი პატივმოყვარეობა, ხომ დავმცირდით?! თუმცა ბახი თავიდანვე მიჩეეული იყო შორ მანძილზე ფეხით სიარულს. ადრე ლუნებუურგიდან ჰამბურგში დადიოდა ფეხით სხვა მუსიკოსების მოსასმენად. ამ ორ ქალაქს შორის 45 კილომეტრია.

და ამ გზებზე ფეხითმიმართულ გენიოს ჭკონდა უამრავი დრო ფიქრისთვის, აზროვნებისთვის, სამყაროს ჰარმონიის წვდომისთვის. მას არსად არ ავეიანდებოდა, რადგან მისთვის სიღრმეთა წვდომა იყო უმთავრესი და არა სამსახურმოყდაათი კილომეტრის უაზრო გადარბენა. ალბერ აინშტაინს ხომ ბახის შემოქმედებაში „სამუყაროს ჰარმონია“ ესმოდა.

ჩვენ კი მუდამ გვიჩქარება, დრო არ გეყოფნის და გვგვიანდება. წამოწყებულ საქმეს ვტოვებთ და სხვას ვიწყებთ, მერე იმასაც ვიწყებთ და სხვა რამეს ეკიდებთ ხელს. სად გვაგვიანდება? საით ვისწრაფოთ?!

მიწიერ სიამეთა დათმობით, თავდაუზოგავი რუდუნებით, წამოწყებულია საქმის ერთგულებით, დათმენის ნიჭით გამოირჩეოდნენ ჩვენი წინაპრები, რაც ჩვენ დაგვიტოვეს და რითაც დღეს ვამაყობთ, მათი თავაუზებელი შრომის შედეგია.

ჩვენი საქმიანობის დაფასებაზე ამბიციური ზრუნვა — ბევრად მეტია ჩვენივე საქმიანობაზე. ამბიტმსაც ყოველგარ შრომას განა შრომა ჰქვია?! ხელ სხვა სულიერად განწმენდილი, რწმენისთვის თავდადებული ადამიანის შრომა. ასეთ შრომას სიყვარულის ანგელოზი მფარველობს.

წამით მაინც გავიხსენოთ ძველი ქართული ლიტერატურა, მხატვრობა, არქიტექტურა, მუსიკა — მათი ავტორები, ნახევრადცნობილნი და უცნობნი. რა სულიერი მოკრძალება აჩქმალვენებდა უცნობ ავტორებს საკუთარ ღვაწლს და ვინაობასს?! დიდი თუ მცირე სიკეთის ქმნა სატრაბახოდ არავის გაუხდია; დიახ, მაშინ სხვა დრო იყო, ცხოვრების რიტმიც შესაბამისი.

შეუძლებელია ერთი თვალის გადავლებით

უამრავი პიროვნების გახსენება; მათი ზნეობა განაპირობებდა ერის ზნეობას, მათი ცხოვრების წესი საერთო ცხოვრების კანონი იყო. ვინ ზრუნავდა მაშინ საკუთარი ღვაწლის დაფასებაზე?! ისინი ღვაწლის დაფასებას ღირსეულ მოწოდება აღზრდაში ხედავდნენ, მათში, ვინც ერთგულად გაგრძელებდა წამოწყებულ საქმეს. აი, როგორ იხეებენთდა, ვითარდებოდა, მტაცდებოდა სულისკვეთება, გრძელდებოდა დინება მარადიული მდინარისა.

მრავალი კონკრეტული მაგალითის გახსენება, შეიძლება, მე მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებ. მიხეილ თამარაშვილი ბოლო წლებში გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის მისი ნეშტის თბილისში გადმოსვენების შემდეგ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თავდადება რ. თაბუკაშვილმა რომ გამოიჩინა ამ საქმეში.

შოთა ლომსაძე თავის წიგნში „მიხეილ თამარაშვილი და ქართული კათოლიკეები" წერს: „რაც დრო გადის მ. თამარაშვილის, როგორც მეცნიერისა და მამულიშვილის სახელი სულ უფრო იზრდება. ის თავგანწირული და უანგარო სამსახური, რაც მან მიუგო თავის სამშობლოს, კვლავაც დარჩება სანიმშო მაგალითად მეცნიერებას შემდგომელი ყველა ქართველი ახალგაზრდისათვის". შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ამ სტრიქონების ავტორს.

სამშობლოს მოწყვეტილი, სიდუხჭირეში მცხოვრები მიხეილ თამარაშვილი დღედადმეს ასწორებდა, რათა უცნობი ისტორიული მასალები მოეპოვებინა იტალიის არქივებში. უკანასკნელ გვრფმებსაც არ ზოგავდა „დათმენის ნებით" და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე თამარაშვილი, რათა უტუფარი ფაქტებით ჩაეწერებინა — მაშინდელი საქართველოს მრავალრიცხოვანი და გულსრმო მტერი — შეენებებულად რომ ამბიზნებდნენ საქართველოს ისტორიას, სხვათა თვალში ამცირებდნენ მის წარსულს, ატყუებდნენ დაბნეულ, არასმცოდნე ხალხს. მიხეილ თამარაშვილის მიერ მოყვანულმა უცნობმა საარქივო მასალებმა, მისმა ერუდიციამ და აზროვნების უტუფარმა, დამაჯერებელმა ლოგიკამ, სისხლი გაუშრო ორგანიზებულ, ეკონომიკურად გაცილებით ძლიერ დაჯგუფებებს, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ — თავიანთი შეთითხნილი სიყალბე საქართველოს შესახებ თავს მოეგეზიათ დანარჩენ მსოფლიოსთვის.

თამარაშვილი კი თანხებს თავისი წიგნების გამოსაცემად სამოწყალოდ აგროვებდა. თოიძის „საქართველოს ეკლესიის ისტორია" მხოლოდ მისი საქმე იყო და არა საქვეყნო, საყოველთაო. არა მხოლოდ „საქართველოს ეკლესიის ისტორია", სხვა ნაშრომებიც გაეგზავნებთ მოგროვილი ფულით, მეცენაატებს ხელშეწყობით გამოდიოდა. ამ წიგნების მნიშვნელობა ვისაც ეს მოდა ყველა ხელმოყლე იყო და ეოველნაირ ღონეს ხმარობდნენ მდიდარი თანამედროვეებისთვის განემარტათ მიხეილ თამარაშვილის ნაშრომთა უდიდესი მნიშვნელობა. ვვიან, ძალიან გვიან მივხედით მისი ღვაწლის სიდიადეს... მაგრამ დღეს ჩვენში ბუნებრივ გოიცესს, განცვიფრებას იწვევს სულიკვეთება. რწმენა, თავგანწირვა პიროვნებისა, აუტანელი სიდუხჭირის მიუხედავად რომ ასე ერთგულად ემსახურა თავის ხალხს. როგორც ამბობენ, როცა ქვეყანას ძლიერ უჭირს, მაშინ იბადებიან უწმინდესები და უძლიერესი პიროვნებები.

მიხეილ თამარაშვილი ილიას თანამედროვე იყო, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, რადგან თამარაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს საზღვრებს იქით გაატარა. დიდებული წინაპრების მსგავსად, საკართველოდან გადახვეწილი საქართველოსთვის არსებობდა. იგი იტალიაში გარდაიცვალა ტრაგიკულად. ამობოკრებული ზღვაში გადაეშვა დახალრჩობად გაბნერული ადამიანების გადასარჩენად. ისეთი მოწამის აკეს, როგორც მიხეილ თამარაშვილი იყო არ შეეძლო წაეყოლებინა, მიმალულიყო, თავი დაეშვიდებინა და ეფიქრა: სხვა ვინმე გადაარჩენსო გაჭირვებულს. ასე რომ მოქცეულიყო, მისი წმინდა სიცოცხლე, წამიერი სამმდალოს გამო სამუდამოდ დაკარგავდა თავის ანაზს. თუ უცნობები საქართველოს მტრები იყვნენ და დაბრჩობის სცენა გაითამაშეს, ეცოდინებოდათ რომ თამარაშვილი გაჭირვებულ მოყვასს აუცილებლად მიეხმარებოდა. ასეც მოხდა — თამარაშვილი და მისი ძალიანელი მეგობარი დაიხრჩენენ მშიერეტისას, ხოლო ისინი, ვის გადასარჩენადაც თამარაშვილი ამობოკრებულ ზღვაში გადაეშვა — სხვებმა გადაარჩინეს.

„ამ ორი თვის წინ, იგონებდა ქვაიანი, — განსვენებული მწერდა გრძნობით სავსე ბარათს, უჩიოდა თავის ობლობას და სამშობლო ქერიიდან მოწყვეტას. მწერდა, 22 წელიწადია, რაც სამშობლოს მოფშორდი, მე აქ ვარ და გული მანდ არისო"... სამწუხაროდ, საქართველოდან მის დასაფლავებაზე ჩასვლა ვერავინ შეძლო, მიეხედავად იმისა, რომ რომიდან შავარშიამოვლებული ბარათები ბევრმა მიიღო".

ვიდრე სხვა მაგალითს შევეხებოდეთ, ძველი მწერლების როლისა და მოკრძალების, საკუთარი ღვაწლის თითქმის არად ჩაგდებისა და შეგნებული მიჩქმალვის უამრავი შემთხვევა გავიხსენოთ. როგორ სძლიეს, უარყვეს სულისამამაგზეოვეველი, გონების დამნისლავი პატაგმოყვარეობა, გამოჩინების წადილი. რა სულიერი ძალისანი იყვნენ, რა მტკიცე და წმინდა იყო მათი რწმენა?! ძველ მწერლებს რომ გაიხსენებ და უცეცხ ასეთ სტრიქონს წაიკითხავ თანამედროვე პოეტის ლექსში — „რადგან ცოტათი მეტი ვარ თქვენზეს!.. — გოიცდები, გაოგნდები, განცვიფრდები და გულუბრყვილოდ იკითხავ: ვისზე მეტი ხარ პოეტო?! შენს მკითხველზე? შენი გენიალური წინაპრები ვინაობას უმალვდნენ მკით-

ხველებს, რადგან მათთვის მთავარი იყო „სიკეთის ქმნა“ და არა ნაღაწის დაფასება; შენ კი „ოფლათი მეტი ხარ“ შენს მკითხველზე. ან სადან იცი ვინ არიან შენი მკითხველები, ანდა ვინ იქნებიან?! აი, სადამდე მიდის სულიერი სიცარიელე — მზვაობისაკენ სიყოყოჩემდე, უაზრო პატივმოყვარეობამდე, მოყალედ რომ ვთქვათ, ყველი მწერლებისა და ამ სტრიქონის ავტორის პოზიცია, ზნეობა, სულისკვეთება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავდება იხვეე, როგორც ვაჟა-შვაბეელს უბრალო, მაგრამ ძვირფასი საფლავი — შავმარმარილნაში ჩასმული, ძვირადღირებული სფლათისგან. სხვათა თვალში საცმია და სამწუხარო.

საით ვისწრაფოთ? საით გვეჩქარება? რა გვაკვარს, ანდა ვინ გვიყვარს ამ ჭეკუნად?

სადა ხართ ოთმოციანი წლების საქართველოს მეცენატებო? იქნებ საქართველოში ხელმოკლე, ნიჭიერი ახალგაზრდები აღარ არიან? იქნებ ხელმოკლე ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ შეძლებული პიროვნებები აღარ ცხოვრობენ ჩვენში?!

მდინარეს არსად ეჩქარება, იგი მუდამ მიედინება. დრო გადის და იცვლება ჭეკეანა, დროის დინება კი უცვლელია, ცვალებადია რიტმი ჩვენი ცხოვრებისა. ცვალებადია და სხვადასხვაგვარი ჩვენი მაზანსწრაფვა.

უბედობას უჩივიან ადამიანები, რომლებსაც სიცოცხე ოუგიათ თავიანთი ცხოვრება, გაორებულნი სიცოცხის ჭაობში იფლობნიან. რა მარტივი, ღრმა და მარადფიქრად გენიალური რუსთაველის „რადგან თავი სიცოცხე ყოველსა უბედობისა“.

ვცდილობ მოვიბელეთო, როგორმე მკითხველს ვაგრძნობინო რიტმი ცხოვრებისა, რომელსაც ცალ-ცალკე ვქმნით, მერე თვითონ ვემოიჩრილებით — გამოლიანებულს, გამჭლეავრებულს, მეკანიკურ სიჩქარეზე აღმოცენებულს.

პრობლემებში, გამოუელეთად რომ არსებობენ, თავიანთი სიცარელითა და ნაირნაირი მასწავლებებით, — ქმნიან ვებერთელა, საყოველთაო მოდელს, რომელსაც უმრავლესობა ეგუება უსწრაფესად და მათი ცხოვრების რიტმიც ემორჩილება იმ უხილავი დიაზეფორის ჯოხს, რომელიც სადმე სხვაგან კი არა, მათშივე ჩასახლებულა — მათივე ნებით.

გავიხსენოთ გრიგოლ ფერაძე. იგი ხომ საკოლეგენტაციო ბანაკში თავისი ფეხით შევიდა გაზის კამერაში სხვის მაგიერად, ის კაცის მაგიერად მრავალრიცხოვანი ოჯახი რომ ჰყავდა. გავიხსენოთ ეკმი ყორდანიას თავგანწირვა. წამით წარმოიდგინეთ დასაოუპად განწირული თვითმფრინავი, ჭეკეანი თვალწუდნენელი ოკეანეა. პატარა გოგონას გარდა ყველას გაანნია მაშველი რგოლი. ქართველი ექიმი პატარა გოგონას უწვდის თავის მაშველ რგოლს. [illegible] ადველი მოსაოფლია ეს ამბავი... იმ წუთებში კი... რა თავგანწირვა, რა შეუდარებელია, რა სიმამაცე იყო საჭირო ეს იყო გაჯნრებული გმირობა, ქართველი კაცის სულიერი ოვისებების ღალიკეთი გამეღავნება.

ახლა, როცა ცენტრალური გაზეთის ფურცლებზე წაიკითხავ — რომ მავანმა ქართველმა არად ჩაავდო ბავშვების თავგანწირული ყვირილი „მაშველი-მაშველო!“, ჩახტა მანქანაში, რათა მანქანა გადაერჩინა წყალდიდობისაგან, სიმწარის ოფლი გასხმამ, ყველას ვერ მოუფეკი ჩვენს დიდებულ გმირებზე. ვერ აუხსნი რომ თითოეროლა მოღალატე და მზდალი არც ჩვენ გვაკლია და არც ხვეენს. სამწუხაროა ის გაბლავთ, რომ მომრავლდნენ ნივთების მონები, არაფუნებრივად მომრავლდნენ.

სად გეჩქარებათ ნივთების მონებო? ახალი ნივთებისაკენ? კიდევ რა უნდა ითქოთ?! წიგნებით ხომ გამოავსეთ თაროები, ავეკით ხომ გამოტტენეთ ბინები? წინასწარ ხომ იყიდეთ „ცარგი“ ადგილები სასაფლაოზე?! რალა უნდა მოიხვეკოთ?!

„და ადიდერიან ამაკ მიწისაკ�“...

საით ისწრაფეთ, სად გეჩქარებათ? ვინ გიყვართ? გიყვართ კი ვინმე საერთოდ?!

ერის ცხოვრება, ნამით რომ წარმოვიდგინოთ, სრულად მაინც ვერ შეეძლებთ. არც ცალკეული მაგალითები ქმნიან საერთო სურათს. ცალკეული მაგალითები ცალკეული ნიშნებია მთელისა. ერთი კი ცხადია, ზოგნი რომ სანალვლებივით ანათებენ სამშობლოს უანგარო სამსახურში და ზოგი რომ ამოეტებით სულს უბერავს; — ჩაქრა, ჩაქრა. მრავალი ამგვარ სულის ბერვაში ამოხება ხოლმე სული, მაგრამ ზოგი სანოელი რომ ქრება?!

ცხოვრების რიტმი. ადვილად ითქმის ეს ორი სიტყვა — შემცველი სიკეთისა და ბოროტებისა, შემცველი ყველა პრობლემისა, ადამიანთა ცხოვრების უხილავი გამამეფლიანებელი, ძრავა, რომელსაც ჩვენი ენერგია ამუშავებს.

რაც არ უნდა სწრაფი იყოს რიტმი, ჩვენ ვერ ჩამოვრჩებით, მაგრამ მეტი დაფიქრებ გვმართებს სიღრმეებზე. ისედაც ბევრი გავიარეთ ზედაპირულად.

მარტო ეკვთიმე თაყაიშვილის მგზრობის მაგალითი რად ღირს — ეხლახანს რომ გაგვახვნა რეკვნ თაბუკაშვილმა თავის შესანიშნავ ფილმით — „ეკვთიმეს მეტყორეკლეთუხუცესი“ და მიხი ბიოგრაფია, მოწამებრივი ხაცოცხლე, ფართო მასების საკუთრებად აქცია.

ახლა, როცა საქართველოს მწერალთა ყრილობა ახლოვდება, უფრაკი საჭიროა ოდგ ამ კითხი ცოცხლდება თვალწინ. ერთ-ერთ მთგანზე — უმთავრესზე, შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲩᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„Ო, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲬᲘᲒᲜᲝ, ᲩᲣᲛᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲨᲚᲔᲚᲘ“

(ნიკოლო მიწიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო)

ნიკოლო მიწიშვილი ტრაგიკული ფიგურაა ქართულ ლიტერატურაში. ტრაგიკული არა მხოლოდ იმიტომ, რომ სრულიად ახალგაზრდამ 41 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე, არამედ იმითაც, რომ ჯერ კიდევ მისი შემოქმედება რამდენადმე უცნობია ქართველი მკითხველისთვის და ამ შემოქმედებას არ მისჩენია სათანადო ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

წინაადმდეგობებით ხასიათდება ნ. მიწიშვილი, როგორც პიროვნება და როგორც პოეტი. ამას თავის დროზე და შემდეგაც აღნიშნავდა ყველა, ვინც კი შეახებია მის შემოქმედებას, მაგრამ ყველაზე მტკივნეულად მაინც თვითონ პოეტი განიცდიდა.

ამის თაობაზე ნ. მიწიშვილი უბრალოდ კი არ ჩიოდა, კი არ წუწუნებს, განწირულივით კვნის, რადგან ვერ გაუმთლიანებია თავის თავში პოეტი და მოკალაქე: „პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბათ ესაა მიზეზი, რომ მე როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღეცვნდელი ამბოხებული დროის აქტუალობას. როგორც პოეტი, მე შესაძლებელია დავრჩე წარსულში. მაგრამ მოკმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოგიკამ მე გამოთანასწორა თანამედროვეობასთან, როგორც ადამიანი. შეიძლება მომავალში ეს ორი პარალელი შეერთდეს. მე არ ვიცი. ვიცი, რომ ამ წინაალმდეგობაში ჩავარდნილია მთელი ჩემი დრო და პოეტისთვის ეს წინაალმდეგობა ხშირად თავდება კატასტროფით.“

ეს სიტყვები ოლი ცხოვრების გადამტანი კაცის სიტყვები არ არის. და მართლაც, პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფია სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით, რაც არაიშვიათად განპირობებული ეპოქის რთული შინაარსით. ნ. მიწიშვილი სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ყმაწვილი იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. 16 წლის ჭაბუკი აქვეყნებს ლექსებს და მინიატურებს ფურნალში „თეატრი და ცხოვრება“. 21 წლის რედაქტორობს ქუთაისის შუშათა და ჭარხალაცთა საბჭოს გაზეთს „გოლოს სოლდატა“-ს, 1922 წელს მისი რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „ფიგარო“ და კრებული „პოეტი გრუზიი“, რომელმაც მალალი შეფასება დაიმსახურა. შემდეგ სამი წელი შორს სამშობლოდან, სტამბოლი, პარიზი... პარიზიდან სამჯერ ახახლებენ ნ. მიწიშვილს ქართველი ემიგრანტთა შორის კომუნისტური იდეების პროპაგანდისათვის, ანატიმრებენ საპყრობილე „სანტეში“, რომლის ეკედლებშიც სანთლითვით ჩამოიანა სტრიქონები:

ო, საქართველოვ, წიგნო, ჩუმად გადასაშლელო,
გულის ცემაში ჩასრესილო, სიკეთეკ წმინდაო.
შენი წყლულებით მინდა გული მეც ავაჭრელო,
შენი სახელით გახარება ათასჯერ მინდა.
დიდი ტრფიალის მეც დამდგი მძიმე უღელი,
გასწორნე გული სიყვარულის მწვანეა ისრით —
მე თავმოჭრილი, წამებაში შეწუხებული,
გეამბორება, სახსოვარო, სისხლოვან ეისრით.

(„საშობლოს“)

ნიკოლო მიწიშვილი შედარებით გვიან, 1918 წელს უერთდება ცისფერყანწელთა პოეტურ ორდენს და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. იგი სისტემატურად თანაშრომლობს ქართველ სიმბოლისტთა ზეგვეთ ორგანოებში: „მეოცნეცნე ნიმფორები“, „პოეზიის დღე“, „ბახტრიონი“, „ბარრიკადი“, „რუბეკონი“ და სხვა. უკვე პირველივე ლექსებიდან და მინიატურებიდან გამო

მარტოობა. ეს სულისკვეთება გამოხვეული ლექსებიდან: „ჩემი ვინაობა“, „წმინდანიანი“, „აეტოპორტიტები კუბოში“, „ჩემი მწეველები“, „ალაკალიბური ბალადა“, „წითელი ყვავილ“ და სხვა.

კოშმარული და საშინელია პოეტის ხილვები — გადახსნილი თავის ქალა, „ძვლების რიგელ“, გაგერანებული სოფლები და სხვა. ტიციან ტაბიძე ნიკოლო მიწიშვილის ლექსების ამ განწყობილებას შარლ ბოდლერის ზეგავლენით ხსნიდა, თუმცა იქვე უმატებდა, რომ მათ შორის იმდენივე განსხვავება იყო, რამდენიც იმ ეპოქებს შორის, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ.

იქნებ შორიეული გამოძახილი შარლ ბოდლერის პოეზიისა მართლაც ისმის ნიკოლო მიწიშვილის ლექსებში, მაგრამ ახეთი პარალელები უფრო გარეგნულ სახეს ატარებს, ვიდრე შინაგანს. პოეტის მელანქოლია არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ პიროვნული ტრაგედიით, აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია თვითონ ეპოქის რთული ხასიათი და ახეთივე რთული და წინააღმდეგობების შემცველი ლიტერატურული ვითარება, რაც დამკვიდრებული იყო საქართველოში მიმდინარე საუკუნის თითქმის 30-ან წლებამდე. ყველა ეს მომენტი ერთად აღებული იძლევა მწერლის შემოქმედებაში პოემებს: „წმინდანიანი“, „ზავი ვარსკვლავი“, „გარდაცვალება“.

არსებული ვითარების გათვალისწინებით უნდა შევებოთ ნ. მიწიშვილის ამ პერიოდის შემოქმედებას, რომელიც, მართალია, ძალზე მუქ ფერებშია გადაწყვეტილი, მაგრამ პოეტის განწყობილებებს გულწრფელად გადაკვეთშლის.

„წმინდანიანი“, „ზავი ვარსკვლავი“, „გარდაცვალება“ ეს ერთი მთლიანი ჯაჭვი პოეტის და ადამიანის. ამ ჯაჭვზე არ იყო არც დრო და არც ადგილი დახვეული და რაც ჩემთვის მთავარია, არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყავი მხოლოდ საკუთარ გულს“ — წერდა მიწიშვილი პოემა „გარდაცვალების“ შესავალში.

ლექსების პირველი წიგნი, „წმინდანიანი“, 1922 წელს გამოიცა თბილისში და მაშინვე ჯაჭოთა უკიდურესი სხვადასხვაობა გამოიწვია.

სიმბოლურია წიგნის სათაურიც „წმინდანიანი“. ავტორის გადმოცემით „წმინდანიანი“ ლეგენდარული ფრანველია, რომელიც საუკუნეში ერთხელ მოეკლინება ქვეყანას მზის ჩასვლის შემდეგ და ბინდში ცეცხლს ჩაერის ანთებული ფრთებით. პოემაში იგი განიცდება, როგორც ნგრეული და ზურისძეების სიმბოლო. ამასთან, ნ. მიწიშვილს უცხოეთში განფშორებლად თან ზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემისთანავე წიგნმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა გალაკტიონ ტაბიძე, მართალია, მან არ მისცა მაღალი შეფასება კრებულს, მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ პოეტის პოტტიის დანახვა შეიძლება მხოლოდ წიგნით, რომ ეს იყო ცისფერყანწელთა ერთ-ერთი პირველი წიგნი, ცალკე გამოცემული: „ცისფერყანწელნი ალბა არ შეხნეთ გამბედობა წიგნის გამოცემის, არც საამოო მასალები გაანჩიათ. ნ. მიწიშვილის წიგნის გამოსვლას ამ მხრივ უთუოდ ქონდა აზრი" — წერდა იგი გაზეთ „ლიმონის" 1922 წლის მესამე ნომერში.

მოწონებით გამოეხმაურნენ „წმინდანიანს" ცისფერყანწელები. ან, რას წერდა შალვა აფხაიძე: „ნიკოლოზ მიწიშვილის პოეზიაში არის შინაგანი გულწრფელობა და სიმპრილი. მთელი მისი პოეზია არის საუკეთესო ილუსტრაცია, ან უკეთ, დოკუმენტია იმ სულიერი კრიზისის, რომელიც ახალი ეპოქის მაკნაზე დამდგარ პოეზიას ახასიათებს. პოეტის ფესვი წარსულშია, ხოლო „ადამიანის" სახე ენ იყურება...

პოეზია, რომელსაც დეკადენსის საკმელის სურნელება სდგომდა, იყო გამომხატველი დარღვეული ეპოქის... ლექსები გამარჯოთ და ძალერია, როგორც კომპოზიციით, ისე დეკორატიული მორთულობით".

ერთი მხრიდან იყო მოწონება, პოეტის ორიგინალური სახის აღიარება, მაგრამ, ამასთან, იყო მეორე უკიდურესობაც, — ამ წიგნს უსარგებლოდ, „წუეული წარსულის დაგვიანებულ გამოძახილად" რომ მიიჩნევდა.

თუ გავითვალისწინებთ ოცაინი წლების ხელოვნებისა, რაც არასწორ, მცდარ შეფასებას ჩვენნ ლიტერატურის აღიარებული ოსტატებიც ვერ გადაურჩნენ, გასაკვირი არ არის, რომ ახალბედა, დამწყებ მწერალს კრიტიკოსთა ასეთი რიხხვა დასტყვლიმდა თავს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება ბოლომდე გაბედა ნ. მიწიშვილის შემოქმედებას და არცთუ მცირე როლი შეასრულა პოეტის საერთო ტრაგედიაში.

ნ. მიწიშვილმა, როგორც მოკალაქემ, პირველივე დღიდან მიიღო საბეჭოთა საკართველო. მიიღო არა მოჩვენებანი, არამედ ღრმად და გულწრფელად. ჯერ კიდევ 1924 წელს, პარიზში ყოფნის დროს, იგი წერდა: „არსებობს მხოლოდ ერთი გზა, ერთი რეალობა და ვისაც სწამს ქართველი ხალხის მომავალი, ის სრულის შეგნებით და კეთილშობილებით უნდა შეუდგეს ამ გზას ხასეობა საკართველოს სამსახურისას".

როგორც პიროვნება და მოკალაქე, ნიკოლო მიწიშვილი თავიდანვე დადგა ახალი საქართველოს მშენებელთა გვერდით, მაგრამ როგორც მწერალმა, ერთბაშად ვერ უარყო ის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები, რომლებმაც მისი შემოქმედებითი სახე ჩამოაყალიბეს. ნ. მიწიშვილი თვითონვე გრძნობდა შექმნილი მდგომარეობის სირთულეს და დაჯერებულ მენტორ რომაშში „ეპოპეა" დამაჯერებლად ახსნა, თუ როგორც პოეტმა, რაკმა ვერ შეელო რევოლუციის უყოყმანოდ, ერთბაშად მიღება: „დღეკვანდელი... ეპოქის დასაწყისი მე არ განმიცდია. მისი პათოსით მე არ ავდელვებულვარ და ახლა საკთხს მარტო ჭკუითა ვწყვეტ... ეს უნდა ვანიკადო, იგრძნო, და უნდა იგრძნო თავიდან... რევოლუციის მიღება და ალარება უდაოა. მაგრამ არის სხვა ამბავიც... შეიძლება ეს იყოს დაგვიანებული რომანტიკა, ანდა სუფთელი პოეტისა — მიუმატოს მითოლოგია მათემატიკურად დამტკიცებულ ამბავს, რომ შექმნას ახალი რომანტიკა".

ამ მხრივ ნ. მიწიშვილი ტიპიური წარმომადგენელია ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელიც შინაგანი ბრძოლის, წინააღმდეგობის დაძლევის გზით შედარებით მოგვიანებით, მაგრამ პატიოსნად და გულწრფელად დადგა ახალი საქართველოს მხარეს.

ოცდაოთხში, სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში 1922 წელს გამოიცა ნ. მიწიშვილის მეორე წიგნი, პოემა „შავი ვარსკვლავი". ეს პოემა წარმოადგენს ციკლს ლექსებისა, რომელთაგან ორთიანების ღრმა სევდა სამშობლოს გამო, ფიქრი შინდარჩენილ ახლობლებსა და მეგობრებზე, სიყვარული... პოემის სათაური „შავი ვარსკვლავი" პოეტისთვის ელოვნის და მწუხარების სიმბოლოა, ამის შესახებ თვითონვე წერს პოემის შესავალში: "ნუ გაიხსენებთ ჩემს ხახელს ავად, ბედი დამეცა ელოვნის ვარსკვლავად".

მიუხედავად ამისა, რომ „შავი ვარსკვლავი" ოსტატობით, ლექსის ტექნიკური სრულყოფით, თემატიკით, წერის რეალისტური მანერით გაცილებით მაღლა დგას „წმინდანიანზე", მაინც, „ჯაკ ჯერ კიდევ ძლიერია პესიმიზმი, თუმცა ეს უკვე უმეტესად ობიექტური ფაქტორით — სამშობლოდან დაცილებით არის გამოწვეული. „გაცილებით მეტი სიწმინდე, გამჭვირვალობა და დაუფლებაა ლექსის როგორც ტექნიკის, ისე შინაგანი ძარღვის მხრივ პოეტის მეორე წიგნში „შავი ვარსკვლავი". მთელი ეს წიგნი პოეტის ფული ერთი ნატეხია... ეს არის მოთქმა საკუთარ მიწას, ცას და ეაერს მოწყვეტილი ადამიანის, სადაც ცრემლი ჭვარზე გაკრული ქრისტეს თვალებზე მიმხმარ ცრემლებს წაგავს... მეგობრების, დატოვებულ სიყვარულის ფონზე წამოიჭრება პრობლემა საქართველოსი, ამ „პრობლემის უშუალო განცდაა მოცემული „შავ ვარსკვლავში" — წერდა შ. ალუნიძე.

და მართლაც, პოემის პირველივე ტრიკოლენი ხმამაღალი ტირილივით ისმის: „ეკმენდა სამშობლო საყვარელი და მიატოვე, რად გენნა დახლეჩილი შენი თვალები..."

არსად არ არის შენდობა და ნავსაყუდარი

მისთვის, ვინც „იღბალი გაუბრაზა სამშობლოში“, „სოფლის საყდარზე მიატოვა თავის მერცხალი“.

„კარიდან კარზე მოხეტიალე“ პოეტის ცრემლიან თვალებს ყველაზე ხშირად საქართველო ელანდება და ენატრება. ამ განცდითაა დაწერილი ლექსი „დაპბერავს ქარი საქართველოდან“, რომელიც არა მარტო სიწრფელით და გრძნობის უშუალობით გვხიბლავს, არამედ, პირველ რიგში, შემოქმედის ოსტატობით, სიტყვის მაღალნიჭიერი ფლობით გვაინტერესებს:

დაპბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გაეყვები ჩქარა —
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად აეკიდე კარიდან კარა.
გადამეშლება წარსული დღენი,
პოეზია და ცივი თითენი.
გადამიარენ, ვით ამორძლები,
ამბები, ზღვებით განადიდები.
მაშინ გავიწევ ცისკენ ცრემბზე,
გავიმართები, ბულს გავაქორავ
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორავ.

საფლავის ლოდზე ამოჭიერი ეპიტაფიასავით იკითხება ნ. მიწიშვილის განწირულებით სავსე სტრაქონები: „მერეთო, უშველე შენს მონას ნიკოლოს, რომ არ მოკვდეს, არ დაეცეს, არ ჩაიქროლოს. ღმერთოო“.

ვისმა გახსენებამ შეიძლება იხსნას „ჭირსა შიგან“ გატეხილი ქართველი პოეტი, თუ არა — რუსთაველისამ. ნ. ნიკოლო მიწიშვილიც სასოებით ეფერება მის სახელს:

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი
მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გაგონის საქართველომ ტირილის
ხმები,
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის ულუფთ
თარეში.

. . . . . .

საქართველოს ბედს შოთა-ღმერთი მარტო
განაგებს
შარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.

(„შავი ვარსკვლავი“)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა დღეების ამსახველია შესანიშნავი დოკუმენტური ნაწარმოები „ოფერეული“. წერილი კონოტერატორივით გვიჩვენებს აფორიაქებულ, ფუტკრის სკასავით მოზუზუნე „ბათომს“, დაბნეულ, სასოწარკვეთილ ადამიანებს. წერის ასეთმა მანერამ ლექსებშიც იჩინა თავი და პოემაში „შავი ვარსკვლავი“ — პოემამ მოგვცა შთამბეჭდავი სურათი დარბეული ქუჩების, მოფსეფრად აფუსფუსებული, გაურკვეველი შიშით შეპყრობილი ადამიანების, საყოველთაო მღელვარების. ასეთია თემა და ასეთივეა ლექსის გარეგნული სახე — ლაბიმიერი, აჩქარებული რიტმი, ფრაგმენტულ-ლაკონური სურათები. თითქოს ამოვარდნილი ქარაშოტი საგან დაფლეთილი სიტყვები — მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი:

ქარია. ცივა.
ისეთი ზაპთარია.
ქარია. აედარია.
პოეზიის სკეთა.
ქუჩაზე მიქრიან
მოღუნული კაცები
ყვირიან, იქადიან ტრამვაები.
პოეტები დადიან ამუნული.
სიცივეე. ვაება.

(„შავი ვარსკვლავი“)

სამი წელი დამყო ნ. მიწიშვილმა სტამბოლსა და პარიზში. ეს იყო პერიოდი სამშობლო გზის ძიების, ვანსკის, ფიქრის. და უკვე 1925 წელს იგი მტკიცედ აკეთებს არჩევანს — უკან, სამშობლოსაკენ, საბჭოთა საქართველოსაკენ! უცხოეთში გადატანილმა მძიმე დღეებმა, ილუზიების ნგრევამ, შექმნილი სიტუაციის მართალი თვალით განსჯამ დაარწმუნა მწერალი, რომ არ არსებობს სხვა გზა, გარდა საბჭოთა საქართველისა. პარიზში ყოფნის დროსვე დაწერა მან ლექსი „პროლეტარიატს“. შეიძლება ეს ლექსი მაღალ მსატვრული ღირსებებით არ მრწყინავდეს, მაგრამ იგი გულწრფელი ნათქვამია ადამიანის, ვინც მთელი არსებით მიენდო მომავალს, დაიჯერა და ირწმუნა მისი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1925 წლიდან ნ. მიწიშვილი აქტიურად მონაწილეობს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ხელმძღვანელობით 'და ინიციატივით ქართული კულტურის არარეი დიდმნიშვნელოვანი საკთხი იქნა გადაჭრილი. მიწიშვილი 1926-1928 წლებში რედაქტორობდა მეტად სოლიდურ ჟურნალს „ქართული მწერლობა“, სადაც ჩვენი ლიტერატურის არარეთი შესანიშნავი ნაწარმოები დაიბეჭდა. ნ. მიწიშვილი იყო ლიტფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ პოსტებზე, უკანასკნელ წლებში იყო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკასა“-ს მოიკარი რედაქტორი, ამასთან ეწეოდა ფართო ლიტერატურული და მთარგმნელობით მუშაობას. თარგმნა მაიაკოვსკის, შევჩენკოს, ბაკსის რილკის ნაწარმოებები.

როგორც შემოქმედი, ნ. მიწიშვილი გულწრფელად უმღერის ახალ საქართველოს ისეთ ლექსებში, როგორიცაა: „ახალი მოედანი“, „კოლხიდა“, „წერილი სერგო ორჯონიკიძეს ომერეთიდან“, „თბილისიდან ორჯონიკიძემდე“, „ესპანეთის ხალხს“, „გურიაში“ და სხვა. ახალი ეპოქა, ან ეპოქის სიახლენი იქცა პოეტის შემოქმედების მთავარ მიმართ-

ულებად. „...დამცალდება ვწერო ლექსები და ავამღერო ეროკის თემა" — წერდა ნ. მიწიშვილი და კიდევ ამარილებდა ჩანაფიქრს.

პოეტი თავისი თვალით ხედავდა, როგორ იქმნებოდა საბჭოთა საქართველოს ყოველი მიდწევა, რაოდენი ზრუნვით და ყურადღებით იყენენ გარემოცული უბრალო ადამიანები, რა პერსპექტივები იშლებოდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის წინაშე და რიცა ყველაფერ ამას ადარებდა უცხოეთში ნანახსა და განცდილს, მშობელი ქვეყნის წინაშე საზიზღოდ დადებული ფიცივით ყღერდა მისი სტრიქონები:

რომ გავხდე ღირსი ყინულებში დადებულ ფიცის,
საბჭოთა გმირის ვაქაცური გულიანი საღი,
და ჩემი ქვეყნის სურნელოვან, ენაზეს მიწას
შეურტყვენელი ვაჩვენო სახე.

ასეთი ალსარების მიუხედავად, ქართველ კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ეჭვითა და უნდობლობით იყო გამსჭვალული ნ. მიწიშვილის, — როგორც პროფესიონალ და შემოქმედებისადმი. კრიტიკის ასეთ არაჯანსაღ, ღვარძლიან, უსაფუძვლოდ მტრულ დამოკიდებულებას 20-იან წლებში ისეთი მწერლებიც კი ვერ ასცდნენ, როგორიც იყენენ გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კოსტანტინე გამსახურდია, ოსსებ ჯრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, რაც რევოლუციის არსში ისედაც გაუნთავიერებელ ინტელიგენციას საბჭოთა ბელისუფლებამდე მისახსელელ გზას უფრო უძნელებდა. 30-იანი წლებიდან მკაცრად დაიგმო ასეთი სულისკვეთების ყოველი გამოვლინება, მაგრამ მისი საბოლოო ალყვეთა ერთბაშად არ მომხდარა.

ნიკოლო მიწიშვილიც ვერ ასცდა კრიტიკის გამძაფრებულ თავდასხმას. იშვიათი არ იყო მისი შემოქმედების ყოველგვარ ლიტერატურულ კრიტიკას დაშორებული, ცინიკური, შეურაცხმყოფელი ფასეულობა.

ტერმინი „თანამგზავრი მწერალი" რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა. ესა თუ ის მწერალი რევოლუციის თანამგზავრად მიიჩნეოდა თუ არა, ამის შესახებ ქართულ ეურნალ-გაზეთებში ოციან წლებში არა ერთი დისკუსია გაიმართა, აზრთა არა ერთ მძაფრ შეჯახებას ჰქონდა ადგილი. დღეს კურიოზად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ საეჭვოდ მიიჩნდათ საკითხი თვით გალაკტონ ტაბიძის „თანამგზავრობის" შესახებაც, სხვებზე რომ ალარაფერი ვთქვათ. სიმწარენარევი, მძაფრი იუმორით გვიხატავს ამ სიტუაციას ნ. მიწიშვილი:

მაგრამ გავყვები. თანამგზავრის სახელი,
ჩინი,
მე, სულ ერთია, არ მეღირსა, ვერ შევიძინე.
მომაკვდინებენ გადაბრების დამჩეფდა ქინი
მე გადაბრილად ვჭამე თურმე, ეს ეროვნული
დავიძინე.

ეშმაკმ, რომ ეხლაც უსაშველოდ გადაეიბარე,
მოდით, მიშველეთ, თავს ნაცარი
გადაეიყარე.

(„უსახელო")

ცხადია, ასეთი მდგომარეობა მძიმე კვალს დაარჩენედა პოეტის სულიერ ვაწმყოფობილებას, მაგრამ მას წუთითაც არ შეუქცევია ზურგი განახლებული საშობლოსათვის, ყოველთვის საზოგადოებრივი და ლიტერატურული საქმიანობის შუაგულში ტრიალებდა და თავისი წვლილი შეჭამოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინსვლასა და განვითარებაში.

1931 წელს, საბჭოთა საქართველოს არსებობის 10 წლისთავზე დაწერა ნ. მიწიშვილმა ვრცელი ლექსი „ათი წელი", ერთბაშად რომ შეაჯამა თავისი განვლილი გზა და გულწრფელად, დაუფარავად აღიარა ის წინააღმდეგობანი, რომელთა დაძლევითაც ჩამოყალიბდა იგი, როგორც საბჭოთა პოეტი და მოქალაქე.

ნ. მიწიშვილი უეცოფანად იდგა საბჭოთა საქართველოს მშენებელთა გვერდით: „მე ავირჩიე ერთი გზა — ოქვენთან, მშრომელის გეზი მშრომელმა კაცმა".

ეს იყო მწერლის ხაბოლოო დასკვნა. იგი გულის ფეხვებთან იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან და ცხადია, უნდა ეცხოვრა, ებრძოლა და ეძებნა იქ, სადაც მისი შშობელი ხალხი აშენებდა ახალ ცხოვრებას. ამიტომაც ამბობდა:

მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მეცხამბე, როგორც ხარაზი,
როგორც მუშა და როგორც დალაქი.

(„ათი წელი")

თავადაც მშრომელი კაცის, მზედლის შვილმა, ხალხთან ცხოვრება და შრომა არჩია. იგი ამის შესახებ ჯერ კიდევ 1928 წელს დიდი სიამაყით წერდა: „მუშას ვუგალობო? ეს ჩემთვისაც სასახელოა, რადგან მე თვით მშრომელი კაცი ვარ. და როცა მუშაზე ლაპარაკობენ, მე თავს მაღლა ვწევ, რადგანაც ვიცი, რომ წინ წადგა სწორედ მშრომელი კაცი, რომელსაც მე ვეკუთვნი".

გულწრფელი და სიყვარულით ავსებული სტრიქონები უძღვნა მიწიშვილმა აყვავებულ ბუროას, განახლებულ კოლეეთს. „ალარ ჩანან ლაზიკასთან „გაფიისული ნავები", მოტაცებულ კოლს ასულებს რომ მიაქანებდნენ ცხრა მთას იქით, მშვიდი და უოლუბული ფილა გადმოსდგომია „ქვეყნის ნაპირებს", ახალ გმირებს ხვდება კოლეეთი და არც კოლეი რჩება გულგრილი ამ დიდი გარდაქმნებისადმი, იმ გამრეკ

ადამიანებისადმი. რომლებიც მძლე და ღონიერ ქვეყანას აშენებენ. სწორედ მათ მიმართავს ასეთი პათოსით: „ახალო, მგორებო, ვიეკაცებო, თქვენ. რომელთა ძარღვები ელვარებენ ნაჩუხჩუხებენ, როგორც მჩქეფარე მდინარენი ჩვენი ქვეყნისა, თქვენ საკართველოს ბარაკა და სინოელიერე, წელამდე რომ ჩამდგარხართ ულარტში და 'ილბაუზის ბრწყინვალეთის თვალს არ აშორებთ, — კოლუმბები უზარმაზარ საუკუნენი, ნამშობლო რომ იპოვეთ და გრანატის სიღონიერით ასწიეთ იგი, საოცარი და საგანგებო, მიღიეთ მაღალ სიცვაურულში ოქმოული ბანგებით".

6. მიწიშვილის შემოქმედებიდან ცალეკე აღნიშვნის ღირსია ლექსი „ბაჯი მურატის მოკრილი თავი", რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ მის შემოქმედებაში, არამედ მთელს იმ დროინდელ ქართულ პოეზიაში. „ კიდევ ერთხელ დაგვანახა მწერალმა თვალნათლივ, რომ „გაორებული კაცი" ითმავითვე დასაღუპად არის განწირული და რომ მოღალატეს არასოდეს არავისგან გამართლება არ მიეცეა.

ტრაგიკული იყო ბედი შამილის მოღალატე ნაიბის ბაჯი-მურატის, დაღეტანის აჯანყების მონაწილეებს რომ განუდგა და რუსებს მიემხრო. ცოტა ხნის შემდეგ კი ერთ-ერთ ამ მეოთხეულ მოეს მიაშურა, მაგრამ პატიება ვეღარც აქ ნახა და ახე, ორივე მხრიდან მოღალატედ ჩაოვლილმა, დაასრულა სიცოცხლე.

„ჩქარებულად, დინამიურად და ძალზე ლაკონად იწყვება ლექსი იქიდან, როცა ბაჯი-მურატის მოკვეთილი თავი თბილისისაკენ მოაქვს „შავნაბდიან" მხედრის. „შ" ბგერის ალტერაციია პირველივე სტრიქონში უკვე რაღაც იდუმალის განცდას, შემაშფოთებელ განწყობილებას იწვევს და მკითხველსაც ასეთივე მოლოდინით ბუტკავს:

შემაბის გზაზე ვიღაც შავმა, შავნაბდიანმა,
შუაღამისას დასძარა შავი ყარაბატული.
და თბილისამდე ბედაურმა ორმის ფრთიანმა
გასცვითა ნალი, ამ დღისათვის შემონახული.
არც ღამე იყო, მაგრამ თითქო არც
თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე მოაგდო ცხენი
და უმალ, თუმცა ფეზზე დგომა
უძნელდებოდა,
კნიაზ ნამესტნიკს წარუდგენა ხერეხინთ
ძღვენი.

ლექსში ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალების ხაზგასმა და შემჩნევა მომხდარი ამბის უშუალო მონაწილედ და მხილველად გარდაქმნის მკითხველს. სწორედ ამ დეტალების გამოკვეთა ამძაფრებს მოკვეთილის და ხატავს მთელი ამაზრზენი ცერემონიალის დაუვიწყარ სურათს:

გადასცა ზეგანი, შეისწორა ხანჯალი
ბარი,
დასწვდა ამანთს, მოარიდა ლაბანი
ყური.
მან ამოიღო გაფერილი სპილენძის კარი,
შემდეგ წამოდგა და ასეთი ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგაჩვენოთო, ბაჯი-
მურატის".
ღია ფანჯრიდან ქარმა შექი დაიბარბაცა,
ბაღში აპრილის გაისუდრა ტკბილი
ტარისი,
და მოკლე ფრაზმამ, ინგლისურმა, გასჭრა
დარბაზი:
„ეკუთამ დაღუპა ეგ ბარბაროსი".

„მოედანზე დადგეს თავი ბაჯი მურატის", არავის დაუნანებია „ხუთმახელი ჰამლეტი", არ გამოსჩენია თანაგრძნობი და დამფრთხეული:

ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი არ
იმეტებდა:
გამყიდველმაო ღირსეული ჰპოვა ნათესი,
და ეორონსოვიც, წინათ სხეას რომ
აიმეტებდა,
ასე ფიქრობდა: სისხლიაო მოღალატესი.

თითქოს მთელ მერეეკ ინტელიგენციას, კარგა ხანს ორეოფად მდგომარეობაში მეოფს და ბევრ რამეში დაეკვეფეს, გამოუტანა მკაცრი განაჩენი პოეტმა, როცა შეიკაბა ბაჯი-მურატის ტრაგედიის მთელი შედეგი:

აქედან ვხედავ, ამბობს იგი: ბრძოლე,
ოწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა სისხლიან
ფარცხით,
მაგრამ თუ იბრძეი, სამუდამოდ უნდა
იეოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება
მარცხით.

ეს ლექსი 1935 წელს დაიწერა, ორი წლით აღრე პოეტის აღსასრულამდე. არ დასცალდა ნიკოლო მიწიშვილს შემოქმედებითი მოფიფულობის პერიოდის დასრულება, სათქმელის ბოლომდე ოქმა. სათქმელი კი რომ მართლაც სინტერესო ექნებოდა მწერალს, ამას მოწმობს მისი უკანასკნელი წლების პოეზია, პროზა და პუბლიცისტიკა, რაც ცალკე კვლევის და შესწავლის საგანია.

ნიკოლო მიწიშვილი კარგა ხნის დუმილის შემდეგ მეორედ დაუბრუნდა სამეფოთ საკართველოს „შეურცხვენელი სახით". არ შეიძლება ადამიანს უნებლიედ არ გაგახსენდეს მისი სიტყვები, პარიზიდან ნამშობლიში გამომგზავრებისას რომ დაწერა 1925 წელს:

„შინ, შინ, სახლისაკენ. მიწისაკენ. ჩემ მაწა და ჩემ თავსაფრიანო დედა. ზარებმა შეწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბღავიან ჩვენსას, ჭოკნიან ბწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს".

ნიკოლო მიწიშვილის პოეზია დაბრუნდა კვლავ და ამ პოეზიის სითბო და სურნელი მარად იტრიალებს მის მამულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ორატორის სიტყვები ქართულად

ანტიკური სამყაროს გამოჩენილ მოაზროვნეთა შორის დიდი ორატორები ტრაგიკული ბედით გამოირჩეოდნენ. ბერძნულ-რომაული მწერალმეტყველების მწვერვალებმა, დემოსთენემ და ციცერონმა, მთელი სიცოცხლე დემონური ძალების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირეს.

დემოსთენე ფილიპე II და ალექსანდრე დიდის თანამედროვე იყო და ებრძოდა მაკედონელების მსოფლიო ბატონობის იდეას. ციცერონიც გენიალური იულიუს ცეზარის უაქტიურეს მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. ალექსანდრე მაკედონელის გრანდიოზულმა ლაშქრობებმა განაიარაღეს დემოსთენე, ცეზარის ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა ფარ-ხმალი დააყრევინა ციცერონს. მსოფლიოს მეუფეთა დაღუპვის მომდევნო წელს ორივე ორატორის სახელი პროსკრიპციებში შეიტანეს და მათი ცხედლოვანნი სიტყვებნი ნაცვლად თანამემამულეებმა ოქროსირთა მოკეთეთი თავები იხილეს.

დემოსთენემ მთელი თავისი ორატორული ხელოვნების სიდიადე ფილიპე II წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვებში გამოავლინა. მაკედონიის მბრძოლად გამაღიზიანებელი ფაქტორები რომ არ არსებულიყო, მსოფლიოს ორატორულ ხელოვნებას არ ექნებოდა თავისი შედევრები — „ფილიპიკები", ფილიპეს წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები. მკვირცხტეტყველების შეუდარებელ დონესთან ერთად, დემოსთენეს „ფილიპიკები" უმაღლესი რანგის მხატვრული ნაწარმოებებია. სიტყვებში მკვეთრად იგრძნობა ეპოქის მღელვარე სული და ნათლადაა ასახული ელადის პოლიტიკურ ორიენტაციათა შუქ-ჩრდილები. „ფილიპიკები" ბერძნული დემოკრატიის თავგანწირული ბრძოლის უკანასკნელი წლების დღიურებს წარმოადგენს.

ფილიპე მაკედონელის დაპყრობითი მახსნებების გაფართოებამ უკიდურესად დაძაბა საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრება. ბერძენი მოაზროვნეებები განსხვავებულად უდგებოდნენ მაკედონიასთან ურთიერთობის საკითხს: საბოლოოდ გამოიკვეთა ორი დაჯგუფება: მაკედონური, რომელს ყველაზე დიდი წარმომადგენელი ისოკრატე იყო და ანტიმაკედონური დემოსთენეს მეთაურობით.

ორატორი ისოკრატე (436—338), საბერძნეთის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ეპოქის თანამედროვე და მხლეველი, ელადის მომავალს მაკედონიასთან კავშირში ხედავდა. ფილიპეს გამოჩენამდე საკმაო ხნით ადრე, კერძოდ, 380 წელს წარმოთქმულ სიტყვაში „პანეგირიკში" ისოკრატეს განავითარა იდეა საბერძნეთის გაერთიანების შესახებ. გაერთიანების ძირითადი ამოცანა უნდა გამხდარიყო სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. საერთო ბერძნული ლაშქრობა აღმოსავლეთში ისოკრატეს ესახებოდა, როგორც საშუალება ელადის დაკუღმაცებულობის სალეკვიდაციოდ, რომელიც გადაწყვეტდა ავრეთვე სოციალურ პრობლემასაც. ისოკრატეს მმართველობის ფორმებადან საუკეთესოდ მონარქია მიაჩნდა. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მან რამდენიმე პიროვნებაზე შეაჩერა არჩევანი, მაგრამ ყველა ვარიანტი უშედეგოდ დასრულდა. საუკუნეს მიღწეულმა მთელი იმედები მაკედონიის მეფეს მიაპყრო.

ქერონეას ბრძოლაში ბერძენთა დამარცხების შემდეგ ისოკრატემ პირდაპირ მოუწოდა ფილიპე II მახვილი აზიისაკენ მიემართა. იგი ფილიპეს სახავდა ისეთ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო ბერძნებისათვის აღმოსავლეთის გზების გახსნა. და რაც მთავარია, ისოკრატეს მტკიცებით, ფილიპეს უნდა მოიგებინა საბერძნეთის გაერთიანება.

ისოკრატე ბერძნულ ფილოსოფიაში გაბატონებული იდეების გამომხატველი იყო. როდესაც აღნიშნულ პრობლემას ვებენთი, უნდა გავითვალისწინოთ კლასიკური პერიოდის ელინმოაზროვნეთა დიდი ნაწილის დამოკიდებულება სხვა ხალხებთან. ყველაზე მკვეთრად ეს საკითხი დაცული აქვს არისტოტელეს. არისტოტელე მსოფლიოს ხალხებს ყოფდა ორ ნაწილად: რომელ ბერძნებად და არასრულფასოვან ბარბაროსებად და მონებად. არისტოტელეს აზრით, ელინები შემკულნი არიან ისეთი ღირსებებით, რაც სხვა ხალხებს არ გააჩნიათ, ან თუ აქვთ, არასრულყოფილად. ბერძნები გამოირჩევიან ვაჟკაცური ხასიათით და დიდი ნიჭით. მათ შეუძლიათ მსოფლიოს მართვა, თუ მოახერხებენ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას. არისტოტელე წერდა, საბერძნეთის კრეზისიდან გამოსვლა და მსოფლიოზე გაბატონება მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ელინები მიაღწევდნენ შეთანხმებას. ბერძნულ-მაკედონური არმიის აღმოსავლეთში ლაშქრობების ზენიცში, თითქოს უნდა განხორციელებულიყო ბერძნული ფილოსოფიის იდეა მსოფლიოზე ბატონობის შესახებ. პოლისური წყობის მომხრე არის-

ტოტელე ალექსანდრეს ლაშქრობას აღმოსავლეთში მონდომებით უჭერდა მხარს. თუმცა მონარქიას ბარბაროსებისათვის დამახასიათებლობად მიიჩნევდა.

არისტოტელეს აზრით, ელინები საუკეთესონი არიან, ფლობენ სხვებთან შედარებით ადამიანური ორგანიზაციის სრულფიფლი ფორმას — პოლისს, რომლის ბუნებრივ დანიშნულებასაც მოკალაქეთა კეთილდღეობით ცხოვრება წარმოადგენს. პოლისი მცირე ჩაკეტილი სახელმწიფოა, თავისუფალ მოკალაქეთა განსაზღვრული რაოდენობით, რომელიც ხელისუფალნია და მონების ხარჯზე ცხოვრობს. ასეთი შეხედულებების მიუხედავად, არისტოტელე ესალმებოდა მაკედონიის მეფეთა აღმოსავლურ ექსპანსიას, რადგან ბერძენ თეორიის ძირითადი იდეა, ბერძენთა გაერთიანება და მსოფლიოზე გაბატონება, ამ გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

IV საუკუნის მაკედონიას ბერძნული სამყარო განიხილავდა, როგორც თავისი კულტურის ნაწილს. V საუკუნიდან ოლიმპიურ თამაშებში მაკედონელთა დაშვება მიუთითებდა მათ შორის გაჩენასხვაგვაგელი ზღვარის წაშლაზე (ოლიმპიადებში უცხოელები არ დაიშვებოდნენ). საერთო ბერძნული იდეოლოგიის გათვალისწინებით, ფილიპე მაკედონელის პრაქტიკული საქმიანობა არ უნდა განვიხილოთ, როგორც ბარბაროსი მეფის მოღვაწეობა. იგი აღზრდილია და კულტურით ელინი იყო. იმ დროს, როდესაც დემოსთენე მთელი ბერძნული დემოკრატიის სახელით ფილიპე მაკედონელს ებრძოდა, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე, არისტოტელეს ხელმძღვანელობით, ელინურ სიბრძნეს ეუფლებოდა.

ალექსანდრე მაკედონელი შეებრძოლა ელინურ სამყაროში დამკვიდრებულ შეხედულებას, ხალხების რჩეულობად და არარსრულფასოვნებად დაყოფის შესახებ. ამ ფაქტს ადასტურებს პლუტარქესთან დაცული გადმოცემა. ისტორიკოსის სიტყვებით, ფილიპე II აღმოსავლურმა პროგრამამ შეაშფოთა მცირე აზია. ადგილობრივმა ხელისუფლებმა სცადეს მასთან დაახლოება, კარიის სატრაპმა პიქსოდორემ ასული შესთავაზა ფილიპეს თავისი უკანონო ვაჟის, ფილიპესავე, ცოლად. ახალგაზრდა ალექსანდრემ, რიდესაც გაიგო ეს ამბავი, გადაწყვეტა თვითონ დაქორწინებულიყო სატრაპის ქალიშვილზე. ფილიპემ ასეთი განზრახვისათვის მკაცრად გაკიცხა და მემკვიდრეს გაბრაზებულმა მოიგონა, რომ „მას არაფერი ეტყობა ეკოთილშობილების და თანდაყოლილი დიდი პატივის ღირსი არ ყოფილა, რაკილა ბარბაროსი მეფის მონის, კარიელი მდაბიოს სიძის განზრახა“ (ალეუბარქე, ალექსანდრე, 10). ფილიპეს სიტყვებში წმინდა ელინური სულისკვეთება ჩანს. იგი აღმოსავლეთის ხალხებს, წარმომავლობის მიუხედავად, ბარბაროსებად თვლის. ფილიპე თავის მეფურ ღირსებებსაც ივიწყებს და, ბერძენ ფილოსოფოსთა მსგავსად, კარიის სატრაპს სპარსეთის მეფის მონას უწოდებს. რაც შეეხება ალექსანდრეს, იგი ახალგაზრდობიდანვე შეეცადა დაერღვია ელინთა შეუსაბამო შეხედულებები. ხოლო შემდეგ, თავისი ზეობის დროს პრაქტიკული მოქმედებით დარწმუნდა ბერძენები, რომ მათი თვალსაზრისი მცდარი იყო.

ალექსანდრეს მემკვიდრეობით გადაეცა აღმოსავლეთში ლაშქრობის იდეა. მაგრამ, მან დაძლია ბერძნული იდეოლოგიის ხუსტი მხარე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი სამყაროს ხალხების ურთიერთდახმარების საქმეში. ბერძნულ ტრადიციებზე აღზრდილმა უარყო მისი არისწერილი მიმართება და დაუმტკიცა თანამედროვეებს, რომ აღმოსავლეთის ხალხებიც ისეთივე სრულფასოვანი ადამიანები იყვნენ, როგორც ელინები. ამ ნაბიჯით უამრავ თანამებრძოლთა, განსაკუთრებით კი დიდი მასწავლებლის, არისტოტელეს გულისწყრომა დაიმახსოვრა. მაგრამ ალექსანდრემ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში დიდი თანმიდევრობა გამოიჩინა და გადალახა დაუძლეველი ზღუდე. აქედან გამომდინარე, როგორ მრისხანე დამპყრობლადაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ალექსანდრე მაკედონელი, მის მოღვაწეობას თავისი დროისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ალექსანდრეს შემდეგ წარმოქმნილი ფილოსოფიური მიმდინარეობა, სტოიციზმი, სულ სხვაგვარად მიუდგა პრობლემას. ახალი ფილოსოფიის თანამზმაღ, კოსმოსი არის მსოფლიო სახელმწიფო, ხოლო ყველა ადამიანი მისი მოქალაქე, კოსმოპოლიტი (სტოიციზმი ალექსანდრე მაკედონელის საქმიანობის თეორიული დასაბუთება იყო).

დემოსთენე ბერძნულ იდეოლოგიაში გაბატონებული შეხედულებების დამცველი იყო. იგი მთელი მონდომებით ქადაგებდა სხვა ხალხებზე ელინთა უპირატესობას. წინამორბედ თუ თანამედროვე მოაზროვნეთა მსგავსად აყენებდა ბერძენთა გაერთიანების იდეას. მაგრამ — ერთიანობა მხოლოდ დემოკრატიულ საწესებზე. მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო მაკედონიის მეფის მეგემონობით ელადის გაერთიანება. თუ პრობაკედონური ორიენტაცია (ისოკრატე, ეს ქენე, ფოკიონი და სხვ.) თავგადადებით ამტკიცებდა საბერძნეთის გაერთიანების საუკეთესო ვარიანტს ფილიპე II მეთაურობით, დემოსთენეს სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა. იგი ამგვარ შეხედულებას საბერძნეთის გაერთიანების საუკეთესო ვარიანტს ფილიპე II მეთაურობით, დემოსთენეს სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა. იგი ამგვარ შეხედულებას საბერძნეთის ტრაგედიად მიიჩნევდა.

ფილიპე II მიზნები დემოსთენეს პრეკე-

ლი ნამიჯებიდანვე გამოიცნო და მაშინვე ბრძოლა გამოუცხადა. მაკედონიის მეფის დაპყრობითი პოლიტიკა საბერძნეთს თავისუფლების საკმაონაბაში მხოლოდ უარყოფით მხრის ხედავდა. ბერძნული ტრადიციით, მაკედონიის სამეფო დინასტიას არგოსის მმართველებმა დაუდვეს სათავე. ეს კარგად იცოდა დემოსთენემაც, მაგრამ ხმამაღლა აცხადებდა, ფილიპ არის ბარბაროსი და ელინთა მტერი (ესოდმაკედონური ორიენტაციისა საწინააღმდეგო აზრს ანვითარებდა. მაგ. ესენინს სიტყვებით, ფილიპე იყო ბერძენი და ელინთა მეგობარი).

დემოსთენეს შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდწეულია და დიდად საინტერესოა იმდროინდელი საბერძნეთის ისტორიული მოვლენების სრული სურათის აღსადგენად. იგი თანამედროვე პროცესების უბრალო მოწმე არ ყოფილა. დემოსთენე საბერძნეთის ცხოვრების შუაგულში იდგა და როგორც პოლიტიკური მოღვაწე ათენის დემოკრატიის მოქმედების გზებს კარნახობდა.

დემოსთენეს სიტყვები მსოფლიოს ორატორული ხელოვნების შედევრებია. მისი პოპულარობა სიუკუნეებმა ვერ გაიფერმკრთალეს.

ძველი ელადის უპარეგალი ოქროპიური დაგვიანებით შემობძანდა ქართული სულიერი კულტურის სამყაროში. მისი მეგზურობა ანტიკური ავტორების ცნობილმა მთარგმნელმა, გიგლა სარიშვილმა იკისრა. გ. სარიშვილის მოავალი ბერძენი მწერლის შემოქმედება გაიცნო ქართველ მკითხველს. მისი დამსახურება ხაზგასმულია სპეციალურ ლიტერატურაში. დემოსთენეს მოკლეცვა მისი ყურადღების ცენტრში მთარგმნელის ფართო ინტერესებსა და გეგმებზე მეტყველებს. გ. სარიშვილი ბერძნული ლიტერატურის ყველა სფეროს წვდება. თარგმნის ტრაგიკოსებს, ლირიკოსებს, პროზაიკოსებს.

დემოსთენე, როგორც სიტყვის ოსტატი და პიროვნება, რთული და წინააღმდეგობრივია. მასთან დამოკიდებულებაში გასათვალისწინებელია იმდროინდელი საბერძნეთის ისტორიისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. დემოსთენეს გამოსვლებში ისახა ძვ. წ. აღ. IV საუკუნის წინააღმდეგობრივი სიტუაციები, პოლიტიკურ მოღვაწეთა ორიენტაციის საკითხები, ბერძნული პოლისების ურთიერთობა და მათი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. საერთოდ ალებული, დემოსთენეს შემოქმედება წარმოადგენს საბერძნეთის ისტორიის სარკეს, რომელშიც ირეკლა ეპოქის ყველა წვრილმანი. ორატორი ყურადღებას ამახვილებდა როგორც ამჟამინდელ იდეებზე, ისე ჩრდილოეთან მხრეებზე. მისი აზრით, ელინური სამყაროში მომძლავრებულ ბოროტებას გზა უნდა გადაკეტოს. საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტია, დემოსთენე სამშობლოს ინტერესებს პირადად ინტერესებზე მაღლა აყენებდა. [illegible] ძალა, რომელსაც დაუპირისპირდა, „ბრძენნი ძლიერი იყო, რომ კრიტიკულ მომენტში მისი დასაყრდენის უსუსურობა გამოვლინდა.

დემოსთენე ყოველთვის ხელსაყრელ სიტუაციას ეძებდა, რომ ათენი და საბერძნეთი ერთსულოვან, მთლიან ორგანიზმად ექცია, მაგრამ მარცხი განიცადა. ქერონეას ბრძოლის შემდეგ იგი დადუმდა. ფილიპე II სიკვდილის შეტყობამ ახალი იმედები შთაუნერგა. სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მაკედონიის ტახტზე ფილიპე ალექსანდრემ შეცვალა. ჭაბუკ მეფის ელვისებურმა ნაბიჯებმა დემოსთენეს ბრძოლის უნარი წაართვა. ორატორის უკანასკნელი გაელვება ათენელებმა ალექსანდრეს გარდაცვალებისთანავე იხილეს. მაგრამ ეს ზეიმიც უდღეური აღმოჩნდა. თუ ძლიერი ალექსანდრე დიდისათვის მიჩუმებული დემოსთენეს სიცოცხლეს ზიანის მოტანა არ შეეძლო, მა'ამ მემკვიდრეებმა კარგად დაინახეს ახლად ანეიბული ორატორის სიტყვის ძალა და სამშობლოს მამასა და მეგვარეტყველობის ქურუმს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. დემოსთენე ელინისტური სამყაროს გარიჟრაჟზე დატრიალებული სისხლისღვრის პირველი მსხვერპლი გახდა.

დემოსთენე ორგანულად იყო დაკავშირებული თავის ეპოქასთან. ამიტომ მისი თარგმნა საბერძნეთის ისტორიის სერიოზულ ცოდნასაც მოითხოვს. რთულ სიტუაციებში ჩაჭედომის გარეშე დემოსთენეს თარგმნა შეუძლებელი იქნებოდა. გ. სარიშვილს შესანიშნავად აქვს გაგებული დემოსთენეს მდელვარე ეპოქა. მთარგმნელის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ორატორულ-მხატვრული აზროვნების უბრწყინვალესი ნიმუშები, ელინური სუნთქვით ანთებული, გადმოაქვს ქართულად. დემოსთენეს სიტყვების თარგმანი ყურადღებას იმსახურებს პოეტური ეღერადობითაც.

დემოსთენეს ვრცელი შემოქმედებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა „ფილიპიკები", რომლებშიც ყველაზე სრულად გაგვლინდნა მისი სიძლიერე, როგორც ორატორის, მხატვრული სიტყვის ოსტატის და სამშობლოს ღირსეული პატრიოტის.

„ფილიპიკების" ქართული თარგმანში (ამ სახელწოდებით ოთხი სიტყვაა ცნობილი) შესულია ყველა სიტყვა, რომელიც კი წარმოთქვა ორატორმა მაკედონიის აგრესიასთან დაკავშირებით. დემოსთენეს, საბერძნეთის ანტიმაკედონური ორიენტაციის აქტიურმა მებრძოლმა და ბრძოლისულისკვეთების გამომხატველმა, ფილიპეს პირველი ნაბიჯებიდანვე გაამახვილა ყურადღება მოსახლეობენ საშიროებაზე. „ფილიპიკებს" წინ უძღვის თრაკიის ქ. ოლინთოსის ინტერესების დასაცავად წარმოთქმული სიტყვები. პირველ ოლინთოსსურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატყვაშივე დემოსთენე წინასწარმეტყველის მჰკადსად ქადაგებს. აფრთხილებს ბერძნებს, რომ მეზობლად წარმოშვა გიგანტი, რომელიც ჩაყლაპავთ ემუქრება ელადის თავისუფლებას. მან თავდადვაე განსაზღვრა ხაბერძნეთის ბედი. თუ ფილიპე II ძლიერ კოალიციას ამ დაუპირისპირებდნენ. ოლინთოსურ სიტყვებში კარგად ჩანს ელინური დემოკრატიის შეშფოთების ძირითადი მიზეზები. ალინშნული პერიოდის მოვლენები ფილიპეს ფართო გეგმის მხოლოდ შესავალი იყო. მაგრამ დემოსთენე ყოველთვის კარგად გრძნობდა. მისი წინასწარმეტყველება სულ მოკლე ხანში დადასტურდა. დემოსთენე კიდევ უფრო გაკეტილად და ანტიმაყედონური თვალსაზრისი უველაზე გაბედულად და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა „ფილიპიკებში".

წიგნში დემოსთენეს სიტყვების გარდა შესულია აგრეთვე, ფილიპე II წერილი ათენელებისადმი. წერილის შინაარსიდან გამოკვეთილად ჩანს მაკედონიის მეფის სწრაფვა, რომ ბერძნებს თავს მოახვიოს საკუთარი ნება.

დემოსთენეს ყველა სიტყვა ფართო აუდიტორიისათვის იყო გამიზნული. ამიტომ ორატორი მიმდინარე საკითხების საფუძველიან გადმოცემასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა გარეგნულ სამკაულსაც, რომ გაზრდილიყო სიტკვის ეფექტი. ამ მხრივ მისი სიტყვები მიუწვდომელ სამალღნე დგას. დემოსთენე კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს განიხილავს. მის სიტყვებს გარკვეული გამაფიანებელი ფაქტორები უძღოდა წინ. ამიტომ ცდილობდა გამოსვლა ღრმად არგუმენტირებული ყოფილიყო.

დემოსთენეს სიტყვების გარეგანი და შინაგანი ღირსებები, ე. ი. ფორმა და შინაარსი, კარგად იგრძნობა ქართულ თარგმანში. გ. სარიშვილს ორატორის ბრის სიცხადე და სიმკვეთრე ჩინებული ალღოთი გადმოაქვს, რაც გამოცდილი მთარგმნელის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

„ფილიპიკების" ქართული თარგმანი შესრულებულია მაღალი პროფესიული ხელოვნებით. გ. სარიშვილს დემოსთენეს ორატორული თუ მხატვრულ-ფილოსოფიური ფიტალები დამუშავებული აქვს საკთხის ღრმა ცოდნით. თარგმანში იგრძნობა ბერძენი ორატორის სტილისათვის დამახასიათებელი სიტყვათა წყობა. დემოსთენეს მრავალ რთულ ვაზრეულ მოძებნილი აქვს ზუსტი ქართული შესატყვისი. ასეთი სიზუსტის მიღწევა დიდი, შრომატევადი მუშობის შედეგია. მთარგმნელმა წარმატებით გადალახა სირთულე, ხოლო მკითხველმა მიიღო შესანიშნავი ნაჩუქარი.

„ფილიპიკები" გამოცემულია სამეცნიერო აპარატურის დართვით. შესავალ წერილში მკითხველი ღებულობს საინტერესო ინფორმაციას დიდი ორატორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ქართული თარგმანის ერთ-ერთ სიტყვებს მნიშვნელოვნად ზრდის კომენტარები. შენიშვნებში აგრეთვე ბიდიზმის მკითხველის წინაშე. დემოსთენეს ტექსტი ერცელ კომენტარებს საჭიროებსო. მაგრამ ის აუცილებელი, რომელიც დაუფიო. საგრძნობლად ადვილებს თანამედროვე მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი ადგილების გაგებას. წინასიტყვაობისა და შენიშვნების დონე საკმაოდ შეესაბამება „ფილიპიკების" კარგ თარგმანს. გ. სარიშვილი მთარგმნელის ღირსებებთან ერთად ძველი საბერძნეთის ისტორიის ღაპიდარულად გადმოცემის უნარსაც ფლობს, აკტორი რამდენიმე სიტყვით ახერხებს ვრცელი მოვლენების ამსახველი ცნებების გადმოცემას.

სურეელის სახით გამოოეკვამთ; გადაჭარბებულად მიგვაჩნია არქაიზმების სიმრავლე. მთარგმნელი ნაკლები დონზით რომ მიმართავდეს ამ საშუალებას, მისი ნაღვაწი უფრო მოიგებდა.

ზემოთ ითქვა კომენტარების მაღალი აკადემიური დონის შესახებ. მაგრამ გვგზდება უზუსტობანიც. შენიშვნაში „პირველი ოლინთოსური", ვკითხულობთ, „ლიბანიოსი (314—393 წწ.)—ელინისტური ხანის რიტორი და ფილოსოფოსი, რომელმაც შეკრიბა და გამოსცა დემოსთეეს თხზულებანი" (გვ.134). აქ ეველაფერი სწორია და თავის ადგილზეა, გარდა იმისა, რომ ლიბანიოსი ელინისტური ხანის მოღვაწე არ ყოფილა. ელინისტური ეპოქა ძვ. წ. ალ. 30 წელს დასრულდა. ლიბანიოსი რომაული ხანის ბერძენი მოღვაწეა იყო. ზეპირი მეტყველების დროს lapsus linguae შეიძლება ვერ შეეამჩნიოთ, მაგრამ lapsus calami ადვილად ხვდება თვალს. შენიშვნებში ლიბანიოსის ცხოვრების სწორი თარიღებია მოცემული. წინასიტყვაობაში აწკარა კორეკტურული შეცდომაა. ლიბანიოსის გარდაცვალების თარიღად მითითებულია 399 წელი.

„ზესამე ოლინთოსურის" შენიშვნებში (შენიშვნა 9, გვ. 135), არისტიდე გამოცხადებულია ბერძენ-სპარსელთა ომის მონაწილე მეომრად. სინამდვილეში იგი იყო აღნიშნული ომების ეპოქის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. არისტიდე, მარათონის ბრძოლის დროს სტრატეგოსი, ხოლო 489 წლიდან არკონტი-ეპონმი იყო. აკტორს მონაწილეობს ღებულებდა ათენის პირველი საზღვარ კავშირის ორგანნიზებაში. ასეთი პიროვნების უბრალო მეომრად დასახელება სწორი არ არის.

ზსგავს უზუსტობათა შესახებ საუბარი შეიძლება შეუფერებლადაც კი გამოიყურებოდეს „ფილიპიკების" საერთო ღირსებების ფონზე. გ. სარიშვილმა დემოსთენეს სიტყვების („ფილიპიკები" უფრო ვიწრო ცნებაა) თარგმნით განუზომლად დიდი საქმე გაკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რომ მარტო არ ხარ...“

ნოდარ ადეიშვილის ლექსების ერთი ადრეული კრებული „თოვლის სინათლე“ შემდეგი სტრიქონებით ბოლოვდება: „როცა ყველაფერს მზე დაჰფენია ირგვლივ მთასა და ბარში, როცა გზა კიდევ გასაგლეთია რად გაგახსენა მაშინ; სადღაც, ოღესღაც ამოკითხული აყოფილი ქნაში, ეპიტაფია: ვიყავ, ვიცხოვრე, ვაგლას, ამაოდ დავშრი“.

ზემოხსენებულ ლექსში გატარებული იგივეული აზრი განსაზღვრავს პოეტის ჩაფერებულ, სიღრმისეულ სამყაროს. მის თავისებურებას, შემოქმედის ორიგინალურ მხატვრულ ინტონაციას. პოეტს არ უჭირს ფაქტზ, გამქვირველ შტრიხებში, ჩამოქნას სათქმელი, გამოკვეთოს თავისი შეხედულება: „არაგვის ჭალებს ეცემა ბინდი და ჩემს წინ შავი არაგვი მიდის... თავშესაფრისკენ მიიწევს ყველა, თავშესაფრისკენ მიფრინავს ჩიტი. ხოლო ეს გული შლეგია და შვილიც აქ უნდა დარჩეს და უსასრულოდ იტანჯოს სანამ გადავლის ბინდი... რა უჭირთ ჩიტებს... მიფრინავს ჩიტი“.

სამშობლოს თემა აბსოლუტურად პრივილეგირებულია ნ. ადეიშვილის პოეტურ სამყაროში, მაგრამ პრობლემის მხატვრული დამუშავება არასოდეს გადაიზრდება მარტოდენ „გულზე მჯიღის ცემასა“ და „ლოზუნგიათ ნასროლ ფრაზებში.

„თოვს და ათეთრებს სამეფო გვირგვინს, თოვს და კარი-კარ მოწყენას ართავს... თუმცა ყველაფრიდან ოგრძნობა იგი, ხანდახან მაინც ვივიწყებთ ზამთარს და მიზეზ-მიზეზს ანათებს ქიქის-ფსკერი და სადღაც ალთქმული ცხრამთა“, და უცებ კულიოზული სტრიქონები „ვაი თუ ოქაც მამულზე ფიქრი, თუ ყველაფერი მამულის გარდა?!“.. ამ ლექსის გაცნობის შემდეგ უკვე ადვილად დავიჯერებთ, რომ პოეტს ასეთი ფრაზაც ბოლომდე აქვს გააზრებული: „ამ მხარეს მაინც სამშობლოა ჭქვია, ვარდს გესერნიან თუ გესერიან ტუვიაის“. ეს სტრიქონი ნიშანდობლივია თავისი ლაკონურობით. პატიოსანი თემატიკა ერთის შეხედვით მარტივად, საოცრად ხელმისაწვდომად გამოიყურება ნ. ადეიშვილის ლექსებში, თუმცა მოჩვენებითი უბრალოების მიღმა, ძალზე ხშირად, ღამაზი პოეტური მიგნება იფარება: „ხანამდის გერჭვა შენ სამწყსო ჩემი, ხანამდის შენი პატრონი მერქვა, არ დამიზოგავს სისხლი და ცრემლი, რომ შენს წიხქვილებს ებრუნვნთ, ეფქვათ, არ დამიზოგავს სისხლი და ცრემლი, მეტი რა მქვნა, ჩემო ბედკრულო. შენმა ნათებამ ჰკმნა ყველაფერი, მე არაფერში არ დამეშდერო“.

ზემოხსენებულ ლექსს მხოლოდ სიუჟეტური მინიშნებებით ადავევამთ და მიუხედავად ამისა, იმდენად ფაქტზ და გამქვირველეა მისი ლირიული ქსოვილი, რომ მთელი სიცხადით ვლებულობთ ტრაგიკულობის მიჯნაზე მიღწეულ განცდას. მამული ამოსავალი წერტილია ყოველი მოვლენის გასააზრებლად. სამშობლოსთან მამართებაში ხედავს პოეტი დიდი წინაპრების სახეებს. შთამბეჭდავადაა დახატული ნ. ადეიშვილის პოეზიაში ილიას წარმოსახვითი ხატი, განსხვავებული სიმძიფრისაა განცდები „ილიას სურათთან“, გულისწყრომა წიფმურთან მომხდარი ტრაგედიის გამო კულმინაციას აღწევს.

„გიყურებ და სულში ვმარხავ ფერს — ამ დილის მინდვრებისას, ძნელად ჰპოვნნ შენებრ მწუემსი, შენი ერის დიდებისა. ზოგჯერ ვფიქრობ, გავდეს ამ ხატს, სულს დავაქცევ ციერისას. შენ რომ ერმა ტკვია დაკარა, ვაი ბრალი ინ ერისა“ — აცსდების პოეტი, და თითქოს ილიას მოწამებრივი პორტრეტის სრულიფოსათვის დასძენს: „ისმის ყამი-ეამ ხმა წიწამურთან, შენ მაინც ჩემი სამშობლო გქვია“. წარსულისაკენ მიხედვა, დიდებულ „ლენდებთან ლაციცი“ პოეტს დღევანდელობასთან კავშირისათვის ხეირდება. მის ლექსებში ხშირად გვხვდება სიმბოლური სახე, რომელსაც პოეტი მგზავრს უწოდებს: „წვიმს და მეც შენთან ერთად ვსველდები, თოვს და მეც შენთან ერთად ვთეთრდები, მე რომ არასდროს არ მემეტები, შენ რად გაქვს ფული დედინაცვლისა?! მაინც ამ გზაზე მივეტეტები, ხან კაცი, ხანაც ჩრდილი კაცისა“ („მგზავრი“). საწუთროს უკუღმართობას არაერთხელ კაცის ჩრდილად გარდუქცევია ისტორიის აღმართს ადევნებული „მგზავრი“, იხსენებს ლირიული გმირი ამგვარი ქარტეხილების განმავლობაში გზა-გზა წაგებულ ბრძოლას და დაახკვნის: „მიდის დავითი, — ფეხის ხმა მესმის, მიდის თამარი, ფეხის ხმა მესმის, გურამიშვილის ჩამესმის ლექსი, ბარათაშვილის ჩამესმის ლექსი — ცრემლის ხმაზე

ვცნობ ყველას ვინც არის... თხელია ჩვენი ციხის კედელი, გულამდე აკანს ყველა ისარი“ .

6. ადეიშვილის ლექსებში თითქმის არ გვხვდება რეალური სახის მინიშნება იმ სივრცე-დროზე, რომელშიც მოგზაურობს მისი ლირიული გმირი, მაგრამ შეიძჩნევა, რომ ეს ტექნოკრატიული ეპოქა ცდილობს პოეტის პირველად, შეურყეველ მიკროსამყაროში შეჭრას, აღნიშნული ფაქტი აშკარად არსადაა გამხსენი და არც არის საჭირო. ოღონდ ბელი მოელენის გადატანა ემოციათა ფფერში. სტრიქონებიდან ზზირად იგრძნობა, რომ სწორედ ცხოვრებისეული ტემპით გამოფიტული ადამიანისათვის ეძიებს შემოქმედი სულიერ თავშესაფარს. ეს თავშესაფარი განსაკუთრებულ, ერთგვარ გარემოს გულისხმობს თავისი ძირმაგარი ფუსვებით, ის წარმოადგენს საკონტაქტო ხიმ, რომლითაც ჯერ კიდევ შეუძლია ხელოვანს ხალხისაკენ გზის გაკვლევა. „თითქოს ერთმანეთს ვახარებ ტკივილს“. ამბობს ერთგან ნ. ადეიშვილი. ეს მომენტი ჰკმნის ურთიერთგაგების შესაძლებლობას პოეტსა და მკითხველს შორის, ამ ურთიერთგაგების გზაზე სხვადასხვა ფფერობია. მწერალი მოწმდებული საზოგადოების, ბმობელი ხალხის სულიერი ძარღვის ეპიცენტრში იდგეს, სურვილი აქვს განიცადოს თანამოძმისა და თანამედროვის ხალხებენი თუ სატკივრი. ერთერთ ლექსს, რომელშიც სევდანაა, მინორული ტონით გადმოცემს თავის წუხილს ლირიული გმირი, ნ. ადეიშვილი ასე ამოლოგებს: „ცოოდე, ვანა რაიმეს გამო, რომ მარტო არ ხარ, სხვა არაფერი“. ეს „რომ მარტო არ ხარ“. არ უნდა იყოს შემთხვევითი ფრაზა. პოეტი როდი ეცნობიფფის ყოველდღიურობიდან განდგომილ კარჩაკეტილობას, პირიქით, ცდილობს არ გამოავლინოს განსაკუთრებულობა, თითქოს უფრთხის გაუცხოობის საშიშროებას. ალბათ ამიტომაც ირჩევს სადა, ფაქიზ ინტონაციას და მეტწილად წარმატებასაც აღწევს. „ღამდები, ფერი აკლდება ზეცას, ვდგები ისევ და ვუყიდებ სანთელს. მერე თანდათან მეეჩრდება ცეცხლთან, ნეტავ არ მენთოს ცეცხლი და სადმე ვიყო მძებნელი ცეცხლის და ბერის... მაგრამ ზამთრისგან ჩამოშლილ ფარდებს გადასწევს უცაბ მეგობრის ხელი... მოემბადება სანთელი სანთელს, გადანთდება ქვეყანა ბნელი“. სანთლით განათებულ ოთახში მეგობრის შემოსვლა სანთელის სანთელთან მომატებას შეადარო, — ეს ალბათ იმ დონის მხატვრული დეტალია, მკითხველის გულთან მიმავალ ერთადერთ გზას რომ გამოსახავს, რომელიც თავის მხრივ, შემდგომში შესაძლებელს გახდის ყველაზე ნაზი, ინტიმური განცდების აღქმას: „სად ხართ, კვლავ იმ მზით ანთია ზეცა, სად ხართ, კვლავ იმ გზით მიიწევს ნაღი... მახსოვს წითელი კაბები გიცვია და ქარში გაყრილ ნაკვერჩხლებს ჰგავდიო, ნეტავი ახლა სად ხართ. სად ფაფრენთ, რა ფერის იებს კოცნით და კოსავთ... მახსოვს, მახსოვხართ, მაგრამ არაფერს, არაფერს ალარ ამბობენს ხსოვნა“.

ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲛᲓ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲘᲛᲔᲠᲔᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲐᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲒᲝᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲰᲧᲐ 1925 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ.

ᲐᲛᲘᲒᲐᲜᲐᲓ, ᲠᲝᲒᲠᲘᲪ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲛᲓ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲘᲡᲯᲝᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲘᲛᲔᲠᲔᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲐᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲰᲧᲐᲗ

სტუდენტი ეხმარება პროფესორს

თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი პაატა გუგუშვილი 1926 წელს იწყებს მუშაობას ქართული წიგნის ისტორიაზე: სამი წლის შემდეგ სრულდებოდა 300 წელი პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის გამოცემიდან.

უალრესად ხელსაყრელ შემოქმედებით გარემოში უხდებოდა მეშაობა სტუდენტს. სახელოვანი პროფესორი, უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მაღალ მეცნიერული დონის სემინარში გაძლიერებული აკადემიური მოთხოვნილებით წარმართავს სადიპლომო ნაშრომზე სტუდენტის კვლევა-ძიებას.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ხელნაწერშივე ეცნობა სადიპლომო ნაშრომს და უალრესად ძვირფას შენიშვნებს აძლევს ავტორს, უწინებს გულმოდგინებას და ნიჭიერებას.

ბეჭდვითი სიტყვის გამოჩენილი მოამაგე ნიკო ნიკოლაძე შეუცვლელი კონსულტანტია, როცა საჭმე ეხება ძველი ცენზურის მიერ დასახჩრებულ ანდა მოსპობილ გამოცემებს.

თავდაუზოგავად აგროვებს სტუდენტი პ. გუგუშვილი ინფიოთ გამოცემებს ბუკინისტურ მაღაზიებსა და კერძო წიგნსაცავებში. იგი ეპიტაკური გამბედაობით პირადად ხვდება XIX საუკუნის ქართველთ მოღვაწეებს, რომელთაგან თითქმის არავის დაუტოვებია მემუარები და რომლებიც პირველწყაროების სიზუსტით უდასტურებენ ყოველ ბუნდოვან მოვლენას ქართული ბეჭდვითი სიტყვის ახალი ისტორიიდან.

ერთი მაგალითის მოყვანაში: 1927-1929 წლებში, — იგონებს პ. გუგუშვილი, — მრავალჯერ შევხვედრივარ წიგნის მაღაზიაში, ბაზარში გამოფენილ ბუკინისტურ წიგნებთან ზაქარია ჭიჭინაძეს. ერთიერთ მასთან ბინაშიც ვიყავი. უკვე მხცოვანი, წიგნებითა და ხელნაწერებით სავსე, არცთუ ისე ნათელ ოთახში ცხოვრობდა. ძლიერ გაუკვირდა, რომ 22 წლის ყმაწვილი ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიას ეს ზრვალობდი: „ამ კოსმოპოლიტურ ხანაში, როდესაც ახალგაზრდობა მსოფლიო რევოლუციის მოლოდინშია“ და ისიც, რომ მისი წიგნები მქონდა წაკითხული. ზოგიერთი ამბის წყაროების თაობაზე გვკონდა საუბარი... ოცნებობდა გამოაცემელი ხელნაწერების დაბეჭდვაზე.... გახარებული იყო, რომ სწრაფად ვრცელდებოდა ქართული წიგნი... და წიგნიერება“.

1929 წელს სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს: — „პაატა გუგუშვილი „ქართული წიგნი — 1629-1929 წ.“ პროფ. თ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით“.

რედაქტორი არ მალავს თავის კმაყოფილებას, რომ სადიპლომო ნაშრომი უნივერსიტეტის კედლებს გასცილდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. სიტყვაძვირი მასწავლებელი წერს: „ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის მოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველად ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში“.

ბუნ ათეულ ნახეკარზე მეტი წელი აგრძელებს მუშაობას თავის სტუდენტურ წიგნზე აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. ეს ბეჭმარტად დიდ ისტორიულ მიღწევათა წლებია კულტურული რევოლუციისა. პაატა გუგუშვილი ქართული წიგნის მარტო ეკანთაალმწერელი რჩება. იგი აკტიური მონაწილეა — ორმოცამდე საკუთარი წიგნით — ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებისა.

ინფიოთია ისეთი შემოკმედებითი ბედნიერება, როცა ავტორს ხაშუალება აქვს ნახეკარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სრულყოს ეპიტაკობის ხანაში გამოცემული წიგნი.

1984 წ. გამომცემლობა „მეცნიერება“ სცემს: „საქართველოსა და ამერიკაეკავასის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“ ტომი მეშვიდე — „ქართული ტაბმის წიგნი 1629-1979“.

„ამ ახლად დასაწერ წიგნზე მუშაობისას მაინც ძალუმად მაკავებდა, შეიძლება ითქვას, მბოჭავდა ძველი ტექსტი და „ეამბა შემწყნარებლობისა“ ვცდილობდი, რაც შეიძლება ახლოს ვეოფილიყავი სიკვაუეის ქმნილებასთან, რასაც ახლა ძირფესვიანი რეკონსტრუქცია სჭირდებოდა“. მიუხედავად ამისა, რომ მართლაც ხელახლა დაწერილი წიგნთან გვაკვს საქმე, შესანიშნავად ეხმარება ავტორს ეპიტაკობისდროინდელი ტექსტის მრავალი ადგილი. ეს დამმარება კიდევ იმაში გამოიხატა, რომ ადრინდელი წიგ-

ნის საბაზო დებულებების შემოწმების, დაზუსტების, დახვეწის გზით ავტორის ხანგრძლივი და აუოქარებელი მუშაობის ხელსაყრელი დრო ჰქონდა. პაატა გუგუშვილი წიგნის, და არა მარტო ქართული წიგნის, საზოგადოდ წიგნის სოციოლოგიის, ბიბლიოლოგიის და წიგნის, როგორც ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, უაქტიურეს ასპექტის ეხება და ბევრი რამ აქედან მონოგრაფიის დამატების სახითაა წარმოდგენილი. აქ მკითხველი იპოვნის საკუთს წიგნმცოდნეობის თეორმის ყველა საკიბრძოლოდ საკითხს. უნდა ითქვას, რომ პაატა გუგუშვილი არ იზღუდება ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიის შესწავლით. აქ საკითხთა უფართოესი წრეა წიგნის ისტორიიდან საზოგადოდ და ეს კეთდება, რათა უფრო სრულად წარმოჩნდეს ქართული წიგნის ისტორია.

ჩვენი მოზანი არ არის გამოვეძებნოთ ამ კაპიტალური წიგნის ჩრდილოეთი მხარეები, სადავო წარმოვაჩინოთ, ზოგიერთი არასისრულეზე მიეუთითოთ. დიდად სასიხარულოა, რომ შექმნილია ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევა ქართული ბეჭდვითი წიგნის, 350-ე წლისთავზე. რაც შეეხება ნაკლოვანებებს, მათ შესახებ უნდა ითქვას თვითონ ავტორის სიტყვებით: „ყველაზე დიდ მონოგრაფიულ ტომშიც ყველაფერი არ იწერება. ბევრი რამ არ იწერება უადგილობის გამო. ზოგი რამ ისედაც გაუგებარი, შეუღწეველი და აუსსნელი რჩება, ხოლო რიგი მოყვანა ჯერ კიდევ არაა მთლიანად წარმოჩენილი".

უნდა ითქვას, რომ 1929 წელს ფილიპე გოგიჩაიშვილი, როგორც რედაქტორი, აღნიშნავდა: დიპლომატიკის წიგნის ნაკლოვანებას, რომ „ჩვენი საკთხის სოციალ-ეკონომიურ მხარეზე ნაკლები ყურადღებაა მოქცეული და სტატისტიკურადაც უფრო გაღრმავებული შედარება-ანალიზი იყო სასურველი". ეჭვი არ არის საუკეთესოდ ეს სიტყვები მწვავედ ხვდებოდა ავტორის ჭაბუკურ თავმოყვარეობას, მაგრამ მას ეს წუენად არ მოუღია; ჯი კარგად იცნობდა პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილს, როგორც მკაცრ, შეუფალ და მიუდგომელ პიროვნებას, რომელიც ადვილად როდი ეთანხმებოდა ხელნაწერის წიგნად დამეკვდას. 50 წლის შემდეგ, როცა მასწავლებელი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, აკად. პ. გუგუშვილი საჭირად თვლის აღნიშნოს და გასწიოროს წიგნში შენიშნული ხარვეზი და ახლად დაწერილ ნაგანგლეო თავში „ეროტიკულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ეფექტი" შესანიშნავად წარმოვიდგენს ეპოქის ისტორიას, სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისა და სტატისტიკური შედარებების მდიდარ მასალებსა და ანალიზს.

პაატა გუგუშვილის სტუდენტურმა ნაშრომმა შემდგომ მოგვცა არაბარტო წიგნი ქართული წიგნის შესახებ, არამედ შვა პირველი ტომი „ქართული ფურნალისტიკისა" (1941 წ.), რომლის კიდევ სამი ტომი დაბეჭდვას ელის. 1929 წელს გამოსულ წიგნში გაცილებით მეტი „ავა დათმობილი პერიოდულ (ფურნალ-გაზეთების) გამოცემებს, ვიდრე 1934 წელს გამოსულ „ეროვნებაში", ვინაიდან ავტორი პერიოდული გამოცემების მონოგრაფიულ შესწავლას აზოგიცელებს. „ბადაგზა ავტორი მაინც ვვაცნობს თავის ადრინდელ და ახლანდელ დამოკიდებულებას ქართული პერიოდული და ერთდროული გამოცემების თანაფარდობაზე.

ორმოცდათზე მეტი წლის მანძილზე ბევრი რამ დაიწერა ქართულ წიგნზე. არც ერთი სიახლე არ რჩება ავტორის ანალიზის გარეშე. შეადომას დავუშვებდით თუკი მარტო ადრინდელი წიგნის შემავსებელი სამუშაოთი ნაკარნახეკ ცვლილებებს ალვნიშნავდით. ავტორი აგრძელებს არქივსაცავებში ჩვენი ისტორიისათვის უძვირფასესი მასალების ძებნას და წარმოჩენას. ა. გუგუშვილის ამ მისაბაძ კვლევა-ძიების უნარს დიდად ფფასებდა ივანე ჯავახიშვილი. 1940 წლის 19 მაისს იგი ასე ახასიათებდა დოცენტ პაატა გუგუშვილს: „ახალი საარქივო მასალების კვლევა-ძიების ხალისიცა და ალმოჩენა-გამოეუენების უნარიც აქვს. მან უკვე ანა ერთი საკურადღებო ცნობა შესძინა ეკონომიკური ისტორიო მწერლობას. უკანასკნელად გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის ალსანშნავია მისი ღვაწლი, რომ საარქივო მასალებში მან ი0ოცნა ვატანაგის კანონების იმ დანაოი ნაწილის ქართული დედანიცა და მისი შედგენილობის დროცა და გარემოებაც გამოიკვლია, რომლის მხოლოდ რუსული თარგმანი იყო შერჩნილი".

ივანე ჯავახშვილის ეს სიტყვები დიდად ახალისებდა შემდგომაც მკვლევარს, რომელიც ალერ ხამიცი წელი ხდება, რაც სახელმწიფოებრივ არქივსაცავებში ეძებს, ავლენს და სწავლობს „ჩვენი ქვეყნის სოციალიური და ეკონომიკური, კულტურული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიას, მეცნიერთა მიერ ჯამდე გამოუეენებელ პირველწყაროებს, აუთენტურ დოკუმენტებს. ამ თვალსაზრისით ბრწყინვალეა მეორე განყოფილების მეოთხე თავი „ქართული ბეჭდვითი სიტყვა და ცენზურა".

აქ სრულიად ახალ, მოულოდნელ ფაქტებს, დოკუმენტებს, მასალებს ი0ოვნით აზრის ადრინდელი ჭალათების მოდვაწეობიდან, რომლებიც მზად იყვნენ მოესპონ საზოგადოდ პრეს, ეს „მუდამჟამს მყვრისა" და სიმართლის მაძიებელი მოვლენა, ვიდრე პოლიციას გაეკარო რომელიმე „საფუძველთა მრეკველი" ამბავი" (612).

უუნიშნელი სინოდის ცენზორა თავის კონტროლს უკვეშდებარებდა ორიგინალებიდან V და VI საუკუნეებში ქართულად თარგმნილ საეკლესიო წიგნებს, უზარმაზარი იმპერიის ფარგლებში სრულიად არ არსებობდა ერთიანი მოთხოვნილება დასაბეჭდი ლიტერატურის მიმართ, — იგი ერთი და იგივე წიგნის მიმართ პერიფერიაში უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ცენტრში. სწორედ ცენზორიის ამ ზიგზაგებს ადასტურებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. გუგუშვილი ივანე ჯავახიშვილის წიგნისადმი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეებში“ ცენზურის დამოკიდებულების მაგალითზე. 1906 წელს ეს წიგნი პეტერბურგის ცენზურამ დაუბრკოლებლად გაუშვა, მაგრამ როცა თბილისში მისი ქართულად გამოცემის საკითხი დააყენეს და რუსულად ცენზურაგავლილი წიგნი აჩვენეს, ერთგულმა მენშევიკურმა ცენზურამ მოახერხა ქართულად გამოცემის ნებართვის ნაცვლად, რუსულად გამოცემული წიგნის აკრძალვაც.

პოლიციასთან სოლიდარობით ცენზურა ხშირად ცეცხლში წვავდა წიგნებს. პაატა გუგუშვილი შთამბეჭდავად აღწერს: „სასამართლოს დადგენილებით დასაწვავი წიგნები ჩვეულებრივ ქალაქგარეთ გაჰქონდათ, მაგალითად, მდ. ვერაზე გადასასვლელ ხიდს ზემოთ (იქ, სადაც ახლა გმირთა მოედანია) და, პოლიციის წარმომადგენლის და სტამბის ინსპექტორის დასწრებით, გაჩაღებულ კოცონში ჰყრიდნენ. აქ საყვარის ხმაზე მოგრიალი ხალნი უყურებდა, თუ როგორ ანადურებდნენ „მოუდებელი აზრის მატარებელი“ ბეჭედით სიტყვის პროდუქციას...“

ძველი ქართული მწიგნობრების მსგავსად პაატა გუგუშვილი მეცნიერული განზოგადოების სტრიქონებს შორის, ხშირად მიმართავს თავისებურ აპტორისეულ მინაწერებს, ბევრი მათგანი მაღალმხატვრული ზემოქმედების ძალითაა ჩამოქნილი, უველაფერი ეს აძლიერებს შთაბეჭდილებას და მკვეთრად რჩება მკითხველის მეხსიერებაში.

ქართული წიგნის უსაზღვრო სიყვარულით წერს პაატა გუგუშვილი; „წიგნი ქართულ ოჯახში უველაზე უფრო ძვირფას განძად თვლიდნენ. მკრეხლის შემოხვევისას, წიგნებს ბავშვებთან ერთად მიუვალ მთებში გაგიზავნიდნენ ხოლმე. ახე, მომავალთან ერთად წარსულს ინახავდნენ და ეს ვითარება წარსულისა (წიგნისა) და მომავლის (ნაშიერთა) უკვდავებისა და მარადი აღწარმოების განივთებული გამოცხადება თვით კაკაბაონის მთებივით წარუშლელ სტრიქონებად ეწერა ქართულ მიწაზე, და აღმეფილი იყო ქართველის ადამიანურ შემეცნებათა ვრცელ არსენალში, ქართულ წიგნსაცავებში დაცულ განძეულობაში. მარტოოდენ ტყვეობიდან დახსნილ წიგნთაგან თუნდაც ჰადიშის „ოთხთავის“ ისტორია რად ღირს, და განა საჭირო არ არის, ამის შესახებ თუ არა მთელი პოემა, ლეკსები მაინც იწერებოდეს!“

სამავშო წიგნის დახასიათებისას პაატა გუგუშვილი არ კმაყოფილდება სტატისტიკური მონაცემებით, რაც ამ ლიტერატურის არნახულ დაწინაურებას ადასტურებს ჩვენში. იგი შესანიშნავ სტრიქონებად ჩამოაყალიბებს ამ ლიტერატურის სოციალურ ღირებულებას. „სამავშო წიგნი ხიდია ძველსა და ახალ თაობას შორის, თავისებური ცისარტყელაა, რომელიც ძველისა და ახლის შეერთებით კიდეე სადღაც სხვა, აქამდე მიუვალ ცისკიდეს ებჯინება“...

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი არ იზღუდება ნაკვლევი პრობლემების თემატიკური ფარგლებით და ყოველი ამგვარი წიაღსვლა მომიჯნავე პრობლემათა კვლევაში ყოველთვის წარმატებით მთავრდება.

ყველა, ვისაც წიგნი უყვარს, დიდი მადლიერებით წაიკითხავს აკად. პაატა გუგუშვილის ამ ნაშრომს.

მამია კომახიძე

წიგნი „ნიგალის“ შესახებ

ნიგალი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მხარის სახელი იყო. ეს საგეოგრაფიო სახელი ხშირად იხსენიება ძველ ქართულ ხელნაწერიო ძეგლებში.

XI საუკუნის თხზულებაში — „მატიანე ქართლისა“-ში ნიგალი „დარნახე ბაგრატოვნანის“ სამფლობელოებში („ალარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ასისფორი, არტანი, ქვემო ტაო) იხსენიება („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 251).

ბაგრატოვნების კლარჯთა სახლის მემატიანე სუმბატ დავითის ძე (XI ს.), როცა აშოტ პირველი კურაპალატის ერთ-ერთ თავდაცვით ღონისძიებას აღწერს, შენიშნავს: „და იყო ერთსა შინა ეჟამსა განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრის მაწუეველნი, და ვიდრე აღარა შეკრებილ იყო ლაშქარი იგი მისი მის თანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი“. აშოტი „წამოეგმართა და მოიწია ხეცხა ნიგალისსა და იწყო ძებნად ერისა...“ (იქვე, გვ. 377).

ნიგალი სხვა ქართულ (თუ უცხოურ) წყაროებშიც იხსენიება. ასე გრძელდება გვიანშუასაუკუნეებამდე. XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ნიგალს „ლიგანის“ ფორმით იხსენიებს, ხოლო ოსმალურ წყაროებში ნიგალის სახელად „ლივანა“ მკვიდრდება. „ლივანა“ მოგვიანებით რუსულ და ქართულ ლიტერატურაშიც ვრცელდება და ასე მოდის ჩვენს დრამდე.

ახლახან ამ შესანიშნავი ისტორიული მხარის ძველი სახელი „ნიგალი“, კვლავ გაგვახსენა პროფესორ იური სიხარულიძის წიგნმა, რომელიც „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა.

წიგნის რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერგი ჯიქია, ხოლო რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ბენდელიანშვილი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ირინე ასათიანი.

სარეცენზიო წიგნი ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომია. ავტორის მიზანია ნიგალის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა.

ნიგალის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერას ჯერ კიდევ ფეოდალურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ დაუდო საფუძველი (ვახუშტი ბაგრატიონი). ამ მხრით ახალმა ქართულმა ისტორიოგრაფიამაც თვალსაჩინოდ იღვაწა და ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამაც.

ნიგალის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 50-იან წლებში დაიწყო. ამ ძიების პირველი შედეგები 1958 წელს დაიბეჭდა (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი 1, 1958), ხოლო შემდგომი ხანის კვლევა-ძიების შედეგებს სარეცენზიო წიგნით ვეცნობით.

ნაშრომის „შესავალში“ მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად არის მიმოხილული ნიგალის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების სურათი უძველესი დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე.

ნიგალისხეევი ფიზიკურ-გეოგრაფიულად არც ისე მნიშვნელოვანი ხეევი, მაგრამ მისი სახელი დროთა განმავლობაში თითქმის მთელი ჩორონის ქვემო დინების სახელად იქცა.

თუ როგორ მოხდა ეს, ანუ ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების რა გზა განვლო ნიგალის ხეევმა, აქამდე არავის უკვლევია ასე გულმოდგინედ. ამდენად, პროფ. ი. სიხარულიძის ცდა მეახალმენელი და საგულისხმოა.

ავტორს საინტერესო დაკვირვებები აქვს

საკუთრივ პირველდელ ნიგალისხევზეც. საკუთრდებოდა მისი ვარაუდი ხევის სახელად ნიგალის გაჩენის შესახებაც: „ეს სახელი ხევს მას შემდეგ უნდა შერქმეოდა, როცა ხევის ცენტრმა ბარში გადმონაცვლა" (სარეცენზიო წიგნი, გვ. 3).

მკვლევარი ენერგიულად ცდილობს აღდგენოს იმ ბრძოლის სურათი, რომელიც ნიგალს უნდა ეწარმოებინა მეზობელი ხევების გასაერთიანებლად. მისი ვარაუდით, ეს ბრძოლა ხევის ქვემო წელში ცენტრის გადმონაცვლებამდე უნდა დაწყებულიყო და პირველად სამხრეთით მდებარე ხევის წინააღმდეგ უნდა განვითარებულიყო. „ამ შედეგრებით მომცარო ხევის სისუსტე ის იყო — შენიშნავს ავტორი, — რომ მას საზაფხულო საძოვრები თითქმის არ გააჩნდა... სამეურნეო ცხოვრების ეს აუცილებელი ატრიბუტი ამ ხევს მეზობელ ხევებში... უნდა ეძია, მაგრამ აქ არჩეენი „ძლიერ შეზღუდული ჭმონდა და სურდა თუ არ სურდა, მაინც უახლოესი მეზობლისათვის... უნდა დაეკავშირებინა თავისი ბედი" (იქვე. გვ. 4).

ეს კი ის ხევი იყო, რომელიც შემდეგ ნიგალად იწოდა.

სამხრეთით მდებარე ხევის ათვისებით, როგორც შენიშნავს მკვლევარი, „ნიგალი" იძენდა იმ ძალას, რომელიც შემდგომი წინსვლისთვის და მეზობელ ხევებთან (ბერთის, დევის) მეტოქეობისათვის იყო აუცილებელი".

ამ წარმატებით ზურგგამაგრებული ნიგალი, ავტორისავე დაკვირვებით, პირველად ჩრდილოეთით მდებარე დევიხსევის წინააღმდეგ მიემართება.

დევიხსევთან ნიგალის შეხების ადგილად მკვლევარს სინგოთის უღელტეხილი ესახება, ამას აფიქრებინებს „ის ფაზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, რაც აბალეულ ონს გააჩნია". მართლაც, ამ უღელტეხილამდე დევის ხევის „განვრცობას არავითარი დაბრკოლება არ უჩანს".

დევიხსევთან ბრძოლა ნიგალმა მოიგო და ამის შემდეგ ჭორობის მარკვენა სანაპიროს ყოველი ხევის წინააღმდეგობა ადვილად გატეხა, ვიდრე მიქიბიანამდე (გვიანდელი სახელით მაჭახელი). შემდეგ ნიგალი გაიქცა მხარის „კვეენების" (ფორჩხა, ართვინი) ათვისებას იწყებს და ამ ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოდის (გვ. 4-5).

ახლ ესახება მკვლევარს. ჭორობის ქვემო წელის იმერ-ამერის გაერთიანება ნიგალის ხევის ძალისხმევით.

არ არის გამორიცხული, რომ ნიგალის „ქვეენის" წარმოქმნის ავტორისეულ გაგზრებაში მომავალმა ძიებამ ერთგვარი კორექტივები შეიტანოს, ზოგი რამ შეიცვალოს, მაგრამ ერთი უდავოა: ის სიახლე, რომელსაც ამ შუზოქმნაში სარეცენზიო წიგნი გვთავაზობს, საინტერესო და საიმედოა.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ იგი მეტად ლაკონურად წერს. მოკლედ თქმა ადვილი საქმე როდია და დიდ შავ მუშაობას გულისხმობს. ეს თითქმის ყოველ სტრიქონში იგრძნობა. ამანვე აქცია ეს გარეგნულად პატარა წიგნი სოლიდურ ნაშრომად.

ნაშრომს დიდ ღირსებას ჰმატებს ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტების ენერგიული ძიება და საფუძვლიანი დამუშავება.

ასევე ითქმის ადრეფეოდალური ბანის ნიგალის სქემაზეც, კარგად შედგენილ საძიებლებზე (პირთა, საგეოგრაფიო) და რეზიუმეებზეც (რუსული, გერმანული).

სარეცენზიო წიგნი ნიგალის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილია. მისი გამოცემით „საბჭოთა აჭარამ" კარგი საქმე გააკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა არველაძე

ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალი

ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალის დაარსების იდეა საქართველოს კულტურის სამინისტროში წარმოიშვა. პირველად იგი 1979 წელს ჩატარდა. როგორც ჩანს, იმთავითვე საინტერესოდ წარიმართა საფესტივალო ცხოვრება, შემდგომ კი უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა. ამჟამად იგი საკავშირო სათეატრო ფორუმად იქცა. ორ წელიწადში ერთხელ უმასპინძლებს ჩვენი რესპუბლიკა ახალგაზრდა შემოქმედთა ხელოვნების საჩვენებელ შეხვედრას.

ამგვარ ფესტივალზე საშუალება გვიძლევა თვალი მივადევნოთ იმ პროცესებს, რაც მიმდინარეობს თანამედროვეს სასცენო ხელოვნებაში. ამავე დროს, მდიდარი ინფორმაცია გვიგროვდება ახალგაზრდა შემოქმედთა ძიებაზე. ფრთიერთგამადიდებელი, აზრთა მიმოქცევის, გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაც არის ასეთი შეხვედრები.

ფესტივალის უპირველესი დანიშნულება კი, ვფიქრობ, ის გახლავთ, რომ წარმოვაჩინოთ ძირითადი ტენდენცია, სადადგმო კულტურის ხვალინდელ დღეს რომ წარმართავს, მივაკვლიოთ სათეატრო ხელოვნების განვითარების პერსპექტივას, გავიაზროთ ნაციონალური კულტურის წიაღიდან აღმოცენებული აზროვნების ცხოველმყოფელი ძალა და მას საერთო, საზოგადო რეზონანსის მნიშვნელობა მივანიჭოთ. საგულისხმო ფაქტად მესახება ისიც, რომ მსჯელობის საგნად ვაქციოთ, რამდენად წარმოჩინდება ახალგაზრდა შემოქმედთა ხელოვნებაში ინდივიდუალური სათეატრო აზროვნების სისტემა, რა ხასის სათეატრო მიმდინარეობათა ერთგულებას აყალიბებს ისინი და რა მოჭალკენობრივი სატკივარით პასუხობენ ჩვენს თანამედროვეობას. ხვალინდელ სათეატრო ხელოვნებას ხომ ის მსახიობები და რეჟისორები უჭირან საფუძველს, ვინც ამ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ამრიგად, აღნიშნული სათეატრო ფორუმი, მის შედეგებზე მსჯელობა, თავისთავად ნიშნავს სათეატრო ხელოვნების მომავალზე დაფიქრებასაც.

1985 წლის 13-23 ნოემბრის ოც წარმოდგენას გაეცნო თბილისელი მაყურებელი, თორმეტი რესპუბლიკის სათეატრო კულტურის ორგანოს მსჯელობდნენ სპეციალისტები. განხილებებში მონაწილეობდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი და თბილისელი თეატრმცოდნეები, ჟურნალისტები, რეჟისორები, მსახიობები. საგულდაგულო განსჯის საგნად იქცა თანამედროვე დრამატურგია, რეჟისურისა თუ საშემსრულებლო კულტურის ძირეული საკითხები.

საფესტივალო აფიშა ძირითადად სამი სახეობის სპექტაკლისაგან შესდგებოდა: სამამულო ომისადმი მიძღვნილი სპექტაკლები; ახალგაზრდობის მტკივნეული პრობლემატიკით დაინტერესება; საერთაშორისო საკითხებზე დაფიქრება.

1. სამამულო ომის თემისადმი მიძღვნილი სპექტაკლები.

როდესაც სამამულო ომის მრისხანე დღეებზე მსჯელობს ახალგაზრდა ხელოვანი, საინტერესოა, რა ახალი თვალსაზრისი მოაქვს მას, დისტანციის შედეგად როგორ იქნება შეფასებული ჩვენი ხალხის ცხოვრების ეს უმძიმესი პერიოდი. ამ მხრივ საგულისხმო აღმოჩნდა ბელორუსიის მ. გორკის სახელობის რუსული დრამატული თეატრის ნამუშევარი, ვ. ბიკოვის დრამატული პოემა „უბედურების ნიშანი". ნაწარმოების სცენური რედაქცია თავად დამდგმელს, ვ. მასლიუკს ეკუთვნის. სწორედ ამ საერთო სახალხო უბედურების ფესვებს ეძიებს დამდგმელი ჯგუფი, ისტორიის ღრმა ზრეებში ეძირება და ბელორუსული ერთი სოფლის ცხოვრების ფონზე გვიჩვენებს იმ სახალხო განსაცდელს, იმ ტრაგედიას, რაც დატრიალდა საერთოდ მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

სპექტაკლი ბელორუსული ეროვნული კულტურის ტრადიციის თანამედროვე სასცენო ენაზე სახიერ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. დიდი, გაურანდავი ჯვარი რწმენისა და პიროვნული პასუხისმგებლობის სიმბოლოდაც გვესახება, ამიტომაც მისი წამოკრავი „რწმენისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პასუხისმგებლობის გრძნობის მოშლის საფრთხესაც მიგვანიშნებს. ტრაფარეტულმა სასცენო სიმბოლომ ამ შემთხვევაში პირველქმნილი აზრი დაიბრუნა და მარადიული პრობლემაზე „ბარტივალი" ისაუბრა მაყურებელთან. სანახობის მიმართება შესაძლოა ორი სიტყვით გამოითქვას: ძალადობა და ადამიანური ღირსების დაცვა. ძალადობის დაკანონება შეუძლებელია, იგია უბედურების ერთ-ერთი სათავე; ძალადობით მიღწეული ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობა განწირულია, ვინაიდან დაორგუნული ენერგია, ღმერთმა უწყის, ეუღლანგითი როდის იფეთქებს; ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში ღირსების დაცვა ადამიანის უზენაესი მოვალეობათა რიგს განეკუთვნება. ომის მრისხანებამ სწორედ ამ მხრივ მოიწყო გამოცდა სოფლელებს. სტეპანიდას როლის შემსრულებელი მსახიობი ო. კლეპანოვიჩი, ვფიქრობთ, ამ ფენომენზრისს დაეკუდნო, როდესაც დიდი ტატეხის გამეღლულად, რწმენითა და გულწრფელობით გაილაშქრა ძალადობის წინააღმდეგ, დაიცვა პიროვნული ღირსება, რაც მთავარია ქმარსაც შეაძლებინა ღირსეულად გამკლავებოდა პოლიციის დამამცირებელ ქმედებას. ო. კლეპანოვიჩის მიერ შექმნილი ვლეხის ხასიათი, თითქმის ბელორუსული ფესვგამდგარი ხის ყლორტზეა დაფრენობილი, ამიტომაც ყივის მასში ეროვნული კულტურის ტრადიციის ძლიერი ბგერა. რეჟისორმა ვ. მასლიუკმა, მსახიობებმა, მხატვარმა ი. ტურმა, კომპოზიტორმა ვ. კონდრუსევიჩმა, პატარასნი, აზრიანი და გულწრფელი დიალოგი გამართეს მაყურებელთან. სახიერმა მინიშნებებმა სწორედ დამდგმელი ჯგუფის მოქალაქეობრივი პოზიციის ეს წრფელი და მკაცრი განსჯა წარმოაჩინა.

ჩ. აიტმატოვის „ადრეული წერილები" წარმოადგინეს ფესტივალზე ყირგიზელმა კოლეგებმა. მ. რისაულოვის სახელობის ნარიინსკის მუსიკალურ-დრამატული თეატრი ცენტრიდან შორს, მაღალმთიან რაიონში დიდ კულტურულ საქმიანობას ეწევა. ახალგაზრდოული თეატრი ემსახურება ყირგიზ შრომელებს, ძალზე რთულ პირობებში უზდიანთ მათ მოღვაწეობა და, ამდენად, დიდად დასაფასებელია ეს თავგანწირვა. ქართველი მაყურებელი პირველად გაეცნო მათ ხელოვნებას. ჩ. აიტმატოვის ნაწარმოებმა რეჟისორ ა. სარდიგეკოვის ინტერპრეტაციით მნიშვნელოვანი რედაქცია განიცადა, ვინაიდან სასცენო ქმედება პრაზნისათვის ორგანული თხრობის ტანსფორმაციას ითხოვს თეატრის კანონთა გათვალისწინებით.

სპექტაკლი ნაადრევად დავიკაკაცებულ ბავშვებზე მოგვითხრობს. ომმა ბავშვობა წართვა მათ, ადრეულად ჩაბა შრომაში, უფროსების საქმიანობა იტვირთეს მოებში შეხიზნული ულის ბინადრებმა. ომის მკაცრი რეალობა ისიცავ, რომ ყრმობის სილაღესა და დაუდგრომლობას უეცრივ უნდა დაედოს [illegible] უმნიფარ მხრებზე გასაჯართან ერთად [illegible] რუნავიც აწვებთ ბალღებს. სპექტაკლის საუკეთესო ეპიზოდებმა სწორედ ეს სიმძიმილი გვაგრძნობინა. ბავშვები ცხენთა რემას უკლიან. ბუნება თავისას არ იშლის, გაზეღებული თამაშისადმი ლტოლვა მათი ასაკის თვისებაა და ცხენებზე „ამხედრებული" ბავშვები ლადად „მიჰქრიან" ილალდებუ. ამ სცენურ სახიერებაში თავად ეროვნული ბუნების პირველქმნილი სიმი აყღერდა, რომელმაც ქალაქიერი ნახაზის სისტემაში ნორჩთა ბულისფეთქვა ჭარმოაჩინა. საერთო სცენურ აზმოსფერიში ომის ხუსნი ნაკლებად შეიგრძნობა. ვფიქრობ, სპექტაკლი ვერ ახერეა ილუსტრაციულობას, ამიტომაც თავად სასცენო ქმედებამ პროცესის სახით ვერ გამოხატა ყმაწვილების, ადრეული წერილის, როგორც თავად პროგრამაშია მითითებული, სულიერ სამყაროში მოხმდარი ცვლილებები. სპექტაკლის წარმოსაჩენაც ვერ დამუხტა მაყურებელი, ამიტომაც იქცა იგი ერთგვარ მინიშნებად და არა თეატრის მოქალაქეობრივი პოზიციის გამომხატველ აქტიურ პერსონაჟად.

ვ. ეფოვისა და გ. ჩუბრაის პიესად გადაკეთებული კინოსცენარი დაედო საფუძვლად მოსკოვის ცენტრალური სამაგვრო თეატრის სპექტაკლს „ალიოშა". თავის დროზე გ. ჩუბრაის კინოფილმმა, „ბალადა ჯარისკაცზე", სწორედ სპრძოლო ბალალების მიმართ ახალი მიდგომით მოიპოვა ალიარება და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი. დასანანია, რომ სპექტაკლში დისტანციის გათვალისწინებით ვერ გამოვლინდა ახალი თვალსაზრისი ამ უმძიმესი ისტორიული მოვლენების მიმართ. დამდგმელმა ჯგუფმა მოგვითხრა ალიოშა სკვორეცოვის ფაიერაკიანი თავგადასავალი, ხოლო სასცენო დანადგარზე გამამაშებულმა ამბავმა მთელი ძალით ვერ ჩაინთა, ვერ დამუხტა მაყურებელთა დარბაზი.

უთუოდ სახიერად არის გადაწყვეტილი სცენოგრაფია (მხატვარი — ს. ბენედიქტოვი). ვაგონის ჩამწვარი კედლები გადაშეკრული სოფლებისა და იავარქმნილი ქალაქების სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს, ლტოლვილთა დროებით თავშესაფრად რომ გადაქცეულა (ტექნიკურად რთული სპექტაკლი მწყობრად გათამაშდა სხვა სცენაზე, რაც მოსკოველთა მაღალ სადაგებო კულტურაზე მიგვანიშნებს). ამ ვაგონში მიმდინარეობს მთავარი ეპიზოდების სათეატრო ენით წარმოსახვა. ბევრად მოიგებდა სპექტაკლი სახიერი გრაფიკული მონახაზი რთული შინაგანი სვლებით რომ ყოფილიყო გამდიდრებული.

წარმოდგენის ძირითად თემად სამართლიანად იქცა ალიოშა სკვორეცოვის დრამატული კოლიზიებით აღსავსე მგზავრობა მშობლიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოფელში. ვფიქრობ, ამ თავგადასავლის აზრობრივ ცენტრად უნდა გადაქცეულიყო ალიოშას პირადებრივ ჩაბოყალიებების პარიტეტი. მსახობი ა. მიხაილოვი ერთნაირად გულწრფელია ორივ ეპიზოდში, ერთნაირი ძალით გადაეჭრა დენტერტრისა თუ სულეიეი დაკნინების ზღვარზე მყოფი მებრძოლის მიმართ; პავლოვის ცოლსაც ახეკე ლოგიკურად „აჯანყებდა". ვფიქრობ, რეჟისორსა და მსახიობს განსაკუთრებულად უნდა გამოეყოთ ის ეპიზოდი, როდესაც ალიოშამ არჩევანი მოახდინა და ზნეობრივი აღმატებაც გამოვლინა, ეს გახლავთ პაველოს მეუღლესთან შეხვედრის ეპიზოდი. სწორედ აქ გამოავლინა ალიოშამ შინაგანი წესიერება, იგი ბომ თავად ღალატს აუმხედრდა. — არ დაუტოვა მოღალატე ცოლს ქმრის ამანათი. სცენური დროის თვალსაზრისითაც უცებად გათამაშდა ეს სცენა. შინაგანი ძვრების სპეკტრიც და მოტივირებაც საკმარისი არ აღმოჩნდა ამ ქმედების მთელი სისავსით წარმოჩენისათვის, ამიტომაც ეს მოვლენა შინაგანი სვლეთით, რთული ურთიერთობების გამოხატვის თვალსაზრისითაც უფერული აღმოჩნდა. სინამდვილის ღრმა პლასტებში შეღწევით ალიოშას ხასიათი უთუოდ უნდა შეცვლილიყო, ეს ფერისცვალება სახიერად უნდა გადმოეცა მსახობს. გულწრფელობა, ლოგიკურობა, დამაჯერებლობა — აუცილებელია, მაგრამ სასცენო ქმედება უთუოდ ითხოვს მოულოდნელ და მდიდარ შეფასებათა სპექტრსაც, საქციელთა მეტაფორულ სისტემასაც. ვფიქრობ, სწორედ ასეთი რეჟისორული და აქტიორული გამომგონებლობის სიცხადე დააკლდა წარმოდგენას. ამ მხრივ კარგად არის გადაწყვეტილი ალიოშასა (ა. მიხაილოვის) და შურას (ა. ბალაშოვას) გამოთხოვების ეპიზოდი. წინ, რამპასთან დაცბაული ალიოშა დგას. ტკივილი, გოლება, სინანული, სიყვარე და მაინც სულისაშემხდუთველი სასოებანა აღბეჭდილი მის სახეზე. ახლა ვაგონი მანქანის ძარად იქცა. ხელგაშვდილი შურა სასოწარკვეთილ ვაიძახის — დაგელოდებიო. მანქანა კი „მიაჭრის", კვლავ ალიოშასკენ იწყვის ხელს უმაწვილი ქალი; სინათლის სხივი თანდათან ქრება და სცენის წყვდიადში ჩაიკრაგება ამ ორი ადამიანის სულიერი ურთიერთლტოლვის ხათუთი ტალღა. დამდგმელი ჯგუფის პროგტის ძალა მთელის სისავსით ჩაიქსოდა ამ სცენურ მიგნებაში.

2. ახალგაზრდობის ცხოვრების სცენური ინტერპრეტაციის პრობლემა

ახალგაზრდობა ახალგაზრდა შემოქმედის თვალით! საფუსტიავალო ცხოვრებას, ვფიქრობ, ეს პრობლემაც წამოჭრა. ამ საერთო თემატიკით გაერთიანებული სპექტაკლების უარიველეთო ვთქვა ის გახლავთ, რომ ახალი თაობის მაკსიმალიზმით გამოვლინდა სწორედ რეალური ვითარების წრფელი ახსნა-განმარტებანი თავითან თანატოლებზე ისინი მსჯელობენ — პასუხისმგებელობით, ეფექტებზე — სინანულისა და საყვედურის შეზავებული ტონით, ზოგჯერ სამართლანი სიმკაცრითაც. არ ცდილობენ თავიანთი თაობის იდეალიზაციას, მაგრამ არც უპირატესობას ჩქმალავენ. ახალგაზრდა შემოქმედი იმ მიზეზებსაც ეძიებს და უკვირდება, რომელმაც ჩაბოყალიები მათი თვისებები. რა თქმა უნდა, ყოველი სპექტაკლი აზროვნების სილრმისეული სვლებით ვერ გამოირჩეგა, მაგრამ ადნიშნული ძირითადი მიმართება უთუოდ გამოიკვეთა მათში.

მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრმა მარკ ზახაროვის სპექტაკლით, „ეფტარეთი ეფსპრიმენტს", გახსნა მეორე საკავშირო ფესტივალი.

თანამედროვე რეჟისორული თეატრის ერთ-ერთი ოსტატის, მარკ ზახაროვის, სათეატრო მოდელი „სასტიკი თეატრის" ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენს. გამიზნულ მეტაფორათა სისტემაში ორგანულად არის ჩაქსოვილი თეატრის მოქალაქეობრივი პათოსი. აქტიური და მებრძოლი სათეატრო ხელოვნება ასეთსავე ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე. მარკ ზახაროვის არაერთი სპექტაკლი სპეციალისტებისა და ახალგაზრდობის ცხარე კამათის ობიექტი გამხდარა. დასანანია, რომ ამ ფესტივალზე თავისი საუკეთესო ნამუშევრით არ წარსდგა თეატრი.

ერთი ჭარხნის ექსპერიმენტზე მოუთხრობს სპექტაკლი „მაყურებელს. ყოველგვარ ხერხს მიმართავს თეატრი, რათა ადამიანნი ინერციას აქტიურობა დაუპირისპიროს, ხოლო მშვიდ განწყობას მშფოთვარე ვნებათაღელვა. ალეგორიულობა, იგავისათვის დამახასიათებელი სისხარტე ამგვარი სათეატრო მოდელის უპირველეს ნიშანს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საკარნხო ეპიზოდების რეალურმა ყოფამ სიმბოლიური მნიშნებების ახსტრაგირებული წყობის ერთგვარი „დამწეება" გამოიწვია, რაც ხელშესახებად გამოვლინდა თუნდაც დიალოგის წარმართვის ფორმაში. ყოველდღიური ყოფისათვის დამახასიათებელი ინტონაციები, ყოველგვარ სახიერებას მოკლებული რეპლიკები (ზოგჯერ არც კი გვესმის რაზეა მსჯელობა, როგორც ცხოვრებაში ხდება) — თითქოს სპექტაკლის „სოციალური გარემოს" წარმოჩენის ფონს წარმოადგენს. სინამდვილეში კი ამგვარმა ფორმამ საგრძნობლად შეანელა აღქმის სიმძაფრე. რეალობისა და პირობითობის თანაარსებობამ სცენური მეტაფორული აზროვნების სილრმე კი არ გამოკვეთა, არამედ ერთგვარად შეანელა ყოველი ეპიზოდის „შინაგანი პლანის" ამოკოთხვის შე-

საძლებლობა. დასანანია, რომ მრავალმლანან სასცენო მინიშნებათა სანაცვლოდ ცხოვრებისეული სინამდვილის „მოდერნიზებული" ვარიანტი გამოაშუქა სცენაზე. მსახიობურ შესრულებაშიც სწორედ რეალობას. ნამდვილობამ, ყოველდღიურობამ იმძლავრა და ერთგვარად გადაფარა ინტელექტუალური თეატრის უპირველესი თვისება — სახიერი და ზუსტი სცენური მინიშნებებისაგან წარმოქმნილი ასოციაციების შედეგად წარმოჩენილ პოზიციათა ბრძოლის არსებობა.

ომსკის აკადემიური თეატრის სპექტაკლს საფუძვლად დაედო ბელ კაუფმანის „აქამ სელა დადმავალი კიბით". (რეჟისორი — გ. ტროხანენეკი, მხატვარი — ნ. სტაცენკო). ნიუ-იორკის გამორჩეული კოლეჯი. სცენაზე სასწავლო დაწესებულებების აქსესუარის სანაცვლოდ რკინის გისოსებიანი ჯალიბანი ადმართული. თითქოს სამხეცეში ვიმყოფებით. თითოეული მოსწავლე ამ ჯალიაში გამომწყვდეული, დაჯავშნული თითქოს მათი მოკრძალებულობაროა, თითოეულის პიროვნება კი გამიჯნულია საზოგადოებრიობისაგან. ისინი გისოსებს ეხეთქებიან, გამოდმეხეფად ცდილობენ ჯაილეთის რკინის სალტე, მათ პიროვნულ თავისუფლებას რომ ავიწროვებს, ცდილობენ კიდეც შექმნან ადამიანთა ჯგუფი საკრებულო. მაგრამ მეტად მწირია მათი სურვილების არე, ამიტომაც განწირულია მათი მისწრაფება. ერთის კეთილშობილური სწრაფვა მეორისაგან განუკეთხავი და ზოგჯერ შეუნარჩუნებელი კი რჩება. ამ გარეგნულ უხეშობაში, ამ „სასტიკ თამაშში" მაინც კრთის ახალგაზრდების ნოსტალგია ადამიანური სითბოსა, კეთილშობილებისა და ბეშმარიტ სიყვარულ. გარეგნულად ძალზე აქტიური სპექტაკლი. რიგმიც მბორგავია, ამ გარეგნულად მეტისმეტად მოძრაობა და აქტიურ გარემოში იკარგება მთავარი — ამ საზოგადოების საკოეფთაოდ დადგენილი წესი, ცხოვრების ფორმა, ნიღაბს ამოფარებული თავისუფლება, ცრუ დემოკრატია თრგუნავს პიროვნებას. პირუტყვულ არსებობამდე დაჰყავს ადამიანი. ვფიქრობ, პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს კვლევა, ადამიანის ფსიქიკის ღრმა შრეებში ჩაწვდომა, ურთიერთობათა რთული სვლების მიგნება —უთუოდ გაამდიდრებდა სპექტაკლს. ამის შედეგად კი ცალმხრივი სანახაობის სანაცვლოდ მიღწეული იქნებოდა. ბეშმარიტად სისხლხორცეული „ცხოვრებისეული ნაკადი", რომელიც დაგვიფიქრებდა მთავარზე — მოჩვენებითი დემოკრატია ბოროტებაა საზოგადოებისათვის, ვინაიდან თავისუფლების ნიღაბქვეშ გაუუნებელია პიროვნების ღირსების შელახვის რელური საფრთხე.

ბალტიისპირეთის სათეატრო ხელოვნება ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ესტონეთის თეატრის მეტად საინტერესო ოთხნაწილიანი სანახაობით (ი. ტრული „ხაოცარი ნამცეცა", რეჟისორი ე. სპრიოტი) და რიგის ორიგინალური მიური თეატრის სპექტაკლებით „უფლისწულ" და მათხოვარი" და „დესანტი".

იუპატის სახელობის აკადემიური თეატრის ახალგაზრდა რეჟისორმა ე. ფრიბერტგასმა თბილისელ მაყურებელს გააცნო მარკ ტვენის პროზის სცენური ვარიანტი, რომელიც მიუზეალის ჟანრის თავისებურ ვარიაციას წარმოადგენს. გ. ზემგალსის სცენოგრაფიამ უკვე თავდაღვე წარმოსახა ორი ცხოვრებისეული წესისათვის დამახასიათებელი გარემო. სცენური ხივრაკე ორად არის გაყოფილი. ზემოთ სასახლის კარის ეპიზოდები გამოამშვებული, ქვეკვეთ ღონდონელი მათხოვრებისა.

სპექტაკლის აზრობრივ მიმართების უფლისწულისა (ი. კიიაკს) და ტომ კენტის (ი. რენის) ხასიათების განვითარება განსაზღვრავს. სწორედ მათი პიროვნებად შედგომის პროცესი უნდა გამდლერიყო შემოქმედებითი ჯგუფის კვლევის საგანი, მაშინ კიდეკ უფრო საინტერესოდ წარმოჩინდებოდა დეკორაცია, და მასობრივი სცენებიც მახვილგონივრულ ეპიზოდებად გადაიქცეოდა. მათ ხომ ბიძგი მისცეს მომავალ მეფეში და რაინდად წოდებულ ტომ კენტში ადამიანობის საწყისის დაბადებას. მაშინ სპექტაკლიც სახიერ სასახამად გადაიქცეოდა და არა სიკეთის შიშველი სიტკვებით ქადაგებად.

რიგინის სახელობის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა ჩამოიტანა მ. ანელოვის „დესანტი". კ. აუშკაინის სპექტაკლის სუსხიანმა ატმოსფერომ თანამედროვე სამყაროს დანაშაულებრივ ბუნებაზე მიაკაჭვა მაყურებლის ყურადღება. საერთაშორისო პრობლემატიკით დაინტერესება თავად რეჟისორის მოკალაკეობრივ კრედოზე მიუთითებს, მაგრამ სუსტმა ლიტერატურამ, სქემატურმა პერსონაჟებმა დამდგმელი ჯგუფის პათოსი მთელის სისრულით ვერ გამოხატეს.

სამწუხაროა, რომ ფესტივალზე ვერ ვიხილეთ ახალგაზრდა ლიტველი რეჟისორების ძიებანი. თანამედროვე ლიტვური თეატრი კი მაღალი რანგის ხელოვნებით გამოირჩევა. რეჟისორთა ახალი თაობა — ნეკროშუსი, ვაიტკუსი, პადეგიმისი, ტუმინასი, ვარნასი, — თანამედროვე ლიტვური რეჟისორული თეატრის მეტად საინტერესო წარმომადგენელები არიან. მათ მიერ შექმნილი ინტელექტუალური თეატრის სხვადასხვა მოდელი უდაოდ გაამდიდრებდა ჩვენს საფესტივალო ცხოვრებას, რაც საშუალებას მოგვცემდა კიდევ უფრო ღრმად ჩაეწდომოდით ამ პროცესებს, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სასცენო შემოქმედებაში რომ შეინიშნება.

მარკანიშვილელთა სპექტაკლი „შენკენ საკვალი გზები" მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი ჩვენი სათეატრო ცხოვრებისათვის.

ლაშა თაბაგაშვილისა და დავით ანდღილაძის შემოქმედებითმა თანამოაზრეობამ ეთანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მთავარ საკითხზე დაფიქრა მაყურებელი. საკუთარი თავის შეცნობის ქაო

სრულიად ნათელი გახდა, რომ ძალზე გაახალგაზრდავდა თეატრის ხელმძღვანელთა ასაკი. ფესტივალში მონაწილე თეატრების უმეტესობას ახალგაზრდა რეჟისორი უდგას სათავეში.

გამოიკვეთა ახალგაზრდა რეჟისორების მისწრაფება თანამედროვე პროზის სცენური ადაპტაციისაკენ. ამ ფესტივალზე წარმოდგენილ სუფეთქვანო სპექტაკლებს სწორედ ეშმარიტი და დიდი ლიტერატურა უდგეს საფუძვლად. ვ. ბიკოვი, ჩ. აიტმატოვი, ჩ. ინანიშვილი, ქართული ხალხური პოეზია — არა მარტო მარადიული პრობლემებითა და ზოგადკაცობრიული სატკივარით ამდიდრებენ სასცენო შემოქმედებას, არამედ ახალი თვალსაზრისის წარმოჩენასაც უწყობენ ხელს საშემსრულებლო თუ სადადგმო კულტურაში.

დამპოყრებელია ისიც, რომ ახალგაზრდა რეჟისორები იყენებენ რა თავიანთი უშუალო წინამორბედების გამოცდილებას, შედარებით „მშვიდად ცხოვრობენ ხელოვნებაში". თუკი 60-იანი წლების სათეატრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო გაბედული გალაშქრება თეატრების აკადემიური, ზეიმური, უმეტესად შტამპად ქცეული ფორმების წინააღმდეგ, 80-იანი წლების ახალგაზრდობა „შესაშურ" სიდინჯეს იჩენს. თუკი 60-იანი წლების სათეატრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი გახდილთ ახალი სათეატრო ესთეტიკის დამკვიდრება და ახალი თეატრების დაბადება, თანამოაზრე რეჟისორისა და მსახიობების ახლებური კავშირების შექმნა, 80-იანი წლებისათვის ახალგაზრდა რეჟისორებმა შედარებით იოლად შეაბიჯეს აკადემიურ თეატრებშიც კი. სამწუხაროდ, აღნიშნული პერიოდის ახალგაზრდულ დაუდგომლობასა და ბრძოლის ეინს, ახლანდელთა შედარებით „დინჯი" არსებობა შეეხაცება.

20-25 წლის წინათ ახალი თაობის რეჟისორთა მოძრაობა აღინიშნა ახალი ტიპის აქტორის მიკვლევით; საშემსრულებლო ხელოვნებაში აზროვნების ახალი სისტემა ნარმოიქმნა, რომელიც საგრძნობლად დაუპრისპირდა უკვე არსებულს.

გ. ტოვსტონოგოვის, ო. ეფრემოვის, ა. ეფროსის, მ. თუმანიშვილის და სხვათა შემწეობით ჩვენს სათეატრო ცხოვრებაში ახალი ნაკადის წარმოშობით, გაანალდა და გაიკეთოდა სასცენო შემოქმედება. თუკი 60-იან წლებში ახლის ძიება სათეატრო ხელოვნების ყოველ სფეროში შეინიშნებოდა, ახლა უმეტესად ამ მიგნებათა ვარიაციებს გვთავაზობენ ახალგაზრდები.

ახალი თაობის რეჟისორები მაშინ გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე, როდესაც რეჟისორული თეატრი განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა. რეჟისორული გამომგონებლობის ათასგვარი ასპექტი იქნა მოსინჯული მხოფლიოს სცენაზე, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ახლა აქტორის შედ-იდბალზე, ფიქრებსა მსოფლიო რეჟისორა. კვლავ ეჭვქვეშ სიცხადით წარმოიშვა ახალი აქტორული ფენომენის არსებობის საკითხი.

მართალია, სადეკორაციო სპექტაკლები მოფლოდნელობის ელვის მომგვრელი აქტორული შესრულებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ შეინიშნებოდა ხასიათის მიკვლევის მცდელობანში ახალი ფერადოვნების მარცვლების არსებობა. ასეთად მეხსიება ო. კლეიბანოვი სტეპანიდას როლში. მარკანიშვილთან სპექტაკლში მ. ჯაფარიძის მარიამის, ახალი ტიპის დონ კიხოტის, ზნეკეთილი პროკოფეის შინაგანი მთლიანობის წარმოჩენა; თელაველთა წარმოდგენაში ზ. ანთელავას მიერ ქართველი ელეზკაცის შინაგანი ბიდილის პროცესის ჩვენება; კინომსახიობთა თეატრის აქტორული ანსამბლის ეშმარიტად ეროვნული ბუნების წარმოჩენის წარმატებული მცდელობა. ალნინშვილი აქტიორული შესრულება ჰარმონიულად ეროწყმის რეჟისორული გამომგონებლობის სიცხოველეს. თითოეულ მათგანში სათეატრო მოდელის თვისებათა მფეთქავი ძარღვი შეიგრძნობა, ამიტომაც შესაძლებელად მიმაჩნია, რომ ახლო მომავალში მსახიობი კვლავ დაიბრუნებს დაკარგულ ადგილს ნებით დათმობილ პოზიციას, რომ აქტორი კვლავ შეიჭნება სცენის ჯადოქარი, სასცენო ქმედების თავიდათავი.

დასახელებულ აქტორთა აზროვნების სისტემა, სცენაზე ორგანული ცხოვრების ფორმა, იმის დასტურად გვევლინება, რომ უკვე შეინიშნება ახალი ტიპის აქტორული შემოქმედების კონტურები. შესაძლოა ეს ტენდენცია ჯერ კიდევ არ არის დახვეწილი ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ ამგვარი მინიშნებათა გამოჩენა საგულისხმო ფაქტად მესახება.

ამ ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლების მიხედვით თუ ვიმსჯელეთ, საგულისხმო მომენტს შევნიშნავთ: ყოველი სანტეტრესო სპექტაკლი (იაკუტელთა „ჩემი სანატრელი ცისფერი ნაპირი", თელაველთა „ჩემი ზეალჭალის ზმები", ბელორუსთა „უბედურების ნიშანი", შემდგომ მარკანიშვილელთა „შენკენ სავალი გზები", ობსკელთა წარმოდგენა) თანამედროვე რეჟისორულ მიღწევებს ეყრდნობა და თავისებურად იყენებს მათ. რეჟისორების ძიებანი მეტ-ნაკლები ძალით მიმრავლია ადამიანის შინაგანი სამყაროს კვლევისაგენი.

სავსებით სამართლიანად და დროულად მესახება გიორგი ტოვსტონოგოვის მოწოდება „წინ, სტანისლავსკისაკენ!"... რამდენიმე წლის წინათ დაწერილ სტატიაში სცენის ოსტატი ჯერ კიდევ დაფარულ მიმრთულას აგნებდა. ახლა სრულიადაც ნათლად გამოიკვეთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კონსტანტინე სტანისლავსკის უკანასკნელი წლების აღმოჩენის შეცნობა და გათავისება უთუოდ შეაძლებინებს სცენის ხელოვნებას ახალი თვალსაზრისით გაამდიდროს სათეატრო ანზოგნება. თეატრის ქმედითი ბუნების წარმოჩენის მცდელობა შეინიშნებოდა ახალგაზრდა შემოქმედთა წარმატებულ ნამუშევრებშიც. ყველაზე ღირებულად ეს ფაქტი მესახება, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ახალი თაობის რეჟისორთა მოღვაწეობა უთუოდ წარმოაჩენს სათეატრო ანზოგნების ახალ ბორიზონტს.

ახლა რამდენიმე მოსაზრებას გამოვთქვამ საკუთრივ ქართული თეატრის შესახებ, ვინაიდან საფესტივალო ცხოვრება სწორედ ქართულმა თეატრმა გადაიკვეთა დღესასწაულად. ამ მხრივ მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორული და პედაგოგიური მოღვაწეობა საგანგებო მნიშვნელობას იძენს არამარტო ქართული თეატრის ხვალინდელი დღის ხელოვნებისათვის. გადაკარბებული არ იქნება თქვას, რომ 60-იან წლებში მიმდინარე მისმა ძიებებმა უადრესად მნიშვნელოვანი მონაპოვარით გაამდიდრეს სადღესაწო ქართული სათეატრო ცხოვრება. სრულიად კანონზომიერად მესახება სტურუასეული და ჩხეიძისეული სათეატრო მოდელის ჩამოყალიბება ამ ნიადაგზე. რა გიწდ განსხვავებული არ უნდა იყოს რ. სტურუას რეჟისორული ხელწერა მისი მასწავლებლის ხელოვნებისაგან, ამ სათეატრო მოდელს საძირკველს უმაგრებს თუნდაც მ. თუმანიშვილისაგან შეძენილი პროფესიული ჩვევა და ხელობის საიდუმლოთა ნვედრმის უნარი. თანამედროვე ქართული რეჟისორული თეატრი აქტიური და ქმედითია თავისი ბუნებით. ეს ძირითადი ტენდენცია სწორედ ამ განახლებულ სასცენო ხელოვნებაში უნდა დაიძებნოს, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი მ. თუმანიშვილი გახლავთ.

თანამედროვე სასცენო ხელოვნების ძირეულ საკითხს რეჟისორისა და აქტიორის შემოქმედებით ურთიერთობის პრობლემა წარმოადგენს. თუნდაც ამ მიმართებით იქცევდა ქართული კინომსახიობთა თეატრის ხელოვნება გამორჩეულ ყურადღებას, მიხეილ თუმანიშვილის ამეცნიერული ძიებანი სწორედ ამ პრობლემის წარმატებული გადაწყვეტისაკენ არის მიმართული. სრულიად ნათელია, რომ ჩვენში ახალი ტიპის აქტიორის ჩამოყალიბებისათვის კინომსახიობთა თეატრის ხელოვნება ანგარიშგასაწევი შეიქმნა.

შემოქმედებით პროცესში მსახიობის მაკსიმალური აქტივობა, ხელობის საიდუმლოთა ფლობა, აზოგნებების საგანგებო სისტემის შემოქმედება — ამ მსახიობთა კავშირის საშემსრულებლო კულტურის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მსახიობი — რეჟისორი თავისი როლისა; მსახიობი — აქტიორი შემოქმედი და ქმედმარტი თანაკვეთორი სასცენო ნაწარმოებისა; აქტიორი — მოაზროვნე პიროვნება და აქტიური წევრი საზოგადოებისა — ის თვისებებია, რომელთა წარმოჩენასა და დაბეგვნას ცდილობს კინომსახიობთა თეატრის ხელმძღვანელი. უნივერსალური, ქედმარტი პროფესიონალი შემოქმედის დამკვიდრებისათვის არიან მოწოდებულნი თეატრის რეჟისორები და ახალგაზრდა მსახიობები.

ასეთია მოსაზრებები, რომლებიც დამბადა ახალგაზრდული სპექტაკლების მეორე საკავშირო ფესტივალის დღეებში. საფესტივალო სპექტაკლებმა არაერთი დამფიქრებელი საკითხი წამოჭრეს სპეციალისტების წინაშე, მათზე მსჯელობა საგულდაგულო ანალიზს მოითხოვს. ერთი კი ნათელია — ხვალინდელი სათეატრო ხელოვნების პერსპექტივა უდავოდ ითხოვს მსახიობისა და რეჟისორის მიმაზანდების, სწავლების მეთოდიკის ბადისნაწყვის. სადაგმო და საშემსრულებლო კულტურის დონემ ეს პრობლემა მთელის სიმწვავით წამოჭრა და დაყოვნება უკვე აღარ შეიძლება.

საფესტივალო ცხოვრებამ ქედმარტად დიდი მნიშვნელობა შეიძინა თუნდაც ამ პრობლემათა წარმოჩენის თვალსაზრისით.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორესპონდენტო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 4. 02. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 04. 86 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საალრ.სგ. თაბახი 15.85. შეკვ. 312. უე 04595. ტირაჟი 61.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 3/66

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ